

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
იურიდიული ფაკულტეტი,
საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი

ირაკლი ადეიშვილი

**კომერციული იურიდიული პირების უფლებების დაცვა ადამიანის
უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის
მიხედვით**

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი - ირინე ქურდაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

თბილისი, საქართველო

2019

სარჩევი

შესავალი	5
თავი 1. აქვთ თუ არა კომერციულ იურიდიულ პირებს ადამიანის უფლებები - თეორიული ანალიზი	9
1.1. შესავალი.....	9
1.2. მოსაზრებები კომერციულ იურიდიულ პირთა მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის სასარგებლოდ.....	9
1.3. მოსაზრებები კომერციულ იურიდიულ პირთა მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის საწინააღმდეგოდ	12
1.4. ადამიანის უფლებათა ბილი და აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული პრაქტიკა	16
1.5. ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული და აფრიკული სისტემები...	20
1.6. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.....	22
1.7. დასკვნა	25
თავი 2. კომერციული იურიდიული პირის საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები.....	27
2.1. შესავალი.....	27
2.2. აშკარად დაუსაბუთებელი	28
2.3. Ratione Personae	32
2.4. დაუშვებლობის სხვა საფუძვლები	34
2.5. დასკვნა	40
თავი 3. კონვენციის მე-6 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები.....	42
თავი 4. კონვენციის მე-7 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები.....	49
თავი 5. კონვენციის მე-8 მუხლი, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და კომერციული იურიდიული პირები.....	54
თავი 6. კონვენციის მე-10 მუხლი, გამოხატვის თავისუფლება და კომერციული იურიდიული პირები.....	58
6.1. ლიცენზირება	59
6.2. კომერციული გამოხატვა	64
6.3. ჟურნალისტური წყაროების დაცვა	71
6.4. გამოხატვის თავისუფლება და ცილისწამება	74

თავი 7. კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი პუნქტი.....	95
7.1. შესავალი.....	95
7.2. საკუთრება (მფლობელობა).....	99
7.3. მოთხოვნები და ლეგიტიმური მოლოდინი როგორც „საკუთრება“	101
7.4. ჩარევა საკუთრების უფლების განხორციელებაში	110
7.5. საკუთრების უფლების განხორციელებაში ჩარევის მართლზომიერება... ..	112
7.6. უცხოური ინვესტიცია როგორც პირველი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრული საკუთრება და მისი დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.....	116
7.7. აქციონერთა (დამფუძნებელთა) მიერ საწარმოს უფლებების დაცვა (ე.წ „კორპორატიული საფარველის გაჭოლვა“) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით.....	130
7.8. კორპორატიული საფარველის გაჭოლვა საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევებში.....	143
7.9. კონვენციის პირველი ოქმისა პირველი მუხლისა და მე-6 მუხლის ურთიერთმიმართება	145
თავი 8. კონვენციის მე-11 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები.....	152
თავი 9. კონვენციის მე-13 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები.....	154
თავი 10. კონვენციის მე-14 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები.....	161
თავი 11. კონვენციის მე-17 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები.....	165
თავი 12. კონვენციის მე-18 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები.....	168
თავი 13. კონვენციის მე-7 ოქმი და კომერციული იურიდიული პირები.....	169
13.1. მე-7 ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი	169
13.2. მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი	171
თავი 14. კონვენციის 41-ე მუხლი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება	173
თავი 15. კომერციული იურიდიული პირების დაბეგვრა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია	179
15.1 პირველი ოქმის პირველი მუხლი.....	180
15.2. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი	183
15.3 კონვენციის მე-8 მუხლი.....	186

თავი 16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი (დროებითი ღონისძიებები) და კომერციული იურიდიული პირები...	188
თავი 17. ქართული კომერციული იურიდიული პირები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.....	190
დასკვნა	194
ბიბლიოგრაფია	198

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და მატერიალური დოვლათის შექმნისათვის სულ უფრო და უფრო მზარდი როლი გააჩნია კომერციული (სამეწარმეო) იურიდიული პირების საქმიანობას. სწორედ ასეთი სუბიექტები ქმნიან სახელმწიფოთა ძლიერების საფუძველს - მყარ ეკონომიკურ ფუნდამენტს, რაზე დაყრდნობითაც შემდგომში უკვე ვითარდება ეკონომიკის სხვა დარგებიც. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც ძლიერი კომერციული იურიდიული პირების გააჩნია ამა თუ იმ სახელმწიფოს, იმდენად ძლიერი ეკონომიკაც აქვს მას. ცხადია, რომ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ფიზიკურ პირებსაც შეუძლიათ (მაგ, ინდივიდუალური მეწარმე), მაგრამ ასეთი სუბიექტები საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ისე არსებითად ვერ მონაწილეებენ ეკონომიკის განვითარებაში, როგორც იურიდიული პირის სტატუსით ჩამოყალიბებული სუბიექტები. ეს გასაგებიცაა, რადგან კომერციულ იურიდიულ პირებს ფორმალური კორპორატიული სტრუქტურების და სამეწარმეო საქმიანობის შედეგად უფრო მეტად აქვთ წვდომა კაპიტალის ბაზარზე და აქედან გამომდინარე, ბიზნესის გაფართოვებაზე.

ცხადია, რომ საწარმოთა საქმიანობის განვითარების კვალდაკვალ იზრდება მათი მონაწილეობა ამა თუ იმ სამართლებრივ დავაში სახელმწიფოსთან თუ კონტრაგენტებთან, რასაც ზოგ შემთხვევაში მოჰყვება ხოლმე კომერციული იურიდიული პირებისთვის არახელსაყრელი შედეგის მქონე გადაწყვეტილებები ეროვნული სასამართლოებში თუ ტრიბუნალებში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად დაისმება ხოლმე კითხვა - არსებობს თუ არა რაიმე სხვა, საერთაშორისო ფორუმი, სადაც კომერციულ იურიდიულ პირს ექნება შესაძლებლობა დაიცვას თავისი უფლებები. ბუნებრივია აქ არ ვგულისხმობთ საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივ არბიტრაჟს, რომლებიც ცხადია, რომ ასევე დავის გადაწყვეტის მექანიზმებს წარმოადგენენ, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში ან არაა ხოლმე განკუთვნილი წარმოშობილ დავასთან ან მეტად ძვირია.

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულმა კონვენციამ შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემა, მნიშვნელოვანი უნდა იყოს ამ სისტემის მიმართების განხილვა სწორედ კომერციული იურიდიული პირების მიმართ. შესაბამისად, მოცემული ნაშრომის ძირითადი მიზანია შეისწავლოს და პასუხი გასცეს კითხვებს შეუძლიათ თუ არა საწარმოებს ისარგებლონ ადამიანის

უფლებათა ევროპული კონვენციით თავიანთი უფლებების დაცვის კუთხით, თუ შეუძლიათ რა კონკრეტული მუხლების ფარგლებში და რა მოცულობით, რა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები (ე.წ. პატერნები) არსებობს საწარმოთა მიერ კონვენციით განსაზღვრული უფლებების დაცვის თვალსაზრისით, აგრეთვე ასეთი ფაქტობრივი გარემოებების (პატერნების) დამუშავება, იქიდან გამომდინარე, რომ პრეცედენტული სამართალი თავისი არსით მოითხოვს პრეცედენტების დამუშავებას, რაც კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების (ე.წ. პატერნების) შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

მოცემული კვლევისათვის გამოყენებულ იქნა კვლევის სხვადასხვა მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, ანალიზი და სინთეზი, როგორც კვლევის საფუძველი. გარდა ამისა, შედარებით სამართლებრივი კვლევის შედეგად მიღწეულ იქნა ამა თუ იმ პატერნებსა თუ სასამართლოს მსჯელობებს შორის არსებული განსხვავებებისა თუ მსგავსებების წარმოჩენა და მათი განხილვა, ხოლო ერთ-ერთი თავის დამუშავებისას სტატისტიკურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა საწარმოთა საკუთრების უფლების დარღვევის საქმეების განხილვისას ამ მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის კორელაციის საკითხი. გარდა ამისა, კვლევის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენდა სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ გავრცელებული კვლევის მეთოდი კონტენტ-ანალიზი, რომელიც არის „ნებისმიერი მეთოდი დასკვნის გამოსატანად შეტყობინებათა კონკრეტული თავისებურებების სისტემური და ობიექტური გამოვლენით“¹. პირველ რიგში კონტენტ-ანალიზი ყველაზე ხშირად გამოიყენება შეტყობინების თავისებურების აღსაწერად, ხოლო მეორე გამოყენებაა როდესაც ტექსტის ანალიზი ხდება იმისათვის, რომ გაკეთდეს დასკვნა შეტყობინების ავტორის შესახებ, ასევე მიზეზებისა და წანამძღვრების შესახებ, მესამე მთავარი გამოყენება გულისხმობს იმას, რომ მკვლევარები დასკვნას აკეთებენ შეტყობინების გავლენის შესახებ შეტყობინების მიმღებზე². ჩვენს შემთხვევაში ასეთ შეტყობინებად განხილულ იქნა სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები - მათი თავისებურებები, მათში გამოხატული სასამართლოს განმარტებები და ის შედეგები, რაც მათ მოუტანეს როგორც უშუალოდ მხარეებს, ისე ზოგადად პრეცედენტულ სამართალს.

კვლევა ძირითადად ემყარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებებს. ასეთად აღებული

¹ *Holsti O.R.*, Content Analysis in *The Handbook of Social Psychology*, ed. Lindzey G., and Aronson E., Reading, Mass.: Addison_Wesley, 1968), 601, წიგნში ფრანკფორტ-ნაჩმიასი ჩ., ნაჩმიასი დ., კვლევის მეთოდების სოციალური მეცნიერებებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 456.

² იქვე. 457, 458.

იქნა 5 წლიანი პერიოდი 2014 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე ვინაიდან, როგორც წესი, უკვე არსებული ნაშრომები ძირითადად დამყარებულია ხოლმე უფრო ძველი პერიოდის პრეცედენტებზე, ხოლო ჩვენი მიზანი იყო უფრო მეტად ახალი პრეცედენტების განხილვა და ახალი პატერნების წარმოჩენა. ამის გამო, კვლევის პერიოდი არსებითად მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ შემოიფარგლა ზემოხსენებული პერიოდით, ხოლო მე-2 თავში მოცემული დასაშვებობის განჩინებისთვის კი პერიოდით 2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 თებერვლამდე. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასაშვებობის ესა თუ ის საინტერესო საკითხი განხილულია აგრეთვე ამა თუ იმ არსებითი მუხლისადმი მიძღვნილ თავებშიც, იმ პრეცედენტებთან მიმართებით, სადაც დასაშვებობის განჩინება ახალ პრეცედენტს ქმნიდა ან ავითარებდა უკვე შექმნილ პრეცედენტულ სამართალს (იხ. მაგალითად, დასაშვებობის განჩინებები მოცემული უცხოური ინვესტიციების შესახებ თავში). ცხადია, რომ კვლევა ვერ შემოიფარგლებოდა მარტოოდენ უახლოესი გადაწყვეტილებებით, რადგან კონვენციის ძალიან ბევრი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ მათი ავტორიტეტული განმარტება ჩამოყალიბებულ იქნა ევროსასამართლოს რიგ ისტორიულ, კლასიკურ გადაწყვეტილებებში (მაგალითად, *Pressos Compania Naviera S.A. and others v. Belgium* ან *Stran Greek Refineries and Mr Stratis Andreadis v. Greece*). მთელ რიგ საკითხებზე თავი ვერ ავარიდეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ისეთ პრეცედენტებს, რომლებიც მიღებულ იქნა ფიზიკურ პირებთან მიმართებით (*Belany Nagy v. Hungary*), თუმცა სადაც არსებობდა შესაბამისი პრეცედენტი, ყოველთვის მოხმობილ იქნა კომერციული იურიდიული პირის განაცხადის გამო შექმნილი პრეცედენტი.

თავად ნაშრომი დაყოფილია თავებად, და პირველი თავის გარდა (რომელიც კომერციულ იურიდიულ პირთა მიერ ადამიანის უფლებათა შესახებ არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით სარგებლობის პრობლემატიკას შეეხება) ყველა სხვა თავი ეძღვნება კონვენციის ამა თუ იმ მუხლს, რომელიც ევროსასამართლოს მიერ კომერციული იურიდიული პირების მიმართ იქნა გამოყენებული არსებითი გადაწყვეტილების თუ დასაშვებობის შესახებ განჩინების მიღებისას. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მეორე თავი, რომელიც დასაშვებობის შესახებ მიღებულ განჩინებებს ეხება, აგრეთვე მე-9 და მე-10 თავები, რომლებშიც მოყვანილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონკრეტულ კაზუსებში განვითარებული მსჯელობა საწარმოთა მიმართ ისეთი შედარებით იშვიათად გამოყენებადი ნორმების მოხმობის შესახებ, როგორიცაა კონვენციის მე-17 და მე-18 მუხლები. საყურადღებოა ნაშრომის მე-14 თავი, სადაც პრაქტიკულად ის ერთადერთი შემთხვევა იქნა განხილული, როდესაც სასამართლომ დროებითი ღონისძიება გამოიყენება

კომერციული იურიდიული პირის მიერ წარდგენილი განაცხადის განხილვისას. მე-10 მუხლის მიმოხილვისას ცალკე-ცალკე ქვეთავები აქვს დათმობილი ამ მუხლში შემავალ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორებიცაა ლიცენზირება, კომერციული გამოხატვა, ჟურნალისტური წყაროების დაცვა, ცილისწამება. პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე მსჯელობისას საგნობრივად არის გამოყოფილი ქვეთავები აქციონერის მიერ საწარმოს უფლებების დაცვაზე („კორპორატიული საფარველის გაჭოლვა“) და უცხოური ინვესტიციის დაცვა. გარდა ამისა, საგანგებოდ გამოყოფილ იქნა ყველა საწარმოსთვის ნაცნობი და პრობლემური თემა დაბეგვრასთან დაკავშირებით და ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის დამოკიდებულება ასეთი ღონისძიების მიმართ.

ყველაფერთან ერთად მიგვაჩნია, რომ მოცემული ნაშრომი უაღრესად აქტუალურია დღევანდელ საქართველოში. ადამიანის უფლებების სამართალი სულ უფრო ფართო ადგილს იკავებს როგორც მოქალაქეთა ცხოვრებაში, ისე ზოგადად საქართველოს სამართლებრივ სივრცეში. სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას გამოარჩევს მისი გამოყენებისა და აღსრულების შედარებით უფრო ეფექტური მექანიზმი, რაც მას განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებს საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმათა სისტემაში.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მოცემული ნაშრომი დაიმსახურებს როგორც სამეცნიერო სამყაროს ასევე პრაქტიკოსი იურისტების ყურადღებას და გახდება მათი დამხმარე ინსტრუმენტი კომერციული იურიდიული პირების უფლებების ეფექტური დაცვის საქმეში.

თავი 1. აქვთ თუ არა კომერციულ იურიდიულ პირებს ადამიანის უფლებები -
თეორიული ანალიზი

1.1.შესავალი

კომერციული იურიდიული პირების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის შესახებ საკითხი დიდი ხანია მწვავე მსჯელობის საგანია. მიუხედავად არსებული სასამართლო თუ სხვა პრაქტიკისა, სხვადასხვა თეორიულ და საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტზე დამყარებულ მიდგომით, კომერციული იურიდიული პირები ასეთი უფლებებით არ უნდა სარგებლობდნენ. უმნიშვნელოვანესია კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობა თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ და სხვა სახის ურთიერთობაში. მრავალ ქვეყანაში ისინი წარმოადგენენ ძირითად დამსაქმებლებს და ხელს უწყობენ მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებასა და ზრდას. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში მოკლედ მიმოხილულია კომერციული იურიდიული პირების მიერ იმავე უფლებებით სარგებლობის საკითხი, რითაც საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად აღჭურვილნი არიან ფიზიკური პირები. კვლევა ასევე ეთმობა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას ამ საკითხთან მიმართებით. განისაზღვრება რომელი საერთაშორისო-სამართლებრივი კონვენციით შეუძლიათ კომერციულ იურიდიულ პირებს მიმართონ დავის მოგვარების საერთაშორისო მექანიზმებს თავიანთი დარღვეული უფლებების დასაცავად და რომელი საერთაშორისო-სამართლებრივი ხელშეკრულებით გამოირიცხება კომერციული იურიდიული პირების საჩივრების განხილვის შესაძლებლობა.

1.2.მოსაზრებები კომერციულ იურიდიულ პირთა მიერ ადამიანის უფლებებით
სარგებლობის სასარგებლოდ

ადამიანის უფლებათა თავდაპირველ მრავალმხრივ ხელშეკრულებებში³ კომერციული იურიდიული პირების შესახებ დათქმების არარსებობის მიუხედავად, კონვენციების გამოყენების პრაქტიკამ ცხადყო, რომ ცალკეული უფლების მოსარგებლედ კომერციული იურიდიული პირის მიჩნევის შესაძლებლობა. კომერციულ იურიდიულ პირების ფართო ვალდებულებათა გათვალისწინებით

³ მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და სხვ.

(ბავშვთა შრომის თავიდან აცილება, გარემოს დაცვა და ა.შ.), უცნაურია, რატომ არაა „ხალისით“ გაზიარებული მოსაზრება უფლებების დარღვევის მსხვერპლად კორპორაციის მიჩნევის თაობაზე⁴. ცხადია, ამას თავისი ახსნა აქვს. ცალკეული მკვლევარისთვის მიუღებელია კომერციული იურიდიული პირისა და ადამიანის გაიგივება, თუნდაც იმის გამო რომ კორპორაცია არის არა ადამიანი, არამედ ხელოვნური წარმონაქმნი⁵, რომელსაც იმთავითვე არ აქვს უნარი ადამიანის უფლების დარღვევასთან დაკავშირებული ტანჯვა განიცადოს⁶. გარდა ამისა, კორპორაციები ასოცირდებიან კერძო კომერციულ ურთიერთობებთან, სადაც ძირითადი პრინციპები განისაზღვრება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის წესებით, მაშინ როდესაც ადამიანის უფლებები აღიქმება საჯარო სივრცესთან დაკავშირებულ საქმიანობად სამთავრობო ღონისძიებების განხორციელების ჩათვლით⁷. ამდენად, კომერციული იურიდიული პირების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის ძირითად დაბრკოლებად თავად ასეთი იურიდიული პირების ხელოვნურობა და კერძო სფეროსთან კავშირი უნდა ჩაითვალოს.

მიიჩნევა, რომ კომერციული იურიდიული პირების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის უარყოფა ძირითადად ამ დოქტრინის ტრადიციული პრინციპების გავლენითა და ადამიანის უფლებების ისტორიული საფუძვლების ზედმეტი გამოყენებითაა გამოწვეული, რამაც დღესდღეობით თავისი მნიშვნელობა დაკარგა⁸. დღევანდელი საზოგადოება მრავალფეროვანია და ადამიანის უფლებების ჩვენეული აღქმა მნიშვნელოვნად შეიცვალა⁹. კორპორაციების მიერ სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულებამ წარმოშვა საჯარო თუ კერძო

⁴ *Addo, M.K.*, The Corporation as a Victim of Human Rights Violations, წიგნში: *Addo M.K. (ed.)*, Human Rights Standards and The Responsibility of Transnational Corporations, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 1999, 187.

⁵ *Addo, M.K.*, The Corporation as a Victim of Human Rights Violations, წიგნში: *Addo M.K. (ed.)*, Human Rights Standards and The Responsibility of Transnational Corporations, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 1999, 187, იხ. ციტირება: *Teubner G.*, Enterprise Corporatism: New Industrial Policy and the Essence of the Legal Person, *Am. J. of Comp. Law*, 1988, Vol. 36, 130.

⁶ *Addo M.K.* The Corporation as a Victim of Human Rights Violations, წიგნში *Addo M.K. (ed.)*, Human Rights Standards and The Responsibility of Transnational Corporations, Kluwer Law International, The Hague, London, Boston 1999, 187.

⁷ *Addo, M.K.*, The Corporation as a Victim of Human Rights Violations, წიგნში: *Addo M.K. (ed.)*, Human Rights Standards and The Responsibility of Transnational Corporations, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 1999, 187, იხ. ციტირება: *Clapham A.*, Human Rights in the Private Sphere (OUP 1993) 91.

⁸ იქვე, 188.

⁹ იქვე.

ხელისუფალთა მხრიდან მათი უფლებების ისეთივე დარღვევის შესაძლებლობა, თუ მეტი არა, როგორც ფიზიკური პირების მიმართ¹⁰.

მართალია კორპორაციები ხელოვნურად შექმნილი იურიდიული პირები არიან, მაგრამ ისინი იქმნებიან, იმართებიან ადამიანთა მიერ¹¹ და ადამიანთა სასარგებლოდ¹². ამდენად, არის განცდა რომ კორპორაციებისადმი მიმართული მიდგომები და საქმიანობა რეალურად იმ ადამიანებზე ახდენს გავლენას ვინც კორპორაციების უკან დგანან¹³. ადამიანის უფლებები დაკარგავდა თავის ძირითად მიზანს, რომელიც უფლებების დარღვევისაგან დაცვას გულისხმობს, თუ იგი შეიზღუდებოდა მხოლოდ პირდაპირ ფიზიკური პირების მიმართ არსებული დარღვევებით¹⁴. ეფექტური დაცვის პრინციპი, აგრეთვე ადამიანის უფლებების მიმართ უფრო მეტი ნდობის გაჩენა შეიძლება საფუძვლად დაედოს იმას, რომ ადამიანის უფლებები გავრცელდეს კორპორაციებზე¹⁵.

მკვლევართა ნაწილის მოსაზრებით, ადამიანებს ახასიათებთ კომპანიების ჰუმანიზაცია, რომლის დროსაც საზოგადოება კომპანიას აღიქვამს როგორც მეგობარს, მტერს, რეფორმატორს, რასაც კომპანიებისგანაც ეწყობა ხელი ბრენდირებით¹⁶. ჰუმანიზაცია საკმაოდ ხელსაყრელი აღმოჩნდა კომპანიებისთვისაც, რომელთაც მიეცათ შესაძლებლობა გამოეყენებინათ ადამიანის უფლებები საკუთარი საჭიროებისათვის¹⁷. ადამიანთა უმრავლესობა აღიარებს, რომ კომპანიებს უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, ამდენად, უნდა იქნენ წახალისებულნი ხელშემწყობი თუ შემზღუდველი

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე, ასევე „საზოგადოდ კორპორაციებს აარსებენ მათი მესაკუთრეები (აქციონერები ან მსგავსი ჯგუფები) და მართავენ პროფესიონალები როგორებიც არიან მენეჯერები, დირექტორები და სხვადასხვა რანგისა და სპეციალობის დასაქმებულები ანუ ადამიანები“, ციტ. *Addo, M.K., The Corporation as a Victim of Human Rights Violations*, წიგნში: *Addo M.K. (ed.), Human Rights Standards and The Responsibility of Transnational Corporations*, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 1999, 188.

¹² იქვე, „ყველაზე მეტ სარგებელს იღებენ მომხმარებლები, აქციონერები და გარკვეულწილად დასაქმებულებიც“. ციტ. *Addo, M.K., The Corporation as a Victim of Human Rights Violations*, წიგნში: *Addo M.K. (ed.), Human Rights Standards and The Responsibility of Transnational Corporations*, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 1999, 188.

¹³ იქვე, 189.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

¹⁶ *Kohl U., The Sun, Liverpoolians and “The Truth”: A Corporate Right to Human Right?*, წიგნში: *Harding C., Kohl U., Salmon N., Human Rights in the Market Place, The Exploration of Rights’ Protection by Economic Actors*, Routledge, London and New York, 2016, 23.

¹⁷ იქვე, 24.

კანონმდებლობით, რომელთა მიღება გამომდინარეობს სახელმწიფოს პრიორიტეტებიდან¹⁸.

1.3. მოსაზრებები კომერციულ იურიდიულ პირთა მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის საწინააღმდეგოდ

მოსაზრება კომერციული იურიდიული პირების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის საწინააღმდეგოდ ემყარება „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა“ და ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედ სხვა ფუნდამენტური საერთაშორისო შეთანხმებების სიტყვასიტყვით თუ საკონვენციო ორგანოებისეულ განმარტებებს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო რეჟიმი აგებულია „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა“ და მასთან დაკავშირებული ორი კონვენციის - „პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო პაქტისა“ და „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის“ - ირგვლივ¹⁹. იგი შედგება ისეთი სტანდარტებისა და აღსრულების პროცედურათა სისტემისაგან, რომელთა ცენტრსაც წარმოადგენს გაერო - უფრო კონკრეტულად კი ადამიანის უფლებების საბჭო - რასაც მხარს უჭერს ადამიანის უფლებების რეგიონალური რეჟიმების მცირე ჯგუფი, რომელთა შორისაც უმთავრესია ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია²⁰.

მიუხედავად ამისა, მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალზე ისეთია, რომ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მთლიან პარადიგმას საფრთხე ექმნება ახალი - „ადამიანის სავაჭრო, საბაზრო უფლებების“ პარადიგმის განვითარებით - და რომ მიმდინარეობს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ პარადიგმის „ნელი და მეთოდური, მაგრამ არსებითი ჩანაცვლება“ პარადიგმით, რომელიც „მიზნად ისახავს დააკნინოს და შეაბრუნოს კიდევ ცნება, რომ ადამიანის საყოველთაო უფლებები შექმნილია ადამიანის მიერ ღირსებისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად და სოციალურად, ეკონომიკურად და

¹⁸ იქვე, 25.

¹⁹ *Grear A., Corporations, Human Rights and the Age of Globalization: Another look at the “Dark Side” in the Twenty-First Century*“, წიგნში: *Wilson H.B., Grear A., (eds.), Human Rights in the World Community: Issues and Action, Fourth Edition, University of Pennsylvania Press, Philadelphia, 2016, 420.*

²⁰ იქვე, 421, შემდგომი მითითებებით.

ცივილიზებულად მოწყვლადი ადამიანებისა და თემების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ხელისშეწყობისათვის²¹. აღმოცენებადი პარადიგმა მიზნად ისახავს გლობალური კაპიტალისადმი მიკუთვნებულ ადამიანის კოლექტიური უფლებების წახალისებასა და დაცვას, იმდაგვარად, რომ გაამართლოს კორპორატიული კეთილდღეობა მაშინაც, როცა იგი მოიცავს კონკრეტული ადამიანებისა და თემების უფლებების განგრძობად და აშკარა დარღვევებს²².

საგულისხმოა ისიც, რომ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“²³, აგრეთვე „საერთაშორისო პაქტი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ“²⁴ და „საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“²⁵ პირდაპირ არ საუბრობს ამ შეთანხმებების კომერციული იურიდიული პირების სასარგებლოდ გამოყენებაზე და თავიანთ ტექსტში ასეთ დათქმას არ მოიცავენ. ამის გამო ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებების ერთადერთი მოსარგებლე შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. მიუხედავად იმისა, რომ „საერთაშორისო პაქტის პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ“ ქართულ თარგმანში მე-2 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია სიტყვა „პირი“, ეს ვერ ცვლის პაქტის ინგლისურენოვან ტექსტში გამოყენებული სიტყვის „ინდივიდის“ (individual) მნიშვნელობას, რომელიც მხოლოდ ფიზიკური პირის აღსანიშნავად გამოიყენება. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებიც იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა შესახებ“ არ აღიარებს

²¹ *Grear A., Corporations, Human Rights and the Age of Globalization: Another look at the “Dark Side” the Twenty-First Century*, წიგნში: *Wilson, H. B., Grear, A., (eds.), Human Rights in the World Community, Issues and Action, Fourth Edition, University of Pennsylvania Press, Philadelphia, 2016, 420*, იხ. ციტირება: *Baxi U., The Future of Human Rights, Oxford University Press, Oxford, 237*.

²² იქვე.

²³ იხ. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-2 მუხლი - „ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს...“

²⁴ იხ. „წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებებით...“ – „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 2.1 მუხლი.

²⁵ „აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობს ადამიანის პიროვნების თანდაყოლილი ღირებებიდან“, იხ. „საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, პრეამბულა.

კორპორაციათა უფლებებს²⁶. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა კიდევ უფრო მეტად შემზღუდავი პოზიცია დაიკავა საქმეში *Newspaper Publishing Company v. Trinidad and Tobago*, სადაც მან მარტივად განმარტა, რომ „მხოლოდ ფიზიკურ პირს აქვს უფლება წარადგინოს კომუნიკაცია...იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია დამატებითი ოქმის მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ წარმოადგენს სათანადო მხარეს... მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ გაცხადებული ბრალდებები შეიძლება შეეხებოდეს პაქტით განსაზღვრულ საკითხებს²⁷“.

ასეთი კატეგორიული განმარტება არ უშვებს პაქტისა და მისი დამატებითი ოქმის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციის საშუალებას, მაგრამ ავტორთა ნაწილის აზრით, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა არაპირდაპირ მაინც აღიარა კორპორაციათა უფლებები - „1993 წლამდე ადამიანის უფლებათა კომიტეტი უარყოფდა კორპორაციათა უფლებას განხილული ყოფილიყვნენ როგორც პაქტით განსაზღვრული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი²⁸. 1993 წელს კომიტეტმა აღიარა, რომ კორპორაციას შეიძლება ჰქონდეს პაქტის მე-19 მუხლიდან გამომდინარე უფლებები, რომლებიც გამოხატვის თავისუფლებას შეეხება²⁹“. მკვლევართა აზრით, ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვის პრინციპი შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს გაფართოების საფუძველი კორპორაციათა ჩართვის თვალსაზრისით, რაც ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დერივაციული უფლებამოსილების პრინციპის დაშვების შედეგად განახორციელა³⁰. როდესაც მოპასუხე სახელმწიფო საქმეზე *Allan Singer v. Canada* აცხადებდა რომ საჩივარი, რომელიც პაქტის მე-9 მუხლს შეეხებოდა, დაუშვებელი იყო კომიტეტმა მიუთითა: „მონაწილე სახელმწიფო სადავოდ ხდის ავტორის განცხადებას, რომ მისი კომპანიის უფლება დაირღვა, აგრეთვე სადავოდ ხდის იმას, რომ კომპანია

²⁶ *Cassimatis, E.A.*, Human Rights Related Trade Measures under International Law: The Legality of Trade Measures Imposed, in Response to Violations Human Rights Obligations under General International Law, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston 2007, 45.

²⁷ *Harding C., Kohl U., Salmon N.*, Human Rights in the Market Place, The Exploration of the Rights Protection by Economic Actors, Routledge, London and New York, 2016, 25, იხ. ციტირება: *A Newspaper Publishing Company v. Trinidad and Tobago (360/1989)*.

²⁸ *Dine J.*, Companies, International Trade and Human Rights, Cambridge University Press, 2005, 205-206; ციტირება: *Feldman D.*, Corporate Rights and the Privilege Against Self-incrimination, წიგნში: *Feldman D., and Meisel F.*, (eds.), Corporate and Commercial Law: Modern Developments, Lloyds of London, 1996, 365; *Novak M.*, UN Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary, Engel, Kehl, 1993.

²⁹ *Dine J.*, Companies, International Trade and Human Rights, Cambridge University Press, 2005, 205-206;

³⁰ *Addo M.K.* The Corporation as a Victim of Human Rights Violations, წიგნში *Addo M.K.*, (ed), Human Rights Standards and The Responsibility of Transnational Corporations, Kluwer Law International, 1999, 189.

არაა სათანადო განმცხადებელი ფაკულტატური ოქმის პირველი მუხლის მიხედვით. კომიტეტი აღნიშნავს, რომ პაქტის ის უფლება, რომელიც განხილვის საგანია მოცემული კომუნიკაციის განხილვისას, და განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლება, თავისი არსით განუყოფლად უკავშირდება პირს. ავტორს აქვს უფლება გაავრცელოს ინფორმაცია მისი ბიზნესის შესახებ მის მიერ არჩეულ ენაზე. ამიტომ კომიტეტი მიიჩნევს, რომ სწორედ ავტორი და არ მხოლოდ მისი კომპანია, პირადად მოექცა სადავო კანონების #101 და 178-ის სადავო ნორმების ზემოქმედების ქვეშ³¹“.

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ შესაბამისი მუხლი კი საერთოდ ზოგადი ხასიათისაა და მასში აღნიშნული უფლებების სუბიექტებზე საუბარს საერთოდ თავს არიდებს³².

მეცნიერთა ნაწილი კიდევ უფრო შორის მიდის და თანამიმდევრულად აკრიტიკებს იმ მკვლევარებს, რომლებმაც თავიანთ ნაშრომებში აღიარეს კომერციულ იურიდიულ პირთა მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის აუცილებლობა. ასეთ კრიტიკოსთა აზრით „კორპორაცია წარმოადგენს რა გაერთიანების შესახებ ადამიანის უფლების გამოხატულებას, ასახავს ადამიანის არჩევანის ავტონომიას და ემსახურება საკუთრებისა და მოგების მიღებაში ადამიანის ინტერესს, არ უნდა იქნეს დაყვანილი მის საფუძვლად არსებული ფიზიკური პირის არსისაგან განუყოფელი მოწყვლადობის ფენომენისაგან³³. დაწესებულების იურიდიული პირად ყოფნა დაწესებულებას ანიჭებს უფლებას მისი წევრებისაგან დამოუკიდებლად იარსებოს³⁴. იგი შეიძლება იყოს მოპასუხე და მოსარჩელე, მას შეიძლება გააჩნდეს ქონება თავის სახელზე და ეს ქონება არ ხდება იმ პირთა საკუთრება, რომლებიც შეადგენენ ამ დაწესებულების ადამიანურ განზომილებას³⁵. ყველა ეს გარემოება გვაფიქრებინებს რომ არ არსებობს მარტივი კავშირი კორპორაციასა და მის ადამიანურ განზომილებას შორის იმ მიზნებისათვის, რომ ფიზიკური

³¹ იქვე.

³² იხ. კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი - „წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები იძლევიან იმის გარანტიას, რომ წინამდებარე პაქტში ჩამოთვლილი უფლებები განხორციელებული იქნება რასის, კანის ფერი, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა გარემოებათა მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“.

³³ Grear A., Challenging Corporate “Humanity”: Legal Disembodiment, Embodiment and Human Rights, Hum. Rights Law Rev. Vol. 7, Issue 3, 2007, Oxford University Press, 7.

³⁴ იქვე.

³⁵ იქვე.

პირების ადამიანების უფლებები კორპორატიული ფორმით არსებულ ფიზიკურ პირებს მიეწეროთ³⁶.

მართალია მოსაზრება იმის შესახებ, რომ „სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ე.წ. კორპორაციისათვის დამახასიათებელი ფორმით, მეთოდითა და პროცედურით წარმოადგენს მეწარმეობის ერთ-ერთ სახესხვაობას, რომლითაც ფიზიკური პირები სარგებლობენ თავიანთი ქონებით ან ჩართულნი არიან ბიზნესში³⁷“ ნაწილობრივ გაზიარებულია, მიუხედავად ამისა, მაინც მიიჩნევა, რომ კომერციულ იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს შორის ადამიანის უფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებით ძირითადი განსხვავება ფიზიკურ პირებისთვის თანდაყოლილი მოწყვლადობაა³⁸.

1.4. ადამიანის უფლებათა ბილი და აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული პრაქტიკა

კვლევის თემატიკის თვალსაზრისით საინტერესოა აშშ-ს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების - უფლებათა ბილის - როგორც ადამიანის უფლებების თაობაზე შექმნილი ერთ-ერთი პირველი სამართლებრივი დოკუმენტის - აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ განხორციელებული განმარტებები კომერციული იურიდიული პირების მიმართ უფლებათა ბილის გამოყენების თაობაზე.

აშშ-ში ადამიანის უფლებები და კერძო კორპორაციები ტრადიციულად ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებულნი³⁹. ამ მოვლენას ორი ძირითადი ახსნა გააჩნია⁴⁰. პირველი ახსნა ისაა, რომ ადამიანის უფლებების შესახებ მსჯელობა დაიწყო საერთაშორისო სამართლის სფეროში, სადაც უკანასკნელ დრომდე ძირითადი მოქმედი პირები იყვნენ

³⁶ იქვე.

³⁷ *Grear A.*, Redirecting Human Rights. Facing the Challenge of Corporate Legal Humanity, Palgrave Macmillan, 2010, 33, ციტ. *Hohfeld W.N.*, Nature of Stockholders Individual Liability for Corporate Debts” (1909) 9 Columbia Law Review 288, შემდგომი მითითებით: *Finnis*, The Priority of Persons, წიგნში *Horder J.*, (ed), Oxford Essays in Jurisprudence, Volume IV (Oxford: Oxford University Press, 2000).

³⁸ *Grear A.*, Redirecting Human Rights. Facing the Challenge of Corporate Legal Humanity, Palgrave Macmillan, 2010, 32.

³⁹ *Wood S.G.*, *Scharff B.G.*, Applicability of Human Rights Standards to Private Corporations: An American Perspective, Am. J. Comp. L., Vol 50, Oxford University Press, 2002, 538. ხელმისაწვდომია http://www.jstor.org/stable/840888?seq=1&cid=pdf-reference#references_tab_contents, [02.08.2017].

⁴⁰ იქვე.

სახელმწიფოები⁴¹. მეორე ახსნა ისაა, რომ კერძო კორპორაციების ეკონომიკური ძლიერება სახელმწიფოებთან შედარებით ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩა უკანასკნელ პერიოდამდე⁴².

აშშ-ში აქციონერებისაგან დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად კორპორაციების აღიარებასთან დაკავშირებით მსჯელობამ სამი ეტაპი გაიარა და ამჟამად მეოთხე ეტაპზე იმყოფება⁴³. კორპორაციების უფლებებისა და მოვალეობების არსი და მოცულობა წლების მანძილზე განვითარდა კორპორაციების სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებული თეორიული მსჯელობების საპასუხოდ⁴⁴. კორპორაციების სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებული ამა თუ იმ თეორიისათვის უპირატესობის მინიჭებას უდიდესი გავლენა ექნება იმაზე, უნდა მიჩნეულ იქნეს თუ არა კორპორაცია ადამიანის უფლებების მქონე სუბიექტად⁴⁵.

ჯერ კიდევ 1819 წელს განხილულ ერთ-ერთ საქმეში აშშ-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, მარშალმა განაცხადა: „კორპორაცია ხელოვნური სუბიექტია, უხილავი, არამატერიალური და არსებობს მხოლოდ კანონის ძალით. არის რა კანონის პირმო, მას გააჩნია მხოლოდ ის უფლებები, რასაც მისი დაფუძნების წესდება მას ანიჭებს ცხადად ან ნაგულისხმევად, მისი არსებობიდან გამომდინარე⁴⁶“. ამ მიდგომას *ხელოვნური პირის ან ფიქციის* დოქტრინა ეწოდება. როდესაც კორპორაცია განიხილება როგორც ხელოვნური ან ფიქციური წარმონაქმნი ცხადია, ნაკლებ მოსალოდნელია რომ იგი მიჩნეულ იქნეს „ადამიანის უფლებების“ მფლობელად⁴⁷.

როგორც კი აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაიწყო მსჯელობა კორპორაციების უფლებების განსაზღვრაზე, მეორე უფრო რთული თეორია წარმოიშვა, რომელიც უფრო აქცენტირებული იყო

⁴¹ იქვე.

⁴² იქვე.

⁴³ *Blumberg Ph.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review, Faculty Articles and Papers 197, 1996, 49. მისაწვდომია http://digitalcommons.uconn.edu/law_papers/197, [27.07.2017].

⁴⁴ *Wood S.G. and Scharff B.G.*, Applicability of Human Rights Standards to Private Corporations: An American Perspective, Am. J. Comp. L., Vol 50, Oxford University Press, 2002, 541.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ *Blumberg, Ph.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review, Faculty Articles and Papers, 197, 1996, 49. ციტ. Trustees of Dartmouth College v. Woodward, 17 U.S. (4 Wheat.) 518, 636 *1819); ხელმისაწვდომია http://digitalcommons.uconn.edu/law_papers/197, [27.07.2017].

⁴⁷ *Wood S.G. and Scharff B.G.*, Applicability of Human Rights Standards to Private Corporations: An American Perspective”, Am. J. Comp. L., Vol 50, Oxford University Press, 2002, 542.

დამფუძნებლებისა და აქციონერების ინტერესებზე⁴⁸. კორპორაცია მიიჩნეოდა როგორც ფიზიკურ პირთა ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი გაერთიანება, აღნიშნული კორპორაციის შექმნის მიზნით სამართლის ხელოვნურ სუბიექტს ფიზიკური პირები უმატებდნენ აქციონერების როგორც ფიზიკური პირების, კონსტიტუციური უფლებებს⁴⁹. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ფილდმა განმარტა: „მართალია, კერძო კომპანიები ხელოვნური პირები არიან, მაგრამ ისინი შედგებიან იმ ფიზიკური პირების ერთობლიობისაგან, რომლებსაც ლეგიტიმური მიზანი ამოძრავებთ... სასამართლოებმა ყოველთვის უნდა მიაქციონ ყურადღება ხელოვნური პირის სახელის მიღმა რომელი ფიზიკური პირები იმყოფებიან⁵⁰. ამ თეორიას აგრეგაციის იგივე ასოციაციის თეორიას უწოდებენ. ვინაიდან კორპორაციები არ განიხილებიან როგორც სუბიექტები, რომლებსაც თავიანთი უფლებები აქვთ, ამდენად აგრეგაციის თეორიის მიმდევრებისათვის კორპორაციას შეიძლება არ ჰქონდეს საკუთარი უფლებები და მოვალეობები, რადგან საწარმო შედგება ფიზიკური პირებისაგან, რომლებსაც თავად გააჩნიათ განსხვავებული ინტერესები, უფლებები და მოვალეობები⁵¹.

მესამე მიდგომით, რომელსაც ბუნებრივი წარმონაქმნის, იგივე რეალური წარმონაქმნის თეორია ეწოდება კორპორაცია განიხილება როგორც ორგანული სოციალური რეალობა, რომლის არსებობა დამოუკიდებელია მისი ცვალებადი აქციონერებისაგან და წარმოადგენს უფრო მეტს ვიდრე აქციონერთა ერთობლიობას⁵². როდესაც კორპორაცია განიხილება როგორც ბუნებრივი წარმონაქმნი, უფრო მეტადაა შესაძლებელი რომ იგი მიჩნეულ იქნეს ადამიანის უფლებების მსგავსი უფლება-მოვალეობების მატარებლად⁵³.

⁴⁸ *Blumberg, Ph.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review, Faculty Articles and Papers, 197, 1996, 50. ხელმისაწვდომია http://digitalcommons.uconn.edu/law_papers/197, [27.07.2017].

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ *Blumberg, Ph.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review, Faculty Articles and Papers, 197, 1996, 50, ციტ. The Railroad Tax Cases, 13 F. 744 (C.C.D. Cal. 1882), appeal Dismissed as moot sub nom. San Mateo County v. Sothern Pac. R.R., 116 U.S. 138 (1885), ხელმისაწვდომია http://digitalcommons.uconn.edu/law_papers/197, [27.07.2017].

⁵¹ *Wood S.G. and Scharff B.G.*, Applicability of Human Rights Standards to Private Corporations: An American Perspective, Am. J. Comp. L., Vol 50, Oxford University Press, 2002, 544.

⁵² *Blumberg, Ph.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review, Faculty Articles and Papers, 197, 1996, 50. ხელმისაწვდომია http://digitalcommons.uconn.edu/law_papers/197, [27.07.2017].

⁵³ *Wood S. G. and Scharff B.G.*, Applicability of Human Rights Standards to Private Corporations: An American Perspective, Am. J. Comp. L., Vol 50, Oxford University Press, 543.

ამ სამივე მიდგომიდან გამომდინარე აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ჩამოაყალიბა თავისი პრეცედენტული სამართალი, რომლითაც ზოგადად იურიდიულ პირებს და მათ შორის კომერციულ იურიდიულ პირებსაც, მიანიჭა აშშ-ის კონსტიტუციით განსაზღვრული მთელი რიგი უფლებები. მათ შორის ისინი, რომლებიც ნორმის ტექსტიდან გამომდინარე შესაძლებელია მიკუთვნებოდა მხოლოდ ფიზიკურ პირს. მაგალითად, კორპორაციებს მიენიჭათ ისეთი უფლებები, როგორებიც იყო სიტყვის თავისუფლება, დაცულობა დაუსაბუთებელი ჩხრეკისა და ჩამორთმევისაგან და ა.შ.⁵⁴ ამ უკანასკნელ უფლებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ თავად აშშ-ს კონსტიტუციის მე-7 შესწორება ტერმინოლოგიურად ნორმის სუბიექტად „ხალხს“ მოიხსენიებს: „ხალხს უფლება აქვს დაიცვას პიროვნება, სახლები, დოკუმენტები და ქონება მათი დაუსაბუთებელი ჩხრეკისა და ჩამორთმევისაგან. არ უნდა დაირღვეს და არცერთი ორდერის გაცემა არ უნდა მოხდეს ფიცით ან მტკიცებულებით დამოწმებული საკმარისი საფუძვლის გარეშე. ამასთან, ორდერში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ჩხრეკის ადგილი და დასაპატიმრებელი პირები ან ჩამოსართმევი საგნები⁵⁵“. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმეში *Hale v. Henkel*⁵⁶ განმარტა, რომ ტერმინი „ხალხი“, იცავდა ორგანიზაციასაც კორპორაციული ჩანაწერების წარდგენისაგან ისეთი ჩამორთმევის შემთხვევაში, რომელიც ამ დებულებას არღვევდა⁵⁷. ეს ყველაფერი კი მიუთითებს იმაზე, რომ ტერმინოლოგიური განსხვავება არ ყოფილა დაბრკოლება აშშ-ს უზენაესი სასამართლოსათვის, რათა შესაბამისი უფლებები კომერციული იურიდიული პირებისთვის მიენიჭებინა.

1960-ინი წლებიდან აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ შეწყვიტა კორპორაციების ბუნების შესახებ თეორიული მსჯელობა და დაუბრუნდა კორპორაციებისათვის განკუთვნილი კონსტიტუციური უფლებების

⁵⁴ უფრო დეტალურად აშშ-ს პრეცედენტული სამართლით კორპორაციებისათვის მინიჭებული საკონსტიტუციო უფლებების შესახებ იხ.:

ა) *Wood S.G. and Scharff B.G.*, *Applicability of Human Rights Standards to Private Corporations: An American Perspective*”, *The American Journal of Comparative Law*, Vol 50, Oxford University Press, 2002, 531-553;

ბ) *Blumberg Ph.*, *The Corporate Personality in 61 American Law: A Summary Review*” (1990). *Faculty Articles and Papers*, 197, ხელმისაწვდომია [http://digitalcommons.uconn.edu/law_papers/197_49 - 69](http://digitalcommons.uconn.edu/law_papers/197_49-69).

⁵⁵ იხ. აშშ-ს კონსტიტუციის მე-7 შესწორება

⁵⁶ 201 U.S. 43 (1906).

⁵⁷ *Blumberg, Ph.*, *The Corporate Personality in American Law: A Summary Review*, *Faculty Articles and Papers*, 197, 1996, 60. ხელმისაწვდომია http://digitalcommons.uconn.edu/law_papers/197, [27.07.2017].

გადაწყვეტის უფრო პრაგმატულ საშუალებას⁵⁸. იმის ნაცვლად რომ ემსჯელა რამდენად იმსახურებდა კორპორაცია ფიზიკური პირის მსგავს მოპყრობას, სასამართლო აფასებდა იმ ხარისხს რომლითაც კორპორაციებისათვის საკონსტიტუციო დაცვის მინიჭება სარგებელს მოუტანდა ფიზიკურ პირებს⁵⁹.

იქიდან გამომდინარე, რომ იურიდიული პირი ფიზიკური პირების მიერ სხვადასხვა ურთიერთობების მოსაწესრიგებლად შეიქმნა, ალბათ, სწორედ ეს უკანასკნელი მიდგომა უნდა იყოს ის ძირითადი პოსტულატი, რომლითაც პრაქტიკაში უნდა გადაწყდეს კომერციული იურიდიული პირისათვის ადამიანის ამა თუ იმ უფლების მინიჭების საკითხი.

1.5. ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული და აფრიკული სისტემები

ადამიანის უფლებების კომერციული იურიდიული პირებისადმი განკუთვნიანობის საკითხის მიმართ განსხვავებული ვითარებაა ადამიანის უფლებათა დაცვის არაევროპულ რეგიონალურ სისტემებში. „ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია“⁶⁰ თვით პრეამბულაში მიუთითებს ფიზიკური პირების მიერ ამ უფლებებით სარგებლობაზე: „ადამიანის არსებითი უფლებები არ წარმოიშობა მისი რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეობიდან გამომდინარე“ და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად, თავისუფალი ადამიანების იდეა, იცხოვრონ შიშისა და გაჭირვების გარეშე, შეიძლება მიღწეულ იქნეს თუ შეიქმნება პირობები, სადაც ყველა ისარგებლებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით“⁶¹. საგულისხმოა ისიც, რომ კონვენცია არ სჯერდება კონვენციით მინიჭებული უფლებების შემოფარგვლას მხოლოდ ფიზიკური პირებით და დამატებით, თავად კონვენციის ძირითად ტექსტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში განმარტავს, რომ „კონვენციის მიზნებისათვის „პირი“ აღნიშნავს ყველა ფიზიკურ პირს“⁶². ეს მხოლოდ ერთ რამეზე შეიძლება მიუთითებდეს - კონვენციის ხელმომწერ მხარეებს

⁵⁸ *Graver D., Personal Bodies: A Corporeal Theory of Corporate Personhood, The University of Chicago Law School Roundtable, 1999, Vol. 6, Iss. 1, Art. 11, 240.*, ხელმისაწვდომია <http://chicagounbound.unchicago.edu/roundtable/vol6/iss1/11>

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ American Convention on Human Rights, 1969.

⁶¹ იხ. „ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის“ (1969) პრეამბულა, მე-2 და მე-4 აბზაცი

⁶² იქვე, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

იმთავითვე არ სურდათ კონვენციის გავრცელება ზოგადად იურიდიულ პირებზე და მათ შორის, ცხადია, არც კომერციულ იურიდიულ პირებზე.

„ადამიანთა და ხალხთა უფლებების აფრიკული წესდება“⁶³ პრემულაში განსაკუთრებულ ხაზგასმას არ აკეთებს მხოლოდ ფიზიკურ პირთა მიერ კონვენციით მინიჭებული უფლებებით სარგებლობაზე. თუმცა წესდების ტექსტში, მე-2 მუხლში სრულიად ცხადად მიუთითებს მარტოდენ ფიზიკურ პირებზე, იყენებს რა ტერმინს - „ინდივიდს“, - რის შედეგადაც წესდების მე-2 მუხლის ნორმატიული შინაარსის გავრცელება სხვა პირებზე, გარდა ფიზიკური პირებისა, შეუძლებელი ხდება - „თითოეულ ფიზიკურ პირს აქვს უფლება ისარგებლოს წინამდებარე წესდებით აღიარებული და გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით ნებისმიერი განსხვავების მიუხედავად როგორცაა რასა, ეთნიკური ჯგუფი, ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა რაიმე მოსაზრება, ეროვნული და სოციალური წარმომავლობა, ქონება, დაბადება ან სხვა სტატუსი“⁶⁴.

საბოლოო ჯამში გასაზიარებელი უნდა იყოს ჰოლანდიელი მეცნიერის *უტა კოლის* მიერ მოყვანილი, კომერციულ იურიდიული პირთა მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის კონცეპციების მიმოხილვის შედეგად გაკეთებული, ქვემოთ მოყვანილი ერთგვარი შემაჯამებელ დასკვნა:

1. „არ არსებობს ზოგადი კონსენსუსი კორპორაციების მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის თაობაზე;
2. თითოეული მოსაზრება ამ საკითხის ირგვლივ ემყარება აშკარად უდავო ფაქტისათვის დამახასიათებელ რწმენას (რაც ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტის ტერმინოლოგიით);
3. თუ კომპანიებს აქვთ მსხვერპლის სტატუსი ადამიანის რომელიმე უფლების მიმართ (როგორც ევროპაში), ასეთი დაცვის საფუძველი როგორც ჩანს არის კომპანიის როგორც იურიდიული პირის სტატუსი⁶⁵.
4. კომპანიისადმი მიკუთვნებული ყველაზე უფრო ცხადი უფლება არის მისი ქონების დაცვა;

⁶³ African Charter on Human and Peoples' Rights, 1981.

⁶⁴ იხ. „ადამიანთა და ხალხთა უფლებების აფრიკული წესდების“ მე-2 მუხლი.

⁶⁵ ეს ფენომენი შეზღუდულია მარტოდენ ევროპის ფარგლებით; იხ. სტატიაში *Ohlin J. D.*, Is the Concept of the Person Necessary for Human Rights? *Colum. L. Rev.* 105:209, 2005, 226ff., ციტ. *Kohl U.*, *The Sun*, Liverpudlians and “The Truth”: A Corporate Right to Human Right?, წიგნში *Harding C.*, *Kohl U.*, and *Salmon N.*, Human Rights in the Market Place. The exploration of Rights' Protection by Economic Actors, Routledge, London and New York, 2016, 29.

5. კორპორაციის ხელოვნური ბუნება ევროპაშიც კი იმას ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ ისარგებლონ ადამიანისათვის მიკუთვნებული ყველა უფლებით⁶⁶.

1.6. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე შეიძლება იმის მტკიცება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედ მრავალმხრივ საერთაშორისო სამართლებრივ ხელშეკრულებებს შორის არსებულ იმ ერთადერთ ხელშეკრულებას, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს კომერციული იურიდიული პირების უფლებების დაცვას. ამგვარი დაცვა გამომდინარეობს როგორც თავად პრემბულიდან, ასევე კონვენციის ცალკეულ მუხლში სრულიად ცხადად ასახული დათქმიდან, კომერციული იურიდიული პირების როგორც, შესაბამისი მუხლის სუბიექტების შესახებ. ზოგიერთი ნორმის მოქმედების გავრცელება კომერციული იურიდიული პირებზე კი განისაზღვრება საჩივრის დასაშვებობის მუხლითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. დოქტრინაში არსებული მოსაზრებით, „სასამართლო ტექნიკურ-სამართლებრივი გაგებით სიღრმისეულად არც ჩაბმულა იმ საკითხის გარკვევაში რომ კორპორაციების ხელოვნური ბუნება რაიმე შეზღუდვას ადგენს მათ უნარზე იყვნენ უფლებათა დარღვევის მსხვერპლნი⁶⁷“.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლით „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის პირველ კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“. ტერმინი „ყველა“ ავთენტური ტექსტის ინგლისურ ენოვან ვერსიაში შეესაბამება ტერმინს „everyone“, რომელიც უფრო მეტად მიემართება ფიზიკურ პირებს, ვიდრე იურიდიულ პირებს. მიუხედავად ამისა, კონვენციის ნორმების შინაარსი და მათი გამოყენების პრაქტიკა უშვებს როგორც ამ ტერმინიდან გადახვევას, ისე სხვა ნორმებზე დაყრდნობით მათ გავრცელებას

⁶⁶ *Kolh U., The Sun, Liverpooldians and “The Truth”: A Corporate Right to Human Right?*, წიგნში *Harding C., Kohl U., Salmon N., Human Rights in the Market Place. The exploration of Rights’ Protection by Economic Actors*, Routledge, London and New York, 2016, 29.

⁶⁷ *Kolh U., The Sun, Liverpooldians and “The Truth”: A Corporate Right to Human Right?*, ციტ. *Dignam A.J., and Allen D., Company Law and the Human Rights Act 1998*, Butterworths, London 2000, 173, წიგნში: *Harding C., Kohl U., Salmon N., Human Rights in the market Place, The Exploration of the Rights Protection by Economic Actors*, Routledge, London and New York, 2016, 27.

იურიდიულ პირებზე, მათ შორის კომერციულ იურიდიულ პირებზე. სრულიად საფუძვლიანადაა მოყვანილი ლიტერატურაში მსჯელობა მასზე, რომ კონვენციის პირველი მუხლი „გულისხმობს *inter alia* სახელმწიფოთა საზედამხედველო პასუხისმგებლობას თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, რაც ასევე მოიცავს პოტენციურ დარღვევებს ყველა განზომილებით - იქნება ეს საჯარო-სამართლებრივი, თუ კერძო-სამართლებრივი სიბრტყე⁶⁸“.

თუ გავყვებით კონვენციის ტექსტის ნუმერაციას, პირველი ნორმა, რომელიც პირდაპირ მიემართება კომერციულ იურიდიულ პირებს არის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, რომლითაც „ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება“.

აქედან გამომდინარე, ვიღებთ ისეთ ვითარებას, რომ კონვენციამ ერთ-ერთი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შინაარსში პირდაპირ განსაზღვრა მისი განკუთვნილობა კომერციულ იურიდიულ პირთა მიმართ, რაც უდავოდ მიუთითებს კონვენციის სხვა დებულებების კავშირზე სხვა კომერციული იურიდიული პირების მიმართაც. ცხადია, არალოგიკური იქნებოდა დასკვნა იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ეს ერთი ნორმა შეიძლება ვრცელდებოდეს კომერციულ იურიდიული პირებზე, რადგან მხოლოდ მასშია მოხსენიებული კომერციული იურიდიული პირები. ამ მსჯელობის საბოლოო დადასტურებამ ასახვა ჰპოვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველ აბზაცში, სადაც განისაზღვრა, რომ „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში“. ამ დებულებამ სრულიად გამორიცხა ყოველგვარი კითხვა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა კომერციულმა იურიდიულმა პირებმა ისარგებლონ კონვენციით მინიჭებული უფლებებით.

⁶⁸ *Addo M.K.*, Applicability Human Rights Act to Private Corporations, წიგნში: *Betten L.*, (ed), The Human Rights Act 1998, What It Means. The Incorporation of the European Convention on Human Rights into the Legal Order of the United Kingdom, Martinus Nijhoff Publishers, The Hague, London, Boston, 1999, 197.

მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებში ასახვის მიუხედავად, კომერციული იურიდიული პირების მიერ კონვენციის გამოყენების შესაძლებლობა ასახულია კონვენციის მე-2 კარში, რომელიც ძირითადად საპროცესო-სამართლებრივ ნორმებს მოიცავს და ადგენს სასამართლოსათვის მიმართვის პროცედურებსა და წესებს. კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით „სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისაგან ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას“. გამომდინარე იქედან, რომ მატერიალურ სამართლებრივი უფლებას ასევე უნდა გააჩნდეს პროცედურული გარანტია, მართებულად იქნა აღნიშნული ლიტერატურაში, რომ „საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით იურიდიულ პირებზე ცალსახა მითითება ამართლებს 34-ე მუხლში აღნიშნული „პირების“ ფართო განმარტებას, რადგან სხვა შემთხვევაში კომპანიებს ექნებოდათ უფლება, მაგრამ არა შესაძლებლობა ამ უფლებით სარგებლობისა“⁶⁹.

მართალია კონვენციის 34-ე მუხლის ტექსტში პირდაპირი მითითება იურიდიულ პირებზე, და მით უფრო კომერციულ იურიდიული პირებზე არაა, მაგრამ თავად სასამართლომ საჩივრის დასაშვებობის შესახებ თავის მრავალ განჩინებასა თუ არსებით გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „არასამთავრობო ორგანიზაცია“ ასევე გულისხმობდა კომერციულ იურიდიულ პირსაც. სწორედ ამის შესახებ საუბრობს „პრაქტიკული სახელმძღვანელო დასაშვებობის კრიტერიუმების თაობაზე“, როდესაც აღნიშნავს, რომ „განაცხადის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას ფართო გაგებით ანუ ყველას იმ ორგანიზაციის გარდა, რომლებიც ახორციელებენ სახელისუფლებო უფლებამოსილებას“⁷⁰. ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კომერციული იურიდიული პირები არ სარგებლობენ რა საჯარო-სამართლებრივი ფუნქციებით (გარდა დელეგირების შემთხვევებისა, რაც პრაქტიკაში მეტად იშვიათად ხდება), სრულად აკმაყოფილებენ *ratione personae*-ს სტატუსს იმ პირობით, თუ საკითხი მათთვის განკუთვნილ

⁶⁹ *Kolh U., The Sun, Liverpoolians and “The Truth”: A Corporate Right to Human Right?*, წიგნში *Harding C., Kohl U., Salmon N., Human Rights in the Market Place. The exploration of Rights’ Protection by Economic Actors*, Routledge, London and New York, 2016 p. 27

⁷⁰ „პრაქტიკული სახელმძღვანელო დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ“, ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა სასამართლო, 2011, 10, http://echr.coe.int/Documents/Admissibility_guide_KAT.pdf, [20.01.2018].

უფლებას შეეხება. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, მეცნიერებაში ევროსასამართლოს ასეთ მიდგომას პროგრესულად მიიჩნევენ და სრულიად საფუძვლიანადაც. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დაწესებულებები არ მიიჩნევიან ადამიანის უფლებათა სტანდარტების განმარტების დოგმატური მიდგომის მომხრეებად. ამიტომ გასაკვირი არაა რომ კონვენციის პრეცედენტული სამართალი გასცდა საჯარო სამართლის სფეროში არსებულ სამთავრობო საქმიანობას. სასამართლომ მიაგნო კონვენციის გამოყენებას კერძო სფეროში, მათ შორის კორპორაციების მიმართ. კონვენციის პროგრესული გამოყენების სამართლებრივი საფუძველი მოძებნილ იქნა თავად კონვენციის ტექსტში, აგრეთვე იმ მიდგომაში, რაც მიიჩნევა კონვენციის სწორ და მიზანდასახულ განმარტებად⁷¹“.

1.7. დასკვნა

ადამიანის უფლებების მკვლევართა შორის არაა ცალსახად ჩამოყალიბებული მოსაზრება იმის შესახებ, უნდა სარგებლობდნენ თუ არა საწარმოები ადამიანის უფლებებით. ამავე დროს, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უშვებს უფლებათა ბილის ზოგიერთი ნორმის კომერციული იურიდიული პირების მიერ სარგებლობის შესაძლებლობას. რაც შეეხება მრავალმხრივ საერთაშორისო-სამართლებრივ ხელშეკრულებებს, უნივერსალური ხელშეკრულებები საწარმოთა უფლებების ამსახველ პირდაპირ ნორმებს არ ითვალისწინებენ, ხოლო ასეთი მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე შექმნილი დავების განმხილველი ორგანოები ამ ეტაპზე არ არიან მზად კონვენციის ნორმები გაავრცელონ კომერციულ იურიდიულ პირებზე. არც რეგიონალური ხელშეკრულებები გამოირჩევიან საწარმოთა უფლებების დაცვის აღიარების თვალსაზრისით, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა.

თეორიული წინააღმდეგობების მიუხედავად კომერციულ იურიდიულ პირებს აქვთ გარკვეული ასპარეზი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დებულებებით დაიცვან თავიანთი უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ასპარეზი ამ ეტაპზე შემოფარგლულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით,

⁷¹ *Addo M.K., Applicability Human Rights Act to Private Corporations, წიგნში: Betten L., (ed), The Human Rights Act 1998, What It Means. The Incorporation of the European Convention on Human Rights into the Legal Order of the United Kingdom, Martinus Nijhoff Publishers., The Hague, London, Boston, 1999, 197.*

საბოლოო ჯამში ეს უდიდესი მონაპოვარია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და კიდევ უფრო აფართოვებს ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების პრაქტიკულ გამოყენებადობას.

თავი 2. კომერციული იურიდიული პირის საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები

2.1. შესავალი

ვინაიდან კონვენციის მე-2 კარი არ მოიცავს რამე განსაკუთრებულ დებულებას კომერციული იურიდიული პირების საჩივრის დასაშვებობის თაობაზე, ცხადია, რომ ასეთი იურიდიული პირების მიმართაც მოქმედებს საჩივრის დასაშვებობის ყველა ის კრიტერიუმი, რაც ფიზიკური პირების მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით „სასამართლო მიუღებლად ცნობს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ საჩივარს თუ ის: ა) ანონიმურია, ან ბ) არსებითად იგივეა, რაც სასამართლოს მიერ უკვე განხილული საჩივარი ან უკვე გადაეცა მოკვლევისა ან მოგვარების სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტანციას და არ შეიცავს ახალ შესატყვის ფაქტობრივ გარემოებებს“. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით „სასამართლო მიუღებლად ცნობს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ინდივიდუალურ საჩივარს, თუ ის მიიჩნევს, რომ: ა) საჩივარი შეუთავსებადია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად უსაფუძვლოა ან წარმოადგენს საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებას; ან ბ) მომჩივანს არ განუცდია მნიშვნელოვანი ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების დაცვა მოითხოვს ამგვარი საჩივრის არსებითი მხარის განხილვას და იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული საფუძვლით ვერცერთი ის საქმე ვერ იქნება უარყოფილი, რომლიც ეროვნული სასამართლოების მიერ სათანადოდ არ ყოფილა განხილული“.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე თავში ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ დასაშვებობის ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული კრიტერიუმების მათ შორის 2010 წლის 1 ივლისს ძალაში შესული კონვენციის მე-14 ოქმით დადგენილი ახალი კრიტერიუმების გამოყენების პრაქტიკა კომერციული იურიდიული პირების მიმართ და ის თავისებურებანი, რაც გამოარჩევს საჩივრის დაუშვებლობად ცნობას და მოვახდენთ ასეთი საფუძვლების წარმოჩენასა და სისტემატიზაციას. ძირითად საკვლევ ობიექტად აღებული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებები დასაშვებობის შესახებ 2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 თებერვლამდე (ანუ 4 წლის მანძილზე). ამასთან ძირითადი აქცენტი გაკეთდება ისეთ განჩინებებზე, რომლებიც მიღებულია სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით ანუ სამი

მოსამართლის შემადგენლობით შექმნილი კომიტეტისა და შვიდი მოსამართლის მიერ შემადგენლობით შექმნილი პალატის მიერ⁷². აგრეთვე შევხებით სასამართლოს მიერ კომერციული იურიდიული პირების მიმართ საჩივრის ამორიცხვის ინსტიტუტის გამოყენების საკითხს - რა კონკრეტულ ვითარებაში მიიჩნევს სასამართლო რომ კომერციული იურიდიული პირის საჩივარი ამორიცხული უნდა იყოს განსახილველ საქმეთა სიიდან ანუ შევხებით კონვენციის 37-ე მუხლის გამოყენების პრაქტიკას ასეთი იურიდიული პირების მიმართ.

2.2. აშკარად დაუსაბუთებელი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომიტეტებისა და პალატების მიერ დაუშვებლად მიჩნეულ განაცხადებს შორის ერთ-ერთი ყველა დიდი ადგილი უკავია აშკარად დაუსაბუთებლობის მოტივით განაცხადის დაუშვებლად ცნობას. განაცხადის აშკარად დაუსაბუთებლად ცნობის და დაუშვებლად მიჩნევის გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო იკვლევს განაცხადის როგორც ფაქტობრივ გარემოებებს, ისე სამართლებრივ ასპექტებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიდის იმ დასკვნამდე არის თუ არა განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელი. მაგალითად, კომპანია Zamet-Budowa Maszyn Spolka Acyjna⁷³-მ პოლონეთის სასამართლოში სადავო გახადა ერთ-ერთ ბანკთან დადებული ხელშეკრულების საარბიტრაჟო დათქმა. პოლონეთის სასამართლოებმა განმცხადებელს უარი უთხრეს ამ დათქმის ბათილობა, რის გამოც საწარმომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-6.1 და მე-13 მუხლები მის მიმართ და მიმართა ევროსასამართლოს. ამ უკანასკნელმა განიხილა რა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მივიდა დასკვნამდე, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ შიდა სამართლებრივი პროცედურების განმარტება არ ტოვებდა „თვითნებური და აშკარად არაგონივრული“ განმარტების შთაბეჭდილებას, ხოლო მათ გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელი იყო⁷⁴, რის გამოც განმცხადებლის მოსაზრება შიდა პროცედურების არასამართლიანობის შესახებ აშკარად დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

სხვა საწარმო Firma EDV Fur Sie, EFS Elektronische Datenverarbeitung Dienstleistungs GmbH, ახორციელებდა რა სამედიცინო დაწესებულებებისათვის პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებასა და

⁷² ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 26.1

⁷³ Zamet-Budowa Maszyn Spolka Acyjna against Poland, [2015], ECHR, (HUDOC), § 27.

⁷⁴ იქვე, § 28.

მომსახურეობას, მის შესახებ ერთ-ერთმა სამედიცინო ჟურნალმა, გააკეთა გაფრთხილება პროგრამის უსაფრთხოების შესაძლო ხარვეზებთან დაკავშირებით, ხოლო საწარმო მოიხსენია როგორც მჭიდროდ დაკავშირებული გარკვეული რელიგიურ თემთან. ამ სტატიის საფუძველზე კი ბავარიის პროტესტანტულ-ლუთერანულმა ეკლესიამ პრეს რელიზი გამოსცა, ხოლო მისმა წარმომადგენელმა რადიოინტერვიუშიც მოიხსენია ელექტრონული მონაცემების მიმართ არსებული საფრთხე, რომ ის შეიძლებოდა რელიგიურ თემს გადასცემოდა. საბოლოო ჯამში საწარმო იძულებული გახდა საქმიანობა შეეწყვიტა. ეროვნულ სასამართლოებში საქმის წარმოების შედეგად საწარმომ ზიანის ანაზღაურებას ვერ მიაღწია, რის გამოც მან კონვენციის მე-8 მუხლისა და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი დარღვევის გამო ევროსასამართლოს მიმართა⁷⁵. ამ უკანასკნელმა განიხილა რა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მართალია ბავარიის ეკლესიის განცხადებებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საწარმოს სამეწარმეო საქმიანობაზე, ამისდა მიუხედავად ეს გამოწვეული იყო მესამე პირთა მიერ წამოწყებული საჯარო დებატებით, ხოლო გერმანულმა სასამართლოებმა ეს ყველა გარემოება დაბალანსებულად გამოიკვლიეს და არ გადაუჭარბებიათ მე-8 მუხლით მათთვის მინიჭებული მიხედულებით. ეს კი გახდა განაცხადის იმ ნაწილის აშკარად დაუსაბუთებლად მიჩნევის საფუძველი, რომლიც მე-8 მუხლის დარღვევას ეხებოდა. რაც შეეხება პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლს, ვინაიდან განაცხადმა არ წამოჭრა მე-8 მუხლის დარღვევის საკითხი ევროსასამართლომ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საკითხიც აშკარად დაუსაბუთებლად მიიჩნია⁷⁶.

მეტად საინტერესოა ევროსასამართლოს მსჯელობა განაცხადის დაუსაბუთებლობის შესახებ Verlagsgruppe Handelsblatt GmbH & Co, KG-ის განაცხადის განხილვისას⁷⁷. აღნიშნული საწარმო გამოსცემდა საქმიანი ახალი ამბების შესახებ ჟურნალს, სადაც „დოიჩე ტელეკომის“ გენერალური დირექტორის ფოტო გამოაქვეყნა ლათინური ასო „T“-ზე, ორგანიზაციის ლოგოზე მჯდომი ადამიანი, გენერალური დირექტორის სახით, რომელიც (სახე) წარმოდგენილი იყო ვერტიკალურად გაზრდილი, ხოლო ჰორიზონტალურად შემცირებული ფორმატით. ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებელს აუკრძალეს ფოტოს გამოქვეყნება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით და ასევე მისი ნებისმიერი შემდგომი გამოქვეყნება. საწარმომ მიმართა ევროსასამართლოს და მიიჩნია, რომ მის

⁷⁵ Firma EDV Fur Sie, EFS Elektronische Datenverarbeitung Dienstleistungs GmbH against Germany, [2014], ECHR, (HUDOC), § 4-16.

⁷⁶ იქვე, § 28, 29, 34.

⁷⁷ Verlagsgruppe Handelsblatt GmbH & Co, KG against Germany, [2016], ECHR, (HUDOC).

მიმართ კონვენციის მე-10 მუხლი იყო დარღვეული. ევროსასამართლომ კიდევ ერთხელ მოიხმო ე.წ. „ვან ჰანოვერის“ კრიტერიუმები და ჩათვალა, რომ ეროვნული სასამართლოების მსჯელობა, რომ სურათის მანიპულაცია აღწევდა ისეთ სერიოზულ ხასიათს, რომ შეედგინა გენერალური დირექტორის რეპუტაციის უფლების დარღვევა, მართებული იყო რადგან ჩვეულებრივი მკითხველისათვის ეს მანიპულაცია შესამჩნევი იყო და გენერალურ დირექტორს არასწორი და არახელსაყრელი ფორმით წარმოაჩენდა. ევროსასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისი გულისხმიერებით მოახდინეს გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლების დაბალანსება, რის გამოც განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელი იყო⁷⁸.

მსგავსი სახის მსჯელობა განვითარებული Lenz Vermögensver
Waltungsgesellschaft GBR-ის განაცხადის განხილვის შედეგად მიღებულ
განჩინებაში⁷⁹. განმცხადებელი საწარმო ფლობდა სხვა საწარმოში (Z. AG)
42.7 %-იან წილს, ხოლო ამავე საწარმოში 53.6%-ი შეიძინა სხვა,
ავსტრიულმა კომპანიამ, რის შედეგადაც სამეთვალყურეო საბჭოსა და
დირექტორატში ამ უკანასკნელი საწარმოს წარმომადგენლები აირჩიეს. ამ
საკითხზე წამოწყებული დავა ეროვნულ სასამართლოებში
განმცხადებლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით დასრულდა,
რის გამოც მან ევროსასამართლოს მიმართა 6.1 მუხლისა და პირველი
დამატებითი ოქმის პირველი პუნქტის დარღვევის მოტივით.
ევროსასამართლომ განიხილა რა ყველა ფაქტი, დაასკვნა, რომ
განმცხადებელმა საწარმომ ეროვნულ სასამართლოებში ისარგებლა
შეჯიბრებითი სასამართლო წარმოებით, წარმომადგენლის მეშვეობით
მოიყვანა ყველა არგუმენტი, რის გამოც რაიმე არსებითად არახელსაყრელ
ვითარებაში ყოფნას მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით ადგილი არ
ჰქონია, ამიტომ ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელი იყო⁸⁰. რაც
შეეხებოდა პირველი დამატებითი ოქმის პირველ პუნქტს,
ევროსასამართლომ განმარტა, რომ გატარებული ზომების მიუხედავად,
განმცხადებელი საწარმო კვლავ ფლობდა წილების 43%-ს და არ იყო რაიმე
მტკიცებულება იმისა, რომ ამ წილის ღირებულება სახელმწიფოს მიერ
გატარებული ღონისძიების შედეგად შემცირებულიყო, რაც განასხვავებდა
ამ კონკრეტულ საქმეს ევროსასამართლოს მიერ განხილული სხვა
საქმეებისაგან, სადაც წილის ღირებულების შემცირება გამოწვეული იყო
სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებით. ვინაიდან ეროვნული
სასამართლოებში საქმის განხილვისას განმცხადებელმა საწარმომ ვერ
დაამტკიცა თუ რა სახის ზიანი მოუტანა წილთა უმრავლესობის მქონე

⁷⁸ იქვე, § 27, 29

⁷⁹ Lenz Vermögensver
Waltungsgesellschaft GBR against Germany, [2014], ECHR, (HUDOC).

⁸⁰ იქვე, § 17,18.

აქციონერის მიერ გატარებულმა ღონისძიებამ თავად საწარმოს, ევროსასამართლომ არ ჩათვალა, რომ ეროვნული სასამართლოების დასკვნები რაიმე ფორმით თვითნებური იყო⁸¹.

ევროსასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს ასევე ისეთ განაცხადებს, საიდანაც ირკვევა, რომ განმცხადებელმა კომერციულმა იურიდიულმა პირმა ესა თუ ის არგუმენტი არ გამოიყენა ეროვნულ სასამართლოებში ან რაიმე პროცედურული მოვალეობა არ შეასრულა ან თავად მიუძღვის წვლილი სავარაუდო დარღვევაში. *Klimat Inkom v & Co ODD* -ის განაცხადის განხილვისას ევროსასამართლომ აშკარად დაუსაბუთებლად ჩათვალა განაცხადი, იმის გამო რომ განმცხადებელმა ეროვნულ სასამართლოში საქმის წარმოებისას (რაც შეეხებოდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას ფორმის დაუცველად დადებული გარიგების გამო), არ მოითხოვა მის მიერ განხორციელებული გაუმჯობესების ღირებულება, ხოლო ხელშეკრულების ბათილობის პირობები იმთავითვე მისთვის ცხადი და განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო⁸². *GH Immobilienmakler GmbH*-ის განაცხადის განხილვისას ევროსასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ვადის გაჭიანურება ეროვნულ სასამართლოებში საქმის განხილვისას მნიშვნელოვნად გამოწვეული იყო თავად განმცხადებლის მოქმედებით⁸³. *Klaas-2006 OOD*-ის საქმეზე კი ევროსასამართლომ განმარტა, რომ სააღსრულებო ფურცელი მოვალე საჯარო დაწესებულების საფინანსო განყოფილებაში წარდგენის ნაცვლად განმცხადებელმა სააღსრულებო ბიუროში წარადგინა, მაშინ როცა მოვალემ ორი წერილით დაიდასტურა რომ მზად იყო დავალიანების დასაფარად და პროცედურულად ესაჭიროებოდა სააღსრულებო ფურცელი გადახდის შესასრულებლად⁸⁴.

ეროვნული სასამართლოების მიერ საქმის დაბალანსებულად და სრულყოფილად განხილვა გახდა განაცხადის დაუშვებლად ცნობის საფუძველი კომერციული იურიდიული პირების მიერ შეტანილ აგრეთვე სხვა საქმეებშიც⁸⁵. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ საქმის გარემოებების სრულყოფილი შესწავლა და კანონისმიერი შეფასება მეტად მნიშვნელოვანი

⁸¹ იქვე, § 23, 25.

⁸² *Klimat Inkom v & Co ODD against Bulgaria*, [2017], ECHR, (HUDOC), § 52,53,54.

⁸³ *GH Immobilienmakler GmbH against Austria*, [2017], ECHR, (HUDOC), § 21.

⁸⁴ *Klaas-2006 OOD against Bulgaria*, No. 50583/13, [2017], ECHR, (HUDOC), § 17.

⁸⁵ *Pivdenbudtrans, Pat against Ukraine*, [2014] ECHR, (HUDOC); *Bertalan Zoltan Mezogazdesagi KFT and others against Hungary and Szabolcs Mezogazdasagi KFT against Hungary*, [2014], ECHR, (HUDOC). *Fin.Co.Ge. Ro SpA against Romania*, [2016], ECHR, (HUDOC).

არგუმენტია ხდება ევროსასამართლოს მიერ განაცხადის დაუშვებლად ცნობისათვის.

2.3. Ratione Personae

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასამართლოს *ratione personae* კომპეტენცია ხშირად გამოიყენება კომერციულ იურიდიული პირების განაცხადის დაუშვებლობის საკითხის გადაწყვეტისას. მართალია *ratione personae*-ს ასპექტი ორი ელემენტისაგან შედგება ა) განაცხადი შეტანილ უნდა იყოს ხელშემკვრელი სახელმწიფო მიმართ და ბ) იგი შეტანილ უნდა იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ 34-ე მუხლის შესაბამისად (ე.წ. „მსხვერპლის სტატუსი“)⁸⁶, ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ სასამართლოს იმ ბოლოდროინდელ პრეცედენტებზე, რომლებიც სწორედ კომერციული იურიდიულ პირთა მიერ „მსხვერპლის სტატუსით“ სარგებლობას შეეხება.

საქმეში Zamet-Budowa Maszyn Spolka Akcyjna against Poland ევროსასამართლოს მოუხდა ემსჯელა განმცხადებლის იმ მოსაზრებაზე, რომელშიც იგი ამტკიცებდა, რომ ბანკთან დადებულ ხელშეკრულებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმა პოლონეთის ბაკების ასოციაციის საარბიტრაჟო სასამართლოს შესაძლო დავის განმხილველ უწყებად არჩევის შესახებ, მას სამართლიანი სასამართლოს უფლებას შეუზღუდავდა⁸⁷. სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებლის მტკიცების ტვირთს შეადგენდა იმის დასაბუთება რომ გასაჩივრებულმა ღონისძიებამ მასზე ზემოქმედება იქონია, რაც აუცილებელი იყო კონვენციით განსაზღვრული მექანიზმის ასამოქმედებლად⁸⁸. მოცემულ შემთხვევაში კი განმცხადებელი ამტკიცებდა რომ საარბიტრაჟო სასამართლოში დავის წამოწყება მის უფლებებს შელახავდა მაშინ როცა ასეთი დავა არ ყოფილა წამოწყებული, რის გამოც განაცხადი შეთავსებული იყო კონვენციასთან *ratione personae*-ს ძალით და კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი⁸⁹.

ძალზედ საინტერესო დასკვნა განავითარა ევროსასამართლომ არასამეწარმეო იურიდიული პირის (კავშირის) მიერ შეტანილ განაცხადზე მიღებულ განჩინებაში საქმეზე VEB NCNB and others against Netherlands-ის.

⁸⁶ Harris D.J., O'Boyle D., Bates E.P. & Buckley C.M., Harris, O'Boyle and Warbrick Law of European Convention of Human Rights, Oxford University Press, 2014, 81.

⁸⁷Zamet-Budowa Maszyn Spolka Akcyjna against Poland, [2015], ECHR, (HUDOC).

⁸⁸ იქვე, § 32.

⁸⁹ იქვე, § 33.

ასოციაცია აცხადებდა, რომ წარმოადგენდა განმცხადებლებს (როგორც კომერციული იურიდიულ პირებს, ისე ფიზიკურ პირებს, სულ 7888 პირი), რომლებიც იყვნენ ნიდერლანდების კანონმდებლობით რეგისტრირებული სააქციო საზოგადოების აქციების ან სუბორდინირებული ობლიგაციების მფლობელები, ხოლო სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით მათ ეს ფასიანი ქაღალდები ჩამოერთვათ⁹⁰. სასამართლომ განმარტა, რომ მსხვერპლად მიჩნევისთვის განმცხადებელს უნდა ეჩვენებინა, რომ ადგილი ჰქონდა საკმარის პირდაპირ კავშირს მის მიერ განცდილ ზიანსა და კონვენციის სავარაუდო დარღვევას შორის და რაც ასევე საგულისხმოა, ევროსასამართლომ თავისი პრეცედენტული სამართალზე მითითებით უჩვენა, რომ სასამართლო უარს ეუბნებოდა დასაშვებობაზე იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო სავარაუდო მსხვერპლთა დაცვა⁹¹. ამდენად, განმცხადებელი შეიძლება მსხვერპლად განხილული ყოფილიყო მხოლოდ უშუალოდ მის (როგორც სააქციო საზოგადოების ორი აქციის ყოფილ მფლობელზე) ინტერესებზე გავლენის მოხდენის შემთხვევაში, ხოლო სხვა კომერციულ იურიდიულ პირების ან ფიზიკური პირების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა *ratione personae* შეუსაბამობას კონვენციასთან და განაცხადი დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი⁹².

ზემოხსენებულ საქმეში Firma EDV Fur Sie, EFS Elektronische Datenverarbeitung Dienstleistungs GmbH-ის განაცხადის გამო, რომელიც ეხებოდა სამედიცინო მონაცემების ბაზების მომსახურე საწარმოს დაკავშირებას ერთ-ერთ რელიგიურ თემთან, საწარმომ ასევე სადავო გახადა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა, იმ მოტივით, რომ მისი თანამშრომლების რწმენის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროვდა⁹³. ევროსასამართლომ მიუთითა, რომ ეკლესიას ან სხვა საეკლესიო დაწესებულებას შეეძლო თავისი მიმდევრების სახელით განეხორციელებინა მე-9 მუხლით მინიჭებული უფლებები, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი იყო იურიდიული პირი, რომელიც ბიზნესის წარმოების მიზნებისათვის შეიქმნა და რელიგიურ საქმიანობას არ ახორციელებდა, რის გამოც მას არ შეეძლო დაყრდნობოდა არც თავისი თანამშრომლების არც უშუალოდ მისი უფლებების დაცვის საკითხს მე-9 მუხლთან მიმართებით და ამდენად, განაცხადი *ratione personae* არ შეესაბამებოდა კონვენციას და დაუშვებელი იყო⁹⁴.

⁹⁰ VEB NCNB and others against the Netherlands, [2014], ECHR, (HUDOC).

⁹¹ იქვე, § 27, 28.

⁹² იქვე, § 29.

⁹³ Firma EDV Fur Sie, EFS Elektronische Datenverarbeitung Dienstleistungs GmbH against Germany, [2014], ECHR, (HUDOC).

⁹⁴ იქვე, § 31,32,33.

კომერციულმა იურიდიულმა პირმა მსხვერპლის სტატუსი შეიძლება დაკარგოს. მაგალითად, Otto Wolff Handelsgesellschaft MBH-ის მიერ შეტანილი განაცხადის განხილვისას მორიგების მიღწევის გამო სასამართლომ საქმე განსახილველი საქმეების სიიდან ამოიღო, მაგრამ მოგვიანებით მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ საწარმო სხვა საწარმოს შეერწყა და ითხოვა მოცემული საქმის აღდგენა საქმეთა სიაში⁹⁵. იმის გამო, რომ შერწყმის შედეგად წარმოქმნილმა საწარმომ ვერ აცნობა სასამართლოს მისი სურვილის შესახებ სურდა თუ არა დავის გაგრძელება მიიჩნია, რომ პირმა დაკარგა მსხვერპლის სტატუსი 34-ე მუხლის შესაბამისად⁹⁶.

2.4. დაუშვებლობის სხვა საფუძვლები

ცხადია, რომ სასამართლო წარმოებაში არ იღებს საქმეებს, რომელშიც მას კომპეტენცია არ აქვს, თუნდაც ერთი შეხედვით განმცხადებელს გააჩნდეს მიმართვის საფუძველი. მაგალითად, S.C. Black Sea Caviar S.R.L.-ი ითხოვდა დუნაის დელტის ბიოსფეროს ნაკრძალში გამოყოფილ 25 ზონაში თევზის რესურსის კონცესიის თაობაზე გამოცხადებული საჯარო ტენდერში დისკვალიფიკაციის უკანონოდ ცნობას, რაზეც ეროვნულმა სასამართლოებმა უარი უთხრეს⁹⁷. ევროსასამართლომ განიხილა რა დასაშვებობის საკითხი, მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლომ კონცესიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ აქტად შეაფასა, ხოლო ტენდერში მონაწილე პირის უფლება გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება და წარედგინა თავისი მოსაზრებები ამ საკითხზე, არ წარმოადგენდა სამოქალაქო უფლებას, არამედ საჯარო ხასიათის უფლებას⁹⁸. ამასთან, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების ქონა თავისთავად არ იყოს საკმარისი იმისათვის რომ კონვენციის მე-6 მუხლი განკუთვნილი გამხდარიყო ტენდერის შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე მიმდინარე პროცედურის მიმართ, იქიდან გამომდინარე რომ ასეთი დავის მომწესრიგებელი უწყებას გააჩნდა დისკრეციული უფლებამოსილება გადაეწყვიტა ტენდერში გამარჯვებულია საკითხი⁹⁹.

უაღრესად პრაქტიკულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ხდება განმცხადებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში. როგორც

⁹⁵ Otto Wolff Handelsgesellschaft MBH against Romania, [2017], ECHR, (HUDOC).

⁹⁶ იქვე, ბოლო აბზაცი.

⁹⁷ S.C. Black Sea Caviar S.R.L. against Romania, No. [2016]. ECHR, (HUDOC).

⁹⁸ იქვე, § 21

⁹⁹ იქვე.

წესი, თუ ასეთ პირს უფლებამონაცვლე არ ჰყავს, ევროსასამართლო საქმეს ამოიღებს ხოლმე განსახილველ საქმეთა სიიდან. მაგალითად, მაგალითად, საწარმო Intertrans, ZAT-ი ითხოვდა მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების გამო მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევულად ცნობას¹⁰⁰. 2010 წელს განაცხადი ეცნობა მთავრობას, თუმცა იურიდიულ პირთა უკრაინის ერთიან ელექტრონულ რეესტრში საწარმო ლიკვიდირებულად ფიქსირდებოდა გადახდისუუნარობის შედეგად, უფლებამონაცვლის მითითების გარეშე, რაზეც ევროსასამართლომ აცნობა განმცხადებელს¹⁰¹. 2014 წლის 17 სექტემბერს განმცხადებლის წარმომადგენელმა დაადასტურა რომ საწარმო ლიკვიდირებულ იქნა, რის შედეგადაც ევროსასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საწარმოს ლიკვიდაციის გამო მას არ დარჩენია უფლებამონაცვლე და არ არსებობდა რაიმე ინფორმაცია იმის შესახებ რომ რომელიმე ორგანო პირი (მაგალითად ყოფილი აქციონერი) უფლებამოსილი იყო გაეგრძელებინა კომპანიის რომელიმე უფლების ან ვალდებულების განხორციელება¹⁰². ეს ფაქტობრივი გარემოება სასამართლომ შეაფასა კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტში მოყვანილ გარემოებად - „პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხოს საჩივარი თუ გარემოებათა ძალით ის დაასკვნის რომ: c. სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზით, საჩივრის შემდგომი შესწავლა აღარ არის გამართლებული“ და ამავდროულად მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს ფულადი ხასიათის მოთხოვნა გააჩნდა, მაინც ადგილი არ ჰქონდა კონვენციით და მის ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ისეთ საგანგებო ვითარებას, რომ გამართლებული ყოფილიყო განაცხადის განხილვა¹⁰³.

იურიდიული პირის ლიკვიდაცია განაცხადის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოღების საფუძველი ასევე გახდა Spalldi d.o.o. -ის განცხადების განხილვისას¹⁰⁴, სადაც განმცხადებელი მიიჩნევდა რომ დარღვეული იყო მე-6 მუხლის პირველ პუნქტი და მე-13 მუხლი. ევროსასამართლოში განაცხადის განხილვისას 2016 წლის დეკემბერში ეროვნულმა სასამართლომ საწარმო ამოშალა იურიდიულ პირთა სასამართლო რეესტრიდან ყოველწლიური საფინანსო დეკლარაციის წარუდგენლობის გამო, რაც გასაჩივრების მიუხედავად ძალაში დარჩა, ამოშლის შედეგად კომპანიამ არსებობა სამართლებრივად შეწყვიტა

¹⁰⁰ Intertrans, ZAT against Ukraine, [2014], ECHR, (HUDOC).

¹⁰¹ იქვე, გვ. 1

¹⁰² იქვე გვ. 2

¹⁰³ იქვე, გვ. 2

¹⁰⁴ Spalldi d.o.o. against Croatia, [2017], ECHR, (HUDOC).

უფლებამონაცვლის გარეშე რაიმე ინფორმაციის გარეშე¹⁰⁵. ევროსასამართლომ Intertrans, ZAT-ის საქმეში განვითარებული მსჯელობის მსგავსად აქაც მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 37-მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტს¹⁰⁶. თუმცა ამ საქმეში სასამართლომ გააკეთა მეტად მნიშვნელოვანი განმარტება, რითიც ახსნა განცხადების განხილვის შესაძლებლობა განმცხადებლის არსებობის შეწყვეტის შემთხვევაშიც კი. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ „სასამართლოს წინაშე წამოჭრილ ადამიანის უფლებების საკითხებს ასევე მორალური განზომილება გააჩნიათ, რომელიც სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, როდესაც იგი მსჯელობს გააგრძელოს თუ არა განაცხადის განხილვა მას შემდეგ რაც განმცხადებელი შეწყვეტს არსებობას. ეს მით უფრო ასეა თუ წამოჭრილი საკითხები ცდება განმცხადებლის პიროვნებასა და ინტერესებს. ამას ადგილი ექნება მაშინ, როცა განაცხადი შეეხება კანონმდებლობის ან სამართლებრივი სისტემის ან მოპასუხე სახელმწიფოს პრაქტიკას¹⁰⁷“. აქედან გამომდინარე და განსხვავებით საქმისაგან OAO Neftyanaya Kompaniya YUKOS v. Russia (dec.) no. 14902/04 p.443) არ არსებობდა რაიმე კავშირი სადავო პროცედურებსა და განმცხადებელი საწარმოს ლიკვიდაციას შორის, თავად საჩივარი არ იყო ფულადი ხასიათის და არ ექვემდებარებოდა სხვისთვის გადაცემას, ხოლო უფლებამონაცვლები მას არ დარჩენია¹⁰⁸. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრული ადამიანის უფლებების პატივისცემა არ მოითხოვდა ამ განაცხადის განხილვას და განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოიღო¹⁰⁹.

კომერციულ იურიდიულ პირთა საქმიანობის შემდგენელ ნაწილს წარმოადგენს მათი შერწყმა სხვა იურიდიულ პირთან. შეიძლება თუ არა შერწყმის შედეგად წარმოქმნილმა პირმა ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც მის ერთ-ერთ სუბიექტს შერწყმამდე ევროსასამართლოში მიმდინარე დავის შედეგად გააჩნდა? Otto Wolff Handelsgesellschaft MBH-ის განაცხადის განხილვისას მხარეთა მორიგების შედეგად ევროსასამართლომ განაცხადი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოიღო, მაგრამ მოგვიანებით მოპასუხე სახელმწიფოს ევროსასამართლოს აცნობა, რომ განმცხადებელი სხვა იურიდიულ პირს შეერწყა და ამ უკანასკნელმა მიიღო განმცხადებლის ყველა აქტივი და პასივი¹¹⁰. ევროსასამართლოს უნდა ემსჯელა შეეძლო თუ

¹⁰⁵ იქვე, § 14-16.

¹⁰⁶ იქვე, § 21.

¹⁰⁷ იქვე, § 22.

¹⁰⁸ იქვე, § 23-24.

¹⁰⁹ იქვე, § 25.

¹¹⁰ Otto Wolff Handelsgesellschaft MBH against Romania, [2017], ECHR, (HUDOC).

არა ახალ საწარმოს შერწყმის შედეგად გაეგრძელებინა იმის მტკიცება იყო თუ არა იგი სამოქალაქო სამართალწარმოების ხანგრძლივობის შედეგად კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის მსხვერპლი და ამ დროს მან გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ საწარმოს შერწყმა განხორციელდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მთავრობასთან მორიგება არ იყო შეთანხმებული, ხოლო განმცხადებლის წარმომადგენელმა ამის შესახებ არ აცნობა ევროსასამართლოს, ისე როგორც ახალმა საწარმომ არ შეტყობინა სასამართლოს სურდა თუ არა განაცხადის განხილვა, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ კომპანიამ მსხვერპლის სტატუსი დაკარგა¹¹¹. ამდენად, თავისთავად შერწყმის ფაქტი შეიძლება არ წარმოადგენდეს განაცხადის განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღების საფუძველს. ამ დროს ასევე დიდი ყურადღება ექცევა უფლების სამართლებრივ ბუნებას და მხარის სურვილს გააგრძელოს დავა.

მთავრობის ცალმხრივი განაცხადი დარღვევის აღიარებისა და სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნების შესახებ, ასევე წარმოადგენს კომერციული იურიდიული პირების განაცხადის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოღების საფუძველს. თუმცა ამ დროს სასამართლო მაინც ამოწმებს მის პრეცედენტული სამართალს განსახილველი დავის ჭრილიდან გამომდინარე და სამართლიანი დაკმაყოფილების თანხის ოდენობის შესაბამისობას ასეთ შემთხვევებში სასამართლოს მიერ მისაკუთვებელ თანხის ოდენობასთან. აქ დამატებით სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს ხოლმე იმაზე, არის თუ არა აუცილებელი განაცხადის განხილვა ადამიანის უფლებების პატივისცემის თვალსაზრისიდან გამომდინარე 37-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და თუ ასეთი გარემოება არ არის, მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას საქმის ამოღების შესახებ. მაგალითად, S.C. Plantorama S.R.L.-ის განაცხადის განხილვისას ევროსასამართლომ ეროვნული სამართალწარმოების გაჭიანურებული ვადების გამო წარდგენილი საჩივრის ფარგლებში 2700 ევროს ანაზღაურება¹¹². ეროვნული სამართალწარმოების ვადების გაჭიანურების გამო ასევე სამართლიანად იქნა მიჩნეული მთავრობის მიერ გაკეთებული ცალმხრივი განაცხადი 3240 ევროს ანაზღაურებაზე Kameks Trans LTD-ის საჩივრის განხილვისას და ეს საქმე ამოღებულ იქნა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან¹¹³. თუმცა მთავრობის ცალმხრივი განაცხადების მიუხედავად, ევროსასამართლო მაინც მიუთითებს ხოლმე მთავრობის ვალდებულების დარღვევის

¹¹¹ იქვე, გვ. 2

¹¹² S.C. Plantorama S.R.L. against Romania, [2014], ECHR, (HUDOC).

¹¹³ Kameks Trans LTD against the former Yugoslav Republic of Macedonia, [2014] ECHR, (HUDOC).

შემთხვევაში განაცხადის განსახილველ საქმეთა ნუსხაში აღდგენის შესაძლებლობის შესახებ¹¹⁴.

თავად განმცხადებლის არაკეთილსინდისიერი ან კონვენციის მიზნებთან შეუთავსებელი მოქმედება/უმოქმედობა ასევე შეიძლება გახდეს განაცხადის დაუშვებლად ცნობის საფუძველი. ასეთ დროს სასამართლო ხშირად იყენებს ხოლმე კონვენციის 35-ე მუხლით განსაზღვრულ დათქმას „უფლების ბოროტად გამოყენების“ შესახებ, რაც თავისთავადი საფუძველია განაცხადის დაუშვებლად ცნობისათვის. 2014 წლის 16 სექტემბრის განჩინებით ევროსასამართლომ უფლების ბოროტად გამოყენებად მიიჩნია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა, რომ მთავრობამ მას აუნაზღაურა კუთვნილი დავალიანება¹¹⁵. ანალოგიურად შეფასდა განმცხადებლის მიერ იმ ფაქტის შეუტყობინებლობა, რომ ქონების ჩამორთმევის შედეგად სხვა სამართალწარმოების გზით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მან სახელმწიფოსაგან კომპენსაცია მიიღო¹¹⁶. განმცხადებელი საწარმოს იმ სხვა კომერციულ იურიდიულ პირებთან (რომლებთან დავის გამო იგი დარღვეულად მიიჩნევდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას), მიღწეული მორიგების ევროსასამართლოსათვის დაფარვა ასევე შეფასებული იქნა როგორც განაცხადის შეტანის უფლების ბოროტად გამოყენება¹¹⁷. ევროსასამართლომ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ განმცხადებლის მორიგება სხვა პირებთან განმცხადებელი საწარმოს საჩივრის არსებით სიახლეს წარმოადგენდა და შეეხებოდა განსახილველი საქმის არსს, რომლის ცოდნის გარეშე ევროსასამართლო ვერ შეძლებდა განაცხადის სათანადოდ განხილვას, ხოლო თავად განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა საკმარისი დასაბუთება თუ რატომ არ აცნობა მორიგების შესახებ ევროსასამართლოს¹¹⁸.

კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „c“ პუნქტით განსაზღვრულ „სხვა მიზეზად“ იქნა ასევე მიჩნეული განმცხადებელი საწარმოს მიერ ხარვეზიანი მინდობილობის გაცემა თავის წარმომადგენელზე, რომელზე თავად წარმომადგენელს არ ჰქონდა ხელი მოწერილი, საიდანაც არ ირკვეოდა განმცხადებლის მისამართი და არ ერთვოდა რაიმე საბუთი, რომელიც დაადასტურებდა რომ ხელმომწერ პირს საწარმოს სახელით მოქმედების უფლება ჰქონდა¹¹⁹. განმცხადებლის წარმომადგენლის მიერ სასამართლოს წერილობით კორესპონდენციაზე

¹¹⁴ იქვე, გვ. 4

¹¹⁵ Jakob's Center D.O.O. against Slovenia, [2014], ECHR, (HUDOC), § 19.

¹¹⁶ Kavkasioni LTD. Against Georgia, [2017], ECHR, (HUDOC).

¹¹⁷ Ronly Holdings LTD against Georgia, [2017], ECHR, (HUDOC).

¹¹⁸ იქვე, § 19-20.

¹¹⁹ Global Car Trade GMBH against Croatia, [2017], ECHR, (HUDOC).

პასუხის დროული გაუცემლობამ და არასრულყოფილი მინდობილობის წარდგენამ სასამართლო მიიყვანა იმ აზრამდე, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა სასამართლოსთან თანამშრომლობის სურვილი, რის გამოც განაცხადის განხილვა აღარ იყო გამართლებული¹²⁰. ცხადია, რომ თუ მხარე საერთოდ არავითარ რეაგირებას არ ახდენს ევროსასამართლოს წერილობით კორესპონდენციაზე, სასამართლო უცილობლად გამოიყენებს კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს, რომლითაც სასამართლოს შეუძლია განაცხადის ამორიცხვა თუ ის დაასკვნის რომ მხარეს აღარ აქვს განზრახული ბოლომდე მისდიოს თავის საჩივარს. 2017 წლის 28 ნოემბრის განჩინებით მიჩნეული იქნა რომ განმცხადებლებს არ ჰქონდათ სურვილი გაეგრძელებინათ სამართალწარმოება და ამორიცხულ იქნა Zakarpatturyst, PAT-ისა და სხვების (4 სხვა საწარმო) საჩივარი იმ მოტივით, რომ მათ არ უპასუხეს სასამართლოს მიერ გაგზავნილ წერილობით კორესპონდენციას¹²¹.

უაღრესად საინტერესოა სასამართლოს მსჯელობა Zahe-Consult KFT-ის განცხადების განხილვისას, როდესაც სასამართლომ იმსჯელა სასამართლოსათვის მიმართვის უფლების გადაცემაზე¹²². ამ საქმეში განმცხადებელმა საწარმომ მოპასუხე სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა თავის წარმომადგენელს, იურიდიული ფირმას¹²³. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ ინდივიდუალური განაცხადის შეტანის კონვენციით განმტკიცებული უფლება არ წარმოადგენდა ქონებრივ უფლებას და ასეც რომ ყოფილიყო იგი არ იქნებოდა გადაცემადი უფლება და მიუხედავად შიდა სამართალში ასეთი ხელშეკრულების ნამდვილობისა, იგი ეწინააღმდეგებოდა კონვენციის როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ინსტრუმენტის ბუნებას¹²⁴.

კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი უშვებს განაცხადის ამორიცხვის შესაძლებლობას თუ გარემოებათა ძალით სასამართლო დაასკვნის რომ დავა გადაწყდა. სწორედ ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი Yelverton Investments B.V. and others-ის განაცხადის განხილვისას, როდესაც საწარმოები ითხოვდნენ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვეულად ცნობას იმ მოტივით, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა მოხდა უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარის პროტესტის

¹²⁰ იქვე, § 18-19.

¹²¹ Zakarpatturyst, PAT against Ukraine (and 4 other applications), [2017], ECHR, (HUDOC).

¹²² Zahe-Consult KFT against Hungary, [2018], ECHR, (HUDOC).

¹²³ იქვე, § 6-7.

¹²⁴ იქვე, § 9.

საფუძველზე¹²⁵. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საპროცესო კოდექსის ის მუხლი, რომელიც უშვებდა პროტესტს გაუქმდა, ხოლო უზენაესი სასამართლოს სენატმა ზემოხსენებული პროტესტი აღარ გაიზიარა¹²⁶. აქედან გამომდინარე, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის საფუძველად არსებული გარემოებები აღარ არსებობდა და ამ გარემოებებიდან გამომდინარე კონვენციის სავარაუდო დარღვევის შედეგებს სათანადო პასუხის გაეცა, რაც თავის მხრივ განაპირობებდა დასკვნას, რომ დავა გადაწყდა¹²⁷.

ამ საქმესთან დაკავშირებით ასევე მეტად იშვიათი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ევროსასამართლოს მხრიდან ხარჯების ანაზღაურების თაობაზე და მიუხედავად იმისა, რომ განაცხადი ამოღებულ იქნა განსახილველ საქმეთა სიიდან ევროსასამართლომ იხელმძღვანელა რა სასამართლოს წესების 43 მუხლის მე-4 პუნქტით მისთვის მინიჭებული დისკრეციით, ერთ-ერთ განმცხადებელ საწარმოს (რომელმაც უშუალოდ აანაზღაურა იურიდიული მომსახურების ხარჯები) სასარგებლოდ სახელმწიფოს დააკისრა თანხის ნაწილის ანაზღაურება¹²⁸.

2.5. დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროსასამართლო მეტად ყურადღებით აკვირდება კომერციული იურიდიული პირების მიერ შეტანილი განცხადების დასაშვებობის ყოველ ასპექტს, გულდასმით სწავლობს მათ და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. როგორც დაუშვებლად ცნობილი განცხადებების შესწავლა უჩვენებს მათი დიდი ნაწილი დაუშვებლად ცნობილი იქნა იმის გამო რომ მიჩნეული იქნა აშკარად დაუსაბუთებლად, რაც პრეცედენტული სამართლის მიხედვით გულისხმობს, რომ საქმე მეტ-ნაკლებად დასაბუთებულად ან/და პროცესუალური წესების დაცვით იქნა განხილული ეროვნული სამართალში, რის გამოც ევროსასამართლოს აუცილებლად აღარ მიაჩნია ეროვნული სასამართლოების მსჯელობის გადასინჯვა. დაუშვებლობის სხვა საფუძველების გამოყენება კი უკვე დამოკიდებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და საქმის განხილვისას განმავლობაში განვითარებულ მოვლენებზე. თუმცა ეს არ აბრკოლებს

¹²⁵ Ilverton Investments B.V. and others against Latvia, [2014], ECHR, (HUDOC).

¹²⁶ იქვე, აბზაცი 35

¹²⁷ იქვე, აბზაცი 35

¹²⁸ იქვე, აბზაცი 43-48

ევროსასამართლოს დაუშვებლად ცნოს საჩივარი თუ დასაშვებობის შესახებ კონვენციის ამა თუ იმ მუხლის დარღვევის ნიშნები გამოიკვეთება.

თავი 3. კონვენციის მე-6 მუხლი და კომერციული იურდიული პირები

მუხლი 6. საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როცა ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა ანდა რამდენადაც სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საქვეყნობა დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.
2. ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.
3. ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები
 - ა) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;
 - ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარ დაცვის მოსამზადებლად;
 - გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;
 - დ) თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში;
 - ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დამხარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე;

კონვენციის მე-6 მუხლი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მუხლს წარმოადგენს მთელს კონვენციაში და ეს აიხსნება არა მხოლოდ იმიტომ რომ ამ მუხლით შეტანილი საჩივრების ოდენობა ყველაზე მაღალია და სასამართლომაც ამ მუხლით ყველაზე მეტი განაცხადი განიხილა, არამედ იმიტაც, რომ კონვენციაში მოცემული თითქმის ყველა სხვა უფლების რეალიზაცია მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია მხარის მიერ შიდა სახელმწიფოებრივი სასამართლოსათვის მიმართვაზე, სადაც არასამართლიანი პროცედურების გამო შესაძლოა პირმა სრულად ვერ ისარგებლოს კონვენციით მინიჭებული უფლებებით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კონვენციით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტს მე-6 მუხლი წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით გასაკუთრებით საგულისხმოა, რომ სწორედ კომერციული იურიდიული პირისა და მისი მენეჯერის განაცხადის განხილვისას, საქმეზე *Al-Dulimi and Montana Management Inc. V. Switzerland*, იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმის შესახებ უნდა მიკუთვნებულიყო თუ არა საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმათა კატეგორიას პირის უფლება მიემართა სასამართლოსათვის. ამ კაზუსში, რომელიც შეეხებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული სანქციების გამოყენების საკითხს, ევროსასამართლომ აღიარა, რომ კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენდა, რომელიც საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად უნდა ყოფილიყო განმარტებული და მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება და კონკრეტულად, სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას ცენტრალური ადგილი ეჭირა კონვენციაში, სასამართლომ მაინც მიიჩნია, რომ ეს უფლება საერთაშორისო სამართლის განვითარების დღევანდელ ეტაპზე არ წარმოადგენდა *jus cogens*-ის¹²⁹ სამართლებრივი დატვირთვის მქონე ნორმას¹³⁰.

მიუხედავად იმისა, რომ ნორმის ტექსტში გვხვდება პირდაპირი მითითება ადამიანზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია რომ კომერციულ იურიდიულ პირებსაც შეუძლიათ ამ ნორმებით სარგებლობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ხაზს გავუსმევთ, თუ რა კონკრეტულ გარემოებებში შეუძლიათ

¹²⁹ *Jus cogens*-ის სამართლებრივი ბუნების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხ.

ა) *Alexidze, L.*, *Legal Nature of Jus Cogens in Contemporary International Law*, (Extract from the *Recueil des cours*, Volume 172), Martinus Nijhoff Publishers, The Hague/ Boston/ London, 1981;

ბ) *Алексидзе Л.А.*, *Некоторые Вопросы Теории Международного Права, Императивные Нормы Jus Cogens*, Издательство Тбилисского университета, 1982.

¹³⁰ *Al-Dulimi and Montana Management Inc. V. Switzerland*, [1993], ECHR, GC, (HUDOC), § 134, 136.

კომერციულ იურიდიულ პირებს ამ მუხლით სარგებლობა და რა მოცულობით.

აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ კონვენციის მიხედვით „სამოქალაქო“ და „სისხლის სამართლის საქმეებად“ კლასიფიკაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა მნიშვნელოვანია, ვინაიდან 6.1 მუხლი ვრცელდება ორივე სახის სამართალწარმოებაზე, მაგრამ 6.2 და 6.3 მუხლები მხოლოდ იმ სამართალწარმოებაზე ვრცელდება, რომელიც კონვენციის მიხედვით სისხლის სამართალწარმოებად კლასიფიცირდება¹³¹.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება შეჯიბრებით პროცესთან დაკავშირებით მიღებულ იყო სწორედ კომერციული იურიდიული პირის მიერ შეტანილ განაცხადზე. კომპანია *Dombo Beheer BV v. the Netherlands*, იყო ჰოლდინგური საწარმო, რომლის ძირითადი საქმიანობა იყო სხვა საწარმოებში წილების ფლობა და მათი მართვა, ხოლო სამეწარმეო საქმიანობას მისი შვილობილი საწარმოები ახორციელებდნენ. ერთ-ერთ ბანკთან დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით ჰოლდინგურმა საწარმომ აიღო სესხი, რომლის უზრუნველყოფაც მოხდა მისი შვილობილი საწარმოების სოლიდარული თავდებობით. საბოლოო ჯამში ბანკმა ჰოლდინგურ საწარმოს გაუყინა ანგარიში და მოსთხოვა დავალიანების თანხის გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ დავალიანების თანხა საკრედიტო ხაზის ფარგლებში იყო. ამ დავის ფარგლებში პირველი ინსტანციის სასამართლომ განმცხადებელს უარი უთხრა მისი გენერალური დირექტორის მოწმედ დაკითხვაზე, მაშინ როცა ასეთად დაკითხა ბანკის გენერალური დირექტორი. სწორედ ამ საკითხზე მსჯელობისას გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმარტება „სასამართლო ეთანხმება კომისიას იმის შესახებ, რომ დავაში სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ურთიერთსაწინააღმდეგო კერძო ინტერესები, „საშუალებათა თანასწორობა“ გულისხმობს, რომ თითოეული მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი საქმე - მათ შორის მტკიცებულებები - ისეთ პირობებში, რაც არ მოათავსებს მას არსებითად არახელსაყრელ ვითარებაში მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით¹³²“.

კომერციული იურიდიული პირების მიმართ ასევე შეიძლება დაირღვეს დამოუკიდებელი ტრიბუნალის უფლება. მაგალითად, საქმეში *Sacilor Lormines v. France*, სადავო იყო მალაროს ოპერირების ნებართვის

¹³¹ *ლიჩი, ფ.*, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბილისი, 2013, 317.

¹³² *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, [1993], ECHR, (HUDOC) § 33.

სახელმწიფოსათვის დაბრუნების საკითხი, რომელიც საწარმოს უნდა დაებრუნებინა სახელმწიფოსათვის, რასაც ესაჭიროებოდა პრეფექტის თანხმობა. საბოლოო ჯამში საკითხის გადაწყვეტა მოხდა სახელმწიფო საბჭოს მიერ, რომელიც იმავდროულად იყო უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო და ამავე დროს, იღებდა სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს პრემიერ მინისტრისათვის. განმცხადებელი საწარმო ხაზს უსვამდა, რომ სახელმწიფო საბჭო ვერ იქნებოდა დამოუკიდებელი არა მარტო მისი წევრების დანიშვნისა და სტატუსის გამო, არამედ იმის გამოც, რომ სახელმწიფო საბჭო მონაწილეობდა მდაროთა შესახებ კანონის მიღებაში და მის რეფორმირებაში და ამ დროს წამოჭრილი საკითხის განხილვისას იგი ვერ იქნებოდა დამოუკიდებელი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა რა ამ საკითხზე, განმარტა შემდეგი „ამის მსგავსად, მაშინ როცა მოსამართლეთა შეუცვლელი მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადის მანძილზე ზოგადად განხილულ უნდა იყოს როგორც მათი დამოუკიდებლობის საპირწონე, ასეთი შეუცვლელი კანონში ფორმალურად აღიარების მიუხედავად თავისთავად არ ნიშნავს დამოუკიდებლობის უქონლობას იმ პირობით რომ ეს ფაქტობრივად აღიარებული და რომ სხვა აუცილებელი გარანტიებიც არსებობს¹³³“. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო საბჭოს იმ წევრის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც უნდა დაწინაურებულიყო გენერალურ მდივნად სამინისტროში, სადაც საწარმოს უამრავი სადავო საკითხი ჰქონდა, მიჩნეული იქნა დამოუკიდებელი ტრიბუნალის უფლების დარღვევად.

მიუკერძოებელ ტრიბუნალთან დაკავშირებით საქმეზე San Leonard Band Club v. Malta ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ამ პრინციპის დარღვევად მიიჩნია ის ფაქტი, რომ საქმის განახლების მოთხოვნის შესახებ სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში მონაწილეობას იღებდა ის სამი მოსამართლე, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლომ დაასკვნა, რომ „მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს დანიშნულება იყო ემსჯელა 30 დეკემბრის გადაწყვეტილება იყო თუ არა კანონის არასწორი განმარტების შედეგად მიღებული. ამრიგად იგივე მოსამართლეებს უნდა გადაეწყვიტათ მათ არასწორად განმარტეს თუ არა კანონი ან არასწორად გამოიყენეს თუ არა კანონი ანუ ფაქტობრივად მათ უნდა განესაჯათ თავიანთი თავი და თავიანთი უნარი გამოეყენებინათ კანონი¹³⁴“.

უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ რა ჩაითვლება „სამოქალაქო ხასიათის უფლებებად და

¹³³ Sasilor Lormines v. France, [2006], ECHR (HUDOC) § 67.

¹³⁴ San Leonard Band Club v. Malta, [2004], ECHR (HUDOC), § 63.

მოვალეობებად“, აგრეთვე „სისხლისსამართლებრივ ბრალდებად“. ამ საკითხის მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ შესაძლოა მე-6 მუხლი არ იქნეს მიჩნეული განკუთვნიად მუხლად იმ განაცხადის განხილვისას, რაც არ მოექცევა ამ ორ კრიტერიუმში, რაც თავისთავად განაცხადის დაუშვებლობას გამოიწვევს *ratione materiae*-ს ძალით. საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა მეტად მნიშვნელოვანი პრეცედენტული სამართალი ამ საკითხების გასამიჯნად.

სამოქალაქო სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით შედარებით მარტივადაა საქმე, თუ საკითხი ეხება კერძო სამართლის სუბიექტებს შორის დადებულ ისეთ სამოქალაქო სამართლებრივად აღიარებულ ისეთ დავებს, როგორცაა ვაჭრობა, უძრავი ქონება, დელიქტი და ა.შ.¹³⁵. მაგრამ საკითხის გადაწყვეტა რთულდება თუ იგი შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობას ან ამა თუ იმ ფორმით უკავშირდება სისხლის სამართლებრივ დევნას.

იმის შეფასებისას სამართალწარმოება არის თუ არა სისხლისსამართლებრივი ხასიათის, სასამართლო განიხილავს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით სამართალწარმოების კლასიფიცირებას, განსახილველი სამართალწარმოების ბუნებას და სასჯელის სიმკაცრის ხასიათსა და ხარისხს („ენგელის კრიტერიუმი“)¹³⁶.

წლების მანძილზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის შესახებ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით მიმდინარე დავებზე ჩამოაყალიბა უაღრესად საყურადღებო პრეცედენტული სამართალი, რომლითაც მე-6 მუხლის დაცვის ქვეშ მოექცა ისეთი საკითხები როგორც იყო

- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება¹³⁷. (მიჩნეულ იქნა სამოქალაქო ხასიათის უფლებად);
- პატენტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება საპატენტო უწყებაში¹³⁸. (მიჩნეულ იქნა სამოქალაქო ხასიათის უფლებად);

¹³⁵ *Harris D.J., O'Boyle D., Bates E.P. & Buckley C.M.*, Harris, O'Boyle and Warbrick Law of European Convention of Human Rights, Oxford University Press, 2014, 380

¹³⁶ *ლიჩი, ფ.*, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბილისი, 2013, 317.

¹³⁷ *Edition Periscope v. France*, [1992], ECHR, (HUDOC), § 40

¹³⁸ *British-American Tobacco Company*, [1995], ECHR, (HUDOC), § 86

- გადაუხდელ გადასახადებზე დარიცხული საურავი¹³⁹. (მიჩნეულ იქნა სისხლის სამართლებრივი ხასიათის ბრალდებად);
- ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის ლიცენზიის გაცემა, სარგებლობა და გაუქმება¹⁴⁰. (მიჩნეულ იქნა სამოქალაქო ხასიათის უფლებად);
- დამსაქმებელსა და პროფკავშირს შორის დავა კოლექტიური შრომის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით¹⁴¹. (მიჩნეულ იქნა სამოქალაქო ხასიათის უფლებად);

ამ საკითხებთან დაკავშირებით გადამწყვეტი აღმოჩნდა სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომა საქმეზე *Ringeisen v. Austria*, სადაც სასამართლომ სრულიად მართებულად დაასკვნა, რომ „მე-6 მუხლის პირველი პუნქტი დავასთან (contestation) დაკავშირებით რომ იქნეს გამოყენებული, არ არის აუცილებელი, სამართალწარმოების ორივე მხარეს იყოს კერძო პირი, რა აზრსაც ავითარებენ კომისიის წევრთა უმრავლესობა და მთავრობა. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ფორმულირება გაცილებით უფრო ფართოა; ფრანგული გამოთქმა *contestation sur (des) droits et obligations de caractere civil* მოიცავს ყველა სამართალწარმოებას, რომელთა შედეგი გადამწყვეტია კერძო უფლებებისა და ვალდებულებებისათვის. ინგლისურ ტექსტი „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა“ ადასტურებს ამ ინტერპრეტაციას. ამდენად, ნაკლებად მნიშვნელოვანია იმ კანონმდებლობის ხასიათი, რომელიც არეგულირებს თუ როგორ უნდა იქნეს გადაწყვეტილი საკითხი (სამოქალაქო, კომერციული, ადმინისტრაციული სამართლის და ა.შ.), აგრეთვე იმ ხელისუფლების ხასიათი რომელსაც აქვს საქმის განხილვის იურისდიქცია (საერთო სასამართლო, ადმინისტრაციული ორგანო და ა.შ.)¹⁴². ამდენად, სრულიად ცხადია, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით საკითხის მიკუთვნება სამოქალაქო დავასთან განისაზღვრება იმით რამდენად არის მისი შედეგი გადამწყვეტი კერძო უფლებებისა და ვალდებულებებისათვის.

ამის ნათელი დადასტურებაა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე *The Fortum Corporation v. Finland*. საქმე ეხებოდა ორგანიზაციის დაჯარიმებას კონკურენციის სააგენტოს მიერ ისეთ პირობებში, როდესაც უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ გააცნო განმცხადებელ ორგანიზაციას კონკურენციის სააგენტოს მიერ

¹³⁹ *Julius Kloiber Schlachthof GmbH and Others v Austria*, [2013], ECHR, (HUDOC), § 33

¹⁴⁰ *Tre Traktor Aktiefond v. Sweden*, [1989], ECHR, (HUDOC), § 43

¹⁴¹ *AB Kart Leetterman v. Sweden*, [2005], ECHR, (HUDOC), § 69

¹⁴² *Ringeisen v. Austria*, [1972], ECHR, (HUDOC), § 94

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულება. მართალია მხარე მიუთითებდა მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან ერთად მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების დარღვევაზე, სასამართლომ დარღვეულად ჩათვალა მხოლოდ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი¹⁴³.

საგულისხმოა, რომ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი შესაძლოა დაირღვევს კომერციული იურიდიული პირის შემთხვევაშიც თუ ადგილობრივი კანონმდებლობა უშვებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მაგალითად, სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია კომერციული იურიდიული პირის განაცხადი საქმეზე *Willem Zegwaard and Zegwaard B.V. against the Netherlands*, სადაც ორგანიზაცია ამტკიცებდა რომ მის მიმართ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმპცია მაშინ როდესაც სააპელაციო სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას გაითვალისწინა ის დარღვევებიც, რომლებიც მას ბრალად არ ჰქონდა შერაცხული და რომლებიც საბრალდებო დასკვნით ანულირებული იყო¹⁴⁴.

ამდენად, განხილული მაგალითებიდან და პრეცედენტული სამართლის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ კონვენციის მე-6 მუხლი წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს იარაღს, რომლის მეშვეობითაც კომერციულ იურიდიული პირებს შეუძლიათ საპროცესო უფლებების მყარად და ეფექტურად დაცვა.

¹⁴³ *The Fortum Corporation v. Finland*, [2003], (HUDOC), § 45

¹⁴⁴ *Willem Zegwaard and Zegwaard B.V. against the Netherlands*, [1997], ECHR, (HUDOC) in *P.H.P.H.M.C. van Kempen*, Human Rights and Criminal Justice Applied to legal persons, Protection and Liability of Private and Public Juristic Entities under the ICCPR, ECHR, ACHR and AfChHRP, *Electronic Journal of Comparative Law*, Vol. 14.3 (December, 2010), Netherlands Compative Law association, p.15, <https://www.ejcl.org/143/art143-20.pdf> [02.08.2017].

თავი 4. კონვენციის მე-7 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები

მუხლი 7. არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

- 1. არავინ შეიძლება ბრალდებულად იქნეს მიჩნეული რაიმე დანაშაულში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმ დროს, როცა იგი ჩაიდინეს. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს;*
- 2. ეს მუხლი არ ვრცელდება იმ პირის გასამართლებასა და დასჯაზე მოქმედებისა თუ უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის დანაშაულს წარმოადგენდა ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად.*

კონვენციის მე-7 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე რთულია იმის თქმა, რომ იგი შეიძლება განკუთვნიანი აღმოჩნდეს კომერციული იურიდიული პირების მიმართ. თუმცა პრეცედენტულ სამართალში არის რამდენიმე მაგალითი, როდესაც ეს ნორმა კომერციული იურიდიული პირების მიმართაც იქნა გამოყენებული და დარღვევაც დაფიქსირდა. ამის გამო, ან ნორმის შინაარსის ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია კვლევის სრულყოფისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ნორმის მიზანია სისხლის სამართლის კანონის უკუქცევითი ძალის გამოყენების პრინციპების დადგენა, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მსგავსად, კონვენციის ეს ნორმა უფრო მეტად იმ ქვეყნებისთვის იქნება აქტუალური, რომლებშიც იურიდიული პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაშვებულია.

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-7 მუხლში აღნიშნულ „სასჯელს“ ავტონომიურ მნიშვნელობას ანიჭებს, და განმარტავს, რომ ამ მუხლით განსაზღვრული დაცვით ეფექტური სარგებლობისათვის სასამართლო უნდა გასცდეს ამ ტერმინის მნიშვნელობას და თავად შეაფასოს ესა თუ ის კონკრეტული ღონისძიება თავისი არსით შეადგენს თუ არა „სასჯელს“ ამ დებულების მიზნებისათვის¹⁴⁵. მუხლი 7.1-ის მეორე წინადადების შინაარსი მიუთითებს, რომ „სასჯელის“ არსებობის შეფასების საწყისი წერტილი არის ის საკითხი შეფარდებულია თუ არა იგი იმ გადაწყვეტილებით,

¹⁴⁵ G.I.E.M. S.R.L. and Others v. Italy, [2018], ECHR, (HUDOC), § 210

რომლითაც დადგინდა პირის ბრალი სისხლის სამართლებრივ დანაშაულში¹⁴⁶. მიუხედავად ამისა, მხედველობაში შეიძლება იყოს მიღებული ამ ვითარებისთვის განკუთვნილი სხვა ფაქტორებიც როგორცაა სადავო ღონისძიების ბუნება და მიზანი, მისი ხასიათი ადგილობრივი კანონმდებლობით, ღონისძიების განხორციელებისათვის გაწეული პროცედურები და ღონისძიების სიმძიმე¹⁴⁷.

საქმეში *Radio France and others v. France*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-7 მუხლის პირველი ნაწილი დარღვეულად არ მიიჩნია ისეთ ვითარებაში, როდესაც რადიოკომპანია „რადიო ფრანსის“ რედაქტორისა და ჟურნალისტის მიმართ საფრანგეთის სასამართლომ ანალოგიის წესით გამოიყენა „აუდიოვიზუალური კომუნიკაციის შესახებ“ კანონის ნორმები. სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებდა, რომ დანაშაული ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული კანონით, ასეთად მიიჩნია კანონის ის ჩანაწერი, რომლითაც „თუ პრესის თავისუფლების შესახებ 1881 წლის 29 ივლისის კანონის მე-4 თავით განსაზღვრული რომელიმე გადაცდომა ჩადენილ იქნება აუდიოვიზუალური ოპერატორის მიერ, რედაქტორი განხილულ უნდა იქნეს როგორც მთავარი მოპასუხე იმ პირობით, რომ შეურაცხმყოფელი განცხადება შეთხზული იყო საჯაროდ გადაცემად. თუ დაიწყება რედაქტორის სისხლის სამართლებრივი დევნა, განცხადების უშუალოდ გამავრცელებელი პირის მიმართ შეიძლება დაიწყოს დევნა როგორც თანამონაწილეზე¹⁴⁸“. მართალია ამ შემთხვევაში უშუალოდ კომერციული იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა, მაგრამ დადგა მისი რედაქტორისა და მუშაკის პასუხისმგებლობის საკითხი მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას განხორციელებული ქმედებების გამო. ამდენად, მართალია არაპირდაპირ, მაგრამ მე-7 მუხლით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების ელემენტი მაინც დადგა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე.

მოგვიანებით, 2009 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომელიც კომერციული იურიდიული პირებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრეცედენტად უნდა ჩაითვალოს მე-7 მუხლის კონტექსტში. საქმე *Sud Fondi srl et Autres c. Italie* შეეხებოდა უძრავი ნივთის მფლობელობისა და სათანადო პირობების დადგომისას მისი კონფისკაციის საკითხს. ზემოხსენებული კომპანია

¹⁴⁶ იქვე, § 211

¹⁴⁷ იქვე

¹⁴⁸ *Radio France and Others v. France*, [2004], ECHR, (HUDOC), § 16, 17, 20

საკუთრების უფლებით ფლობდა მიწის ნაკვეთს ქ. ბარის შემოგარენში, პუნტა პეროტის სანაპიროზე. ბარის საქალაქო საბჭომ 1992 წელს მოიწონა კომპანიის შეთავაზება განაშენიანება განეხორციელებინა ამ ტერიტორიაზე. ასევე მოწონებულ იქნა მიწის ნაკვეთის ნაწილი გადაცემა ორ სხვა კომპანიაზე. საბოლოოდ საქალაქო საბჭომ გასცა სამშენებლო ნებართვა სამივე კომპანიაზე. საგულისხმოა, რომ 1997 წლისთვის სამშენებლო სამუშაოების ნაწილი დასრულებული იყო. სწორედ ამ დროს გარემოს დაცვის ეროვნულმა უწყებამ საჩივრით მიმართა ბარის მერს იმის შესახებ, რომ სანაპირო ზოლი გარემოსდაცვითი შეზღუდვები მოქმედებდა. საბოლოოდ ბარის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო და პასუხისგებაში მისცა სამივე კომპანიის ხელმძღვანელი პირები. სამივე ინსტანციის სასამართლოში დავის შედეგად, იტალიის საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მიწის იმ ნაკვეთებზე მშენებლობა არ იყო დაშვებული, არ არსებობდა გენერალური გეგმა, რის გამოც პროექტები და მშენებლობის ნებართვა არ შეესაბამებოდა კანონს. საკასაციო სასამართლომ ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხზე განმარტა, რომ ისინი მოქმედებდნენ გარდაუვალი და მისატევებელი შეცდომის ფარგლებში, რაც გამოწვეული იყო ადგილობრივი კანონმდებლობის ბუნდოვანებით. ამავე დროს, საკასაციო სასამართლომ დაადგინა ამ მიწის ნაკვეთებისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის კონფისკაცია. კომპანიებმა მე-7 მუხლის საფუძველზე წარადგინეს საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და განმარტეს, რომ კონფისკაცია არ იყო კანონით გათვალისწინებული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა შემდეგი „ადგილობრივ კანონმდებლობაში, სადავო კონფისკაციისათვის

„115. ადმინისტრაციულად“ კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა რომ სანქციის ეს სახე არ მოწესრიგდეს სისხლის სამართლის კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად. კონსტიტუციის 27/1 მუხლით „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ინდივიდუალურია“ და სასამართლოების ინტერპრეტაცია ისეთია, რომ ასეთი შედეგისთვის აუცილებელია მენტალური ელემენტი. უფრო მეტიც, რთული იქნება კონსტიტუციის 27/3 მუხლის („სასჯელის მიზანია ბრალდებულის რეაბილიტაცია“) გამოყენება განსასჯელის მიმართ, თუ იგი ბრალდებულად არ იქნება მიჩნეული.

116. რაც შეეხება კონვენციის მე-7 მუხლს, იგი პირდაპირ არ საუბრობს ბრალდებულსა და დანაშაულის შემადგენელ ელემენტებს შორის არსებულ მენტალურ კავშირზე. მიუხედავად ამისა, სასჯელისა და დასჯის და „ბრალეულობის“ (guilty) კონცეპციის (ინგლისურ ვერსიაში) და მის შესაბამის დებულებაში (“personne coupable” ფრანგულ ვერსიაში) მხარს უჭერს ისეთ განმარტებას, როცა მე-7 მუხლი სასჯელის მიზნებისთვის

მოითხოვს ისეთ ინტელექტუალურ კავშირს (ცოდნასა და განზრახვას), რომელიც მიუთითებს დამრღვევის ქმედებაში პასუხიმგებლობის ელემენტზე, რომლის არარსებობის დროსაც სასჯელის შეფარდება გაუმართლებელი იქნებოდა. უფრო მეტიც, შეუსაბამო იქნებოდა ერთის მხრივ მოთხოვნილ ყოფილიყო მისაწვდომი და განჭვრეტადი სამართლებრივი საფუძველი და მეორეს მხრივ, დაშვებული ყოფილიყო პირის „ბრალდებულად“ ცნობა და მისი „დასჯა“, ისეთ დროს როცა მას არ შეეძლო სცოდნოდა, რომ გარდაუვალ შეცდომასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კანონი, რომელიც უშვებდა რომ ბრალეული პირი არ ყოფილიყო დასჯილი.

117. მე-7 მუხლით, ზემოხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, ის საკანონმდებლო ჩარჩოები, რომლებიც არ აძლევს საშუალებას ბრალდებულს იცოდეს სისხლის სამართლის კანონის არსი და ფარგლები, არის დეფექტური, არა მხოლოდ „კანონის ხარისხის“ ზოგადი პირობების გამო, არამედ სისხლის სამართალში გამოყენებული კანონიერების საგანგებო მოთხოვნიდან გამომდინარე¹⁴⁹. აქედან გამომდინარე, მე-7 მუხლი დარღვეულად იქნა მიჩნეული სამივე განმცხადებელი კომპანიის მიმართ.

კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო განმარტებები გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 2018 წლის 28 ივნისს საქმეზე *G.I.E.M S.R.L. and Others v. Italy*. საქმის გარემოებები ძირითადად წააგავდა ზემოხსენებულ საქმეს, მაგრამ პალატამ იურისდიქცია დაუთმო დიდ პალატას. ამ საქმეში ოთხმა კომპანიამ და ერთმა ფიზიკურმა პირმა (ერთ-ერთი კომპანიის დირექტორმა), განაცხადით მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. კომპანიებს გააჩნდა იტალიის სხვადასხვა რეგიონში მიწის ნაკვეთები, სადაც ადგილობრივ თვითმმართველობასთან შეთანხმებით წამოიწყეს მშენებლობები. საბოლოოდ ეს მშენებლობის ნებართვები საკასაციო სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა უკანონოდ და მოხდა მიწის ნაკვეთების კონფისკაცია. სასამართლომ ყურადღება მიაქცია მთელ რიგ ელემენტებს, მათ შორის იმას, რომ კომპანიების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობდა და რომ ისინი არ მონაწილეობდნენ პროცესში და დაასკვნა, რომ მათ მიმართ დაირღვა მე-7 მუხლი¹⁵⁰. საგულისხმოა, რომ მე-7 მუხლის დარღვევა არ დაფიქსირებულა ერთ-ერთი კომპანიის დირექტორის მიმართ განხორციელებული დევნის გამო.

¹⁴⁹ *Sud Fondi srl et Autres c. Italie*, [2009], ECHR, (HUDOC), § 115, 116, 117

¹⁵⁰ *G.I.E.M. S.R.L. and Others v. Italy*, [2018], ECHR, (HUDOC), § 275

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მე-7 მუხლი რჩება ეფექტურ მექანიზმად იმ შემთხვევებისთვის, როდესაც კომერციული იურიდიული პირების მიმართ ადგილობრივი უწყებების მხრიდან ადგილი აქვს ისეთი სანქციების გამოყენებას, რომლებიც ბუნდოვანია ან ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

თავი 5. კონვენციის მე-8 მუხლი, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და კომერციული იურიდიული პირები

1. ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას;
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობების ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

კონვენციის მე-8 მუხლი ითვლება კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ზოგად დებულებად¹⁵¹. ეს თავად პირველი პუნქტის შინაარსიდან გამომდინარეობს - მასში ჩამოთვლილი უფლებები მეტად ზოგადი შინაარსისა არიან და კონკრეტულ შინაარსს არ მოიცავენ. ამის გამო სწორედ სასამართლომ პრეცედენტული სამართლით მკაფიოდ ჩამოაყალიბა თითოეული ამ უფლების მოცულობა და შინაარსი.

სწორედ მათი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ბევრი მათგან არაა განკუთვნილი კომერციული იურიდიული პირების მიმართ, მაგალითად, წარმოუდგენელია კომერციული იურიდიულ პირს გააჩნდეს პირადი და ოჯახური ცხოვრება. ამდენად, ამ უფლებათა ნაწილი იმთავითვე მხოლოდ ფიზიკური პირების სარგებლობისთვისაა გამიზნული.

მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2002 წელს მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება საქმეზე *Societe Colas Est and Others v. France*, რომლითაც აღიარა კომერციულ იურიდიულ პირთა უფლება საცხოვრებელზე ანუ საქმიანობის ადგილზე. საგულისხმოა, რომ ამ გადაწყვეტილებას წინ უძღვოდა ფიზიკური პირის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა გარკვეული პროფესიის ადამიანების საქმიანობის ადგილის, ოფისის განკუთვნილობა მე-8 მუხლით განსაზღვრულ საცხოვრებელის მიმართ. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ სიტყვა „domicile“ (როგორც ეს მითითებულია მე-8 მუხლის ფრანგულ ვერსიაში) გააჩნია უფრო ფართო

¹⁵¹ *Feldman, D.* The developing scope of Article 8 of the European Convention on Human Rights, [1997] EHRLR, 265 and *Warbrick C.* The Structure of Article 8, [1998] EHRLR 32 in *Ovey C. & White R.* *Jacobs and White the European Convention on Human Rights*, Oxford, 2006, 241.

მნიშვნელობა ვიდრე სიტყვას „home“ და შეიძლება გავრცელდეს მაგალითად, პროფესიული საქმიანობით დაკავებული პირების ოფისზე¹⁵²“.

საქმეზე Societe Colas Est and Others v. France საკითხი შეეხებოდა სამსაქმეო კომპანიას, რომელთა ოფისებიც (დაახლოებით 50 სხვა კომპანიასთან ერთად) გაჩნდა კონკურენციის და მომხმარებელთა დეპარტამენტთან არსებულმა ეროვნულმა საგამოძიებო სამსახურმა და ამოიღო ათასობით დოკუმენტი¹⁵³. ეს ჩხრეკა განხორციელდა 1945 წელს მიღებული ორდონანსის საფუძველზე, რომლითაც კომპანიების ოფისებში შესვლას სასამართლოს ნებართვა არ ესაჭიროებოდა. ამოღებული დოკუმენტების საფუძველზე სამივე კომპანიას დაეკისრა მაღალი ჯარიმა, რაც ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შედეგად გარკვეულად შემცირდა, მაგრამ მაინც საკმაოდ მაღალი დარჩა¹⁵⁴. ამის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 41-ე აბზაცში გააკეთა კომერციული იურიდიული პირებისათვის უმნიშვნელოვანესი განმარტება „სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციას არის რა ცოცხალი ინსტრუმენტი უნდა განმარტებული იყოს დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე. რაც შეეხება კონვენციით კომპანიებისათვის განკუთვნილ უფლებებს, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ უკვე აღიარა კომპანიის უფლება კონვენციის 41-ე მუხლით არაქონებრივი ზიანის კომპენსაციაზე კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევის გამო. ემყარება რა კონვენციის დინამიურ განმარტებას, სასამართლო მიიჩნევს, რომ დადგა დრო რათა ითქვას, რომ ზოგიერთ ვითარებაში მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები უნდა განიმარტონ როგორც კომპანიის რეგისტრირებული ოფისის, ფილიალს თუ სხვა სამეწარმეო შენობის პატივისცემის უფლება“¹⁵⁵.

ამ ციტატის სრულად მოხმობა განაპირობა რამდენიმე გარემოებამ. პირველ რიგში სასამართლომ ხაზი გაუსვა კონვენციის როგორც ცოცხალი ინსტრუმენტის მნიშვნელობას. ამის შემდეგ, სასამართლომ მოიხმო კომპანიისათვის პრეცედენტული სამართლით მინიჭებული უფლებები და ბოლოს კონვენციის დინამიური განმარტების პრინციპიდან გამომდინარე იგი მივიდა შესაბამის დასკვნამდე. ამდენად, სასამართლომ გამოიყენა ნორმის განმარტების მის ხელთ არსებული რამდენიმე ხერხი, რათა მას გაეკეთებინა დასკვნა მე-8 მუხლით განსაზღვრული უფლების კომერციული იურიდიული პირებისათვის კუთვნილების შესახებ.

ზემოხსენებულმა გადაწყვეტილებამ იურიდიულ წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. კერძოდ, აღინიშნა, რომ დინამიზმი ემყარებოდა

¹⁵² Niemietz v. Germany, [1992], ECHR, (HUDOC), § 30.

¹⁵³ Societe Colas Est and Others v. France, [2002], (HUDOC), § 8-21.

¹⁵⁴ იქვე, § 41.

¹⁵⁵ იქვე.

სასამართლოს პროცედენტული სამართალში არსებულ შიდა დინამიკას¹⁵⁶. მოკლედ რომ ვთქვათ, დინამიკურ ან ევოლუციურ ინტერპრეტაციაზე სასამართლოს განმარტება Colas Est-ისა და Comingersoll-ის საქმეებში არსებითად წარმოადგენდა კონვენციის ფარგლების თანდათანობითი და ნელი გაფართოვების ლეგიტიმურობაზე პრეტენზიის გაცხადებას¹⁵⁷.

მოგვიანებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კომერციული იურიდიული პირების მიმოწერის უფლებაც აღიარა. საქმე Weiser and Bicos Beteiligungen HmBG v. Austria შეეხებოდა ადვოკატის ოფისისა და იმ კომპანიის ოფისის ჩხრეკას და დოკუმენტების ამოღებას, რომელიც ამ ადვოკატის საკუთრებაში იმყოფებოდა. თავის მხრივ, ეს კომპანია ფლობდა ასევე სხვა კომპანიას, სახელად „ნოვამედი“ და ჩხრეკა სწორედ ამ უკანასკნელ კომპანიას შეეხებოდა. როგორც აღინიშნა, ყველა მათგანს ჰქონდა ერთი ოფისი. ამ პროცედურის დროს ამოღებული მრავალი დოკუმენტთან ერთად ამოღებული იყო ასევე კომპიუტერული მონაცემები, რომლებიც მოიძებნა ეჭვმიტანილებისა და კომპანიების სახელწოდებების მიხედვით. კომპანია აცხადებდა, რომ მისი უფლებები შეილახა, რადგან მას არ ჰქონდა კონტროლი იმ მონაცემებისა, რომლებიც ამოღებულ იქნა. ხოლო ამოღებამ საძებნი სიტყვით Bicos გამოიწვია ამოღების ბრძანებაში მიუთითებელი უამრავი მონაცემების ამოღება. ამავე დროს არ შესრულდა პროცედურული გარანტიები, რადგან განმცხადებელ კომპანიას არ მიეცა საშუალება დაეღუპა მონაცემები და აეღო გამომძიებელი მოსამართლის გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელი მონაცემები იქნებოდა გამოყენებული გამოძიებისთვის¹⁵⁸.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატის მიმართ ადგილი ჰქონდა მე-8 მუხლის დარღვევას, მაგრამ რაც შეეხება მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს, მასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ემსახურება კლიენტის ინტერესების დაცვას. იმის გათვალისწინებით, რომ პირველი განმცხადებელი (ადვოკატი) იყო წარმომადგენელი იმ კომპანიების რომელთა აქციებს ფლობდა მეორე განმცხადებელი (Bicos Beteiligungen GmbH) და რომ ამოღებულები მონაცემები მოიცავდა პროფესიული საიდუმლოების მქონე ინფორმაციას, სასამართლომ მიიჩნია, რომ

¹⁵⁶ *Emberland, M.*, Protection Against Unwarranted Searches and Seizures of Corporate Premises Under Article 8 of the European Convention on Human Rights: *The Colas Est SA v. France* Approach, 25 Mich. J. Int'l L. 77 (2003), 93. ხელმისაწვდომია <http://repository.law.umich.edu/mjil/vol25/iss1/2>, ნანახია 04.02.2019.

¹⁵⁷ იქვე.

¹⁵⁸ *Weiser and Bicos Beteiligungen HmBG v. Austria* [2008]. ECHR (HUDOC), § 49.

ადგილი ჰქონდა მეორე განმცხადებლის მიმართაც მე-8 მუხლის დარღვევას¹⁵⁹.

საინტერესოა, რომ ამ საქმეზე იურიდიული პირის მიმართ გადაწყვეტილების მიღების ნაწილში მოსამართლეთა ხმები გაიყო და 4 ხმით 3 ხმის წინააღმდეგ იქნა დადგენილი მე-8 მუხლის დარღვევა იურიდიული პირის მიმართ. განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეთა მოსაზრებებით არ დგინდებოდა რომ ამოღებული ელექტრონული მონაცემები შეეხებოდა იმ კომპანიებს, რომელიც ადვოკატის კლიენტები იყვნენ. ასეთ ვითარებაში არ იქნებოდა მართებული იმის თქმა, რომ განმცხადებელ კომპანიაზე ზეგავლენა მოახდინა კლიენტსა და ადვოკატს შორის არსებული პროცედურული გარანტიების არქონამ, რაც თავის მხრივ საფუძველი გახდა რომ სასამართლოს მე-8 მუხლი დარღვეულად მიეჩნია¹⁶⁰.

კომერციული იურიდიული პირების მიმოწერის საკითხი ასევე იდგა საქმეში *Berth Larsen Holding AS and Others v. Norway*, სადაც ინფორმაციის ამოღება რამდენიმე იურიდიული პირისაგან განხორციელდა საგადასახადო მიზნებისათვის. სწორედ ეს გარემოება გახდა საფუძველი, რათა სასამართლოს 5 ხმით 2-ის წინააღმდეგ არ მიეჩნია მე-8 მუხლი დარღვეულად. გადაწყვეტილებაში განიმარტა, რომ გასაჩივრებული ჩარევის ხასიათიდან გამომდინარე იგი არ იყო ისეთი სერიოზული და ისეთი ხარისხის, როგორც ჩხრეკისა და ამოღების შესახებ საქმეები, რომელიც სისხლის სამართლის წესით მიმდინარეობდა (ამ დროს ევროსასამართლომ მოიხმო ზემოხსენებული ორივე საქმე, სხვა საქმეებთან ერთად). ამავე დროს, გასაჩივრებული ღონისძიება აუცილებელი გახდა იმის გამოც, რომ განმცხადებელმა კომპანიებმა თავად განათავსეს ინფორმაცია „შერეულ არქივში“ საზიარო სერვერზე, რის გამოც ინფორმაციით მოსარგებლეთა გამოყოფა და დოკუმენტების იდენტიფიკაცია უფრო რთული გახდა საგადასახადო უწყებისათვის¹⁶¹.

¹⁵⁹ იქვე, § 67-68.

¹⁶⁰ მოსამართლეების ბრაცას, კასადევალისა და მიოვიჩის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, საქმეზე *Weiser and Bicos Beteiligungen HmbHG v. Austria* [2008], ECHR (HUDOC), § 49.

¹⁶¹ *Berth Larsen Holding AS and Others v. Norway* [2013], ECHR, (HUDOC), § 173.

თავი 6. კონვენციის მე-10 მუხლი, გამოხატვის თავისუფლება და კომერციული იურიდიული პირები

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.
2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უწყესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მე-10 მუხლი განსახილველი თემისათვის უადრესად მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ შექმნილია უზარმაზარი პრეცედენტული სამართალი და ამავე დროს, ეს არის მუხლი, სადაც კომერციულ იურიდიული პირთა სამართალსუბიექტობა თავად ნორმაშია მოცემული. ამდენად, ამ მუხლის გამოყენებისას სასამართლოს არ უწევდა განმარტების ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება, რათა კომერციული იურიდიული პირების მიმართ ეს მუხლი გამოეყენებინა.

პრეცედენტულ სამართალში შეიძლება გამოიყოს ხუთი ძირითადი მიმართულება, რომლის დროსაც კომერციულ იურიდიული პირებს შეუძლიათ მე-10 მუხლით სარგებლობა. ეს მიმართულებებია ა) ლიცენზირება; ბ) გამოხატვის თავისუფლება და პასუხისმგებლობა ცილისწამებისთვის; გ) კომერციული გამოხატვა; დ) ინფორმაციის წყაროების დაცვა

6.1. ლიცენზირება

ლიცენზირების საკითხი პირდაპირაა გათვალისწინებული კონვენციაში და ამ მიმართულებით მყარი პრეცედენტული სამართალი ჩამოყალიბდა, რომელსაც რამდენიმე ფუნდამენტურმა გადაწყვეტილებამ დაუდო საფუძველი. მათ შორის იყო დიდი პალატის მიერ განხილული საქმე *Groppera Radio AG and others v. Switzerland*, სადაც საქმე შეეხებოდა იტალიისა და შვეიცარიის საზღვართან აშენებული რადიოგადამცემი სადგურიდან ტრანსლიაციის საკითხს. შვეიცარიის ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ვინაიდან ეს ტრანსლირება ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო ნორმებს, იგი უკანონო იყო. ასევე გადაწყვიტა საკითხი სასამართლომ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ნამდვილად შეადგენდა მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ჩარევას, რომ ჩარევა კანონის მიხედვით მოხდა და რომ მიზანი, რომელსაც ჩარევა ემსახურებოდა სრულად შეესაბამებოდა კონვენციას, კერძოდ, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო აქტებს და სხვათა უფლებების დაცვას¹⁶². რაც შეეხებოდა იმას, თუ რამდენად აუცილებელი იყო ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა დაბალანსებულიყო საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო წესრიგის დაცვისა და სხვათა უფლებების დაცვის ინტერესი, რადიო პროგრამების კაბელით ტრანსლირებისას განმცხადებლებისა და სხვა პირთა ინტერესების მიმართ¹⁶³. სასამართლომ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ზომები მიღებული იყო იმისათვის რომ რეალურად შვეიცარული სადგური მუშაობდა საზღვრის მეორე მხარეს, რათა თავი აერიდებინა შვეიცარიის სატელეკომუნიკაციო სისტემის მოთხოვნებისათვის¹⁶⁴. ამდენად, კონვენციის მე-10 მუხლი დარღვეულად არ იქნა მიჩნეული.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი საქმედ იქცა *Autronic AG v. Switzerland*, რომელიც არა იმდენად გამოხატვის თავისუფლებას, არამედ ინფორმაციის მიღებას შეეხებოდა. ზემოხსენებული კომპანია ვაჭრობდა თანამგზავრული ანტენებით, რომლებიც ახდენდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი თანამგზავრიდან მიღებული სიგნალის რეტლანსლირებას, რომლითაც ხდებოდა საბჭოთა კავშირში არსებული სატელევიზიო გადაცემების მიღება შვეიცარიაში. კომპანიას რამდენჯერმე უარი ეთქვა

¹⁶² *Groppera Radio AG and others v. Switzerland*, [1990], ECHR (HUDOC), § 70.

¹⁶³ იქვე § 73.

¹⁶⁴ იქვე.

სატელეკომუნიკაციო გამოფენებში მონაწილეობის მიღებაზე, ვინაიდან არ არსებობდა საბჭოთა საელჩოს თანხმობა რეტლანსლირებაზე. ამის გამო კომპანიამ ჯერ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვა იმის აღიარება, რომ თანამგზავრიდან არაკოდირებული სატელევიზიო სიგნალების მიღებას მაუწყებელი ქვეყნის ნებართვა არ ესაჭიროებოდა, ხოლო მისგან უარის მიღების შემდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს¹⁶⁵. სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა იმ მოტივით, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა აბსტრაქტულ სამართლებრივ დებულებას და რომ კომპანიას არ ჰქონდა დაცვის ღირსი ინტერესი¹⁶⁶.

ჯერ კიდევ დასაშვებობის საკითხზე მსჯელობისას, სასამართლომ განმარტა, რომ არც Autronic AG-ის როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის სტატუსი, არც ის, რომ იგი კომერციულ საქმიანობას მისდევდა, და არც გამოხატვის თავისუფლების არსებითი ხასიათი ვერ ჩამოართმევდა Autronic AG-ს მე-10 მუხლით მინიჭებულ დაცვას და რომ მე-10 მუხლი ვრცელდებოდა „ყველაზე“ იქნებოდა ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი¹⁶⁷. მე-10 მუხლი გამოიყენებოდა არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსის მიმართ, არამედ ინფორმაციის გადაცემის ან მიღების მიმართ, რადგან ნებისმიერი შეზღუდვა ასეთის მიმართ, აუცილებლად გამოიწვევდა ინფორმაციის მიღებისა და გაცემის უფლებაში ჩარევას¹⁶⁸. ხოლო ვინაიდან ადმინისტრაციულმა და სასამართლო გადაწყვეტილებებმა ხელი შეუშალა Autronic AG-ს კანონიერად მიეღო მაუწყებლობა G-Horizont თანამგზავრიდან, ეს გადაწყვეტილებები წარმოდგენდა „საჯარო ხელისუფლების ჩარევას“ გამოხატვის თავისუფლებაში¹⁶⁹.

ამდენად, სრულიად ცხადია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჩივარი დასაშვებად მიიჩნია და რაც ყველაზე მთავარია, ინფორმაციის გადაცემა და მიღება გაუთანაბრა ინფორმაციის შინაარსს და ისინი მე-10 მუხლით განსაზღვრული დაცვის ქვეშ მოაქცია.

უფრო მეტიც, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რადგან ევროპის საბჭოს წევრი მრავალი ქვეყანა უშვებდა არაკოდირებული სიგნალის გადაცემას თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე იმ ქვეყნის თანხმობის გარეშე,

¹⁶⁵ Autronic AG v. Switzerland, [1990], ECHR, (HUDOC), § 16-17, 22.

¹⁶⁶ იქვე § 27.

¹⁶⁷ იქვე § 47.

¹⁶⁸ იქვე.

¹⁶⁹ იქვე.

რომელშიც გადამცემი იყო განთავსებული¹⁷⁰. ამ და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა.

საგულისხმო მსჯელობა ლიცენზირებასთან დაკავშირებით განვითარდა საქმეში Informationsverein Lentia and others v. Austria, სადაც დავის საგანი იყო საკაბელო სატელევიზიო თუ რადიო მაუწყებლობის ლიცენზირების საკითხი, რომელიც კანონმდებლობის თანახმად მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო და ამასთან, კანონმდებლობა განსაზღვრავდა, რომ მაუწყებლობას განახორციელებდა კანონის თანახმად შექმნილი ორგანიზაცია „ავსტრიის სამაუწყებლო კომპანია“, რომელიც ამას განახორციელებდა სულ მცირე ორი სატელევიზიო და სამი რადიო სადგურით, რომელთაგან ერთ-ერთი რეგიონალური უნდა ყოფილიყო¹⁷¹. განმცხადებლები ორი ფიზიკური და სამი იურიდიული პირი სადავოდ ხდიდა რადიო ან ტელემაუწყებლობის წამოწყების უფლების მონოპოლიზირებას „ავსტრიის სამაუწყებლო კომპანიის“ მიერ, მაგრამ მათ მიერ წარმოებული ადმინისტრაციული და კონსტიტუციური სამართალწარმოებები უშედეგოდ დასრულდა¹⁷².

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეისწავლა რა საკითხი, მიიჩნია, რომ ავსტრიაში მოქმედი მონოპოლიური სისტემა ზოგადად შეესაბამებოდა კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 წინადადებას, თუმცა დამატებით შესაფასებელი იყო ამ სისტემის შესაბამისობა იმავე მუხლის მე-2 პუნქტთან¹⁷³. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა საჯარო მონოპოლიას, რომელიც დიდ შეზღუდვებს უწესებდა გამოხატვის თავისუფლებას, კერძოდ, მაუწყებლობის სრულ შეუძლებლობას, გარდა ეროვნული სადგურებისა, და ზოგიერთ შემთხვევაში მეტად შეზღუდული ადგილობრივი საკაბელო სადგურებისა და რომ ასეთი შეზღუდვების ყოვლისმომცველი ხასიათი მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული თუ ისინი შეესაბამებოდა აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას¹⁷⁴. სასამართლოს აზრით, ბოლო წლების ტექნიკური პროგრესი აღარ ამართლებდა ასეთ შეზღუდვებს, მით უფრო არსებობდა საკითხის მომწესრიგებელი უფრო ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიებებიც, მაგალითად ზოგიერთი ქვეყნის მსგავსად ლიცენზიის გაცემა სხვადასხვა კონტენტისათვის სხვადასხვა პირობებით ან ეროვნული კორპორაციაში კერძო მონაწილეობის ფორმების განსაზღვრით¹⁷⁵. ყველა ამ გარემოებიდან

¹⁷⁰ იქვე § 62.

¹⁷¹ Informationsverein Lentia and others v. Austria [1993], ECHR (HUDOC), § 20.

¹⁷² იქვე § 8-16.

¹⁷³ იქვე § 33.

¹⁷⁴ იქვე § 39.

¹⁷⁵ იქვე

გამომდინარე სასამართლომ მე-10 მუხლი ხუთივე განმცხადებლის მიმართ დარღვეულად მიიჩნია და თითოეულ მათგანს განუსაზღვრა შესაბამისი კომპენსაცია.

ზემოხსენებულ საქმეს გარკვეულად წააგავდა Tele 1 Privatfernsehgesellschaft MBH v. Austria, სადაც განმცხადებელი იურიდიული პირი ვენის შემოგარენში სატელევიზიო გადამცემის დაყენებისა და მაუწყებლობის ლიცენზიას ითხოვდა ადგილობრივი სატელეკომუნიკაციო უწყებისაგან, ხოლო უარის შედეგად სწორედ ევროსასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება მოიხმო. ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა საკანონმდებლო ხარვეზს და მას კანონმდებლის ხარვეზის გამოსწორება კი მას არ შეეძლო¹⁷⁶. ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ ჩარევა შეესაბამებოდა კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 წინადადებას, ჩარევა კანონით იყო განსაზღვრული, ხოლო საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად აუცილებელი იყო ასეთი ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში ევროსასამართლომ სამ პერიოდად გაჰყო და მიიჩნია, რომ პირველი პერიოდი, რომელიც მოიცავდა განცხადებით მიმართვას ადგილობრივი სატელეკომუნიკაციო უწყებისათვის (30 ნოემბერი, 1993) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას (27 სექტემბერი, 1995), ამ პერიოდში არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი საფუძველი, რომელიც სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიას მიაჩივებდა რომელიმე ორგანიზაციას გარდა „ავსტრიის სამაუწყებლო კორპორაციისა“, რის გამოც ეს ვითარება არ განსხვავდებოდა ავსტრიის მიმართ განხილული ზემოხსენებული საქმისაგან¹⁷⁷. ამის გამო ამ პერიოდში მე-10 მუხლის დარღვევა დაფიქსირდა იმ მოტივით, რომ ასეთი ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. დარჩენილ ორ პერიოდზე კი სასამართლომ დარღვევა არ დააფიქსირა - ერთ შემთხვევაში იმის გამო, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უკვე შესაძლებელი იყო კერძო მაუწყებლებს შეექმნათ და გაეგრძელებინათ თავიანთი პროგრამები საკაბელო ქსელის მეშვეობით, რის გამოც არსებული შეზღუდვა ყოვლისმომცველ ხასიათს აღარ ატარებდა, ხოლო მე-2 შემთხვევაში - იმის გამო, რომ თავად განმცხადებელმა ახალი კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ აღარ მიმართა შესაბამისი უწყებას ლიცენზიის მისაღებად¹⁷⁸.

ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მე-10 მუხლის დარღვევის თაობაზე 2014 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში

¹⁷⁶ Tele 1 Privatfernsehgesellschaft MBH v. Austria, [2000], ECHR (HUDOC), § 13

¹⁷⁷ იქვე § 35

¹⁷⁸ იქვე § 36-42

საქმეზე Perihan and Mezopotamya Basin Yayin A.S. v. Turkey. ამ საქმეში პირველი განმცხადებელი ფიზიკური პირი მსხვერპლად არ იქნა მიჩნეული, რაც შეეხება მეორე განმცხადებელს, კომერციულ იურიდიულ პირს, საგამომცემლო სახლს, სხვადასხვა რეგიონში მისი ფილიალის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა სავარაუდოდ უკანონო ჟურნალები, წიგნები, კასეტები და დოკუმენტები¹⁷⁹. მრეწველობისა და ვაჭრობისა სამინისტრომ განცხადება შეიტანა სასამართლოში მოთხოვნით მომხდარიყო ამ ორგანიზაციის ლიკვიდაცია იმ მოტივით, რომ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს, რაც დაკმაყოფილებულ იქნა სასამართლოს მიერ და გასაჩივრების მიუხედავად ძალაში დარჩა¹⁸⁰. იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია საგამომცემლო სახლი იყო, სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია საჩივარი და განმარტა, რომ ვინაიდან თურქეთის კომერციული კოდექსის 247.2 მუხლი ითვალისწინებდა საწარმოს ლიკვიდაციას ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად, ამდენად, იგი მიზნად ისახავდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, მაგრამ გასარკვევი იყო, რამდენად აუცილებელი იყო ასეთი ზომების მიღება დემოკრატიულ საზოგადოებაში¹⁸¹. სწორედ ამ საკითხის შეფასებამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა მოსამართლეთა შორის. საბოლოოო ჯამში სასამართლოს უმრავლესობამ მიიჩნია, რომ კომერციულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ვერ დაასაბუთა კონკრეტულად რაში გამოიხატა განმცხადებელი საწარმოს მხრიდან საჯარო წესრიგის დარღვევა, მით უფრო რომ მისი ფილიალების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები აღარ გაგრძელებულა, რის გამოც „მესოპოტამიის საგამომცემლო სახლის“ მიმართ სისხლის სამართალწარმოება არ მიმდინარეობდა¹⁸². კომერციული სასამართლოს მოკლე დასაბუთება არ იყო საკმარისი და განკუთვნილი გამართლება „მესოპოტამიის საგამომცემლო სახლის“ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევისთვის, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი და საწარმომ ამისდა მიუხედავად ლიკვიდაცია განიცადა, ასეთი მკაცრი ჩარევა ევროსასამართლოს აზრით არ იყო ლეგიტიმური მიზნის პროპორციული და ვერ ჩაითვლებოდა აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში¹⁸³.

¹⁷⁹ Perihan and Mezopotamya Basin Yayin A.S. v. Turkey, [2014], ECHR (HUDOC), § 4-8.

¹⁸⁰ იქვე, § 17-27

¹⁸¹ იქვე, § 52

¹⁸² იქვე, § 54

¹⁸³ იქვე, § 54-55

6.2. კომერციული გამოხატვა

კომერციულ გამოხატვას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. თუმცა კონკრეტულად რა იგულისხმება კომერციულ გამოხატვაში სასამართლომ ჯერ კიდევ 1989 წელს მიღებულ ამ სახის ერთ-ერთ პირველ საქმეზე განმარტა. კერძოდ, საქმეში Markt Intern Verlag GmbH and Klaus Beerman v. Germany, სადაც განმცხადებელი კომპანია იცავდა რამცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესებს, უშვებდა ქიმიური და სხეული მოვლის საშუალებებისათვის განკუთვნილი პროდუქციის შესახებ ბიულეტენებს, ასევე სხვა ტიპის მომხმარებლებისათვის განკუთვნილ ბიულეტენებსაც.¹⁸⁴ მისი ერთ-ერთი სტატია სადავო გახდა (იხ. ქვემოთ), რასთან დაკავშირებითაც სასამართლომ პირდაპირ მიუთითა შემდეგზე „ცხადია, რომ სადავო სტატია მიმართული იყო მოვაჭრეთა შეზღუდული წრის მიმართ და არ იყო მიმართული საზოგადოების ფართო ფენებისათვის; თუმცა ის გადმოსცემდა კომერციული ხასიათის ინფორმაციას. ასეთი ინფორმაცია არ არის გამორიცხული მე-10 მუხლის პირველი პუნქტის არსიდან, რომელიც არაა მიმართული კონკრეტულად რომელიმე სახის ინფორმაციის, იდეების ან გამოხატვის ფორმების დასაცავად“¹⁸⁵.

ეს იმითაცაა განსაკუთრებით საყურადღებო, რომ მოსამართლეთა ხმები მე-10 მუხლის დარღვევის თაობაზე თანაბრად გაიყო 9-9, და იმ დროს მოქმედი პროცედურის შესაბამისად მხოლოდ თავმჯდომარის მიერ მიცემულმა ხმამ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მე-10 მუხლის დარღვევას ადგილი აქ ჰქონია.

რაც შეეხება საქმის გარემოებებს, განმცხადებელის ერთ-ერთ გამოცემაში გამოქვეყნდა სტატია ერთ-ერთი ინგლისური კოსმეტიკური კომპანიის შესახებ, რომლის პროდუქცია საფოსტო გზავნილების მეშვეობით ვრცელდებოდა, ხოლო შეკვეთის ფორმაში აღნიშნული იყო მომხმარებლის უკმაყოფილების შემთხვევაში თანხის უკან დაბრუნების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი პროდუქცია მომხმარებელმა მას უკან დაუბრუნა, თუმცა ანაზღაურება არ მიუღია, რის გამოც სტატია სვამდა ერთგვარ რიტორიკულ კითხვას - ჰქონდა თუ არა კომპანიას სხვა ამგვარი შემთხვევები ან ეს იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა¹⁸⁶.

¹⁸⁴ Markt Intern Verlag GmbH and Klaus Beerman v. Germany, [1989], ECHR (HUDOC), § 9.

¹⁸⁵ იქვე § 26.

¹⁸⁶ იქვე § 12.

ინგლისურმა კომპანიამ მოითხოვა და მიიღო სასამართლოსაგან სარჩელის უზრუნველყოფის სახით ამ სტატიის ხელახლა დაბეჭდვის აკრძალვა, რაც შეეხება სასამართლო საქმის წარმოებას, საქმე სამივე ინსტანციაში იქნა განხილული და საბოლოოდ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ განმცხადებელს აუკრძალა სტატიის გამოქვეყნება გარკვეული დათქმების გაუთვალისწინებლად¹⁸⁷.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით (1909 წელს მიღებული კანონით და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტებით), ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს - სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვას, მაგრამ რაც შეეხებოდა რამდენად აუცილებელი იყო იგი დემოკრატიულ საზოგადოებაში, მეტად მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, რაც მას შემდეგ, სხვა გადაწყვეტილებებში, აღარ განმეორებულა. კერძოდ, 35-ე აბზაცში სასამართლომ აღნიშნა: „თუმცა ზოგჯერ ისეთი სტატიების გამოქვეყნება, რომელიც სინამდვილეს ასახავს შეიძლება ასევე იყოს აკრძალული გარკვეული ვითარებებში - სხვათა პირადი ცხოვრების დაცვის ვალდებულება და გარკვეული კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობის პატივისცემა წარმოადგენენ ასეთ მაგალითებს. გარდა ამისა, ზუსტ ინფორმაციას ზოგჯერ ემატება ხოლმე დამატებითი შენიშვნები, შეფასებითი მსჯელობები, დაშვების ან თუნდაც დაბრალების გზით. ისიც უნდა იქნეს აღიარებული რომ ერთი, იზოლირებული შემთხვევა მოითხოვს სკრუპულოზურ შესწავლას მანამ, სანამ ის საჯარო გახდება, რადგან სხვაგვარად ერთი ასეთი შემთხვევის თუნდაც ზუსტმა გადმოცემამ შეიძლება შექმნას მცდარი შთაბეჭდილება, რომ ეს შემთხვევა ზოგადი პრაქტიკის მაჩვენებელია. ყველა ეს ფაქტორი ლეგიტიმურად უწყობს ხელს კომერციულ კონტექსტში გაკეთებული განცხადებების შეფასებას და ძირითადად ეროვნული სასამართლოების გადასაწყვეტია თუ რომელი განცხადება არის დასაშვები და რომელი არა“.

საბოლოოდ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რა, რომ განმცხადებელი უშუალოდ არ იყო ინგლისური კომპანიის პირდაპირი კონკურენტი, ჩათვალა, რომ ეროვნული ხელისუფლებისადმი კუთვნილი შეფასების თავისუფლება ფედერალურ სასამართლოს აძლევდა ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მოცემულ შემთხვევაში თავისი შეფასებით არ უნდა შეეცვალა ეროვნული

¹⁸⁷ იქვე § 14, 17.

სასამართლოების შეფასება, მაშინ როცა ამ სასამართლოებმა გონივრულ საფუძველზე მიიჩნიეს, რომ ასეთი შეზღუდვები აუცილებელი იყო¹⁸⁸.

ცხადია, რომ განსხვავებული აზრის მქონე 9 მოსამართლემ სრულიად სხვაგვარი შეფასება მისცა ამ უკანასკნელ აბზაცში განვითარებულ მსჯელობას და თავიანთი შეშფოთება გამოხატეს განსაკუთრებით იმით, რომ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლებამ შეიძლება სერიოზულად შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება კომერციულ საკითხებში, ხოლო იმ ფაქტით, რომ მას არ სურდა ფაქტების გადასინჯვა, სასამართლო ფაქტიურად გაემიჯნა მის ძირითად ამოცანას განეხორციელებინა „ევროპული ზედამხედველობა“¹⁸⁹.

ევროსასამართლოს პრაქტიკის, მათ შორის მე-10 მუხლის ირგვლივ არსებული პრაქტიკის განვითარებამ საბოლოოდ გამოიწვია ის შედეგი, რომ ევროსასამართლო უფრო გულდასმით მოეკიდა კომერციული იურიდიული პირების საჩივრებს კომერციული გამოხატვის, მათ შორის კონკურენციის სფეროში და მრავალ შემთხვევაში მიიჩნია, რომ სახელმწიფო უწყებების ჩარევა სრულიადაც არ იყო აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებაში. ასეთი გადაწყვეტილების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია 2003 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *Krone Verlag GmbH & Co. KG v Austria* (No 3). მოცემული კომპანია აქვეყნებდა ყოველდღიურ გაზეთს *Neue Kronenzeitung*, რომლის ზალცბურგის გამოცემაში 1994 წლის 9 და 11 დეკემბერს შედარებულ იქნა ამ და ადგილობრივი რეგიონალური გაზეთის *Salzburger Nachrichten*-ის ყოველთვიური გამოწერის ფასები, და რეკლამის მიხედვით *Neue Kronenzeitung*, „საუკეთესო ადგილობრივ გაზეთს“ წარმოადგენდა¹⁹⁰. ცხადია, ასეთ რეკლამას მოჰყვა სარჩელის უზრუნველყოფის სახით მისი გამოქვეყნების აკრძალვის გამოყენება, ხოლო არსებითი განხილვის შედეგად კი სასამართლომ დაადგინა, რომ 1. განმცხადებელსა და გამომცემელს თავი უნდა შეეკავებინათ ამ სახის რეკლამისაგან, რადგან ის იმავდროულად არ შეიცავდა იმ სახის ინფორმაციას, რაც შეეძლო თავიდან აეცილებინა ზოგადი დამამცირებელი შეფასებითი მსჯელობები ან ნებისმიერი სხვა რისკი, რასაც შეიძლებოდა მკითხველი შეცდომაში შეეყვანა¹⁹¹. გარდა ამისა, 2. განმცხადებელს აკრძალა მეორე გაზეთის ფასების „ძვირად“ შეფასება, აგრეთვე 3. ორივე გაზეთის გასაყიდი ფასების შეფასება, თუ იმავდროულად არ იქნებოდა მითითებული განსხვავებები ამ გაზეთების მიერ სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადმოცემის სტილში

¹⁸⁸ იქვე § 36-37.

¹⁸⁹ იხ. მოსამართლეების გოლჩუკლუს, პეტიტის, რუსოს, სპილმანის, დე მაიერის, კარილო კაცედოსა და ვალტიკოსის განსხვავებული აზრი ამავე საქმეზე;

¹⁹⁰ *Krone Verlag GmbH & Co. KG v Austria* (No 3), [2003], ECHR (HUDOC), § 10.

¹⁹¹ იქვე, § 13.

საგარეო და საშინაო პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის და სამართლის სფეროებში და აგრეთვე 4. განმცხადებელს დაევალა ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნება¹⁹². საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ფასების შეფასების აკრძალვას შეეხებოდა უცვლელად დატოვა, დანარჩენი ნაწილები კი გააუქმა, უზენაესმა სასამართლომ კი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია¹⁹³.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩარევა განსაზღვრული იყო კანონით, იგი ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს - სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვას. რაც შეეხება აუცილებელი იყო თუ არა იგი დემოკრატიულ საზოგადოებაში, სასამართლომ 30-ე აბზაცში განმარტა, რომ „მართალია პრეცედენტული სამართლით სახელმწიფოებს ჰქონდათ შეფასების გარკვეული თავისუფლება ჩარევის აუცილებლობის გადასაწყვეტად, მაგრამ ეს თავისუფლება ექვემდებარებოდა გარკვეულ ევროპულ ზედამხედველობას როგორც წესების გამოყენების, ისე ამ წესების გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების მიმართ. ასეთი შეფასების თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისეთ რთულ და არაერთგვაროვან საკითხში, როგორც იყო არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. იგივე ეხებოდა რეკლამასაც. ამიტომ სასამართლოს ამოცანა შემოიფარგლებოდა იმით, რომ დარწმუნებულიყო ეროვნულ დონეზე მიღებული ზომები იყო თუ არა პრინციპულად გამართლებული და პროპორციული“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმეში სასამართლომ ჩამოაყალიბა რეკლამის ერთგვარი ცნობა განმარტა რა 31-ე აბზაცის პირველივე წინადადებაში, რომ „მოსახლეობისთვის რეკლამა წარმოადგენდა მათთვის შეთავაზებული მომსახურებისა და საქონლის მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას“. საბოლოო ჯამში, სასამართლომ გაითვალისწინა რომ განმცხადებელს ჯარიმა არ ჰქონდა დაკისრებული ეროვნული სასამართლოების მიერ, მიუხედავად ამისა, მიიჩნია, რომ დაკისრებულ სანქციას მეტად მძიმე შედეგი შეიძლება მოეტანა განმცხადებლისთვის, ვინაიდან მას მოუწევდა იმის მტკიცება, თუ როგორ განსახვავდებოდა მისი სარედაქციო სტილი კონკურენტის სარედაქციო სტილისაგან, რაც მეტად მძიმე შესასრულებელი იქნებოდა მისთვის და ამასთან, არ იყო გამორიცხული ცალკე სამართალწარმოების გზით ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობაც ამ ვალდებულების

¹⁹² იქვე.
¹⁹³ იქვე § 14-16.

შეუსრულებლობისათვის¹⁹⁴. აქედან გამომდინარე სასამართლომ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების დაბალანსებისას ავსტრიის სასამართლოებმა გადააჭარბეს მათთვის მინიჭებულ შეფასების თავისუფლებას და გამოყენებული ზომა არ იყო პროპორციული და ამდენად, „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რის გამოც ადგილი ჰქონდა მე-10 მუხლის დარღვევას.

თუ შევადარებთ არ ორი საქმეს, სრულიად აშკარა ხდება სასამართლოს უფრო მეტი მხარდაჭერა კომერციული გამოხატვის მიმართ ვიდრე წინა შემთხვევაში. სწორედ ეროვნული ორგანოებისთვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების გადაჭარბებული შეფასება გახდა დარღვევის დაუდგენლობის ნიშანი პირველ შემთხვევაში, არადა ჩარევა სრულიად უდავო იყო, მაგრამ პირველი შემთხვევაში სასამართლოს შემადგენლობის ნაწილმა თავის შეიკავა ევროპული ზედამხედველობის განხორციელებისაგან, რამაც სხვა მოსამართლეთა განსხვავებულ აზრში მკაცრი კრიტიკა გამოიწვია. განსხვავებით, წინა შემთხვევისაგან მეორე საქმეში სასამართლომ ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოუცხადა შეფასების თავისუფლების ევროპული ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებას, რამაც გამოიწვია კიდევ მე-10 მუხლის დარღვევის დაფიქსირების ფაქტი.

ინტერნეტის განვითარებამ და მისმა ფართო გამოყენებამ მათ შორის კომერციული საქმიანობისათვის სასამართლოს წინაშე დააყენა მთელი რიგი საკითხები, მათ შორის ინტერნეტის მეშვეობით კომერციული გამოხატვის შესაბამისობის საკითხი მე-10 მუხლით დაცული ელემენტების მიმართ. გამოხატვის თავისუფლებას ინტერნეტის მეშვეობით ჩვენ მოგვიანებით კიდევ შევხებით ფუნდამენტური მნიშვნელობის საქმის Delfi AS v. Estonia-ის განხილვისას, რომელიც წინ უსწრებდა მოცემულ საქმეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოცემულ საქმეში დავის საგანი გახდა სწორედ ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული კომერციული გამოხატვის ელემენტები, რაც უდავოდ იმსახურებს ჩვენს საგანგებო ყურადღებას.

ორმა განმცხადებელმა ასოციაცია Magyar Tartalomszolgaltok Egyesulete-მ და სს Index.hu Zrt.-მ მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მე-10 მუხლის დარღვევის თაობაზე. ასოციაცია წარმოადგენდა უნგრეთის ინტერნეტ კონტენტების პროვაიდერების მარეგულირებელ უწყებას, რომელიც ზედამხედველობას უწევდა ეთიკის კოდექსის მოქმედებას და ერთგვარი საარბიტრაჟო დაწესებულებასაც წარმოადგენდა მისი წევრი თერთმეტი ორგანიზაციისთვის. რაც შეეხება მეორე განმცხადებელს, იგი ფლობდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან

¹⁹⁴ იქვე, § 33

ახალი ამბების პორტალს უნგრეთში¹⁹⁵. სადავო პერიოდში ორივე განმცხადებელი უშვებდა ინტერნეტის მომხმარებლების მიერ პორტალზე არსებული მასალების მიმართ კომენტარების გაკეთებას, თუმცა იქვე განთავსებული იყო დათქმა იმის შესახებ, რომ კომენტარები არ ასახავდა პორტალის მოსაზრებას და თავად კომენტარების ავტორები იყვნენ პასუხისმგებლები მათ შინაარსზე, ასევე ორივე პორტალი უშვებდა, რომ პირადი უფლებების დამრღვევი კომენტარები შეიძლება არ გამოქვეყნებულიყო ან მკითხველის თხოვნით წაშლილიყო¹⁹⁶. საგულისხმოა, რომ საიტის „მოდერაციის პრინციპები“ პირდაპირ კრძალავდა

1. „კომენტარებს, რომლებიც გამოქვეყნების დროისათვის არღვევდა უნგრეთის კანონმდებლობას, უთითებდა ან წააქეზებდა დანაშაულისკენ ან სხვა უკანონო ქმედებისკენ;
2. ვულგარული, აგრესიული, მუქარის შემცველი კომენტარები. რა ჩაითვლება ვულგარულ, აგრესიულ ან მუქარის შემცველად გადაწყდება მოდერატორების მიერ მოცემული თემის ფარგლებში¹⁹⁷;

2010 წლის 5 თებერვალს MTE-მ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „მორიგი არათიკური ქმედება ქსელში“, რომელიც შეეხებოდა უძრავი ქონების ორი ვებგვერდს, რომელიც ერთი და იგივე კომპანიას ეკუთვნოდა¹⁹⁸. სტატიის მიხედვით ვებგვერდების მომსახურება 30 დღის მანძილზე უფასო იყო, ხოლო ამის შემდეგ ფასიანი - მაგრამ მომხმარებლისათვის შეტყობინების გარეშე და ეს ხდებოდა იმის გამო, რომ რეგისტრაციისას მომხმარებელი აქცეპტს უკეთებდა პირობებს, რომლითაც პირობები შეიძლებოდა პროვაიდერის მიერ ცალმხრივად ყოფილიყო შეცვლილი. სტატია ასევე შეიცავდა ინფორმაციას, რომ პროვაიდერი მოძველებულ ინფორმაციას და პერსონალურ მონაცემებს ამოიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი საფასური იქნებოდა გადახდილი. საბოლოოდ სტატია ასკვნიდა, რომ პროვაიდერის მომსახურება არ იყო ეთიკური და შეცდომაში შეყვანას წარმოადგენდა¹⁹⁹. ამ სტატიის შესახებ გამოქვეყნდა ფსევდონიმებით მოსარგებლე მომხმარებლების რიგი შეურაცხყოფელი კომენტარი, ხოლო თავის მხრივ ეს სტატია გაავრცელა სხვა ვებ პორტალმაც www.vg.hu, რომელსაც ოპერირებას უწევდა კომპანია Zold Ujsag Zrt.

¹⁹⁵ Magyar Tartalomszolgáltok Egyesulete and Index.hu Zrt. V. Hungary, [2016], ECHR (HUDOC), § 5.

¹⁹⁶ იქვე, § 7-8.

¹⁹⁷ იქვე, §. 10.

¹⁹⁸ იქვე, § 11.

¹⁹⁹ იქვე.

სადავო სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ვებგვერდების მფლობელმა კომპანიამ სარჩელი შეიტანა განმცხადებლებისა და კომპანია Zold Ujsag Zrt-ის მიმართ და განაცხადა, რომ ინფორმაცია იყო ცილისმწამებლური და ლახავდა მის საქმიან რეპუტაციას. სარჩელის მიღების შემდეგ მოპასუხეებმა სადავო კომენტარები ამოიღეს ვებ გვერდიდან²⁰⁰.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ კომენტარები წარმოადგენდა რედაქტირებულ კონტენტს, ექცეოდა იმავე კატეგორიაში როგორც იყო მკითხველის წერილები და მოპასუხეები პასუხისმგებლები იყვნენ მათ გამოქვეყნებაზე. რაც შეეხოდა შინაარსს, სასამართლომ დაადგინა, რომ საკითხი ეხებოდა სოციალურ და პროფესიულ დებატებს და არ აჭარბებდა კრიტიკის მისაღებ ზღვარს²⁰¹. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა, მაგრამ შეცვალა მისი დასაბუთება მიიჩნია, რა, რომ კომენტარები წარმოადგენდა პირადი შეხედულების გავრცელებას და არ ექცეოდა ტერმინებში „სერვის პროვაიდერის ჰოსტინგი“ და „შუამავალი“, ამიტომ ის იწვევდა სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას²⁰². საბოლოოდ უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლები აძლევდნენ რა უფლებას მკითხველებს გაეკეთებინათ კომენტარი, იღებდნენ პასუხისმგებლობას მკითხველების მიერ გაკეთებულ უკანონო კომენტარზე²⁰³. საკითხის არაკონსტიტუციურობა არ დაუდგენია ასევე საკონსტიტუციო სასამართლოსაც.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჩარევა ლეგიტიმურ მიზანს, სხვისი უფლებების დაცვას ემსახურებოდა, მაგრამ გასარკვევი იყო საკითხი რამდენად აუცილებელი იყო ასეთი ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლომ მოიხმო ინტერნეტით ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით დიდი პალატის მიერ განხილულ საქმეში Delfi AS. v. Estonia მოხმობილი დასაბუთება იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლების საქმიანობა, რომელიც უკავშირდებოდა მესამე პირებისათვის გამოხატვის თავისუფლებისათვის პლატფორმის შექმნას კომენტარების გამოქვეყნების გზით, ჟურნალისტური საქმიანობის ნაირსახეობას წარმოადგენდა. და თუნდაც თუ გავიზიარებდით ეროვნული სასამართლოების პოზიციას, რომ განმცხადებლების ქცევა წარმოადგენდა ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებას, განმცხადებელთა პასუხისმგებლობა არ იქნებოდა შესაბამისობაში პრეცედენტულ სამართალთან, რომლის

²⁰⁰ იქვე, §. 15.

²⁰¹ იქვე, §. 17.

²⁰² იქვე, §. 20.

²⁰³ იქვე §. 22.

მიხედვით ჟურნალისტის დასჯა სხვა პირის მიერ ინტერვიუში გაკეთებული განცხადების გავრცელებისათვის სერიოზულად შეუშლიდა ხელს პრესის შესაძლებლობას განეხილა საჯარო ინტერესის მქონე საკითხები და არ უნდა იყოს გათვალისწინებული თუ ამისთვის არაა განსაკუთრებით სერიოზული მიზეზები²⁰⁴.

საბოლოოდ სასამართლომ, ისევე როგორც *Delfi*-ის საქმეში მიიჩნია, რომ სწრაფი რეაგირების ეფექტური პროცედურების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული სისტემა შესაფერისი მექანიზმი იქნებოდა მხარეთა უფლებებისა და ინტერესების დასაბალანსებლად. სასამართლო ვერ ხედავდა რაიმე მიზეზს იმისათვის, რომ ასეთი სისტემა ვერ შეძლებდა შეექმნა ეფექტური შესაძლებლობა მოსარჩელეთა კომერციული რეპუტაციის დასაცავად. მართალი იქ, სადაც მესამე მხარის (მომხმარებლის) მიერ განთავსებული კომენტარები სიძულვილის ენასა და პირდაპირ მუქარას შეიცავდა პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით ევროსასამართლოს მიაჩნდა, რომ სხვებისა და ზოგადად, საზოგადოების ინტერესები და უფლებები ხელისმომწერ სახელმწიფოებს ანიჭებდა უფლებამოსილებას, ინტერნეტ სივრცეში მოქმედ საინფორმაციო პორტალისთვის პასუხისმგებლობა დააკისრებინა იმ შემთხვევაში, თუ პორტალი არ განახორციელებდა ღონისძიებებს ამკარად უკანონო კომენტარების დაუყოვნებლივ წასაშლელად, სავარაუდო დაზარალებულის ან მესამე მხარისაგან შეტყობინების მიღების გარეშე²⁰⁵. თუმცა მოცემულ საქმეში ასეთ განცხადებებს ადგილი აქ ჰქონდა, რის გამოც სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა მე-10 მუხლის დარღვევას.

6.3. ჟურნალისტური წყაროების დაცვა

ჟურნალისტური წყაროების დაცვას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ვინაიდან გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა ინფორმაციის მოპოვების გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ სასამართლომ განიხილა რამდენიმე საქმე, სადაც საგამომცემლო საქმიანობაში მოღვაწე კომერციულ იურიდიულ პირებს ჟურნალისტური წყაროების დაცვისათვის სასამართლოსათვის მიმართვა დასჭირდათ.

²⁰⁴ იქვე §. 79.

²⁰⁵ *Delfi AS v. Estonia*, [2015], ECHR, GC, (HUDOC), § 159.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმე ამასთან დაკავშირებით იყო *Financial Times Ltd. and others v. The UK*, სადაც ოთხმა წამყვანმა საინფორმაციო საშუალებამ, მათ შორის *Independent News and Media Ltd.-მ*, *Guardian Newspapers Ltd.-მ*, და *Reuters Group plc-მ* მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. 2001 წლის 30 ოქტომბერს ბელგიურმა ლუდსახარშმა კომპანიამ *Interbrew-მ* საინვესტიციო ბანკებს *Goldman Sachs-ს* და *Lazard-ს* სთხოვა ჩაეტარებინათ გამოკვლევა კომპანიის სავარაუდო გაერთიანებისა სხვა კომპანიასთან *South African Breweries plc*²⁰⁶. ამ კვლევის საფუძველზე მომზადებული დოკუმენტი ხელში ჩაუვარდა თავად განცხადებლებისთვის უცნობ პირს, რომელმაც ამ კვლევის ასლები გადაუგზავნა რამდენიმე მედია საშუალებას, მათ შორის *Financial Times*, *The Guardian*, *The Times* და *Reuters* ბელგიაში არსებული მისამართიდან²⁰⁷. საინფორმაციო სააგენტოებმა მიღებული მასალა გამოაქვეყნეს, ზოგმა მას „კონფიდენციალური“ წყაროდან მიღებული უწოდა, ზოგმა „გამოჟონილი ინფორმაცია“ და ა.შ., მაგრამ გამოქვეყნებულმა მასალებმა გავლენა მოახდინეს კომპანიების აქციების ფასებზე²⁰⁸. კომპანია *Interbrew-მ* სთხოვა უსაფრთხოებისა და რისკის საკონსულტაციო კომპანია *Kroll-ს* დახმარების აღმოჩენა ინფორმაციის გამჟღავნებელი პირის ამოცნობის კუთხით, რაც ამ უკანასკნელმა ვერ მოახერხა²⁰⁹. ამის შემდეგ კომპანიამ *Interbrew-მ* მიმართა სასამართლოს თხოვნით მოპასუხეებს გაემჟღავნებინათ ყველა იმ პირის სახელი და მისამართი, რომლებმაც მიაწოდეს სადავო დოკუმენტი, აგრეთვე ყველა სხვა პირი, რომლებთან ერთადაც მათ ჰქონდათ დოკუმენტის განხილვა და თუ ამ პირთა ვინაობა დაუდგენელი იყო, მაშინ მათ უნდა გაემჟღავნებინათ ის გარემოებები, რომელიც მიიღეს ეს დოკუმენტები²¹⁰. სასამართლომ მიიღო შემდეგი სახის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომ მოპასუხეებს უნდა გადაეცათ სასამართლოს ბრძანების ჩაბარებიდან 24 საათის განმავლობაში მათ ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი და მასალა მოსარჩელის ადვოკატისათვის²¹¹. ეს ბრძანება უცვლელი დარჩა ზემდგომი სასამართლოს მიერაც, რომელმაც განმარტა, რომ მან დაიცვა კონვენციით განსაზღვრული სამართლიანი ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და საჯარო ინტერესს შორის²¹².

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია ამ კონკრეტულ შემთხვევაში განმცხადებლებს არ დაევალიათ

²⁰⁶ *Financial Times Ltd. and others v. The UK*, [2009], ECHR (HUDOC), § 6.

²⁰⁷ იქვე, § 8.

²⁰⁸ იქვე, § 9.

²⁰⁹ იქვე, § 17.

²¹⁰ იქვე, § 17.

²¹¹ იქვე, § 20.

²¹² იქვე, § 53.

გაემჟღავნებინათ დოკუმენტები, რომლებიც პირდაპირ გამოიწვევდა წყაროს იდენტიფიცირებას, მაგრამ ისეთი დოკუმენტების გამოთხოვა, რომელთა შესწავლის შედეგად შეიძლება ასეთი იდენტიფიცირების გაკეთება, დიდ სხვაობას არ იძლეოდა, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ მაინც წარმოიშვებოდა ე.წ. „მსუსხავი ეფექტი“, როდესაც ჟურნალისტებს მოსთხოვდნენ ანონიმური წყაროების გამჟღავნებას²¹³. აქედან გამომდინარე, დადგინდა მე-10 მუხლის დარღვევა.

სხვა საქმეზე, რომელიც დიდმა პალატამ განიხილა - *Sanoma Uitgevers B.V. v the Netherlands*, საკითხი ეხებოდა უკანონო ავტორბოლების გადაღებას ჟურნალის მიერ, რომლებმაც მონაწილეებს გარანტია მისცეს, რომ მათ ვინაობას არ გაამჟღავნებდნენ²¹⁴. საბოლოოდ რბოლა შეწყვეტილ იქნა პოლიციის მიერ, რომელიც უშედეგოდ ცდილობდა რა სურათების მიღებას ჟურნალის რედაქციისაგან, მიმართა სასამართლოს, რომელმაც განმარტა რომ პროცესუალურად მას არ ჰქონდა უფლება ამის განხორციელება, მაგრამ იგი დააკმაყოფილებდა მას ამის უფლება რომ ჰქონოდა. საბოლოოდ განმცხადებელმა კომპანიამ მიმართა რა სასამართლოს, მიიღო პასუხი, რომ იგი აკმაყოფილებდა პროკურატურის მოთხოვნას და დაავალა რედაქციას სურათების გადაცემა, რადგან ჟურნალისტური წყაროების დაცვის ინტერესი ვერ დაძლეოდა გამოძიების ინტერესს²¹⁵. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნიდერლანდების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაძლებლობას აძლევდა გამოძიების მწარმოებელ უწყებას თავად ამოეღო აუცილებელი ინფორმაცია, და პროცესუალურად არ არსებობდა შესაძლებლობა ეს განეხორციელებინა მოსამართლეს ან სხვა დამოუკიდებელ ან მიუკერძოვებელ უწყებას, რომელიც შეძლებდა შეეფასებინა პოტენციური რისკები და შესაბამისი ინტერესები, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მოწესრიგებული ცხადი კრიტერიუმებით მათ შორის თუ რატომ არ იქნებოდა საკმარისი ნაკლებად მკაცრი ღონისძიება დაეკმაყოფილებინა აღმატებული საჯარო ინტერესი²¹⁶. იქედან გამომდინარე, რომ განმცხადებელს არ გააჩნდა პროცედურა გამყარებული შესაბამისი გარანტიებით რომ ეს გარემოებები დამოუკიდებელ ინსტიტუტს შეეფასებინა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა მე-10 მუხლის დარღვევას, იმ კუთხით, რომ ჩარევა არ იყო „კანონით განსაზღვრული“²¹⁷.

²¹³ იქვე, § 69.

²¹⁴ *Sanoma Uitgevers B.V. v the Netherlands*, [2010], ECHR,GC, (HUDOC), § 10-12.

²¹⁵ იქვე, § 25

²¹⁶ იქვე, § 92

²¹⁷ იქვე, § 100

6.4. გამოხატვის თავისუფლება და ცილისწამება

ცხადია, რომ თავად მე-10 მუხლის როგორც გამოხატვის თავისუფლების უზრუნველმყოფი მუხლის, შინაარსი განაპირობებს იმას, რომ ამ მუხლით წარმოშობილი დავების უმრავლესობა სწორედ გამოხატვის თავისუფლებას ან/და მის ერთ-ერთ ასპექტს - ცილისწამებას უკავშირდება. ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა, ვინიდან გამოხატვის თავისუფლებაში მონაწილე პირთა დიდი ნაწილი კომერციული იურიდიული პირების სახითაა ჩამოყალიბებული და ინფორმაციის გავრცელება მათი სამეწარმეო საქმიანობის შემადგენელი ნაწილს წარმოადგენს. ამ მხრივ სრულიად შესაძლებელია ასევე რომ ეროვნულმა კანონმდებლობამაც ხელი შეუწყოს სწორედ კომერციული იურიდიული პირის მონაწილეობას ამ ტიპის დავებში. მაგალითად, საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ ითვალისწინებს დათქმას, რომ ცილისწამების შესახებ დავებში სათანადო მოპასუხე შეიძლება იყოს მხოლოდ მედიის მესაკუთრე და არა მაგალითად ჟურნალისტი.

აქედან გამომდინარე, მოცემულ თავში ჩვენ შევეცდებით გავაშუქოთ კომერციული იურიდიული პირების როგორც გამოხატვის თავისუფლების განმხორციელებელი სუბიექტების მიმართ მიმდინარე როგორც კლასიკური საქმეები, ისე სრულიად ახალი საქმეები. გარდა ამისა, შევეცდებით მოვიცვათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სამეწარმეო საქმიანობის ისეთი სხვადასხვა სახე, როგორებიცაა გაზეთი, ტელევიზია და ინტერნეტი.

ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კომერციული იურიდიული პირის საჩივრის შედეგად გამოხატვის თავისუფლების კუთხით განიხილა, გახლდათ საქმე *Sunday Times v. The United Kingdom*, სადაც განაცხადი სასამართლოში წარადგინა გამომცემელმა *Times Newspapers Limited*, აგრეთვე მისმა რედაქტორმა და ჟურნალისტთა ჯგუფმა. საგულისხმოა ის, რომ ეს საქმე თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე განიხილა სასამართლოს პლენარულმა სხდომამ 20 მოსამართლის შემადგენლობით და საბოლოო გადაწყვეტილება 1979 წლის 26 აპრილს იქნა მიღებული 11 ხმით 9 ხმის წინააღმდეგ. თვით ეს გარემოებაც (და 9 მოსამართლის განსხვავებული აზრის შინაარსიც) მეტყველებს იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ამ საქმეს გააჩნდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. გარდა ამისა, საკითხი ეხებოდა როგორც გამოქვეყნებული სტატიის შემდგომი

გამოქვეყნების აკრძალვას, ისე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი სტატიის გამოქვეყნებას.

საქმის არსი კი შემდეგში გახლდათ - 1958 წლიდან 1981 წლის ჩათვლით კომპანია Distillers Company Limited აწარმოებდა და ასევე რეკლამირებას უწევდა დიდ ბრიტანეთში გერმანიაში შექმნილი ინგრედიენტის ტალიდომილის საფუძველზე შექმნილ წამალს, რომელიც ძირითადად განკუთვნილი იყო ორსული ქალებისათვის და როგორც მწარმოებელი აცხადებდა გააჩნდა სედატიური ეფექტი²¹⁸. ამ წამლის მიღების შედეგად ქალების ნაწილს შეეძინათ ბავშვები, რომლებსაც ჯანმრთელობის სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნდათ და ასეთი ბავშვების ოდენობა დაახლოებით 450-ს შეადგენდა²¹⁹. ცხადია, რომ ამ ვითარებამ გამოიწვია დავა სასამართლოში, თუმცა მწარმოებელი კომპანია თანახმა იყო შეექმნა საქველმოქმედო ფონდი 3 250 000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით ბავშვების დასახმარებლად, რაზეც მშობელთა ნაწილი თანახმა იყო, და რასაც სასამართლოს თანხმობა ესაჭიროებოდა²²⁰.

სწორედ ამ დროს 1972 წლის 24 სექტემბერს გაზეთმა Sunday Times-მა გამოაქვეყნა სტატია, სადაც ფონდის ამ თანხას გროტესკულად მიიჩნევდა განცდილ ზიანთან მიმართებით, და მოუწოდებდა მწარმოებელ კომპანიას უფრო გულუხვი წინადადება შეეთავაზებინა. სტატიაში იყო ასეთი ფრაზა „შეთავაზებული თანხა შეადგენს 3.25 მილიონს განაწილებულს 10 წელზე. ეს თანხა ვერც კი შეედრება კომპანიის გასული წლის დაუბეგრავ მოგებას 64,8 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით და კომპანიის აქტივების მოცულობას, რაც 421 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. გაუფრთხილებლობის გათვალისწინების მიუხედავად, კომპანიამ კიდევ უნდა იფიქროს ამ წინადადებაზე“. აღსანიშნავია, რომ სტატიის სქოლიოში განმარტებულ იქნა, რომ გაზეთი გამოიკვლევდა თუ როგორც მოხდა ეს ტრაგედია²²¹.

1972 წლის 17 ნოემბერს სასამართლომ დააკმაყოფილა გენერალური პროკურორის მიმართვა დროებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ და გაზეთს აუკრძალა ამ მომავალი სტატიის გამოქვეყნება იმ საფუძველით, რომ ამას შეიძლებოდა მოეხდინა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა²²².

მართალია მომავალი სტატია არ გამოქვეყნდა, მაგრამ უკვე გამოქვეყნებულმა სტატიამ გამოიწვია საზოგადოებრივი აზრის

²¹⁸ Sunday Times v. The United Kingdom, [1979], ECHR, PS, (HUDOC), § 8.

²¹⁹ იქვე, § 9.

²²⁰ იქვე, § 10.

²²¹ იქვე, § 11.

²²² იქვე, § 11.

მობილიზება, რადიო და სატელევიზიო გადაცემების ეთერში გასვლა, თემთა პალატაში დებატების გამართვა და ა.შ., ხოლო 1973 წლის 30 ივლისს სასამართლომ დაამტკიცა მორიგების აქტი რომელთა პირობები სხვებთან ერთად იყო შემდეგი - ფონდის შეთანხმებულმა თანხამ 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა, ყოველი მოსარჩელე სარჩელის გატანის პირობების სანაცვლოდ მიიღებდა იმ თანხის 40%-ს რაც მას სარჩელის წარმატებით დასრულების შემთხვევაში უნდა მიეღო²²³.

საბოლოოდ 1976 წლის 23 ივნისს გენერალურმა პროკურორმა მიმართა სასამართლოს სტატიის გამოქვეყნების აკრძალვის დროებითი ღონისძიების გაუქმების შესახებ მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა და 4 დღის შემდეგ სტატია გამოქვეყნდა, რომელიც მოიცავდა შემდეგ ინფორმაციას

- არ იყო ჩატარებული საჭირო რაოდენობისა და სრულყოფილი კვლევები;
- არ იყო გამჟღავნებული სამედიცინო და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემები, რომ ტალიდომიდთან დაკავშირებული წამლები იწვევა ახალშობილებში ნაკლოვანებებს;
- რეკლამირების დაწყებამდე არ იყო ჩატარებული კვლევა თუ რა გავლენას ახდენდა წამალი ცხოველებზე;
- კომერციული მიზნებიდან გამომდინარე დაჩქარებული იყო წამლის რეკლამირება;
- არ იყო ახსნილი რომ ტალიდომიდს შეეძლო ნერვულ სისტემაზე გავლენის მოხდენა, რაც თავისთავად იქნებოდა მინიშნება რომ მას შეეძლო ნაყოფისთვის ზიანის მიყენება და ა.შ.²²⁴.

ამ სტატიის 1972 წლის აკრძალვა გაზეთმა გაასაჩივრა ჯერ პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაგრამ გასაჩივრების შედეგად სააპელაციო სასამართლომ ეს აკრძალვა გააუქმა, თუმცა საბოლოოდ ლორდთა პალატამ მხარი დაუჭირა სტატიის დროებითი აკრძალვას²²⁵. სწორედ ეს აკრძალვა გასაჩივრდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელმაც მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კანონის მისაწვდომობისა და განჭვრეტადობის კრიტერიუმების დაკმაყოფილება გართულებული იყო ლორდა პალატის წევრთა მიერ ასეთი დროებითი ღონისძიების მიმართ სხვადასხვა პრინციპების გამოყენებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებულ იქნა ე.წ. „ზემოქმედების პრინციპი“ რომლის მიხედვით აშკარა მცდელობა ზემოქმედება მოახდინო მიმდინარე მორიგების

²²³ იქვე, § 15.
²²⁴ იქვე, § 17.
²²⁵ იქვე, § 22-34;

პროცედურაზე მხარეზე საჯარო წნეხის დაკისრების გზით წარმოადგენდა სასამართლოს უპატივცემულობას, პრინციპი, რაც ზოგიერთმა ლორდმაც გაიზიარა²²⁶. ამასთან, ვინაიდან თავად განმცხადებელი სადავოდ არ ხდიდა თუ რა იგულისხმებოდა „ზემოქმედების პრინციპში“ და არსებობდა შესაბამისი პრეცედენტები, ევროსასამართლოს აზრით ეს პრინციპი სათანადო სიზუსტით იყო ჩამოყალიბებული²²⁷. ამდენად, ევროსასამართლოს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა კანონით იყო გათვალისწინებული, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ კანონი სასამართლოს უპატივცემულობის შესახებ ემსახურებოდა მართლმსაჯულების ავტორიტეტის და მიუკერძოებლობის დაცვას, ასევე - მოდავე მხარეების უფლებების დაცვას, განმცხადებლის უფლებაში ჩარევას ლეგიტიმური მიზანი გააჩნდა²²⁸.

ყველაზე დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა, საჭირო იყო თუ არა ასეთი ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში. თუმცა ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თუ სტატია თავს დროზე დაიბეჭდებოდა, მწარმოებელ კომპანიას მოუწევდა თავისი არგუმენტების საჯაროდ და პროცესის დაწყებამდე გამჟღავნება, მაგრამ ეს ფაქტები ვერ გააბათილებდა საქმის მიმართ არსებულ საჯარო ინტერესს მხოლოდ იმის გამო, რომ ეს არგუმენტები მიმდინარე პროცესის საფუძველს წარმოადგენდა და გარკვეული ფაქტებისათვის ნათელის მოფენის მეშვეობით სტატია შეეძლო სპეკულატიური და დაუსაბუთებელი დისკუსიის შენელება²²⁹. სწორედ ამ გარემოების გამო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეზღუდვა არ იყო ლეგიტიმური მიზნის პროპორციული და არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს ავტორიტეტის შესანარჩუნებლად, რის გამოც მე-10 მუხლი დარღვეულად გამოცხადდა.

მოგვიანებით უკვე 1991 წელს განხილულ საქმეში იმავე მოსარჩელის განცხადებისა გამო Sunday Times v. The United Kingdom (No 2), ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს ისევ პლენარულმა სესიამ 24 მოსამართლის შემადგენლებით უკვე ერთხმად დაუჭირა მხარი მე-10 მუხლის დარღვევას გაერთიანებული სამეფოს მხრიდან. საქმის არსი კი შემდეგში იყო - გაერთიანებული სამეფოს სადაზვერვო სამსახურის ყოფილა მუშაკმა, რომელმაც ამ სისტემაში 1955-1976 წლებში იმუშავა, ყოფილი დამჭირავებლის თანხმობის გარეშე დაწერა მემუარები, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მიმოიხილავდა ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის მუშაობის ისეთ თემებს როგორც იყო შეღწევა სხვადასხვა

²²⁶ იქვე, § 50.

²²⁷ იქვე, § 51.

²²⁸ იქვე, § 55-57.

²²⁹ იქვე, § 66

დაწესებულებაში, მოსასმენი აპარატურის დაყენება, სხვადასხვა სახის ფარული თუ უკანონო საქმიანობის განხორციელება და ა.შ.²³⁰. 1986 წლის 27 ივნისს წიგნის ბრიტანეთში გამოცემის გენერალური პროკურორის დროებითი აკრძალვას მხარი დაუჭირა ასევე სასამართლომა²³¹. ამ წიგნის გამოცემა იგეგმებოდა ავსტრალიაში და აშშ-ში, რის გამოც გაზეთმა Sunday Times-მა ავსტრალიელი და ამერიკელი გამომცემლებისაგან შეიძინა წიგნის სერიალებად გამოცემის უფლება, რის გამოც მის მიმართ გენერალურმა პროკურორმა წამოიწყო პროცედურა სასამართლოსადმი უპატივცემულობის მოტივით, რადგან ასეთი გამოქვეყნება იქნებოდა ადრე გამოყენებული ზემოხსენებული უზრუნველყოფის დარღვევა²³². საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ წიგნი გამოქვეყნდა აშშ-ში, ავსტრალიაში, კანადაში, ირლანდიაში, ითარგმნა სხვადასხვა ენაზე, ინგლისის სასამართლოების ყველა ინსტანციამ ლორდთა პალატის ჩათვლით გამოქვეყნების აკრძალვას მხარი დაუჭირა²³³.

Sunday Times-მა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და აღნიშნა, რომ გამოქვეყნების დროებითი აკრძალვა არღვევდა მე-10 მუხლს, თუმცა სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ ჩარევა „კანონით იყო განსაზღვრული“ და მიზნად ისახავდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, რაც პრინციპში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც გაიზიარა, თუმცა იქვე დადგა ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რამდენად აუცილებელი იყო ეს ყველაფერი დემოკრატიულ საზოგადოებაში²³⁴. აქ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ წიგნი უკვე დაიბეჭდა აშშ-ში და ასეთ ვითარებაში „სასამართლოს ავტორიტეტის შენარჩუნების მიზნით“ გამოქვეყნების აკრძალვის შენარჩუნება აღარ წარმოადგენდა მე-10 მუხლით განსაზღვრული საკმარის საფუძველს, ხოლო რაც შეეხებოდა ეროვნული ინტერესების დაცვას, წიგნის აშშ-ში გამოქვეყნებით უსაფრთხოებისათვის მისადგომი სავარაუდო ზიანის დიდი ნაწილი უკვე მიყენებულ იქნა, ხოლო მისი ავტორის დასასჯელად სხვა პირებისათვის ანუ გაზეთის მიმართ აკრძალვის გამოყენების ლეგიტიმურობა ეჭვს იწვევდა და ამავე დროს, წიგნის აშშ-ში გამოქვეყნების შემდეგ გაზეთისათვის იმ ინფორმაციის გამოქვეყნების აკრძალვა, რაც უკვე ხელმისაწვდომი იყო, არღვევდა გაზეთის უფლებას გავერცელებინა ინფორმაცია, რაც საბოლოო ჯამში არ

²³⁰ Sunday Times v. The United Kingdom (No 2), [1991], ECHR, PS, (HUDOC), § 11.

²³¹ იქვე § 17-18.

²³² იქვე § 27.

²³³ იქვე § 38-44.

²³⁴ იქვე § 49.

იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს²³⁵.

მართალია ამ ორივე, ისევე როგორც ბევრ სხვა საქმეში დაფიქსირდა მე-10 მუხლის დარღვევა, მაგრამ ისე არ უნდა ვიფიქროთ კომერციული იურიდიული პირის მიერ წარდგენილი ნებისმიერი საჩივარი განწირულია დასაკმაყოფილებლად. ცხადია ეს ასე არაა, და თუნდაც ასეთმა საჩივარმა გადალახოს დასაშვებობის ეტაპი, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი განცხადება შეიძლება დაკმაყოფილდეს.

ზემოთმოყვანილ საქმეებში ყველგან მე-10 მუხლის დარღვევა დაფიქსირდა და ძირითადად იმ თვალსაზრისით, რომ ევროსასამართლო ვერ ადგენდა ჩარევის აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ ეს გარემოება ისე არ უნდა იყოს გაგებული, რომ გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე კომერციული იურიდიულ პირებს უცილობელი წარმატება ელით კონვენციის დარღვევის მტკიცების რთულ გზაზე.

სწორედ ამის კლასიკური მაგალითია უაღრესად საინტერესო და სხვებთან (მათ შორის თავად ერთ-ერთ თანამოსარჩელის მონაწილეობით განხილული სხვა საქმესთან შედარებით) ნაკლებად გამუქებული საქმე Axel Springer SE and RTL Television GmbH v. Germany, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩარევა გამართლებულად მიიჩნია „დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

მოცემულ საქმეში პირველი მოსარჩელე Societas Europea-ს სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებული საგამომცემლო სახლი გახლდათ და ხოლო მეორე კი შპს-ს ფორმით არსებული სამაუწყებლო კომპანია, რომელთა ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ სისხლის სამართლის ერთ-ერთ პროცესს, სადაც იხილებოდა 28 წლის მამაკაცის მიერ თავისი მშობლების მკვლელობის, მათი სხეული დანაწევრების, ნაწილის დაწვის, ნაწილის კი სხვაგვარი ფორმით თავიდან მოშორების ბრალდების საქმე, სადაც ბრალდებულმა აღიარა მის მიერ ჩადენილი ქმედება, თუმცა ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით იგი დაავადებული იყო შიზოფრენიის გარკვეული ფორმით ბრალად შერაცხული ქმედების განხორციელებისას²³⁶.

ამ ფაქტის შესახებ საზოგადოებას აუწყა ზოგიერთმა გაზეთმა და პრესაში დაიბეჭდა ბრალდებულის ძალზედ დიდ ხნის წინათ გადაღებული სურათი, პირველი სხდომის დაწყებამდე 2011 წლის 11 იანვარს სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ დამსწრე ფოტოგრაფებსა

²³⁵ იქვე § 52-56.

²³⁶ Axel Springer SE and RTL Television GmbH v. Germany, [2017], ECHR, (HUDOC), § 5-7

და ოპერატორებს პირდაპირ განუმარტა ზეპირი ფორმით, რომ მათ შეეძლოთ ბრალდებულის ფოტო გამოექვეყნებინათ მხოლოდ არაიდენტიფიცირებადი ფორმით, მაგრამ ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი პირები ვეღარ დაესწრებოდნენ შემდეგ სასამართლო განხილვებს²³⁷. მეორე დღესვე შეტანილ საჩივარზე სხდომის თავმჯდომარემ წერილობით განმარტა, რომ იგი ვალდებული იყო მოეხდინა ინფორმირების თაობაზე საზოგადოებრივი ინტერესსა და ბრალდებულის პირადი ცხოვრების უფლებებს შორის ბალანსის დაცვა და მით უფრო მაშინ, როცა ეს საქმეზე თანამოსარჩელე ტელევიზიის გარდა, არცერთ სხვა ეროვნულ მაუწყებელს არ გაუშუქებია, ხოლო ბრალდებული არ წარმოადგენდა საჯარო პირს, რომელმაც პირდაპირ ითხოვა, რომ მისი ვინაობა არ გამჟღავნებულიყო, მოსამართლის აზრით ეს გარემოებები გადასწონიდა ინფორმაციის მიღების საჯარო ინტერესს²³⁸.

გერმანიის კანონმდებლობით სხდომის მიმდინარეობისას წესრიგის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი იყო სხდომის თავმჯდომარე, რომელსაც შეეძლო გარკვეული ზომების მიღება კანონის თანახმად მათ შორის დამრღვევის დაკავების უფლებაც გააჩნდა, თუმცა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2007 წელს მიღებული გადაწყვეტილებით დადგინდა ისიც, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე სხდომის თავმჯდომარეს შეეძლო სანქციების მიღება ფოტო-ვიდეო გადაღებასთან დაკავშირებითაც, ხოლო სხვა საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებით საკონსტიტუციო სასამართლო ზოგადად განმარტავდა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე სტატიასთან ერთად სურათის გამოქვეყნება უდანაშაულობის პრეზუმპციის გამო შეიძლებოდა შეზღუდულიყო ან ძალზედ დაბალანსებული უნდა ყოფილიყო, ხოლო შერაცხული ბრალის სიმძიმიდან გამომდინარე შეეძლო გამოეწვია არა მარტო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, არამედ მოპასუხის სტიგმატიზირების მაღალი რისკიც²³⁹.

ევროსასამართლომ გადაწყვეტილებაში ასევე მოიყვანა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 10 ივლისის #13 რეკომენდაცია „სისხლის სამართლის საქმეებზე ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“, სადაც მოცემული საქმისათვის მეტად მნიშვნელოვანი დებულებები იყო მოცემული:

„პრინციპი 8 - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა მიმდინარე სისხლის სამართლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.

²³⁷ იქვე, § 9-10
²³⁸ იქვე, § 15.
²³⁹ იქვე, § 22-23

ინფორმაციის მიწოდება ექვმიტანილებზე, ბრალდებულებსა და განსასჯელებზე ან სისხლის სამართლის საქმის სხვა მხარეებზე პატივის უნდა სცემდეს კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარებიან არასრულწლოვანები ან სხვა მოწყვლადი პირები, ისევე როგორც მსხვერპლნი, მოწმენი, და ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ოჯახის წევრები. ყველა შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ დამაზიანებელ შედეგს, რაც შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის გავრცელებამ, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პრინციპში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციას.

პრინციპი 14. - სასამართლო სხდომის დარბაზიდან პირდაპირი მაუწყებლობა და ჩაწერა

სასამართლო სხდომის დარბაზიდან პირდაპირი მაუწყებლობა და ჩაწერა არ უნდა იქნეს დაშვებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირაა განსაზღვრული კანონით ან მართლმსაჯულების სათანადო ორგანოს მიერ. ასეთი ჩაწერა შეიძლება დაიშვებოდეს მაშინ როცა ამას არ შეიძლება იქონიოს არასათანადო ზეგავლენის სერიოზული რისკი მსხვერპლებზე, მოწმეებზე, სისხლის სამართლის საქმის მხარეებზე, ნაფიც მსაჯულებზე ან მოსამართლეებზე²⁴⁰.

საბოლოოდ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა რა განმცხადებელთა პრეტენზია მე-10 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ მიუხედავად სხდომის თავმჯდომარის უფლებების კანონის მიერ ზოგადი და ბუნდოვანი შინაარსით ჩამოყალიბებისა, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებმა განსაზღვრა სხდომის თავმჯდომარის უფლებების კრიტერიუმები, რის გამოც შეზღუდვა მოექცა „კანონით განსაზღვრულ“ ჩარევაში, ხოლო ის, რომ ასეთ ჩარევას ლეგიტიმური მიზანი - სხვა პირის უფლების დაცვა - ჰქონდა, ეს სადავო არც იყო²⁴¹. ამდენად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, აუცილებელი იყო თუ არა ასეთი ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში, კვლავ გახდა გადამწყვეტი გარემოება მე-10 მუხლის დარღვევისა თუ დაურღვევლობის შეფასებისას. ევროსასამართლომ მოიყვანა მის მიერ დადგენილი ძირითადი კრიტერიუმები და განმარტა, რომ პრესამ არ უნდა გადააბიჯოს გარკვეულ ფარგლებს განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებზე განსასჯელების პირადი ცხოვრების დაცვისა და უდანაშაულობის პრეზუმპციის დაცვის კუთხით, ხოლო სახელმწიფოს კი გააჩნდა

²⁴⁰ იქვე, § 24.

²⁴¹ იქვე, § 37-38.

გარკვეული მიხედულობა ჩარევის აუცილებლობისა და ჩარევის მოცულობის შეფასების თვალსაზრისით²⁴².

ევროსასამართლომ არ მიიჩნია, რომ ინფორმაციას განსასჯელის ფიზიკური გარეგნობის შესახებ არსებითად შეეძლო ხელი შეეწყო ამ საქმის ირგვლივ დებატებში, ხოლო თავად განსასჯელი არ იყო საჯარო პირი და მართალია სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ მხედველობაში არ მიიღო განსასჯელის ადრე გამოქვეყნებული სურათი, მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა საქმეზე ყველა პუბლიკაციის შესახებ, ხოლო გერმანული პრესა მხოლოდ დრო და დრო აწვდიდა ხოლმე საზოგადოებას ინფორმაციას ამ საქმის თაობაზე, მით უფრო რომ სხდომის დროს გადაღებული სურათებზე პირი შეიძლება გამოჩენილიყო დიდი განცდებისა და შეზღუდული თვითკონტროლის ქვეშ, ამასთან ეს პირი თავისი ნებით კი არ იღებდა მონაწილეობას სხდომაში, არამედ ვალდებული იყო დასწრებოდა სხდომებს²⁴³.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე გაითვალისწინა მინისტრთა კომიტეტის ზემოხსენებული რეკომენდაცია და განმარტა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება არ ყოფილა მეტად მკაცრი და შეზღუდვა შეეხებოდა არა სურათის გადაღებას არამედ მის ისეთი სახით გამოქვეყნებას, სადაც შეიძლებოდა განსასჯელი ამოეცნოთ, მაგრამ სხდომის შესახებ ყველა სხვა სახის მონაცემის გამოქვეყნებაზე ეს შეზღუდვა არ გავრცელებულა, რის გამოც ევროსასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლის ასეთ გადაწყვეტილებას განმცხადებელ კომპანიებზე ე.წ. „მსუსხავი ეფექტი“ არ მოუხდენია, ხოლო ყველაფერ ამის გათვალისწინებით მოსამართლის ბრძანება იყო მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული, ვინაიდან სხდომის თავმჯდომარემ აარჩია ყველაზე ნაკლებ შემზღუდავი ღონისძიება რამდენიმე შესაძლო ღონისძიებიდან, რის გამოც ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და მე-10 მუხლი არ ყოფილა დარღვეული²⁴⁴. ამდენად, გამოხატვის თავისუფლების ყველა შესაძლო შემთხვევას კომერციული იურიდიული პირების შემთხვევაშიც არ მიეყავართ მე-10 მუხლის უცილობელ დარღვევამდე.

ინტერნეტის როგორც კომერციის, ისე ინფორმაციის წყაროს განვითარებამ ხელი შეუწყო გამოხატვის სულ უფრო და უფრო ახალი ფორმების წარმოშობას. ცხადი იყო, რომ ასეთ გამოხატვას ადრე თუ გვიან შეეძლო ამა თუ იმ სახის დავის წარმოშობა, რაც გამოიწვევდა ინტერნეტით განხორციელებული გამოხატვის არა მხოლოდ მოწესრიგებას

²⁴² იქვე, § 40-41.
²⁴³ იქვე, § 46-53
²⁴⁴ იქვე, § 58-59.

სახელმწიფოთა მხრიდან, არამედ ასეთი მოწესრიგების შეფასებასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. სწორედ ასე მოხდა დიდი პალატის მიერ განხილულ საქმეზე Delfi AS v. Estonia. ჩვენ მოკლედ შევხებით ამ საქმეს წინა საკითხზე მსჯელობისას, მაგრამ ამ საქმის მოკლე მიმოხილვის გარეშე ჩვენი მსჯელობა კომერციულ იურიდიულ პირთა გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ არასრული იქნებოდა. Delfi AS v. Estonia იყო ის უმნიშვნელოვანესი საქმე, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ამასთან, დიდი პალატის ფორმატში) პირველად განსაზღვრა ინტერნეტით სარგებლობისა (მათ შორის კომერციული სარგებლობის) და გამოხატვის ძირითადი პრინციპები და ამით ფაქტიურად დაამკვიდრა ის მთავარი პრეცედენტი, რაც ამოსავალი წერტილი გახდა ინტერნეტით ინფორმაციის გავრცელებიდან გამომდინარე სხვა ბევრი დავისთვისაც. ამდენად, ამ საქმის მოკლე მიმოხილვა უზრალოდ აუცილებელია ინტერნეტით გამოხატვის საკითხის განხილვისათვის.

განმცხადებელი Delfi AS იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის საქმიანობის არსს წარმოადგენდა საინფორმაციო პორტალზე ახალი ამბების (დაახლოებით 330 ახალი ამბის) განთავსება, რის გამოც იგი ითვლებოდა ესტონეთში ერთ-ერთ უდიდეს საინფორმაციო პორტალად და ინფორმაცია ქვეყნებოდა ესტონურ და რუსულ ენებზე²⁴⁵. Delfi-ის ვებ-გვერდს ასევე გააჩნდა მომხმარებლის მიერ კომენტარის დატოვების შესაძლებლობა, ხოლო ამ კომენტარის წაკითხვა სხვა მომხმარებლებს შეეძლოთ „წაკითხვით კომენტარის“ ღილაკზე დაწკაპუნების მეშვეობით, თუმცა კომენტარები არ რედაქტირდებოდა, ისინი ავტომატურად იტვირთებოდა და მათი ოდენობა ყველა სტატიაზე დაახლოებით 10 000-ს შეადგენდა²⁴⁶. მიუხედავად ამისა, არსებობდა ე.წ. „შეტყობინებებისა და წაშლის სისტემა“ და თუ რომელიმე მკითხველი მიიჩნევდა, რომ კომენტარი შეურაცხმყოფელი იყო მას შეეძლო მისი მონიშვნა და ამ შემთხვევაში ხდებოდა მისი წაშლა, ხოლო თუ პირი მიიჩნევდა რომ იყო ცილისმწამებლური კომპანიის მსხვერპლი, მას შეეძლო მიემართა განმცხადებლისათვის და ამ შემთხვევაშიც ხდებოდა კომენტარის წაშლა²⁴⁷. ცხადია, რომ არსებობდა პორტალზე კომენტარის გაკეთების წესებიც, რომელიც „კომენტარების გაკეთების წესების“ გრაფაში იყო განთავსებული და სხვა დებულებებთან ერთად მოიცავდა გაფრთხილებას რომ კომენტარის შინაარსზე პასუხისმგებელი იყო კომენტარის ავტორი და რომ დელფი კრძალავდა ისეთ კომენტარს,

²⁴⁵ Delfi AS v. Estonia, [2015], ECHR, GC, (HUDOC), § 11.

²⁴⁶ იქვე, §. 12.

²⁴⁷ იქვე §. 13.

რომელიც შეიცავდა მუქარას, იყო შეურაცხყოფელი, აქეზებდა სიძულვილისა და ძალადობისაკენ, იყო ვულგარული და ა.შ.²⁴⁸.

2006 წლის 14 იანვარს გამოქვეყნდა სტატია ერთ-ერთი გადაშინდავი კომპანიის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა გადაზიდვას ესტონეთში მატერიკსა და ზოგიერთ კუნძულს შორის და ამ კომპანიას ხელმძღვანელობდა ფიზიკური პირი „ლ“, რომელიც იყო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და ძირითადი აქციონერი²⁴⁹. ამ სტატიას მოჰყვა 185 კომენტარი მომდევნო ორი დღის განმავლობაში მათ შორის 20 კომენტარი იყო უადრესად შეურაცხყოფელი ან მუქარის შემცველი „ლ“-ის მიმართ, თუმცა „ლ“-მა ამ კომენტარების წაშლის მოთხოვნით განმცხადებელს მხოლოდ 6 კვირის შემდეგ მიმართა, რაც მოთხოვნის დღესვე შესრულებულ იქნა²⁵⁰.

მიუხედავად ამისა, „ლ“-მა სამოქალაქო სამართალწარმოება წამოიწყო განმცხადებლის მიმართ, რაც საბოლოოდ დასრულდა უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით, რომელმაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაცია შეცვალა, ხოლო დაკისრებული თანხის ოდენობა - 320 ევრო უცვლელად დატოვა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ 2013 წლის გადაწყვეტილებაში განმარტა რომ ამ შემთხვევაში მე-10 მუხლი არ იყო დარღვეული²⁵¹.

სწორედ ასეთ ფაქტობრივ მოცემულობაში გადაეცა საქმე ევროსასამართლოს დიდ პალატას, რომელმაც მიმოიხილა რა ესტონეთის სასამართლო პრაქტიკა და კანონმდებლობა ამ მიმართულებით, განიხილა რა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები, ევროკავშირის დირექტივები და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, მესამე პირად ჩართული მედიის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „მოცემული საქმე შეეხებოდა ინტერნეტ სივრცეში მომუშავე საინფორმაციო პორტალების “უფლებებსა და მოვალეობებს”, კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, როდესაც ისინი კომერციული მიზნებისთვის ქმნიან პლატფორმას მანამდე გამოქვეყნებულ კონტენტზე მომხმარებელთა კომენტარების განსათავსებლად, ხოლო ზოგიერთი მომხმარებლის (მათ შორის, ანონიმური მომხმარებლის) აშკარად უკანონო კომენტარები არღვევს სხვათა პიროვნულ უფლებებს და წარმოადგენს მათ წინააღმდეგ სიძულვილის ენას და ძალადობის

²⁴⁸ იქვე §. 14.

²⁴⁹ იქვე §. 16.

²⁵⁰ იქვე, §. 19-20.

²⁵¹ იქვე, §. 21-65.

წაქეზებას. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმე უკავშირდება ინტერნეტ-სივრცეში მომუშავე მსხვილ კომერციულ საინფორმაციო პორტალს, რომელიც იმართება პროფესიონალთა მიერ, აქვეყნებს საკუთარ საინფორმაციო სტატიებს და მკითხველებს ამ სტატიებზე კომენტარის განთავსების შესაძლებლობას სთავაზობს. შესაბამისად, საქმე არ შეეხება ინტერნეტ-სივრცეში მოქმედ სხვა ფორუმებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მესამე მხარის კომენტარების გავრცელება - მაგალითად ინტერნეტის სადისკუსიო ფორუმები ან ბულეტენ-ბორდები, სადაც მომხმარებლები საკუთარ მოსაზრებას თავისუფლად გამოხატავენ ნებისმიერ თემაზე, ხოლო ფორუმის მენეჯერს მომხმარებელთა დისკუსიაში არანაირი წვლილი არ შეაქვს; ან სოციალური მედიის პლატფორმას, სადაც კონტენტის შეთავაზება ხდება არა პლატფორმის პროვაიდერების არამედ კერძო პირის მიერ, რომელიც ჰობის სახით მართავს საკუთარ ვებ-გვერდს ან ბლოგს.²⁵² ესტონეთის კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე დიდი პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით, ვინაიდან ამის შესახებ დებულებებს მოიცავდა ვალდებულებების შესახებ კანონი და კონსტიტუცია, აგრეთვე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები საკმარისი სიზუსტით ადგენდა ვალდებულებებს და განმცხადებელი როგორც „პროფესიონალი გამომცემელი, უნდა გაცნობოდა შესაბამის კანონმდებლობასა და პრეცედენტულ სამართალს; მას აგრეთვე შეეძლო მიემართა იურიდიული კონსულტაციისთვის. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივან კომპანიას შესაძლებლობა ჰქონდა შეეფასებინა მის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და გონივრულობის ფარგლებში წინასწარ განეჭვრიტა თანმდევი შედეგები²⁵³“. ჩარევის ლეგიტიმური მიზანი - სხვების რეპუტაციისა და უფლებების დაცვა - სადავო არ გამხდარა, ხოლო თუ რამდენად იყო ასეთი ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებაში“ დიდმა პალატამ ამისათვის საჭიროდ ჩათვალა რამდენიმე ასპექტის განსაკუთრებით გამოყოფა და განხილვა

- კომენტარების კონტექსტი;
- განმცხადებლის მიერ განხორციელებული ზომები ცილისმწამებლური კომენტარების თავიდან ასაცილებლად ან წასაშლელად;
- კომენტარების ავტორთა პასუხისმგებლობა - როგორც განმცხადებლის პასუხისმგებლობის ალტერნატივა

²⁵² იქვე, § 115-116.
²⁵³ იქვე, § 129.

- ეროვნულ სასამართლოებში წარმოებული საქმის შედეგები განმცხადებლისათვის²⁵⁴.

დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ თავად სტატია იყო დაბალანსებული და არ შეიცავდა შეურაცხმყოფელ ფრაზებს, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საინფორმაციო პორტალის თავისებურებას კერძოდ, “დელფი” ინტერნეტ-სივრცეში პროფესიონალური თვალსაზრისით ადმინისტრირებას უწევდა კომერციულ საინფორმაციო პორტალს, რომელიც პორტალზე გამოქვეყნებულ სტატიებზე მრავლობითი კომენტარების მოზიდვას ისახავდა მიზნად, ვინაიდან უზენაესი სასამართლოს მიერ ხაზგასმით აღინიშნა ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა თავის საინფორმაციო პორტალში მოახდინა კომენტარების ველის ინტეგრირება და ვებ-გვერდის ვიზიტორებს სთავაზობდა თავიანთი დასკვნებისა და მოსაზრებების (კომენტარების) გამოხატვას პორტალზე გამოქვეყნებულ ახალ ამბებთან დაკავშირებით²⁵⁵ - „უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კომენტარებისათვის განკუთვნილ სივრცეში მომჩივანი მომხმარებლებს აქტიურად მოუწოდებდა, განეთავსებინათ კომენტარი პორტალზე გამოქვეყნებულ საინფორმაციო სტატიებთან დაკავშირებით, ხოლო პორტალზე განთავსებული რეკლამებიდან მიღებული შემოსავალი ვიზიტორთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს დასკვნის თანახმად, მომჩივან კომპანიას კომენტარების გამოქვეყნებაში კომერციული ინტერესი ჰქონდა“²⁵⁶.

გარდა ამისა, მნიშვნელოვან გარემოებად იქნა მიჩნეული აგრეთვე ის, რომ „ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული წესების თანახმად, მომჩივან კომპანიას ეკრძალებოდა უშინაარსო და/ან თემის შეუსაბამო კომენტარების გამოქვეყნება; აგრეთვე, ისეთი კომენტარების გამოქვეყნება, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა კარგ პრაქტიკას, შეიცავდა მუქარას, შეურაცხყოფას, ვულგარულ ან უხამს გამონათქვამს, აქეზებდა მტრობას, ძალადობას ან უკანონო ქმედებას. ასეთი კომენტარები ექვემდებარებოდა წაშლას, ხოლო მათ ავტორს შესაძლოა შეზღუდვოდა კომენტარების გამოქვეყნების შესაძლებლობა. ამასთან, კომენტარების ავტორებს არ შეეძლოთ მომჩივანი კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსებული კომენტარების შეცვლა ან წაშლა - შესაბამის ტექნიკურ საშუალებებზე ხელი მხოლოდ კომპანიას მიუწვდებოდა. აღნიშნულისა და უზენაესი სასამართლოს მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლო ეთანხმება პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მომჩივან კომპანიას გააჩნდა თავის პორტალზე

²⁵⁴ იქვე, § 142.

²⁵⁵ იქვე, § 144.

²⁵⁶ იქვე.

განთავსებული კომენტარების გაკონტროლების საკმაო შესაძლებლობა. საბოლოო ჯამში, დიდი პალატა ეთანხმება უზენაესი სასამართლოს დადგენილებას იმის თაობაზე, რომ მომჩივანი კომპანიის მონაწილეობა პორტალზე გამოქვეყნებულ საინფორმაციო სტატიებთან დაკავშირებით განთავსებული კომენტარების გასაჯაროებაში პასიური, ჭეშმარიტად ტექნიკური სერვისის მიმწოდებლის როლს სცდება²⁵⁷.

რაც შეეხებოდა კომენტარების ავტორთა პასუხისმგებლობას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ინტერნეტ მომხმარებლების ანონიმურობის დაცვა ინტერნეტ მომხმარებლების ინტერესებში შედიოდა რადგან იგი იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალ მოძრაობას უწყობდა ხელს, ამასთან ინტერნეტ-სივრცეში ანონიმურობის რამდენიმე დონე არსებობდა²⁵⁸, მაგრამ „წინამდებარე საქმეში უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დაზარალებულ პირს უფლება აქვს თავად აირჩიოს, ვის წინააღმდეგ შეიტანოს საჩივარი - კომპანიის თუ კომენტარების ავტორების წინააღმდეგ. სასამართლო ითვალისწინებს, რომ კომენტარების ავტორთა ვინაობის გასამყლავნებელი ღონისძიებების არასაიმედო ეფექტურობა, აგრეთვე, ინტერნეტ-პორტალზე მომხმარებელთა ვინაობის დასადგენი იმ მექანიზმების არარსებობა, რომელიც სიძულვილის ენის სავარაუდო დაზარალებულს კომენტარების ავტორების წინააღმდეგ საჩივრის აღძვრის შესაძლებლობას მისცემდა, ამყარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება შესაბამის და საკმარის საფუძველს ეყრდნობოდა. სასამართლო აღნიშნულ კონტექსტში მიუთითებს Krone Verlag (#4) საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც ცილისწამებით მიყენებული ზიანის შესაძლო კომპენსაციის ტვირთის მედია კომპანიაზე დაკისრება, რომელიც, როგორც წესი, ცილისმწამებელ პირზე უკეთეს ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც ასეთი, მედია კომპანიის გამოხატვის თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევას არ წარმოადგენს²⁵⁹“.

დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ „წინამდებარე საქმეში განსახილველ მთავარ საკითხს წარმოადგენს ის, თუ რამდენად ეყრდნობოდა შესაბამის და საკმარის საფუძველს ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივან კომპანიაზე დაკისრებული პასუხისმგებლობა გამართლებული იყო რადგან მან კომენტარები გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ არ წაშალა. შესაბამისად, პირველ რიგში სასამართლომ უნდა განიხილოს

²⁵⁷ იქვე, § 146.
²⁵⁸ იქვე, § 147-148.
²⁵⁹ იქვე § 151.

საინფორმაციო პორტალზე იმ მექანიზმების არსებობის საკითხი, რომლებიც სიძულვილის ენის შემცველი თუ ძალადობის წამქეზებელი კომენტარების გაფილტვრის შესაძლებლობას იძლევა²⁶⁰. მაგრამ მიუხედავად მიღებული ზომებისა (გაფრთხილება, პასუხიმგებლობის საკითხის ავტორებზე დაკისრება, კომენტარების გამოქვეყნების წესების არსებობა, „შეტყობინება-წაშლის“ სისტემის არსებობა და ა.შ. დიდმა პალატამ განმარტა, რომ „სწრაფი რეაგირების ეფექტური პროცედურების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული სისტემა შესაფერისი მექანიზმი იქნებოდა მხარეთა უფლებებისა და ინტერესების დასაბალანსებლად. თუმცა, წინამდებარე საქმის მსგავს შემთხვევებში, სადაც მესამე მხარის (მომხმარებლის) მიერ განთავსებული კომენტარები სიძულვილის ენასა და პირდაპირ მუქარას შეიცავს პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ, სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით (იხ. ზემოთ, 136-ე პარაგრაფი) სასამართლოს მიაჩნია (იხ. ზემოთ, 153-ე პარაგრაფი), რომ სხვებისა და ზოგადად, საზოგადოების ინტერესები და უფლებები ხელისმომწერ სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებამოსილებას, ინტერნეტ სივრცეში მოქმედ საინფორმაციო პორტალს პასუხისმგებლობა დააკისროს და ამით არ დაარღვიოს კონვენციის მე-10 მუხლის მოთხოვნები იმ შემთხვევაში, თუ პორტალი არ განახორციელებს ღონისძიებებს ამკარად უკანონო კომენტარების დაუყოვნებლივ წასაშლელად, სავარაუდო დაზარალებულის ან მესამე მხარისაგან შეტყობინების მიღების გარეშე“²⁶¹.

ამავე დროს, დიდმა პალატამ განმარტა, რომ განმცხადებლისათვის 320 ევროს დაკისრება და ის, რომ მას ბიზნეს მოდელის შეცვლა არ დასჭირვებია, მიუთითებდა იმაზე, რომ ჩარევა არ ყოფილა არაპროპორციული, რის გამოც ევროსასამართლოს დიდმა პალატამ, პალატის მსგავსად მე-10 მუხლის დარღვევა არ დააფიქსირა²⁶².

ინტერნეტით განხორციელებულ გამოხატვასთან დაკავშირებით ერთ-ერთი უკანასკნელი განჩინებით ევროსასამართლომ განიხილა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეეხებოდა საინფორმაციო პორტალის მიერ ვიდეოჩანაწერის შემცველი ლინკის განთავსებას თავის ვებ-გვერდზე. კერძოდ, საქმეში Magyar Jeti Zrt v. Hungary დგინდებოდა, რომ განმცხადებელი კომპანია იყო პოპულარული უნგრული საინფორმაციო პორტალი 444.hu -ს ოპერატორი (რომელსაც გააჩნდა დაახლოებით 250 000 მნახველი დღეში და აქვეყნებდა ყოველდღიურად დაახლოებით 75 სტატიას მრავალ თემაზე, პოლიტიკის, ტექნოლოგიის, სპორტისა და

²⁶⁰ იქვე, §. 154.

²⁶¹ იქვე, § 159.

²⁶² იქვე, § 160-161.

კულტურის ჩათვლით)²⁶³. 2013 წლის 5 ივნისს სავარაუდოდ ნასვამი საფეხბურთო გულშემატკივრები მიდიოდნენ რა რუმინეთში საგულშემატკივროდ გააჩერეს თავიანთი ავტობუსი უპირატესად ბოშებით დასახლებული რეგიონის, კონიორის დაწყებითი სკოლის ეზოსთან, სადაც ისინი იქცეოდნენ გამომწვევად და პროვოკაციულად, რის აღსაკვეთად სკოლის მასწავლებელმა გამოიძახა პოლიცია და ბავშვები შენობაში შეიყვანა, ხოლო იმავე დღეს ადგილობრივ ბოშათა ლიდერმა ჯ.გ-მ გააკეთა ვიდეო კომენტარი ბოშათა თემაზე მომუშავე ადგილობრივი მედია ორგანიზაციისათვის, სადაც განაცხადა შემდეგი „Jobbik-ი *(მემარჯვენე პოლიტიკური პარტია, რომელიც მესამე იყო წარმომადგენელთა მიხედვით უნგრეთის პარლამენტში იმ დროისათვის)* მოვიდა, მათ სკოლაზე თავდასხმა განახორციელეს, ისინი იყვნენ Jobbik-ის წევრები, დარწმუნებული ვარ, ისინი იყვნენ Jobbik-ის წევრები“ და ეს ინტერვიუ იმავე დღეს აიტვირთა ამ მედია საშუალების მიერ Youtube-ზე²⁶⁴.

2013 წლის 6 სექტემბერს უკვე განმცხადებელმა იურიდიულმა პირმა გამოაქვეყნა სტატია თავის მართვაში არსებულ ვებ-გვერდზე 444.hu-ზე სადაც აღინიშნა, რომ „ბატონმა ჯ.გ-მ, ადგილობრივი ბოშათა მუნიციპალიტეტის პრეზიდენტმა, ისაუბრა ინციდენტის შესახებ. ბატონ ჯ.გ-სა და მშობელთან სატელეფონო საუბარი ატვირთულ იქნა Youtube-ზე²⁶⁵“. სიტყვები „ატვირთულ იქნა Youtube-ზე“ მწვანე ფერით იყო გამოხატული და ცხადად ჩანდა, რომ ეს სიტყვები იყო ლინკი Youtube-ზე არსებულ ვიდეოზე და მწვანე ტექსტზე დაწკაპუნებით მკითხველს შეეძლო ახალი ფანჯრის გახსნა რომელიც ხსნიდა ვიდეო ინტერვიუს, რომლის ჰოსტიც იყო ვებ-გვერდი Youtube.com., ამასთან, ამ ლინკის რეპროდუცირება თავიანთ ვებ-გვერდზე სამმა სხვა მედია საშუალებამაც მოახდინა²⁶⁶.

ზემოხსენებულმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ სარჩელი წარადგინა სასამართლოში 8 თანამოპასუხის, მათ შორის ჯ. გ-სა და განმცხადებლის, აგრეთვე სხვა მედია საშუალებების მიმართ ცილისწამების თაობაზე ამტკიცებდა რა რომ ფეხბურთის გულშემატკივრების Jobbik-ის სახელით მოხსენიებითა და Youtube-ზე არსებულ ვიდეოზე გადამყვანი ლინკის განთავსებით მოპასუხეებმა შელახეს მისი რეპუტაცია²⁶⁷. საბოლოოდ სასამართლოს ყველა ინსტანციაში განხილვის შედეგად ადგილობრივმა სასამართლოებმა მიიჩნეს რომ მოპასუხეებმა და მათ შორის განმცხადებელმა განახორციელეს

²⁶³ Magyar Jeti Zrt v. Hungary, [2018], ECHR, (HUDOC), § 6.

²⁶⁴ იქვე, § 7-8.

²⁶⁵ იქვე, § 9.

²⁶⁶ იქვე, § 9-10.

²⁶⁷ იქვე, § 12.

ცილისწამება, რაც შეიძლება განხორციელებულიყო არა მხოლოდ სიცრუის გავრცელებით, არამედ სხვა პირის მიმართ გამოქვეყნებული სიცრუის გავრცელებით, რის გამოც განმცხადებელს დაეკისრა ლინკის წაშლა მისი მიერ გამოქვეყნებული სტატიიდან 15 დღის ვადაში²⁶⁸.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადგილობრივ კანონმდებლობასთან ერთად კვლავ მოიხმო საერთაშორისო კანონმდებლობა და პრაქტიკა, მათ შორის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები # CM/Rec (2007) 16 და CM/Rec (2011) 7 და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმო იყო აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ გაეროს საგანგებო მომხსენებლის, მედიის თავისუფლების შესახებ ეუთოს წარმომადგენლისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ აფრიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის საგანგებო მომხსენებლის 2005 წლის 21 დეკემბრის ერთობლივი დეკლარაცია „არავინ არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი იმ ინტერნეტ კონტენტზე რომლის ავტორები თავად არ ყოფილან, გარდა იმ შემთხვევისა თუ მათ ან აღიარეს ეს კონტენტი თავისად ან არ დაემორჩილნენ სასამართლოს გადაწყვეტილებას ამოიღონ ეს კონტენტი“²⁶⁹. სასამართლომ ასევე მოიხმო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *C-160/15 GS Media BV v. Sanoma Media Netherlands BV, Playboy Enterprises International Inc., Britt Geertruida Dekker*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება no1 Bv.R 1248/11 , კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება *Crookes v. Newton (2011)*, და აშშ-ს მესამე ოლქის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Philadelphia Newspapers LLC (No. 11-3257)*²⁷⁰. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო არ იყო რომ ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებით ადგილი ჰქონდა ჩარევას მე-10 მუხლით განსაზღვრულ გამოხატვის თავისუფლებაში, ხოლო ჩარევა იყო თუ არა კანონით განსაზღვრული, ამაზე მსჯელობა სასამართლომ აღარ მიიჩნია არსებითად „დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობის“ თაობაზე სასამართლოს შემდგომი მოსაზრების გათვალისწინებით²⁷¹.

თავის გადაწყვეტილებაში ევროსასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლინკები (hyperlinks) წარმოადგენდნენ გადმოცემის გარკვეულ ფორმას, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა ტრადიციული სახის პუბლიკაციებისაგან იმით, რომ როგორც წესი მათ გადაჰყავდათ

²⁶⁸ იქვე, § 14-22.

²⁶⁹ იქვე, § 27-28.

²⁷⁰ იქვე, § 29-31.

²⁷¹ იქვე, § 56-68.

მომხმარებლები ინტერნეტის სხვა სივრცეში არსებულ კონტენტზე და ამასთან პირი, რომელიც იყენებდა ლინკს ინფორმაციაზე მისათითებლად არ ახორციელებდა იმ ვებ-გვერდის კონტენტის კონტროლს, რომელზედაც ამ ლინკს გადაჰყავდა მომხმარებელი და რომელიც შეიძლება შეცვლილიყო ლინკის შექმნის შემდეგ²⁷². ამიტომ ევროსასამართლო არ დაეთანხმა ეროვნულ სასამართლოებს, რომ მარტოდენ ლინკის მითითება ინფორმაციის გავრცელებას წარმოადგენდა და განმარტა, რომ განმცხადებელის როგორც ლინკის გამომქვეყნებლის პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი იყო რამდენიმე გარემოების ანალიზი, კერძოდ, ა) მოიწონა თუ არა ჟურნალისტიკა სადავო კონტენტი; ბ) გაიმეორა თუ არა ჟურნალისტიკა სადავო კონტენტი (მოწონების გარეშე); გ) განათავსა თუ არა ჟურნალისტიკა სადავო კონტენტის მხოლოდ ლინკი (მოწონების ან გამეორების გარეშე); დ) იცოდა თუ არა ჟურნალისტიკა ან გონივრულად შეიძლებოდა თუ არა სცოდნოდა რომ სადავო კონტენტი ცილისწამებას წარმოადგენდა ან სხვაგვარად იყო უკანონო; ე) მოქმედებდა თუ არა ჟურნალისტიკა კეთილსინდისიერად, ჟურნალისტური ეთიკის დაცვით და განახორციელა თუ არა საკითხის სათანადოდ გულისხმიერი გამოკვლევა, რასაც მოელიან პასუხისმგებლობის მქონე ჟურნალისტიკისაგან²⁷³.

ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტიკა სტატიაში მხოლოდ ახსენა ინტერვიუ, რომელიც ხელმისაწვდომი იყო Youtube-ზე და მასზე მისაწვდომად იქვე მიუთითა ლინკზე, თავად ინტერვიუზე კომენტარის გაკეთების, ინტერვიუს რომელიმე ნაწილის გამეორების გარეშე, და ასევე სტატიაში არ იყო საერთოდ რაიმე საუბარი პოლიტიკურ პარტიაზე, რამაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ გამომქვეყნებული სტატიით არ იყო მოწონებული ლინკით მისაწვდომი ინფორმაცია რაიმე ფორმით, ხოლო ჟურნალისტის დასჯა სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამომქვეყნების გამო სერიოზულად შეაფერხებდა პრესის როლს საჯარო ინტერესის მქონე საკითხების განხილვისას, ხოლო ლინკის განთავსების შეზღუდვის დაწესება ავტორებისა და გამომცემლებისათვის მითი უფრო როცა ისინი ვერ აკონტროლებენ ამ მასალების კონტენტს პირდაპირ ან არაპირდაპირ იქონიებდა მსუსხავ ეფექტს ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლებისათვის²⁷⁴. ამდენად, სასამართლომ ერთხმად მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

²⁷² იქვე, § 74-75.

²⁷³ იქვე, § 76.

²⁷⁴ იქვე, § 78-83.

საგულისხმოა, რომ ყველა ზემოხსენებულ საქმეში ევროსასამართლომ მე-10 მუხლი დარღვეულად ან დაცულად მიიჩნია იმის გამო, რომ განხორციელებული ჩარევა არ შეესაბამებოდა ან შეესაბამებოდა ისეთ ჩარევის შეფასებისათვის აუცილებელ ისეთ ფუნდამენტურ დებულებას, როგორცაა „ჩარევის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“, მაგრამ არცერთ ზემოხსენებულ შემთხვევაში სასამართლოს არ გამოუხატავს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ჩარევა კანონით არ იყო განსაზღვრული. მიუხედავად ამისა, 2018 წლის მაისში განხილული საქმეში Unifaun Theatre Production Limited and others v. Malta, სწორედ ეს გარემოება დადგინდა. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სწორედ ამ განმცხადებელის ასევე ამავე საქმეში მონაწილე რამდენიმე სხვა თანა-განმცხადებლის მიმართა განსაზღვრა, რომ მალტის სახელმწიფოს მიერ ჩარევა კანონშეუსაბამო იყო. ამ საქმეს ისიც გამოარჩევს, რომ აქ გამოხატვის სრულიად განსხვავებული სახის - სპექტაკლის დადგმის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების გამო დადგინდა კონვენციის დარღვევა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომერციულ იურიდიულ პირებს თავიანთი უფლებების დაცვა გამოხატვის ნებისმიერი სახის მიმართ შეუძლიათ განახორციელონ.

რაც შეეხება უშუალოდ საქმეს, განმცხადებელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც მალტის თეატრებში დგამდა თეატრალურ წარმოდგენებს და 2008 წელს მან გადაწყვიტა დაედგა შოტლანდიელი მწერლის ანტონი ნილსონის მიერ დაწერილი სპექტაკლი სახელწოდებით „გაკერვა“, რომლის დასადგმელად მან მოიპოვა ავტორის ლიცენზია, ხოლო მალტაში მოქმედი სასცენო რეგულაციების შესაბამისად, მან აგრეთვე მიმართა ფილმებისა და სპექტაკლებისათვის კლასიფიკაციის მიმნიჭებელ კომისიას, გადაიხადა სათანადო მოსაკრებელი, წარადგინა სცენარის ასლი და გააფორმა თეატრთან რვა კონკრეტული დღის დაჯავშნის შესახებ ხელშეკრულება, ასევე გააფორმა ხელშეკრულებები რეჟისორთან და მსახიობებთან მათი მომსახურების გაწევის შესახებ²⁷⁵. კომისიის ამოცანა, სხვა საკითხებთან ერთად იყო მიენიჭებინა ისეთი სტატუსი როგორც იყო „ასაკის შეუზღუდავად“, „12 წლის და ზევით ასაკის მაცურებლისათვის“, „14 წლისა და ზევით მაცურებლისათვის“, „16 წლისა და ზევით მაცურებლისათვის“, „18 წლისა და ზევით მაცურებლისათვის“, აგრეთვე კომისია კლასიფიკაციას ახდენდა მორალური, მხატვრული, და ა.შ. ღირებულებების მიხედვით (იხ. ქვემოთ), ხოლო თუ განმცხადებელი უკმაყოფილო იქნებოდა კომისიის

²⁷⁵ Unifaun Theatre Production Limited and others v. Malta, [2018], ECHR, (HUDOC), § 5-8.

გადაწყვეტილებით, მას შეეძლო კომისიის თავმჯდომარისათვის მიმართვა თავდაპირველი გადაწყვეტილების გადასინჯვის თხოვნით²⁷⁶.

2009 წლის 20 იანვარს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სპექტაკლის აკრძალვის შესახებ, რომელზეც შეტანილ იქნა საჩივარი გადასინჯვის თხოვნით, თუმცა განმცხადებელმა მიიღო წერილი, რომელშიც აღნიშნულ იქნა, რომ მათი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მართალია ამ წერილში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ თუ ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება, ან რა მსჯელობას ეფუძნებოდა იგი, მაგრამ პირველი წერილიდან ორი დღის შემდეგ უკვე გაგზავნილ მეორე წერილს კომისიამ დაურთო 2009 წლის 30 იანვრით დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც ასევე გადაეგზავნა პოლიციის კომისიონერს და რომელიც ამჯერად უკვე მოიცავდა მიზეზებს, რის გამოც სპექტაკლი აკრძალული იქნა, კერძოდ, ეს მიზეზები იყო 1. ღვთისგმობა; 2. ოსტერლიცის ბანაკის მსხვერპლთა მიუღებელი უპატივცემულობა; 3. სახიფათო და გაუკუღმართებელი სექსუალური ურთიერთობის ენციკლოპედიური მიმოხილვა და ა.შ.²⁷⁷. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რაც აპელაციის წესით გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მათ შორის პრეცედენტულ სამართალზე მითითებით²⁷⁸.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოცემული საკითხის მომწესრიგებელ ადგილობრივ კანონმდებლობას, კერძოდ, ფილმისა და სპექტაკლის რეგულაციებს, რომლის 42.2 მუხლით კომისია ახდენდა ფილმებისა და სპექტაკლების შეფასებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

„ა) გონიერი სრულწლოვანი ადამიანის მიერ მისაღები მორალურობის, წესიერებისა და სტანდარტი;

ბ) ნაწარმოების ლიტერატურული, მხატვრული ან საგანმანათლებლო ღირებულება;

გ) ნაწარმოების ზოგადი ხასიათი ანუ არის თუ არა იგი სამედიცინო, იურიდიული ან სამეცნიერო ხასიათის;

დ) პირები ან პირთა ჯგუფი, რომლებისთვისაც არის განკუთვნილი ნაწარმოები ან რომლებიც სავარაუდოდ უყურებენ ნაწარმოებს²⁷⁹. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით, კომისიის წევრების შესახებ

²⁷⁶ იქვე, § 55-59.

²⁷⁷ იქვე, § 11-13.

²⁷⁸ იქვე, § 38-52.

²⁷⁹ იქვე, § 55.

ინფორმაცია ქვეყნდებოდა ბეჭდით გამოცემაში „სამთავრობო გაზეთი“ და თითოეული ფილმი სულ მცირე ორი წევრის მიერ უნდა შეფასებულიყო ამ კრიტერიუმების მიხედვით, ხოლო იმავე რეგულაციების 47-ე მუხლით თავდაპირველი შეფასება შეიძლება გასაჩივრებულიყო კომისიის თავმჯდომარესთან, რომელიც სამ სხვა შემფასებელს კვლავ შეაფასებინებდა ფილმს და მათი გადაწყვეტილება მიიჩნეოდა საბოლოოდ²⁸⁰.

ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ისეთ პირობებში, როდესაც არ იყო გაიდლაინებში დაკონკრეტებული კომისიის მიერ მოხმობილ რეგულაციების 42-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი კრიტერიუმების შინაარსი, ეს რეგულაციები აძლევდა კომისიას შეუზღუდავ ძალაუფლებას, რადგან კანონი არ განსაზღვრავდა სათანადო სიცხადით მისი ამ უწყებისთვის მინიჭებული დისკრეციის მოცულობას და მისი გამოყენების წესს, მით უფრო, რომ ამ რეგულაციის სხვა ნორმები არ ითვალისწინებდა ნაწარმოების სრულ აკრძალვას და არ წარმოადგენდა აკრძალვის სამართლებრივ საფუძველს, ხოლო განმცხადებლების შემთხვევაში არსებული პროცედურაც არ იქნა დაცული, ვინაიდან საჩივრის შეტანის შემდეგ სცენარის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღო მხოლოდ ერთმა შემფასებელმა, ნაცვლად სამი შემფასებლისა²⁸¹. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ევროსასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მთავრობის მიერ მოხმობილი კანონები არ იყო საკმარისი ხარისხის და ჩარევა განმცხადებლის უფლებაში გამოიწვია იმ პროცედურამ რომელიც არ იყო კანონით განსაზღვრული²⁸², რის შედეგადაც დადგინდა მე-10 მუხლის დარღვევა.

ამდენად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მე-10 მუხლი და მასზე შექმნილი პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს ამ სფეროში მოღვაწე კომერციული იურიდიული პირებს დაცვის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, რომელიც პრეცედენტულ სამართალთან ერთად და სათანადო სიახლეების (მაგ. ინტერნეტი და ა.შ.) გათვალისწინებით ქმნის ერთიან, მძლავრ სისტემას კომერციული იურიდიული პირების როგორც კომერციული გამოხატვის, ისე ზოგადად გამოხატვის თავისუფლების დასაცავად.

²⁸⁰ იქვე.
²⁸¹ იქვე, § 84-86.
²⁸² იქვე, § 87.

თავი 7. კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი პუნქტი

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრების კონტროლისათვის ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

7.1. შესავალი

პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნორმას. ამასთან, მისი მნიშვნელობა განპირობებულია, არა მარტო იმით, რომ მან მოაწესრიგა საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, არამედ იმითაც, რომ პირველ და მე-10 მუხლთან ერთად იგი წარმოადგენს ნორმას, რომელთა საფუძველზეც კონვენცია გამოიყენება ზოგადად იურიდიული პირების და კონკრეტულად კომერციული იურიდიული პირების მიმართ. პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მიერ პირდაპირი მითითება იურიდიულ პირებზე ასევე წარმოადგენს იმ განმასხვავებელ ელემენტს, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციას განასხვავებს ადამიანის უფლებების თაობაზე დადებული სხვა რეგიონალური კონვენციებისაგან, აგრეთვე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისაგან და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტისგან.

მიუხედავად დაცვის საგნისა, კონვენციის ძირითად ტექსტში ეს უფლება თავიდანვე ვერ აისახა. ამას თავისი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები ჰქონდა. საკუთრების უფლების როგორც ადამიანის უფლება დაცვა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს და ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს რომ კონვენციაში მისი ჩართვის შესახებ შეთანხმების

მიღწევა ვერ მოხერხდა კონვენციის ძირითადი ტექსტის შექმნის მომენტისათვის²⁸³.

მართალია ნორმის შინაარსი განსახვავებულადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ მისი სტრუქტურა არსებითად წააგავს მე-8 - მე-11 მუხლების სტრუქტურას²⁸⁴. საკუთრების უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა აღიარებულია²⁸⁵. ჩარევა კი შეიძლება გამართლებული იყოს ამავე მუხლით, რომელიც მოიცავს მითითებას როგორც „საზოგადოებრივ საჭიროებებზე“ ისე „საერთო ინტერესზე“; ეს წარმოადგენს პროპორციულობის იმ ტესტს, რომლითაც გაჟღენთილია კონვენციის დებულებები ჩარევის შესახებ და მოითხოვს პირის ინტერესის დაბალანსებას კოლექტიურ ინტერესთან მიმართებით²⁸⁶.

სწორედ პროპორციულობა დაედო საფუძვლად ევროსასამართლოს პლენარული სესიის მიერ ჯერ კიდევ 1982 წელს საქმეზე *Sporrong and Lonroth v. Sweden* მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოთქმულ ფუნდამენტურ განმარტებას პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესახებ. კერძოდ, განმცხადებელი ფიზიკური პირები დავობდნენ რა მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთის ექსპროპრიაციის შესახებ ქალაქ სტოკჰოლმის მერიის მიღებული გადაწყვეტილების შედეგების გაჭიანურების შედეგად მათ მიერ კუთვნილი მიწის ნაკვეთების გამოუყენებლობის კონვენციასთან შესაბამისობის თაობაზე, ევროსასამართლოს პლენარულმა სხდომამ 10 ხმით 9 ხმის წინააღმდეგ დაადგინა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა²⁸⁷. სწორედ ამ საქმეში პირველად განმარტა ევროსასამართლომ ამ ნორმის არსი და გამოყენების პრინციპები. კერძოდ, პლენარულმა სესიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი მოიცავს სამ სხვადასხვა წესს. პირველი წესი, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, აღიარებს შეუფერხებელი სარგებლობის უფლებას; იგი მოცემულია პირველი აზნაცის პირველ წინადადებაში. მეორე წესი მოიცავს

²⁸³ იხ. ზოგადად *Schermers, H.G. The International Protection of the Right of Property*, in *Matscher, F., Petzold F. (eds) Protecting Human Rights: The European Dimension. Essays in honour of Gerard J. Wiarda* (Koln, 1998), at 5651 *Frowein, J. The Protection of Property*, in *Macdonald R., Matscher, F., Petzold F. (eds) The European System for the Protection of Human Rights* (Dordrecht, 1993) at 515; *McBride J. The Right to Property* (1996) 21 EL Rev HRC/40; and *Riza Coban A. Protection of Property Rights within the European Convention on Human Rights* (Aldershot, 2004) in *Overy C., White R. Jacobs and White the European Convention of Human Rights*, Fourth edition, Oxford, 2006, 345.

²⁸⁴ *Overy C., White R. Jacobs and White the European Convention of Human Rights*, Fourth edition, Oxford, 2006, 345.

²⁸⁵ იქვე.

²⁸⁶ იქვე.

²⁸⁷ *Sporrong and Lonroth v. Sweden*, [1982], ECHR, (HUDOC).

საკუთრების ჩამორთმევას და ამას გარკვეულ პირობებს უქვემდებარებს; იგი მოცემულია იმავე აბზაცის მეორე წინადადებაში. მესამე წესი აღიარებს რომ სახელმწიფოს აქვს უფლება, სხვა საკითხებთან ერთად, გააკონტროლოს საკუთრებით სარგებლობა საერთო ინტერესის შესაბამისად, ისეთი კანონების აღსრულების მეშვეობით, რომლებსაც იგი ამ მიზნისათვის საჭიროდ მიიჩნევს; ეს წესი მოცემულია მეორე აბზაცში²⁸⁸. ამდენად, სასამართლოს ძირითადი ამოცანა პირველი ოქმის პირველი მუხლის გამოყენებისას არის ის, რომ ზუსტად შეაფასოს არსებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა ზემოხსენებულ სამ წესთან და მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელოს აქვს თუ არა ადგილი ამ ნორმის დარღვევას.

სწორედ ამის შესახებ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 2018 წლის გადაწყვეტილებაში *G.I.E.M v. Italy*, სადაც განმარტა შემდეგი „უფრო მეტიც, ვინაიდან პირველი ოქმის პირველი მუხლის მეორე წინადადება გაგებულ უნდა იქნეს ამავე მუხლის საწყის წინადადებაში აღნიშნული ზოგადი პრინციპების ჭრილში ადგილი უნდა ჰქონდეს პროპორციულობის გონივრულ ურთიერთმიმართებას გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის: სასამართლომ უნდა განსაზღვროს იყო თუ არა მიღწეული ამ მხრივ სამართლიანი ბალანსი საერთო ინტერესსა და კონკრეტული კომპანიის ინტერესს შორის. ასეთის განსაზღვრისას სასამართლო აღიარებს, რომ სახელმწიფოს გააჩნია ფართო მიხედულობა გამოყენებულ საშუალებების კუთხით და იმ თვალსაზრისით, არის თუ არა შედეგები გამართლებული საერთო ინტერესების დასაცავად საბოლოო მიზნის მიღწევისათვის“²⁸⁹.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ ბევრჯერ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული სამი წესი ერთმანეთისაგან მოწყვეტით არ უნდა იქნეს განმარტებული - „პირველ მუხლში მოცემული სხვადასხვა წესი არაა განცალკევებული იმ თვალსაზრისით რომ მათ შორის არ იყოს რაიმე კავშირი და რომ მეორე და მესამე წესები გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. ამის ერთ-ერთი შედეგია ის, მეორე წინადადებით განსაზღვრული „საზოგადოებრივი ინტერესის“ ან მეორე აბზაცით განსაზღვრული „საერთო ინტერესის“ არსებობა, წარმოადგენენ პირველ წინადადებაში აღნიშნული პრინციპის შედეგს, მასზედ, იმდაგვარად, რომ პირველი მუხლის პირველი წინადადებით განსაზღვრული შეუფერხებელი სარგებლობის უფლების

²⁸⁸ იქვე, § 61.
²⁸⁹ *G.I.E.M. v. Italy*, [2018], ECHR, GC, (HUDOC) § 293. საქმის ფაქტობრივი გარემოებები იხ. მე-7 მუხლთან დაკავშირებულ თავში.

განხორციელებაში ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მიზნის მიღწევას²⁹⁰.

ამდენად, სრულიად ცხადია ხდება, რომ ჩარევის კანონიერების შეფასებისას ევროსასამართლო გამოვა ზემოხსენებული სამი წესის პრინციპიდან, და ამავე დროს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჩარევის მიზანს, იქნება თუ არა ეს ჩარევა კანონიერი და საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი. ნორმის სტრუქტურის განმარტება უაღრესად მნიშვნელოვანია იქნება, ვინაიდან პრეცედენტული სამართალი სწორედ ნორმის ამ განმარტებას ემყარება და მთლიანად მის ირგვლივ განვითარდა.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზი გვიჩვენებს, სასამართლო პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევის საკითხის გადაწყვეტისას (მათ შორის კომერციული იურიდიული პირების მიმართ) იკვლევს შემდეგ საკითხებს:

- ა) ადგილი ჰქონდა თუ არა საკუთრებას (მფლობელობას) განმცხადებლის მხრიდან;
- ბ) ადგილი ჰქონდა თუ არა ჩარევას საკუთრების უფლების განხორციელებაში;
- გ) თუ ჩარევას ადგილი ჰქონდა, დაცული იყო თუ არა:
 - კანონიერება
 - ლეგიტიმური მიზანი
 - პროპორციულობა

ზოგიერთ საქმეში ეს პრინციპები უფრო ცხადადაა მოცემული და გაშიფრული²⁹¹ ვიდრე სხვა საქმეებში²⁹². აქ ვგულისხმობთ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ამ პრინციპების გამოყოფას და თითოეული მათგანის ცალკე-ცალკე დასაბუთებას. საქმის მოცულობა და სირთულე უნდა ჩაითვალოს გადამწყვეტად სასამართლოს მიერ ამგვარად დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად. მართლაც, პრეცედენტების შინაარსის ანალიზი მიუთითებს, რომ რაც უფრო რთულია საქმე და რაც უფრო ახალ სამართლებრივ თუ ფაქტობრივ ვითარებას შეეხება, მით უფრო საინტერესო და სრულყოფილი დასაბუთება მოჰყვება ხოლმე მას ევროსასამართლოს მხრიდან.

²⁹⁰ Industrial Financial Consortium Investment Metallurgical Union v. Ukraine, [2018], ECHR, (HUDOC), § 187.

²⁹¹ Kristiana Ltd. v. Lithuania, [2018], ECHR, (HUDOC); O’Sullivan McCarthy Mussel Development Ltd v. Ireland, [2018], ECHR, (HUDOC); Könyv-Tár Kft and other v. Hungary, [2018], ECHR, (HUDOC).

²⁹² Hunguest Zrt. V. Hungary, [2016], ECHR, (HUDOC), ; Boyadzhieva and Gloria International Limited Food v. Bulgaria, [2018], ECHR, (HUDOC), Euromak Metal DOO v. the former Yugoslav Republic of Macedonia, [2018], ECHR, (HUDOC).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებელია პირველი ოქმის პირველი მუხლის ყველა ზემოხსენებული ელემენტის ინდივიდუალური გამოკვლევა კომერციულ იურიდიულ პირებთან მიმართებით საკითხის სრულყოფილად გამოსაკვლევად.

7.2. საკუთრება (მფლობელობა)

რა არის „საკუთრება“ („მფლობელობა“) პრეცედენტული სამართლის მიხედვით? ეს საკითხი განსაკუთრებით საგულისხმოა კომერციული იურიდიული პირების მიმართ, ვინაიდან თუ ევროსასამართლო ვერ დაადგენს რომ ადგილი ჰქონდა „საკუთრებას“ („მფლობელობას“), შეიძლება დადგენს საკითხი განაცხადის დასაშვებობის შესახებ *ratione materiae*-დან გამომდინარე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მრავალჯერ განმარტა საკუთრების არსი. ერთ-ერთი ასეთი ბოლო განმარტება მოცემულია საქმეში *Kristiana Ltd. v. Lithuania*, სადაც სასამართლომ მიუთითა შემდეგი: „პირველი ოქმის პირველი მუხლში განსაზღვრულ „საკუთრების“ კონცეპციას გააჩნია ავტონომიური მნიშვნელობა, არ შემოიფარგლება ფიზიკურად არსებულ ნივთებზე საკუთრების უფლებით და დამოუკიდებელია შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებული ფორმალური კლასიფიკაციისაგან: ზოგიერთი სხვა უფლება და ინტერესი, რომელიც ასევე შეადგენს აქტივს შეიძლება განხილული იქნეს როგორც „საკუთრების უფლება“ და ამდენად ამ ნორმით განსაზღვრული მიზნისათვის შეადგენდეს „საკუთრებას“. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდეს არის ის, საქმის გარემოებები მათ მთლიანობაში ანიჭებდა თუ არა განმცხადებელს უფლებას იმ არსებით ინტერესზე, რომელიც დაცულია პირველი ოქმის პირველი პუნქტით“²⁹³. ცხადია, რომ „საკუთრების“ ცნებისთვის ავტონომიური მნიშვნელობის მინიჭება არსებითი ხასიათისაა, ვინაიდან განმცხადებელს საშუალებას აძლევს იხელმძღვანელოს პრეცედენტული სამართლით და არ შეიზღუდოს ამა თუ იმ ტერმინისათვის შიდასახელმწიფოებრივ სამართალში მინიჭებული შინაარსით. სწორედ ამიტომ „საკუთრების“ ცნება განმსაზღვრელი გახდა მთელი რიგი სამართლებრივი ურთიერთობების პირველი ოქმის პირველი მუხლით მოწესრიგებისთვის, ხოლო იურიდიულ ლიტერატურაში ამ ნორმას ბიზნესის დაცვის ნორმის კონოტაცია მიენიჭა. ამდენად, მუხლმა თანდათანობით მიიღო კომერციული ხასიათი და ფართოდ გამოიყენებოდა ბიზნესის მიერ თავისი

²⁹³ *Kristiana Ltd. v. Lithuania*, [2018], ECHR, (HUDOC), § 90

ინტერესების გატარების მიზნით²⁹⁴. აქედან გამომდინარე, უაღრესად საინტერესოა თუ რა სახის ურთიერთობები აქვს მიჩნეული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კონვენციით განსაზღვრულ „საკუთრებად“ („მფლობელობად“).

როგორც ევროსასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, ათწლეულების მანძილზე „საკუთრებად“ მიჩნეულ იქნა მრავალი ნივთი თუ უფლება. კერძოდ, კომერციული იურიდიული პირების შემთხვევებში „საკუთრებად“ იქნა განხილული: ა) უძრავი ქონება²⁹⁵; ბ) დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნები²⁹⁶; გ) ხელშეკრულების მეორე მხარისათვის გადახდილი დღგ-ს ჩათვლის მოთხოვნის უფლება და მის ჩათვლაზე უარის გამო ხელმეორედ გადახდილი დღგ-ს თანხა²⁹⁷; დ) სახელშეკრულებო უფლებები²⁹⁸ (კერძოდ, როგორც სახელშეკრულებო ისე სანივთო უფლებები); ე) აქციები ან/და წილები²⁹⁹; ვ) კანონიერ ძალაში შესული საარბიტრაჟო ან სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხა³⁰⁰; ზ) ინტელექტუალური საკუთრება³⁰¹; თ) ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის ლიცენზია³⁰²; ი) ქალაქდაგეგმარებითი ნებართვა³⁰³, კ) ინტერნეტდომენის სახელწოდების რეგისტრაციას³⁰⁴, და ა.შ.

უკანასკნელ პერიოდში განხილული უამრავი საქმიდან საინტერესოა, რომ „საკუთრებად“ იქნა განხილული ისეთი საკითხები როგორცაა კლიენტურა და გუდვილი³⁰⁵, აკვატორიის გარკვეულ მონაკვეთში მოლუსკების ჭერის ვადიანი ლიცენზია³⁰⁶, გადახდისუუნარობის საქმის აღძვრამდე მოვალის მიერ სახელშეკრულებო კრედიტორისათვის გადახდილი თანხა, რომელიც მოგვიანებით სხვა კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე იძულების წესით, სასამართლოს

²⁹⁴ *Overy C., White R. Jacobs and White the European Convention of Human Rights*, Fourth edition, Oxford, 2006, 346.

²⁹⁵ *Immobiliare Saffi v. Italy*, [1999], ECHR, (HUDOC).

²⁹⁶ *Pressos Compania Naviera S.A. and others v. Belgium*, [1995], ECHR, (HUDOC).

²⁹⁷ *Bulves AD v. Bulgaria*, [2009], ECHR, (HUDOC).

²⁹⁸ *Gasus Dosier- und Fördertechnik GmbH v. the Netherlands*, წიგნში *Harris D.J., O'Boyle D., Bates E.P. & Buckley C.M.*, Harris, O'Boyle and Warbrick Law of European Convention of Human Rights, Oxford University Press, 2014, 863.

²⁹⁹ *Sovtransavto Holding v. Ukraine* [2002], იქვე.

³⁰⁰ *Stran Greek Refineries and Mr Stratis Andreadis v. Greece* [1994], იქვე.

³⁰¹ *Anheuser-Busch Inc. v. Portugal* [2007], იქვე.

³⁰² *Tre Traktorer Aktienbolag v. Sweden*, [1989], წიგნში *Overy C., White R. Jacobs and White the European Convention of Human Rights*, Fourth edition, Oxford, 2006, 350.

³⁰³ *Pine Vealey Development Ltd. v. Ireland*, [1992], იქვე.

³⁰⁴ *Paeffgen GmbH v. Germany*, [2007], ECHR (HUDOC), წიგნში *ლიზი ფ. როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს*, მესამე გამოცემა, თბილისი, 2013. 499.

³⁰⁵ *Koniv-Tar KFT and Others v. Hungary*, [2018], ECHR, (HUDOC).

³⁰⁶ *O'Sullivan McCarthy Mussel Developments Ltd. v. Ireland*, [2018], ECHR, (HUDOC).

გადაწყვეტილების საფუძველზე დაბრუნდა გადახდისუუნარობის მასაში³⁰⁷, სახელმწიფოს მიერ სხვა მფლობელზე პრივატიზებული მსხვილი ინდუსტრიული საწარმოს აქციები³⁰⁸, საბანკო საქმიანობის ლიცენზია³⁰⁹, საქალაქთაშორისო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ლიცენზია³¹⁰, სარჩელის უზრუნველსაყოფად აღმასრულებლის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული ფულადი თანხა³¹¹, ფინანსური ინსპექციის მიერ დაკისრებული და ჩამოჭრილი ჯარიმის თანხა³¹², საწარმოს სავალდებულო შენატანები სოციალური კეთილდღეობის ფონდში³¹³, საბაჟო უწყების მიერ განმცხადებლის მიერ იმპორტირებული საქონლის მიმართ გადასახადის გაანგარიშების მიზნით 5 წლის მანძილზე გამოყენებული საბაჟო კლასიფიკატორის კოდის შედეგად დაბეგრული თანხა³¹⁴ და ა.შ. როგორც ვხედავთ „საკუთრების“ ცნება მოიცავს უამრავ სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე მატერიალურ თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს.

7.3. მოთხოვნები და ლეგიტიმური მოლოდინი როგორც „საკუთრება“

ზემოხსენებულ აზრაცში აღინიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ისეთ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, როგორცაა მოთხოვნები და ლეგიტიმური მოლოდინი გარკვეულ შემთხვევებში კომერციულ იურიდიულ პირთა „საკუთრებად“ მიიჩნევს. ამასთან, თუ ევროსასამართლოსთვის ან თავად მხარეებისათვის სადავო არაა „საკუთრებად“ კონკრეტული ფულადი თანხის³¹⁵ ან კონკრეტული ნივთის³¹⁶ დაკვალიფიცირება, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებით ევროსასამართლოს მიდგომა შედარებით არაერთგვაროვანია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ასევე გამოკვლევულ იქნეს საკითხი იმის შესახებ, თუ რას მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ისეთ მოთხოვნად ან ლეგიტიმურ

³⁰⁷ Boyadzhieva and Gloria International Limited EOOD v. Bulgaria, [2018], ECHR, (HUDOC).

³⁰⁸ Industrial Financial Consortium Investment Metallurgical Union v. Ukraine, [2018], ECHR, (HUDOC).

³⁰⁹ Feldman and Slovyansky Bank v. Ukraine, [2017], ECHR, (HUDOC).

³¹⁰ S.C. Antares Transport S.A. and S.C. Transroby S.R.L. v. Romani, [2016], ECHR, (HUDOC).

³¹¹ Hunguest ZRT. V. Hungary, [2018], ECHR, (HUDOC).

³¹² S.C. Fiercolect Impex S.R.L. v. Romania, [2017], ECHR, (HUDOC).

³¹³ Geotech Kancev GmbH v. Germany, [2016], ECHR, (HUDOC).

³¹⁴ Polimerkonteyner Ltd. V. Ukraine [2016], ECHR, (HUDOC).

³¹⁵ Boyadzhieva and Gloria International Limited EOOD v. Bulgaria, [2018], ECHR, (HUDOC).

³¹⁶ Air Canada v. the United Kingdom, [1995], ECHR, (HUDOC).

მოლოდინად, რომელიც საწარმოს მისცემს საშუალებას მისი საჩივარი ევროსასამართლოში სულ მცირე დასაშვებად მაინც იქნეს ცნობილი.

ევროსასამართლოს ზოგადი მიდგომა მოთხოვნების როგორც „საკუთრების“ მიმართ გამოიხატა ადრე განხილულ საქმეებში და ეს მიდგომები ბოლო პერიოდში განხილულ საქმეებშიც წარმატებით გამოიყენება. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ ციტირებული საქმე ამ მიმართულებით არის 1994 წლის 9 დეკემბერს განხილული საქმე Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece, რომელშიც აისახა სასამართლოს დამოკიდებულება მოთხოვნების მიმართ. ამ საქმეში განმცხადებელი კომპანია ლიკვიდაციის პროცესში იმყოფებოდა, მაგრამ მას გააჩნდა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნის უფლება კონკრეტული თანხების მითითებით საბერძნეთის სახელმწიფოს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ საბერძნეთის სასამართლოებმა გააუქმეს ეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საბერძნეთის მიერ ახალი კანონის მიღების საფუძველზე, რომელიც უკუქცევით ძალის მქონე იყო და ადრე (სამხედრო რეჟიმის) დროს დადებულ ხელშეკრულებებს ბათილად აცხადებდა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ამ კანონის მიღების მომენტისათვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უკვე არსებობდა, რომელმაც აღიარა განმცხადებლისათვის მიკუთვნებული თანხები, ამასთან, ცხადი იყო, რომ ეს უფლება ექვემდებარებოდა გაუქმებას, რადგან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლებოდა ანულირებულიყო, მაგრამ საერთო სასამართლოებმა ორჯერ - ერთხელ პირველმა ინსტანციამ და ერთხელ სააპელაციო ინსტანციამ - განმარტა, რომ ასეთი ანულირების საფუძველი არ იყო, შესაბამისად, სასამართლოს აზრით ეს უფლება წარმოადგენდა „საკუთრებას“ პირველი ოქმის პირველი მუხლის შინაარსით³¹⁷.

აქედან გამომდინარე, სრულიად მართებულად აღინიშნა ლიტერატურაშიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საქმის ფაქტობრივი გარემოებები მეტად რთულია, რაც აძნელებს ამ საქმეებიდან ზოგადი პრინციპების გამოყოფას, ერთი რამ მაინც ცხადია - უნდა არსებობდეს რაიმე, რაც მიჩნეული იქნება სამართლებრივი მოთხოვნად³¹⁸. შესაბამისად, სრულიად აშკარაა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნის შეფასებას ევროსასამართლოს მხრიდან - ანუ რამდენად მიიჩნევა ეს უწყება ამა თუ იმ მოთხოვნას პირველი ოქმის პირველი მუხლში განმტკიცებულ „საკუთრების“ უფლებად. ამ თვალსაზრისით

³¹⁷ Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece, [1994], ECHR, (HUDOC), § 62.

³¹⁸ *Overy C., White R. Jacobs and White the European Convention of Human Rights, Fourth edition, Oxford, 2006, 355.*

საგულისხმოა სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომა საქმეში *Pressos Compania Naviera S.A. and Others v Belgium*. ეს საქმე იმითაც გამოირჩევა, რომ გემის მფლობელმა და გადაზიდვის დამზღვევმა 26-მა საწარმომ ერთად წარადგინა განაცხადი ევროსასამართლოში, რომელიც ეხებოდა მათ მფლობელობაში არსებული გემების მიერ 1988 წლის 17 სექტემბრამდე განცდილ ზიანს ბელგიის ან ნიდერლანდების ტერიტორიულ წყლებში. ამ ზიანში ეს კომპანიები ბრალს სდებდნენ ბელგიელ ლოცმანებს, რის გამოც მათ დაიწყეს სამართლებრივი დავები ზოგ შემთხვევაში ბელგიის სახელმწიფოს წინააღმდეგ ზოგ შემთხვევაში სალოცმანო მომსახურების გამწვევი კერძო დაწესებულების წინააღმდეგ და ეს დავები ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ამასთან, ბელგიის მაშინდელი კანონმდებლობით საზღვაო გემების სალოცმანო მომსახურება საჯარო სამსახურს წარმოადგენდა, რომელსაც ორგანიზებას ახორციელებდა სახელმწიფო, ხოლო პრაქტიკაში სალოცმანო მომსახურებას ან თავად სახელმწიფო ეწეოდა ან ლიცენზირებული კერძო საწარმო. ამასთან, ამ კანონმდებლობითა და ბელგიასა და ნიდერლანდებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად შელდტის შენაკადში შემავალ სავაჭრო გემებს უნდა ჰყოლოდათ ბელგიის ან ნიდერლანდების ლიცენზიის მფლობელი ლოცმანი. ამასთან, ტერიტორიული წყლების ამ მონაკვეთში გემის მიერ ზიანის განცდისას ლოცმანი პასუხს არ აგებდა და იგი მიიჩნეოდა კაპიტნის, გემთმფლობელის ან ჩარტერის მფლობელის აგენტად, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო ლოცმანის ქმედებებზე ვალდებულებას არ იღებდა. თუმცა 1983 წლის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, სადაც დადგინდა ლოცმანის გაუფრთხილებლობის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, ვითარება შეცვალა. ამის შემდეგ, 1988 წელს, ბელგიამ მიიღო კანონი, რომლითაც პირდაპირ განისაზღვრა, რომ სალოცმანო მომსახურების გაწვევისას მიყენებული პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანის შემთხვევაში ასეთი მომსახურების ორგანიზატორი პასუხს აღარ აგებდა. ამასთან, რაც ყველაზე უფრო საყურადღებო იყო, ამ ნორმას უკუქცევითი ძალა მიენიჭა და გავრცელდა მის ამოქმედებამდე 30 წლის მანძილზე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკითხის გადაწყვეტისას შეადგენდა თუ არა განმცხადებელთა ეს მოთხოვნა „საკუთრებას“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ სადავო კანონები შეადგენდნენ დელიქტური ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს, რომელთა საფუძველზეც ზიანის დადგომისთანავე წარმოიშობოდა კომპენსაციის მოთხოვნის უფლება³¹⁹. ამ სახის მოთხოვნა „აქტივს შეადგენდა“ და ამდენად, იყო

³¹⁹ *Pressos Compania Naviera S.A. and others v. Belgium*, [1995], ECHR, (HUDOC) § 31.

„საკუთრება“ პირველი ოქმის პირველი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, რის გამოც ეს ნორმა განკუთვნილი იყო მოცემული საქმისადმი³²⁰.

ზემოხსენებული ორი საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და ევროსასამართლოს დასაბუთების შედარებას მივყავართ დასკვნამდე, რომ თუ პირველ შემთხვევაში მოთხოვნა გამომდინარეობდა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, მეორე შემთხვევაში სასამართლო განხილვის საგანი იყო დელიქტის ანაზღაურების მოთხოვნები, რომლებზედაც საბოლოო გადაწყვეტილებები არ იყო მიღებული, მაგრამ ორივე შემთხვევაში ევროსასამართლომ მოთხოვნები აქტივად მიიჩნია. მეორე შემთხვევაში, აქტივად მიჩნევას საფუძვლად დაედო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ ბელგიის საკასაციო სასამართლოს მიერ სხვადასხვა პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე განმცხადებლებს შეეძლოთ დაესაბუთებინათ, რომ მათ გააჩნდათ იმის „ლეგიტიმური მოლოდინი“, რომ ასეთი ზიანის მიყენების ფაქტიდან გამომდინარე მათი მოთხოვნები გადაწყდებოდა დელიქტის შესახებ ზოგადი კანონმდებლობის შესაბამისად³²¹. ამრიგად, ევროსასამართლომ მოთხოვნის აქტივად კვალიფიკაციისას გამოიყენა ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტი როგორცაა ლეგიტიმური მოლოდინი და ამით გადალახა დასაბუთების ის ბარიერი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შეუსვლელობას შეეძლო წარმოეშვა, და რომელიც იყო მოთხოვნის „აქტივად“ მიჩნევის ძირითადი არგუმენტი პირველ საქმეში.

ლეგიტიმური მოლოდინი ზოგადად ბრიტანული კონცეპციაა, რომელიც ბრიტანეთის ადმინისტრაციული სამართლისთვის შეიქმნა³²². როდესაც გაგაჩნია „ლეგიტიმური მოლოდინი“ რომ საჯარო უწყება მის დისკრეციას გარკვეული ფორმით განახორციელებს, შეიძლება ისარგებლო კანონის დაცვით თუ ეს „მოლოდინი“ არ გამართლდება³²³. ეს წარმოადგენს იმ პრინციპის ამოსავალ წერტილს, რასაც ადმინისტრაციულ სამართალში

³²⁰ ოქვე.

³²¹ ოქვე.

³²² *Wright, D.* Rethinking the Doctrine of Legitimate Expectations in Canadian Administrative Law, *Osgoode Hall Law Journal* 35.1, 1997, 141, available at <http://digitalcommons.osgoode.yorku.ohlj/vol35/iss1/4> [29.01.2019].

³²³ *Perry, A. and Ahmed, F.* The Coherence of the Doctrine of Legitimate Expectations (October 1, 2013). *Cambridge Law Journal*, 2014, vol. 73, 1. ხელმისაწვდომია SSRN: <https://poseidon01.ssrn.com/delivery.php?ID=604064031098125101065121069066076103018051001046052028106016011094006111078113024069062043121044102001042025089003116102084109024070038021022090065097031000077104037021071009124084015097015068099064078024091107125104096111099094087026075024015090022&EXT=pdf>, ნანახი

ოქნა[29.01.2019]

ლეგიტიმური მოლოდინის დოქტრინა ეწოდება³²⁴. საქმეში *Council of Civil Service Unions v. Minister for Civil Service*, ლორდთა პალატის წევრმა მოსამართლემ, ფრეიზერმა ხაზი გაუსვა ლეგიტიმური მოლოდინის 2 წყაროს: საჯარო ხელისუფლების მიერ აშკარად გამოხატული დაპირება და რეგულარული პრაქტიკა, რომლის გაგრძელების გონივრული მოლოდინი გააჩნია მოსარჩელეს³²⁵. მართალია, თავად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ აქვს აღნიშნული, რომ იგი ეყრდნობა სწორედ ამ ბრიტანულ ინსტიტუტს, მაგრამ ფაქტია, რომ ევროსასამართლო ხშირად იყენებს ლეგიტიმური მოლოდინის კონცეპციას მოთხოვნაზე პირველი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრული საკუთრების უფლების საკითხის გადასაწყვეტად.

ამდენად, გასაკვირი არაა, რომ პირველი საქმე, სადაც სასამართლომ გამოიყენა „ლეგიტიმური მოლოდინის“ კონცეპცია სწორედ იმ ქვეყნის საქმე გახლდათ, სადაც ბრიტანული სამართალი გამოიყენება. ეს იყო საქმე *Pine Valley Development Ltd. And Others v. Ireland*, რომელიც ბევრი სხვა ასპექტითაც უაღრესად საყურადღებო საქმე პრეცედენტულ სამართალში. ამ საქმეზე მე-14 მუხლზე საუბრის დროსაც გვექნება საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველი ოქმის პირველ მუხლთან მიმართებით დარღვევა ვერ დაადგინა, ეს საქმე რჩება ერთ-ერთ ყველაზე მეტად ციტირებულ საქმედ ამ მუხლის სხვადასხვა ელემენტთან მიმართებით. საქმის არსი კი შემდეგში იყო - შპს *Pine Valley Development*-მა შეიძინა მიწის ნაკვეთი დუბლინის მახლობლად, რომელზეც უკვე არსებობდა ადგილობრივი თვითმმართველობის მინისტრის მიერ 1977 წელს გაცემული ინდუსტრიული საწყობისა და ოფისის დაპროექტების დროებითი ნებართვა, რაც ოფიციალურ რეესტრშიც იყო შეტანილი³²⁶. საგულისხმოა, რომ ეს ნებართვა მიღებულ იქნა წინა მესაკუთრის მიერ მას შემდეგ, რაც მან გაასაჩივრა ადმინისტრაციული ორგანოს თავდაპირველი უარი ასეთი ნებართვის გაცემაზე³²⁷. მოგვიანებით, 1980 წელს შპს *Pine Valley Development*-მა მიმართა დუბლინის საქალაქო საბჭოს დეტალური დაგეგმარებითი ნებართვის გაცემაზე, რაზეც უარი მიიღო, მაგრამ ამის მიუხედავად ამავე საწარმომ მოითხოვა ამავე საბჭოს დავალდებულება ასეთი ნებართვის გაცემის თაობაზე, რაც გაცემულ იქნა და შემდგომში მოწონებულ იქნა მაღალი სასამართლოს მიერ³²⁸. 1981 წელს შპს *Pine Valley*

³²⁴ იქვე

³²⁵ *Council of Civil Service Unions v. Minister for Civil Service* [1985], AC 374, 401B, in *Perry, A. and Ahmed, F. The Coherence of the Doctrine of Legitimate Expectations* (October 1, 2013). *Cambridge Law Journal*, 2014, vol. 73, 4.

³²⁶ *Pine Valley Development Ltd. And Others v. Ireland*, [1999], ECHR, (HUDOC) § 9.

³²⁷ იქვე.

³²⁸ იქვე, § 10.

Development-მა მიწის ნაკვეთი მიჰყიდა თავისივე 100%-იან პარტნიორს შპს Healy Holdings-ს, რომლის ასევე 100%-იანი დამფუძნებელი თავის მხრივ იყო ფიზიკური პირი დანიელ ჰილი³²⁹. 1982 წელს ირლანდიის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაპროექტების დროებითი ნებართვის გაცემა წარმოადგენდა უკანონო აქტს, ვინაიდან სამინისტროს ამის უფლება არ გააჩნდა და ბათილად ცნო იგი, რის შედეგადაც უძრავი ქონების ღირებულება გაუფასურდა და მოგვიანებით შპს Healy Holdings-ის გაკოტრების მმართველმა გაცილებით ნაკლებ ფასად გაასხვისა იგი³³⁰. ამის შემდეგ, იმავე 1982 წელს საპროექტო ნებართვების გაცემის საკითხის მოწესრიგების მიზნით (უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მხედველობაში მიღებით), მიღებულ იქნა კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის (პროექტირება და განვითარება) შესახებ, რომლითაც დადგინდა იქნა, რომ 1977 წლის 15 მარტამდე გასაჩივრების საფუძველზე გაცემული ნებართვები ძალადაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი, ვინაიდან პროექტი იმთავითვე არსებითად ეწინააღმდეგებოდა უფლებამოსილი ადგილობრივი ორგანოს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც გასაჩივრებას დაექვემდებარა³³¹. იქვე დადგინდა, რომ თუ ეს დებულება წინააღმდეგობაში იქნებოდა პირის კონსტიტუციურ უფლებასთან ისინი დაექვემდებარებოდნენ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელი იქნებოდა ასეთი კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით³³². 1983 წელს როგორც შპს Pine Valley Development-მა, ისე შპს Healy Holdings-მა და დანიელ ჰილიმ, სარჩელი წარადგინეს გარემოს დაცვის სამინისტროს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის სამინისტროს უფლებამონაცვლის წინააღმდეგ და მოითხოვეს ზიანის ანაზღაურება კანონის დარღვევისა და გაუფრთხილებლობის გამო, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ, მაღალმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რაც გასაჩივრდა ირლანდიის უზენაეს სასამართლოში³³³. უზენაესმა სასამართლომ 1986 წელს იმსჯელა რა ამ საკითხზე, საჩივარი არ დააკმაყოფილა, თუმცა საგულისხმოა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა თავიანთ მოსაზრებებში ხაზგასმით განმარტეს, რომ 1982 წელს მიღებული კანონით განსაზღვრული განსხვავებული მიდგომა მართალია დისკრიმინაციული იყო, მაგრამ ამას არ გამოუწვევია უსამართლო მიდგომა შპს შპს Pine Valley Development-ის მიმართ³³⁴.

³²⁹ იქვე, § 8,10.

³³⁰ იქვე, § 12,13.

³³¹ იქვე, § 14,15.

³³² იქვე.

³³³ იქვე, § 20.

³³⁴ იქვე, § 24-27.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა რა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევის საკითხზე, მიიჩნია, რომ არსებულ ვითარებაში მეტად ფორმალისტური მიდგომა იქნებოდა იმის დასკვნა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ჩარევას არ წარმოადგენდა, რადგან ამ გადაწყვეტილებამდე განმცხადებლებს გააჩნდათ თავიანთი პროექტის განვითარების სულ მცირე ლეგიტიმური მოლოდინი და ეს უნდა მიჩნეულიყო სადავო ქონების შემადგენელ ნაწილად პირველი ოქმის პირველი მუხლის მიზნებისათვის³³⁵. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ ევროსასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კონვენციით განსაზღვრული საკუთრების უფლება დარღვეული არ იყო, რადგან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ გამოიწვია ის, რომ აშენება არ განხორციელდა მწვანე ზონაში, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის იყო აუცილებელი და ეს გადაწყვეტილება ამ მიზნის მიღწევისათვის ჯეროვანი ნაბიჯი იყო³³⁶. მართალია საკუთრების უფლების დარღვევა არ დადგინდა, მაგრამ ლეგიტიმური მოლოდინის კონცეპციის დამკვიდრებამ გამოიწვია პირველი ოქმის პირველი მუხლის გამოყენების განვითარება ახალი ფაქტობრივ გარემოებების მიმართ და სხვა საქმეებში ამ კონცეპციის სრული ათვისება მოხდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალით ყოველი ვითარება არ წარმოშობს ლეგიტიმურ მოლოდინს. მაგალითად, საქმე Lay Lay Company Limited v. Malta, ასევე შეეხებოდა განმცხადებლის მიერ შექმნილ მიწაზე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განაშენიანების პროექტის წინასწარ მოწონების შემდეგ, კანონმდებლობის შეცვლის გამო ახალი ნებართვის გაცემას³³⁷. საბოლოოდ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ნებართვის გაცემაზე უარი განაცხადეს და არც ადგილობრივმა სასამართლოებმა დააკმაყოფილეს განმცხადებელი საწარმოს სარჩელი³³⁸. ევროსასამართლომ იმსჯელა რა ამ ფაქტობრივ გარემოებების ირგვლივ, მიიჩნია, რომ ზოგადად ნებართვა პირველი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრულ „საკუთრებას“ კი წარმოადგენდა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ნებართვა გაცემული არ ყოფილა, ხოლო ეროვნული კანონმდებლობით (რაც აისახა სასამართლო გადაწყვეტილებებში) კი წინასწარი მოწონება არ გულისხმობდა სახელმწიფოს ვალდებულებას გაეცა თანხმობა და ვინაიდან განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება, ევროსასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ განმცხადებელს არ გააჩნდა „საკუთრება“ ასეთი ნებართვის მიღების

³³⁵ იქვე, § 51.

³³⁶ იქვე, § 59.

³³⁷ Lay Lay Company Limited v. Malta, [2013], ECHR, (HUDOC), § 7-23.

³³⁸ იქვე, § 25-37.

ლეგიტიმური მოლოდინის სახით, რის გამოც ამ ნაწილში მისი მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა კონვენციასა და მის ოქმებს *ratione materiae* და კონვენციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაუშვებლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული³³⁹.

ლეგიტიმური მოლოდინის არსისა და გამოყენების საფუძვლების შესახებ ერთგვარი შემაჯამებელი დასკვნა გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 2016 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Belany Nagy v. Hungary*, რომელიც მართალია ფიზიკური პირის განაცხადს ეხებოდა, მაგრამ როგორც ძირითად გადაწყვეტილებაში, ისე რამდენიმე მოსამართლის განსხვავებულ აზრში ფუნდამენტურად განიმარტა ლეგიტიმური მოლოდინის როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის დანიშნულება. კერძოდ, გადაწყვეტილების ძირითად ტექსტში აღინიშნა, რომ „მართალია პირველი ოქმის პირველი მუხლი გამოიყენება მხოლოდ პირის არსებული საკუთრების მიმართ და არ ქმნის ქონების შექმნის უფლებას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში აქტივის მიღების „ლეგიტიმურმა ინტერესმა“ ასევე შეიძლება ისარგებლოს პირველი ოქმის პირველი მუხლის დაცვით. ლეგიტიმური მოლოდინი თავისი ბუნებით უნდა იყოს უფრო კონკრეტული, ვიდრე მართოდენ იმედი და უნდა ემყარებოდეს სამართლის ნორმას ან ისეთ სამართლებრივ აქტს, როგორცაა მაგალითად სასამართლო გადაწყვეტილება. იმედი, რომ დიდი ხნის წინ გაუქმებული საკუთრების უფლება შეიძლება აღდგეს, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „საკუთრებად“, ისევე როგორც ისეთი პირობითი მოთხოვნა რომელიც გაუქმდა პირობის შეუსრულებლობის გამო. გარდა ამისა, „ლეგიტიმური მოლოდინი“ არ წარმოიშვება იქ, სადაც ადგილი აქვს დავას შიდა კანონმდებლობის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით და სადაც ამის შედეგად განმცხადებლის მოთხოვნები უარყოფილია ეროვნული სასამართლოების მიერ. ამავე დროს, ისეთი ქონებრივი მოთხოვნები, რომლებიც აღიარებულია შიდა კანონმდებლობით - თუნდაც ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ექვემდებარებოდეს გაუქმებას - შეიძლება შეადგენდეს „საკუთრებას“ პირველი ოქმის პირველი მუხლის მიზნებისათვის. პირველი ოქმის პირველი მუხლთან დაკავშირებული საქმეებში საკითხი, რომელიც უნდა შემოწმდეს არის ჩვეულებრივ ის, რომ საქმის გარემოებები მათ მთლიანობაში ანიჭებდა თუ არა განმცხადებელს უფლებას იმ არსებით ინტერესზე, რომელიც ამ დებულებით არის დაცული. განაცხადებში, რომლებიც ისეთ მოთხოვნებს შეეხება, რომლებიც უკვე არსებულ საკუთრებას არ უკავშირდება, ასეთი მოთხოვნის მთელი არსი სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში რამდენიმე განსხვავებული

³³⁹ იქვე, § 77-82.

შინაარსით ჩამოყალიბდა. მაგალითად, ზოგიერთ საქმეში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე განმცხადებელის „მოთხოვნა იყო თუ არა საკმარისად დადგენილი აღსრულების თვალსაზრისით“; უჩვენეს თუ არა მათ, რომ „ეროვნულ კანონმდებლობაში არსებობდა მტკიცებადი უფლება სოციალურ დახმარებაზე“; ან თუ შესაბამისი პირი „აკმაყოფილებდა თუ არა ეროვნულ კანონმდებლობაში დადგენილ სამართლებრივ პირობებს რაიმე სახის შეღავათის მისაღებად. კოპეცკის საქმეში დიდმა პალატამ შეაჯამა „ლეგიტიმური მოლოდინის“ ცნების შესახებ არსებული პრეცედენტული სამართალი. ლეგიტიმური მოლოდინის შესახებ არსებული სხვადასხვა საქმის ანალიზის შემდეგ სასამართლომ დაასკვნა, რომ მისი პრეცედენტული სამართალი არ მიიჩნევა „ნამდვილი დავის“ ან „სადავო მოთხოვნის“ არსებობას როგორც კრიტერიუმს იმის განსასაზღვრად ადგილი ჰქონდა თუ არა პირველი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ლეგიტიმურ მოლოდინს“. მან მხარი დაუჭირა იმ მოსაზრებას, რომ „თუ ქონებრივი ინტერესი გამომდინარეობს მოთხოვნის ბუნებიდან იგი შეიძლება განხილულ იქნეს „აქტივად“ მაშინ, როცა ამისათვის არსებობს მყარი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში, მაგალითად სადაც ადგილი აქვს ეროვნული სასამართლოების დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალს, რომელიც ასეთ უფლებას განამტკიცებს (იხ. კოპეცკი, ზემოხსენებული აბზაცი 52). „ლეგიტიმური მოლოდინის შესახებ“ არსებული პრეცედენტული სამართლის ზემოთაღნიშნული ერთ-ერთი მიმართულება მოიცავდა ვითარებებს, როდესაც შესაბამისი პირები უფლებამოსილი იყვნენ დაყრდნობოდნენ ფაქტს მასზედ, რომ სამართლებრივი აქტი, რომელითაც მათ წარმოეშვათ ფინანსური ვალდებულება არ იქნებოდა უკუქცევითად გაუქმებული მათი ინტერესების საზიანოდ. ამ ტიპის საქმეებში, „ლეგიტიმური ინტერესი“ ემყარებოდა განმცხადებლის გონივრულად გამართლებულ ნდობას სამართლებრივ აქტის მიმართ, რომელსაც თავის მხრივ მყარი სამართლებრივი საფუძველი გააჩნდა და რომელიც ასევე მოიცავდა ქონებრივ უფლებებს. ასეთი ნდობის პატივისცემა გამომდინარეობს კანონიერების ერთი ასპექტიდან, რომელიც განუყოფელია კონვენციის ყველა მუხლიდან, რომელიც *inter alia* გულისხმობს, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა არსებობდეს რაიმე სამართლებრივი დაცვის ღონისძიება საჯარო ხელისუფლების მხრიდან კონვენციით გარანტირებულ უფლებებში დაუსაბუთებელი ჩარევისაგან თავის დასაცავად. მიუხედავად ეროვნულ სამართალში არსებული ქონებრივი ინტერესის წარმომშობი სამართლებრივი ბაზის შესახებ პრეცედენტულ სამართალში არსებული განსხვავებული ასახვისა, მისი ზოგადი არსი შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად: იმისათვის, რომ აღიარებული იქნეს მფლობელობა, რომელიც შეადგენს მათ შორის ლეგიტიმურ ინტერესსაც, განმცხადებელს უნდა გააჩნდეს დამაჯერებელი უფლება, რომელიც

კოპეცკის აზრად 52-ში ასახული პრინციპების გამოყენებით, არ იქნება საწინააღმდეგო ეროვნული კანონმდებლობით საკმარისად დადგენილი, არსებითი ქონებრივი ინტერესისა³⁴⁰. ამდენად, სრულიად ცხადია, რომ ლეგიტიმური მოლოდინის კონცეპცია მართალია გარკვეულ კრიტერიუმებს ემყარება, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც გადამწყვეტია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებები ამ ინსტიტუტის მოქმედებაში მოსაყვანად.

7.4. ჩარევა საკუთრების უფლების განხორციელებაში

თავად პირველი ოქმის პირველი მუხლის შინაარსი უშვებს საკუთრების უფლების განხორციელებაში ჩარევის შესაძლებლობას, განმარტავს რა რომ გარკვეული გარემოებების არსებობისას დასაშვებია საკუთრების ჩამორთმევა და აგრეთვე საკუთრების კონტროლი და ა.შ. „სამი წესის“ პრინციპის დადგენის შემდეგ კი პრაქტიკაში დადგა აუცილებლობა ზუსტად განსაზღვრულიყო ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ჩარევის აუცილებლობას განაპირობებდნენ და რომელთა მართლზომიერად მიჩნევაც შესაძლებელი იქნებოდა ევროსასამართლოსათვის.

ზოგადად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზი აჩვენებს, რომ საკუთრების უფლების განხორციელებაში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე გზით. ესაა მაგალითად, საკუთრების უფლების ჩამორთმევა (ექსპროპრიაცია), დროებითი ღონისძიებების განხორციელების გზით საკუთრების უფლების განხორციელების შეზღუდვა და კონტროლი საკუთრების უფლების განხორციელებაზე. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მეტად რთულია ნათელი განსხვავებების დადგენა საკუთრების უფლების ჩამორთმევასა და საკუთრების უფლების კონტროლს შორის, თუმცა ევროსასამართლო მაინც ახერხებს პირველი ოქმის პირველი მუხლის ამ ორ მეტ-ნაკლებად მსგავს ელემენტს შორის განსხვავების დადგენას საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი, როგორც წესი, ჩარევის ინტენსივობაა ხოლმე.

საკუთრების უფლების ჩამორთმევის საუკეთესო მაგალითია დიდი პალატის მიერ 2018 წელს განხილული საქმე G.I.E.M. S.R.L. and Others v. Italy, სადაც ოთხ იურიდიულ პირს ადგილობრივი თვითმმართველობის

³⁴⁰ Belany Nagy v. Hungary, GC, [2016], ECHR, (HUDOC), § 72-79.

მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის ხარვეზის გამო საკუთრების უფლება ჩამოერთვათ იმ მიწის ნაკვეთზე, სადაც ისინი უკვე აშენებდნენ ან უნდა აეშენებინათ შენობა-ნაგებობები, ხოლო ჩარევა განხორციელდა იტალიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით. ქონების ჩამორთმევად იქნა ასევე მიჩნეული ისეთი კანონის მიღება, რომელმაც უკუქცევითი ძალით ფაქტიურად გააუქმა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მის მიერ ლიცენზირებული ლოცმანების მიერ ძველი პერიოდის განმავლობაში მიყენებული ზიანის გამო³⁴¹. საგულისხმოა ისიც, რომ ჩამორთმევამ შეიძლება მიიღოს *de facto* ექსპროპრიაციის სახე ან უშუალოდ ქონების გადაცემის სახით განხორციელდეს³⁴². მეტ-ნაკლებად ცხადია თუ როგორც შეიძლება განხორციელდეს ეს უკანასკნელი შემთხვევა (თუნდაც ზემოხსენებული ორი პრეცედენტი ამის ნათელი მაგალითია). რაც შეეხება ე.წ. *de facto* ექსპროპრიაციის, მისი განსაზღვრა შედარებით რთულია. თუმცა ევროსასამართლომ ერთ-ერთ საქმეში *de facto* ექსპროპრიაციის იდენტიფიკაციისათვის საყურადღებო განმარტება გააკეთა. კერძოდ, საქმე *Elia S.r.l. v. Italy*, რომელიც შეეხებოდა კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის აკრძალვას (მაგრამ არა ექსპროპრიაციას) ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან განაშენიანების გენერალური გეგმის მიღების გამო. ევროსასამართლომ გაამახვილა რა ყურადღება ამ საკითხზე, მიუთითა, რომ განმცხადებელ კომპანიას არ ჰქონია შეზღუდული ნაკვეთზე მისაწვდომობა და არ დაუკარგავს ნაკვეთზე კონტროლი, და მართალია გართულდა მიწის გაყიდვა, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა პრინციპში არსებობდა, რის გამოც *de facto* ექსპროპრიაციას ადგილი არ ჰქონია³⁴³.

საკუთრების უფლების განხორციელების დროებითი ღონისძიების მეშვეობით შეზღუდვის თვალსაჩინო მაგალითია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც საკუთრების უფლებით სარგებლობას გარკვეული პერიოდით ზღუდავენ. ასეთი ღონისძიებები ექცევიან უფრო საკუთრების კონტროლის კატეგორიაში ვიდრე ჩამორთმევის, მაგრამ ფაქტია, რომ ჩარევას წარმოადგენენ. ასეთი ღონისძიებების კარგი ნიმუშია სარჩელის უზრუნველსაყოფად დეპოზიტის განთავსება აღმასრულებლის სადეპოზიტო ანგარიშზე, რომელსაც არ ერიცხებოდა პროცენტი (მაგრამ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით მოპასუხეს ძირითად თანხასთან ერთად მეტად მაღალი პროცენტი დაეკისრა)³⁴⁴. დროებითი

³⁴¹ *Pressos Compania Naviera S.A. and others v. Belgium*, [1995], ECHR, (HUDOC) § 34.

³⁴² *Immobiliare Saffi v. Italy*, [1999], ECHR, (HUDOC), § 46.

³⁴³ *Elia S.r.l. v. Italy*, [2001], ECHR, HUDOC, § 56.

³⁴⁴ *Hunguest Zrt. V. Hungary*, [2016], ECHR, (HUDOC).

ღონისძიების მაგალითია ასევე თვითმფრინავის რამდენიმე საათიანი დაყადაღება და ექსპლუატაციის შეჩერება³⁴⁵.

რაც შეეხება კონტროლს საკუთრების უფლების განხორციელებაზე ეს შეიძლება მრავალი საშუალებით განხორციელდეს. კომერციული იურიდიული პირებთან დაკავშირებით ასეთი შემთხვევები საკმაო რაოდენობით ყოფილა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია კონტროლად მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ექსპორტისა და იმპორტის მომწესრიგებელი კანონმდებლობის მიღება³⁴⁶, მიწაზე საკუთრების უფლების დაბრუნების ხანდაზმულობის ვადების დადგენა³⁴⁷, მასალების ბიზნესში გამოყენების წესების დადგენა³⁴⁸, სასაქონლო ნიშნების დაცვა³⁴⁹, სანქციების დაწესების რეჟიმის მხარდაჭერა³⁵⁰, სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირება³⁵¹ და სხვ.

7.5. საკუთრების უფლების განხორციელებაში ჩარევის მართლზომიერება

პირველი ოქმის პირველი მუხლის შინაარსი (როგორც პირველი, ისე მეორე წინადადება) უშვებს საკუთრების უფლების განხორციელებაში ჩარევას და როგორც ზევით აღვნიშნეთ ასეთი ჩარევის ფორმას საკუთრების ჩამორთმევა ან მისი კონტროლი. თუმცა სახელმწიფოს მხრიდან ყველა ჩარევა არ მიიჩნევა კონვენციის შეუსაბამოდ და უამრავი მაგალითი არსებობს როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასეთი ჩარევა მართლზომიერად მიიჩნია. ცხადია, რომ ჩარევის მართლზომიერებას აღიარების შემთხვევაში დაცული უნდა იყოს თავად პირველი ოქმის პირველი მუხლით დადგენილი მინიმალური გარანტიები. როგორც აღვნიშნეთ ასეთი მინიმალური გარანტიებია **ჩარევის კანონიერება, ჩარევის ლეგიტიმური მიზანი, ჩარევის პროპორციულობა.**

ევროსასამართლოს დიდი პალატის მიერ განხილული საქმეში *G.I.E.M. S.R.L. and Others v. Italy*, ამომწურავად იქნა განმარტებული თუ რა იგულისხმება კანონიერების ცნებაში: „სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს,

³⁴⁵ *Air Canada v. the United Kingdom*, [1995], ECHR, (HUDOC), § 8-9.

³⁴⁶ *AGOSI v. UK*, [1986], ECHR, (HUDOC), წიგნში *Harris D.J., O'Boyle D., Bates E.P. & Buckley C.M.*, *Harris, O'Boyle and Warbrick Law of European Convention of Human Rights*, Oxford University Press, 2014, 863.

³⁴⁷ *JA Pye (Oxford) Ltd. and JA Pya (Oxford) Land Ltd. v. UK*, [2007], ECHR, (HUDOC), იქვე.

³⁴⁸ *Pinnacle Meat Processors Company and Others v. UK*, [1998], ECHR, (HUDOC) და *Denimark Ltd. and Others v. UK*, [2000], იქვე.

³⁴⁹ *Paeffgen GmbH. V. Germany*, [2007], ECHR, (HUDOC), იქვე.

³⁵⁰ *Bosphorus Hava Yollari Turizm ve Ticaret Anonim Sirketi v. Ireland*, [2005], ECHR, (HUDOC), იქვე.

³⁵¹ *Magadat.com SRL. V. Moldova*, [2008], ECHR, HUDOC, იქვე.

რომ პირველი ოქმის პირველი მუხლი ყველაფერთან ერთად მოითხოვს, რომ საჯარო ხელისუფლების ჩარევა საკუთრების განხორციელებაში შესაბამისობაში იყოს კანონთან: პირველი აბზაცის მეორე წინადადებით საკუთრების ნებისმიერი ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ „კანონით გათვალისწინებულ პირობებში“; მეორე წინადადება კი ნებას რთავს სახელმწიფოს განახორციელოს საკუთრების კონტროლი კანონის „გამოყენების“ მეშვეობით. უფრო მეტიც, კანონიერება როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, ჩადებულია კონვენციის ყველა მუხლში. გარდა ამისა, ვინაიდან პირველი ოქმის პირველი მუხლის მეორე წინადადება უნდა განიმარტოს ამავე მუხლის პირველ წინადადებაში მოცემული ზოგადი პრინციპის შესაბამისად, უნდა არსებობდეს გონივრული პროპორციულობა გამოყენებულ ღონისძიებებსა და მისაღწევ მიზანს შორის: სასამართლომ უნდა განსაზღვროს შენარჩუნებულ იქნა თუ არა ამ მხრივ სამართლიანი ბალანსი საზოგადოებრივ ინტერესის მოთხოვნებსა და ინდივიდუალური კომპანიის ინტერესებს შორის. ამის განსაზღვრისას სასამართლო აღიარებს, რომ გამოყენებული ღონისძიებების მხრივ და იმ საკითხის გადაწყვეტისას არის თუ არა გამართლებული შედეგები საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად მისაღწევი ამოცანის დადგომის მიზნით სახელმწიფოს გააჩნია შეფასების ფართო ფარგლები³⁵²“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს განმარტება პრაქტიკული თვალსაზრისით კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ევროსასამართლოს მიერ ამ განმარტებით განსაზღვრული კრიტერიუმების დარღვევის დადგენისას კონვენციის დარღვევა ფიქსირდება. მაგალითად, კანონისმიერი დანაწესის არარსებობა სარჩელის უზრუნველყოფისას აღმასრულებლის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებულ თანხაზე პროცენტის დარიცხვის თაობაზე მიჩნეულ იქნა სამართლიანი ბალანსის დარღვევად მოსარჩელის უფლებების დაცვის საზოგადოებრივ ინტერესსა და განმცხადებლის მიერ საკუთრების უფლების განხორციელების ინტერესს შორის³⁵³;

ჩარევის მართლზომიერების განსაზღვრის მეორე ნიშანი ჩარევის ლეგიტიმური მიზანია ანუ გააჩნდა თუ არა სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზანი იმისათვის, რომ საკუთრების უფლების განხორციელებაში ჩარეულიყო. ევროსასამართლომ მთელ რიგ თავსი გადაწყვეტილებებში განმარტა ლეგიტიმური მიზნის არსი, მიუთითა რა, რომ „კონვენციით აღიარებული საკუთრების უფლების განხორციელებაში ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. პირველი ოქმის პირველ მუხლში

³⁵² G.I.E.M. S.R.L. and Others v. Italy, [2018], GC, ECHR, (HUDOC), § 292-293.

³⁵³ Hunguest Zrt. V. Hungary, [2016], ECHR, (HUDOC), § 32.

განმტკიცებული „სამართლიანი ბალანსის“ პრინციპი, თავისთავად განაპირობებს საზოგადოების საერთო ინტერესის არსებობას. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ მუხლში განმტკიცებული ზოგიერთი წესი არ არის ერთმანეთისგან დაშორებული იმ თვალსაზრისით, რომ ერთმანეთთან არ აქვთ კავშირი და რომ მეორე და მესამე წესები მოქმედებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამის ერთ-ერთი ნიმუშია „საჯარო ინტერესის“ არსებობა, რაც აღნიშნულია მეორე წინადადებაში ან „საერთო ინტერესის“ არსებობა, აღნიშნული მეორე წინადადებაში, რომელთაც მიყვავართ პირველ წინადადებაში განმტკიცებულ პრინციპამდე. ასე რომ პირველი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრული საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლება უნდა ემსახურებოდეს აგრეთვე საზოგადოებრივ ინტერესს³⁵⁴. კიდევ უფრო ფართო მსჯელობა ლეგიტიმური ინტერესის შესახებ განახორციელა ევროსასამართლომ როდესაც განმარტა, რომ „იქიდან გამომდინარე რომ კარგად იცნობს საზოგადოებასა და მის ინტერესს, ეროვნული ხელისუფლებას გააჩნია ფართო მიხედულება იმის განსაზღვრისას თუ რა წარმოდგენს საზოგადოების საერთო ინტერესს. უფრო მეტიც, „საზოგადო ინტერესის“ ცნება მეტად ფართოა. სასამართლო, ითვალისწინებს რა რომ კანონმდებლის ფართო მიხედულებას სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას, პატივს სცემს კანონმდებლის მიერ „საზოგადო ინტერესის“ განსაზღვრას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება აშკარად არ ემყარება გონივრულ საფუძვლებს³⁵⁵“.

პრეცედენტულ სამართალში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სადავო გახადა ლეგიტიმური მიზანი მაშინ, როცა სახელმწიფო ჩაერია სკოლების სახელმძღვანელოებით მომარაგების პროცესში და კერძო კომპანიების ეს საქმიანობა მთლიანად სახელმწიფოს გადასცა, ვინაიდან სასამართლო ვერ დარწმუნდა რომ ეს ღონისძიება ხელსაყრელი იქნებოდა საბოლოო მომხმარებლებისათვის (ანუ მშობლებისათვის და მოსწავლეებისათვის), რადგან სახელმძღვანელოების ფასები როგორც იყო სახელმწიფოს მიერ რეგულირებული, ისევე დარჩა³⁵⁶. სხვა საქმეში, ევროსასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ეროვნული სასამართლოების მიერ განხორციელებული შეფასება მასზედ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ლიცენზია ლეგიტიმური მიზნით იყო ჩამორთმეული, რათა აღმოფხვრილიყო ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ კონკურენციის წესებით

³⁵⁴ Industrial Financial Consortium Investment Metallurgical Union v. Ukraine, ECHR, (HUDOC), § 187.

³⁵⁵ Könyv-Tár Kft and other v. Hungary, [2018], ECHR, (HUDOC), § 45.

³⁵⁶ იქვე.

დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება³⁵⁷. გარემოს დაცვა და ევროკავშირის კანონმდებლობის დაცვა ასევე მიჩნეულ იქნა საკუთრების უფლების განხორციელებაში ჩარევისათვის (მიდიების მოპოვების ლიცენზიის გაუქმების) ლეგიტიმურ მიზნად³⁵⁸.

რაც შეეხება ჩარევის პროპორციულობას, პრეცედენტული სამართალი იმ მიმართულებით განვითარდა, რომ პროპორციულობაში მოიაზრება „ჩარევის განხორციელებისას „სამართლიანი ბალანსის“ დაცვა საზოგადოების მოთხოვნებსა და პირის ფუნდამენტურ უფლებებს შორის. ასეთი ბალანსის დაცვის აუცილებლობა ასახულია პირველი ოქმის პირველი მუხლის სტრუქტურაში, რომელიც მოიცავს ასევე მეორე წინადადებას, რომელიც უნდა იქნეს წაკითხული პირველ წინადადებაში ასახული ზოგადი პრინციპების შესაბამისად. კერძოდ, დაცულ უნდა იქნეს პროპორციულობის გონივრული მოცულობა გამოყენებულ ღონისძიებებსა და მისაღწევ მიზნებს შორის იმ ნებისმიერ ღონისძიების მიმართ, რომელიც პირს მის საკუთრებას ჩამოართმევს. შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული კომპენსაციის პირობები არსებითი მნიშვნელობისაა იმის შეფასებისას, სადავო ღონისძიებები ადგენენ თუ არა სამართლიან ბალანსს და განსაკუთრებით, ხომ არ აკისრებენ განმცხადებელს არაპროპორციულ ტვირთს. ამ თვალსაზრისით, ქონების ჩამორთმევა მის ღირებულებასთან გონივრულად დაკავშირებული თანხის გადახდის გარეშე ზოგადად არაპროპორციულ ჩარევას წარმოადგენს და კომპენსაციის საერთოდ გადაუხდელობა შეიძლება მარტოდენ გამონაკლის ვითარებაში იყოს მიჩნეული გამართლებულად³⁵⁹“. ამ ყველა გარემოების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ უკუქცევითი ძალის მქონე კანონის მიღება, რომლითაც ძველი თარიღიდან გაუქმდა სახელმწიფოს პასუხიმგებლობა მის მიერ ლიცენზირებული ლოცმანების მიერ მართული გემებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის ფუნდამენტურად ერეოდა განმცხადებლების უფლებებში, რის გამოც არ შეესაბამებოდა სამართლიანი ბალანსის დაცვას ორივე მხარის ინტერესებს შორის³⁶⁰. საგულისხმოა ისიც, რომ ამასთან, სათანადო ბალანსი საზოგადო ინტერესსა და ინდივიდის ინტერესს შორის ვერ მიიჩნევა დაცულად თუ შესაბამის პირს დაეკისრა ინდივიდუალური და აღმატებული ტვირთი³⁶¹. მოცემულ საქმეში მაგალითად,

³⁵⁷ S.C. Antares Transport S.A. and S.C. Transroby S.R.L. v. Romani, [2016], ECHR, (HUDOC), § 43.

³⁵⁸ O'Sullivan McCarthy Mussel Development Ltd v. Ireland, [2018], § 105-114.

³⁵⁹ Pressos Compania Naviera S.A. and others v. Belgium, [1995], ECHR, (HUDOC) § 38.

³⁶⁰ იქვე, § 43.

³⁶¹ S.C. Antares Transport S.A. and S.C. Transroby S.R.L. v. Romani, [2016], ECHR, (HUDOC), § 44.

ევროსასამართლომ ასეთი დასკვნის საფუძველი გახდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაზიდვის ლიცენზიის გაუქმება ისეთ პირობებში, როდესაც განმცხადებლებს არ მიეცათ კომპენსაცია არასწორად გამოცემული ადმინისტრაციული აქტის გაუქმების გამო, არ მიეცათ იმავე ლიცენზიაზე გამოცხადებულ ახალ ტენდერში მონაწილეობის უფლება და ზოგადად, როდესაც დადგინდა ადმინისტრაციული აქტის უკანონობა, განმცხადებლების უფლებების შესახებ არავის უზრუნია³⁶². ევროსასამართლოს აზრით, ინდივიდუალური და აღმატებული ტვირთი დაეკისრათ განმცხადებლებს მაშინაც, როდესაც გადახდისუნარიობის წარმოების დროს მათ ავტომატურად, სასამართლოს არსებითი ჩარევის გარეშე, დაეკისრათ მოვალის მიერ მათთვის სახელშეკრულებო ვალდებულებათა ფარგლებში გადახდილი თანხების მოვალისთვის უკან დაბრუნება და ამ დროს არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი მექანიზმი, რომ ეს ზარალი როგორმე აენაზღაურებინათ³⁶³.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონვენციის პირველი ოქმის პირველი პუნქტი კომერციული იურიდიული პირების ქონებრივი უფლებების დაცვის ძირითად დებულებას წარმოადგენს. პრეცედენტული სამართალი ამ მხრივ მეტად ფართოა, მრავლისმომცველი და ნორმის სწორი განმარტებისა და ანალიზის მეშვეობით ხელს უწყობს როგორც საზოგადოებრივი, ისე კერძო ინტერესის ცხოვრებაში გატარებას.

7.6. უცხოური ინვესტიცია როგორც პირველი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრული საკუთრება და მისი დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალით

თანამედროვე ვითარებაში, როდესაც ქვეყნების ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინვესტიციებზე და განსაკუთრებით უცხოურ ინვესტიციებზე, თავისთავად წარმოიშევა ისეთი გადამწყვეტი საკითხი, როგორცაა მათი დაცვა ადგილსამყოფელი სახელმწიფოში. მართალია, თითქმის ყველა სახელმწიფოს მათ შორის ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებს აქვთ შესაბამისი კანონმდებლობა, აგრეთვე ინტენსიურად იღებენ ხოლმე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, საერთაშორისო თანამეგობრობამ მაინც შეიმუშავა მთელი რიგი მრავალმხრივი საერთაშორისო

³⁶² იქვე, § 46-51.

³⁶³ Boyadzhieva and Gloria International Limited EOOD v. Bulgaria, [2018], ECHR, (HUDOC), §45-46.

ხელშეკრულებები³⁶⁴, რომლებიც ინვესტიციების დაცვას ისახავს მიზნად. მიუხედავად ამისა, მაინც აქვს ხოლმე ადგილი შემთხვევებს, როდესაც საინვესტიციო დავების მონაწილეები მიმართავენ ხოლმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. აქედან გამომდინარე, ამ თავში ჩვენ შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვას თუ რა შემთხვევებში სარგებლობენ ინვესტორები უფლებით მიმართონ ევროსასამართლოს და რა უპირატესობა ან ნაკლოვანება გააჩნია დავის მოწესრიგების ამ მექანიზმს საერთაშორისო საინვესტიციო დავების გადაწყვეტის ისეთ ეფექტურ მექანიზმებთან შედარებით როგორცაა საერთაშორისო არბიტრაჟი. ამასთან, მოცემული ნაშრომის თავისებურებიდან გამომდინარე (რაც კომერციულ იურიდიულ პირებთან დაკავშირებული სპეციფიკით შემოიფარგლება), ძირითადი აქცენტი გაკეთდება საინვესტიციო დავებში კომერციული იურიდიული პირების დაცვაზე.

მართალია ინვესტორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირი, უმრავლეს შემთხვევებში ინვესტორი სწორედ კომერციულ იურიდიულ პირს წარმოადგენს, ხოლო მისი მოქალაქეობა გადაწყვეტია იმ საკითხზე მსჯელობისას თუ რომელი ხელშეკრულებით ისარგებლებს იგი³⁶⁵. ამასთან, კომერციული იურიდიული პირების შემთხვევაში, მათი ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი კუთვნილების საკითხზე ყველაზე მეტად გაბატონებული მოსაზრებაა ინკორპორაციის ანუ საქმიანობის ადგილსამყოფელის კრიტერიუმი³⁶⁶: „საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის შესაბამისად, იურიდიული პირის მოქალაქეობის კუთვნილების დადგენისათვის რამდენიმე კრიტერიუმი არსებობს. ყველაზე მეტად გავრცელებულია ინკორპორაციის ანუ რეგისტრირებული ოფისის ადგილმდებარეობა. ალტერნატიულად ცენტრალური ადმინისტრაციის ან ეფექტური ადგილსამყოფელის ადგილიც შეიძლება იქნეს მხედველობაში მიღებული“³⁶⁷.

რაც შეეხება ინვესტიციას, უცხოურ ინვესტიციად ზოგადად განიხილება უძრავი ან მოძრავი ქონება, აქციები, მოთხოვნის უფლება, ნოუ-ჰაუ, ინტელექტუალური საკუთრება და ა.შ. უფრო ზუსტი ჩამონათვალი მოცულია ხოლმე ხელშეკრულებებში - ორმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებებში. მაგალითად, საქართველოსა და

³⁶⁴ ნიუ იორკის კონვენცია, ენერგეტიკული ქარტია, ჩრდილო ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და ა.შ.

³⁶⁵ *Dolzer R., Schreuer C.*, Principles of International Investment Law, Oxford University Press, 2006, 46.

³⁶⁶ იქვე, 49.

³⁶⁷ *Autopista v. Venezuela*, Decision on Jurisdiction, [2001], (ICSID Reports 419, para. 107). ციტირებულია *Dolzer R., Schreuer C.*, Principles of International Investment Law, Oxford University Press, 2006, 49.

შვედეთის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულებით: „ტერმინი „ინვესტიცია“ ნიშნავს ნებისმიერი სახის ქონებას, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ან აკონტროლებს ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორი მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, იმ პირობით, თუ ინვესტირება განხორციელდა მეორე ხელშემკვრელი მხარის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, და რომელიც მოიცავს შემდეგს, და არა მხოლოდ:

a) მოძრავი და უძრავი ქონება, ასევე ნებისმიერი სხვა ქონებრივი უფლება, როგორცაა იჯარა, იპოთეკა, ყადაღა, გირაო, უზუფრუქტი და მსგავსი უფლებები;

b) კომპანია ან საწარმო, ან წილები, აქციები, ან კომპანიაში ან საწარმოში მონაწილეობის სხვა ფორმები;

c) ფულის ან ნებისმიერი ისეთი შესრულების მოთხოვნის უფლება, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური ღირებულება;

d) ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, ტექნიკური პროცესები, საფირმო დასახელებები, ნოუ-ჰაუ, გუდვილი და სხვა მსგავსი უფლებები;

e) კანონის, ადმინისტრაციული განჩინებების ან ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული სამეწარმეო კონცესიები, მათ შორის ბუნებრივი რესურსების მოძიების, კულტივირების, მოპოვების ან გამოყენების კონცესიები³⁶⁸.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მართალია, სახელმწიფოებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ ტერმინ „ინვესტიციის“ ცნების შინაარსი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ინვესტიციების შესახებ დადებული ხელშეკრულების შინაარსი ძირითადად სტანდარტული საინვესტიციო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს მათი ცნება ერთმანეთს წააგავს. თუმცა ფაქტია, რომ ინვესტიცია მრავალი კომპონენტისაგან შედგება.

როგორც აღვნიშნეთ, საინვესტიციო დავების განხილვისათვის მხარეები საინვესტიციო არბიტრაჟებს მიმართავენ ხოლმე, რაც დამკვიდრებული პრაქტიკაა, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა რიგ დავებს, როდესაც ერთი შეხედვით საინვესტიციო დავა საბოლოოდ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა (ცხადია სუბსიდიარულობის პრინციპის გათვალისწინებით). ზოგიერთ შემთხვევაში ინვესტორმა აირჩია პარალელური სამართალწარმოება როგორც არბიტრაჟში ისე ევროსასამართლოში³⁶⁹. აქედან გამომდინარე, აუცილებელია

³⁶⁸ საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/document/view/1202204?publication=0>, ნანახი იქნა 16.02.2019.

³⁶⁹ *Kriebaum U.*, Is the European Court of Human Rights an Alternative to Investor-State Arbitration? წიგნში

განისაზღვროს თუ რა შემთხვევებშია დასაშვები ინვესტორთა პარალელური საქმეები და რა შემთხვევაში მიიჩნევა მათ დაუშვებლად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალში პარალელურად მიმდინარე დავასთან დაკავშირებით უაღრესად საგულისხმო განმარტება იქნა გაკეთებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეში OAO Netyanaya Kompaniya Yukos v. Russia, სადაც საკითხი ეხებოდა ევროსასამართლოს მიერ განაცხადის დასაშვებად ცნობის შემდეგ მთავრობის მიერ დასმულ საკითხს მასზედ, რომ ჯერ კიდევ დასაშვებად ცნობამდე კომპანიის სამმა მაჟორიტარმა აქციონერმა (კომერციულმა იურიდიულმა პირმა), რომლებიც ერთობლივად ფლობდნენ აქციათა 60%-ზე მეტს, ენერგეტიკული ქარტიის დარღვევის გამო განაცხადი შეიტანეს ჰააგის მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო სასამართლოში³⁷⁰. სასამართლომ განიხილა რა ეს საკითხი, განმარტა, რომ იმისათვის, რომ სასამართლო განსჯადობა გამორიცხული ყოფილიყო, აუცილებელი იყო სასამართლოს გადაეწყვიტა მის წინაშე არსებული საქმე იყო თუ არა არსებითად იგივე, რაც ის საქმე, რომელიც წარდგენილ იყო პარალელურ სამართალწარმოებაში, და თუ ეს ასე იყო, ეს უკანასკნელი საქმის წარმოება იყო თუ არა „მოკვლევის ან მოგვარების სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტანცია“ როგორც ადგენდა კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი³⁷¹. საქმეთა მსგავსების დადგენა კი მოიცავდა შესაბამისი საქმის წარმოების მხარეების, მათ მიერ მოხმობილი სამართლებრივი ნორმების, მათი მოთხოვნების ფარგლების და მოთხოვნილი ანაზღაურების სახის ურთიერთშედარებას³⁷². პარალელური სამართალწარმოების ხასიათის ანალიზისას, სასამართლო არ იქნებოდა შემოფარგლული ფორმალური გადამოწმებით, არამედ შეამოწმებდა იმასაც, იყო თუ არა განმხილველი უწყება, მისი პროცედურა და გადაწყვეტილების ეფექტი იმდაგვარი, რომ გამოერიცხა სასამართლოს განსჯადობა 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად³⁷³.

აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა როგორც მთავრობის, ისე განმცხადებლის არგუმენტები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს სამართალწარმოებები იდენტურს არ წარმოადგენდნენ. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ კვიპროსში რეგისტრირებული ორი და მენის კუნძულზე რეგისტრირებული ერთი აქციონერი კომერციული იურიდიული პირის

Dupuy P.M., Francioni F., Peterssmann E.U., (eds.), Human Rights in International Law and Arbitration, Oxford University Press, 2009, 219.

³⁷⁰ OAO Netyanaya Kompaniya Yukos v. Russia, [2011], ECHR, (HUDOC), § 517.

³⁷¹ იქვე, § 520.

³⁷² იქვე, § 521.

³⁷³ იქვე, § 522.

მიერ ჰააგის მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ წამოწყებული საარბიტრაჟო დავა სხვა გარემოებებთან ერთად, ემყარებოდა იმავე ფაქტებს და გარემოებებს, რასაც განმცხადებელი ამ განაცხადშიც ეფუძნებოდა, მაგრამ ამავე დროს, მათ მოჰყავდათ ენერგეტიკული ქარტიიდან გამომდინარე ინვესტორთა უფლებების დარღვევის მრავალი ბრალდება³⁷⁴. საწარმოს ზოგიერთმა მინორიტარულმა აქციონერმა კი მსგავსი სამართალწარმოებები წარმოიწყო ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების საფუძველზე, რის გამოც საბოლოოდ ევროსასამართლომ მიუთითა, რომ მიუხედავად მოცემული საქმესა და საარბიტრაჟო სამართალწარმოების საქმეებში დავის საგნების გარკვეული მსგავსებისა, მოსარჩელები იმ (ანუ საარბიტრაჟო) საქმეებში იყვნენ განმცხადებელი საწარმოს აქციონერები, რომლებიც მოქმედებდნენ ინვესტორთა სახით და თავად საწარმო, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს წარმოადგენდა, განმცხადებელი არ ყოფილა³⁷⁵. ამავე დროს, ევროსასამართლოსთვის არსებით არგუმენტად იქცა ის ფაქტი, რომ მოცემული საქმე წარდგენილ იქნა განმცხადებელი საწარმოს მიერ თავისი სახელით და მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულ აქციონერ იურიდიულ პირებზე შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, რამაც საწარმოს ლიკვიდაცია გამოიწვია, გარკვეული გავლენა იქონია, მათ უშუალოდ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ მიუღიათ მონაწილეობა სტრასბურგის სამართალწარმოებაში³⁷⁶. ამასთან, მიუხედავად საწარმოს ლიკვიდაციისა, სასამართლომ მისი განაცხადი დასაშვებად მიიჩნია, რაც ადასტურებდა სასამართლოს მიერ განმცხადებელი საწარმოს მიერ თავისი უფლებების დაცვაზე ყურადღების გამახვილებას, ხოლო ყველა ამ გარემოებიდან სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეები ამ საარბიტრაჟო სამართალწარმოებებში და მოცემულ საქმეში სხვადასხვა პირები იყვნენ, რის გამოც ეს ორი საკითხი არ იყო არსებითად ერთი და იგივე 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებიდან გამომდინარე³⁷⁷.

საარბიტრაჟო დავის გამო განაცხადის დაუშვებლობის საკითხი ასევე დაისვა საქმეში *Le Bridge Corporation Ltd. S.R.L. against the Republic of Moldova*, სადაც უბაჟო ვაჭრობის მაღაზიების მოწყობის ტენდერში გამარჯვებულ საწარმოს ასეთი მაღაზიების ნაწილის მოწყობის შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, გაუუქმეს ტენდერში გამარჯვების შესახებ გადაწყვეტილება და გამარჯვებულად მისი კონკურენტი გამოაცხადეს, რის გამოც საწარმოს 100%-იანმა

³⁷⁴ იქვე, § 524.
³⁷⁵ იქვე.
³⁷⁶ იქვე, § 525.
³⁷⁷ იქვე, § 525-526.

დამფუძნებელმა საფრანგეთის მოქალაქე ფიზიკურმა პირმა სარჩელით მიმართა საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრს (ICSID-ის) მოლდოვასა და საფრანგეთს შორის დადებული ორმხრივი საინვეტიციო ხელშეკრულების საფუძველზე³⁷⁸.

საგულისხმოა, რომ მოლდოვას შიდა სასამართლოებში განმცხადებელი საწარმო თავს იმით იცავდა, რომ სარჩელი შეტანილი იყო ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების 30 დღიანი ვადის დარღვევით და ამასთან არა ადმინისტრაციულ სასამართლოში, არამედ ეკონომიკურში, თანაც სააპელაციო (და არა პირველი ინსტანციის) ინსტანციაში. საბოლოოდ პირველი ინსტანციის ეკონომიკურმა (და არა ადმინისტრაციულმა) სასამართლომ სარჩელი ჯერ დასაშვებად მიიჩნია, შემდეგ კი ადმინისტრაციული აქტი ბათილად ცნო, ხოლო სააპელაციო სასამართლომ არა მარტო დატოვა უცვლელად ეს გადაწყვეტილება, არამედ სარეზოლუციო ნაწილში ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელე საწარმო იყო ტენდერის გამარჯვებული, რაც უცვლელი დარჩა უზენაეს სასამართლოში³⁷⁹. საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრს სარჩელით მიმართა განმცხადებელი საწარმოს ერთადერთმა აქციონერმა შარლ არიფმა, რომელმაც მოითხოვა დაკარგული ინვესტიციის, მიუღებელი შემოსავლისა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება³⁸⁰. საინვესტიციო დავების საარბიტრაჟო ტრიბუნალმა სხვა საკითხებთან ერთად განიხილა ეკონომიკური სასამართლოს განსჯადობა, 30 დღიანი ვადის დარღვევა, სასამართლოს მიერ იმაზე მეტის მიკუთვნება მოსარჩელეზე ვიდრე იგი ითხოვდა და დაასკვნა, რომ მართალია გარკვეულ გადაცდომებს ადგილი ჰქონდა, რის გამოც გადაწყვეტილებები იყო არასწორი მაგრამ არა უსამართლო და Le Bridge-ს შესაძლებლობა ჰქონდა გაეგრძელებინა საქმიანობა საზღვარზე არსებულ თავის მაღაზიებში კონკურენტი საწარმოს გვერდით, რის გამოც ეკონომიკური სასამართლოს მცდარ გადაწყვეტილებას Le Bridge-ზე ზეგავლენა არ მოუხდენია³⁸¹.

მიუხედავად ამისა, ტრიბუნალმა მაინც დაადგინა მოლდოვას რესპუბლიკის მიერ საფრანგეთთან 1997 წელს დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების დარღვევა, ვინაიდან Le Bridge-ს არ მიეცა შესაძლებლობა კომინიოვის აეროპორტში უბაჟო ვაჭრობის მეხუთე მაღაზია გაეხსნა და მოპასუხე სახელმწიფოს 2 187 4887 ევრო დააკისრა³⁸².

³⁷⁸ Le Bridge Corporation Ltd. S.R.L. against the Republic of Moldova, [2018], ECHR, (HUDOC).

³⁷⁹ იქვე, § 4-10.

³⁸⁰ იქვე, § 11-12.

³⁸¹ იქვე, § 17.

³⁸² იქვე, § 18.

Le Bridge-მა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართ კონვენციის მე-6 მუხლისა და პირველი ოქმის პირველი მუხლი დარღვევის პრეტენზიით, რაც გამოიხატებოდა უსამართლო სამართალწარმოებაში, აგრეთვე ასეთი სამართალწარმოებით ქონების დაკარგვაში.

სწორედ ამ დროს გააკეთა ევროსასამართლომ პარალელური სამართალწარმოების საკითხის გადაწყვეტისათვის ფუძემდებლური დასკვნა. კერძოდ, შეისწავლა რა მის წარმოებაში არსებული განაცხადი, მან აღნიშნა, რომ დასაშვებობის კრიტერიუმის ასამოქმედებლად აუცილებელი იყო, რომ განაცხადი „არსებითად იგივე“ ყოფილიყო რაც საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრში არსებული განაცხადი³⁸³. დეტალურად გაეცნო რა ICSID-ში შეტანილ ბატონ არიფის საჩივარს, ევროსასამართლოსთვის ცხადი გახდა, რომ მის წარმოებაში არსებული განაცხადი არსებითად იგივე იყო, რადგან ორივე საერთაშორისო წარმოებაში ძირითად არგუმენტებს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებში მიმდინარე სამოქალაქო დავის უსამართლო ხასიათი წარმოდგენდა³⁸⁴.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირდაპირ მიუთითა მის მიერ განხილულ OAO Neftyanaya Kompaniya Yukos-ის საქმეში გაკეთებულ თავისავე დასკვნაზე და განმარტა, რომ ეს ორი საქმე არ შეიძლებოდა მსგავს საქმეებად ჩათვლილიყვნენ, ვინაიდან იმ საქმეში ადგილი ჰქონდა ბევრ ისეთ აქციონერს, რომლებიც არ ახდენდნენ თავიანთი საქმიანობის კოორდინირებას და არ იყვნენ განმცხადებელი საწარმოს მოქმედებების შესახებ საქმის კურსში და რომელთა მხოლოდ ერთი ნაწილიც აწარმოებდა საქმეებს სხვადასხვა არბიტრაჟში, მაშინ როცა Le Bridge-ის შემთხვევაში ერთადერთი აქციონერი აქტიურად მონაწილეობდა სტრასბურგში მიმდინარე სამართალწარმოებაში, ხოლო როგორც დირექტორი ხელსაც აწერდა ევროსასამართლოში წარდგენილ განაცხადს³⁸⁵. ასეთ ვითარებაში და იმის გათვალისწინებით, რომ ბატონი არიფი საინვესტიციო ტრიბუნალში ამტკიცებდა, რომ დაუშვებელი იყო მისი, როგორც ფიზიკური პირის გამიჯვნა საწარმო Le Bridge-საგან, ხოლო ევროსასამართლოში წარდგენილ განაცხადში კი განმცხადებელი საწარმო არ ახდენდა თავის გამიჯვნას ბატონი არიფისაგან, სასამართლოს სხვა გზა არ დარჩენოდა რათა დაესკვნა, რომ განაცხადი იყო არსებითად იგივე, რაც უკვე გადაწყვეტილი იყო „მოკვლევის ან მოგვარების სხვა საერთაშორისო-

³⁸³ იქვე, § 26.
³⁸⁴ იქვე.
³⁸⁵ იქვე, § 29.

სამართლებრივ ინსტანციის მიერ და არ შეიცავდა რაიმე ახალ ფაქტობრივ გარემოებას“, რის გამოც დაუშვებელი იყო³⁸⁶.

ამ ორივე საქმეში განვითარებული მსჯელობების შედეგად, პარალელურად მიმდინარე საინვესტიციო დავის დასაშვებობასთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები - იმისათვის, რომ საინვესტიციო დავიდან გამომდინარე განაცხადი დასაშვებად იქნეს მიჩნეული აუცილებელია, რომ განაცხადი იყოს არსებითად იგივე. განაცხადი არსებითად იგივედ ჩაითვლება, თუ იგივეა

- ა) მხარეები;
- ბ) სამართლებრივი ნორმები;
- გ) მოთხოვნის ფარგლები;
- დ) მოთხოვნის ანაზღაურების სახე.

ამავე დროს, პარალელური განხილვის დროს არსებული განხილვის პროცედურა უნდა იყოს ისეთი ეფექტური, რომ გამორიცხოს ევროსასამართლოს განსჯადობა.

რაც შეეხება, ისეთ საინვესტიციო დავებს, რომლებშიც პარალელური სამართალწარმოება არ მიმდინარეობს, ასეთი დავები დასაშვებობის ზოგადი წესების ქვეშ ექცევა და არსებითად იხილება ხოლმე. უფრო კონკრეტულად, ინვესტიცია (ან ინვესტიციის შედეგად შექმნილი ქონება ან უფლება) მიიჩნევა პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკუთრებად, რის შედეგადაც მასზე მოქმედებს ამ მუხლითა და პრეცედენტული სამართლით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმი.

საქმეში *Bimmer S.A. v. Moldova*, განმცხადებელი საწარმო იყო მოლდოვაში რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირი, რომლის დამფუძნებლები იყვნენ მოლდოველი, ამერიკელი და ბაჰამის კუნძულები ინვესტორები, რის შედეგადაც ეს საწარმო მოლდოვას კანონმდებლობიდან გამომდინარე მიიჩნეოდა უცხოური ინვესტიციების შედეგად შექმნილ საწარმოდ და სარგებლობდა კანონით დადგენილი შეღავათებით³⁸⁷. პრეზიდენტის ბრძანებულებით საწარმოებს ნება მიეცათ გაეხსნათ უბაჟო ვაჭრობის მაღაზიები, რის საფუძველზეც განმცხადებელმა საწარმომ ხელშეკრულება გააფორმა საბაჟო დეპარტამენტთან მოლდოვასა და რუმინეთის საზღვარზე, საბაჟოს ტერიტორიაზე, გაეხსნა მაღაზია, რაზეც აგრეთვე მოიპოვა ორი ლიცენზია უბაჟო ვაჭრობის მაღაზიისა და უბაჟო ვაჭრობის ბარის გახსნის თაობაზე და შეუდგა საქმიანობას 1998 წელს³⁸⁸.

2002 წელს პარლამენტმა მიიღო შესწორებები საბაჟო კოდექსში, რომლითაც შეიზღუდა უბაჟო ვაჭრობის პუნქტების განთავსება და ისინი

³⁸⁶ იქვე, § 31-33.

³⁸⁷ *Bimmer S.A. v. Moldova*, [2007], ECHR, (HUDOC), § 7.

³⁸⁸ იქვე, § 9-10.

დაშვებულ იქნა მხოლოდ საერთაშორისო აეროპორტებსა და საერთაშორისო რეისების ბორტზე, რის საფუძველზეც საბაჟო დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება ვაჭრობის ყველა სხვა პუნქტის დახურვის შესახებ³⁸⁹. განმცხადებელმა საწარმომ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ კანონით „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოზე ახალი, ნაკლებ ხელსაყრელი კანონმდებლობა არ უნდა გავრცელდებულყო ათი წლის განმავლობაში და აგრეთვე, ასეთი საწარმოს საქმიანობა შეიძლება შეწყვეტილიყო მხოლოდ მთავრობის გადაწყვეტილებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით³⁹⁰. საბოლოოდ მოლდოვას უზენაესმა სასამართლომ გააუქმა რა პირველი ინსტანციის სასამართლოს (სააპელაციო სასამართლოს) გადაწყვეტილება (რომელმაც მოსარჩელის მსჯელობა გაიზიარა), სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ საკუთრების უფლება არ დარღვეულა, რადგან საწარმოს ჰქონდა უფლება სხვა შესაბამის ადგილზე ასეთი მაღაზიის გახსნის უფლება, გარდა ამისა, მთავრობის ან სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებაც არ იყო მართებული, ვინაიდან საბაჟო დეპარტამენტის ბრძანებით საწარმოს აკრძალა არა საქონლით ვაჭრობა ზოგადად, არამედ უბაჟო ვაჭრობის რეჟიმით ვაჭრობა, ასევე მათ შეეძლოთ სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრული სხვა საქმიანობის განხორციელებაც³⁹¹.

ევროსასამართლომ განიხილა რა მხარეთა არგუმენტები, მიიჩნია, რომ მართალია საბაჟო დეპარტამენტის ბრძანება არ უკრძალავდა განმცხადებელს სხვა საქმიანობას და მას სათანადო ლიცენზიის მიღების შემთხვევაში შეეძლო უბაჟო ვაჭრობის პუნქტების სხვაგან მოწყობა, მაგრამ უდავო იყო, რომ ბრძანებამ განმცხადებელს წაართვა უფლება კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე სამეწარმეო საქმიანობა ეწარმოებინა, რაც წარმოადგენდა პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობაში ჩარევას, კერძოდ, კი საკუთრებით სარგებლობის კონტროლს, რაც ამავე მუხლის მეორე წინადადებით შემოწმებას ექვემდებარებოდა³⁹². ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციით განმხილველი სააპელაციო სასამართლოს შეფასება მასზედ, რომ კანონით განსაზღვრული შეღავათები უცხოური ინვესტიციით შექმნილ საწარმოებზე უნდა შენარჩუნებულიყო გასაზიარებელი იყო, ხოლო საბაჟო დეპარტამენტის ბრძანება კანონშეუსაბამოს წარმოადგენდა, რის გამოც ჩარევა არღვევდა

³⁸⁹ იქვე, § 11-12.

³⁹⁰ იქვე, § 13-18.

³⁹¹ იქვე, § 20.

³⁹² იქვე, § 51.

განმცხადებლისათვის კონვენციით მინიჭებულ საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებას³⁹³.

მსგავსი მიდგომა გამოიყენა ევროსასამართლომ 2008 წელს განხილულ საქმეში Unistar Ventures GmbH. V. Moldova, სადაც მოლდოვის სახელმწიფო ავიაკომპანია გარდაიქმნა შპს „ეარ მოლდოვად“, რომლის 51%-ი წილი დარჩა მოლდოვის სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის საკუთრებაში, ხოლო 49%-ი გადაეცა კომპანია Unistar Ventures GmbH.-ს, რომელსაც სანაცვლოდ უნდა შეეტანა 2 284 705 აშშ დოლარი საწესდებო კაპიტალში, რაც განხორციელდა კიდევ³⁹⁴.

საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტური პარტიის გამარჯვების შემდეგ, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა შეიცვალა და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ როგორც 51%-ის მფლობელმა პარტნიორმა შეცვალა საწარმოს დირექტორი, რასაც მოჰყვა სასამართლო დავები, სარჩელი და შეგებებული სარჩელი, რის შედეგადაც ეკონომიკური სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით განისაზღვრა შემდეგი „მხარეები უნდა ჩადგნენ იგივე მდგომარეობაში, რომელშიც ისინი იყვნენ ხელშეკრულების დადებამდე აუდიტორული და საბუღალტრო კონტროლის შემდეგ, რაც უნდა განხორციელდეს მთავრობის, ფინანსთა სამინისტროსა და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიერ³⁹⁵“. ასეთი ბუნდოვანი შინაარსის მქონე სარეზოლუციო ნაწილის აღსრულება ცხადია რთული იქნებოდა, რამაც გამოიწვია სასამართლოსათვის მიმართვა მისი შინაარსის განმარტებისათვის, რომელმაც ორჯერ განმარტა გადაწყვეტილება, ხოლო საბოლოო განმარტებით მიუთითა რომ მხარეებმა უნდა აუნაზღაურონ ერთმანეთს ყველა აქტივისა და თანხის მოცულობა, რომლითაც მათ მონაწილეობა მიიღეს საწარმოს საქმიანობაში და საწარმოს ყველა მოგება უნდა განაწილებულიყო მათ შორის მათი წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად³⁹⁶. მიუხედავად ამისა, თანხა არ იქნა გადახდილი ინვესტორისათვის, რომელმაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა.

ევროსასამართლომ განიხილა რა საჩივარი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იქიდან გამომდინარე, რომ შიდა კანონმდებლობა (სამოქალაქო კოდექსი) ითვალისწინებდა *restitutio in integrum*-ის პრინციპს, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შეწყვეტის გამო და ეს აისახა კიდევ სასამართლოს გადაწყვეტილებაში, განმცხადებელს წარმოეშვა მოთხოვნის უფლება, რაც შედეგობდა თავდაპირველი ინვესტიციის და საწარმოს

³⁹³ იქვე, § 58.

³⁹⁴ Unistar Ventures GmbH. V. Moldova, [2008], ECHR, (HUDOC), § 8.

³⁹⁵ იქვე, § 6-32.

³⁹⁶ იქვე, § 58.

არსებობის განმავლობაში მიღებული მოგების კომპენსაციისაგან, მაგრამ ვინაიდან მთავრობა თავს არიდებდა სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას, ეს წარმოადგენდა განმცხადებელი საწარმოს საკუთრების უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას, რითაც დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის პირველი პუნქტი, რის გამოც მოპასუხე სახელმწიფოს ფულადი ზიანის სახით 6 700 000 ევრო, ხოლო არაფულადი ზიანის სახით 3 000 ევრო დაეკისრა³⁹⁷. გადაწყვეტილების შინაარსი პირდაპირ მიუთითებს ევროსასამართლოს მიერ ინვესტიციის მოცულობის დადგენის მეთოდზე - ესაა განხორციელებული ინვესტიციას დამატებული ის მოგება, რაც საწარმოს გააჩნდა ინვესტორის მონაწილეობის პერიოდში - ამით ინვესტიციის კომპენსაციის ერთგვარი სტანდარტი იქნა დადგენილი.

უცხოელი ინვესტორი საქმეში განმცხადებლის (მოსარჩელის) სახით მონაწილეობასთან ერთად შეიძლება ჩაებას როგორც მესამე პირიც. ცხადია, ასეთი მონაწილეობა კიდევ უფრო ამაღლებს ინვესტორის უფლებების დაცვას და ქმნის მათ მიერ განხორციელებული კაპიტალდაბანდების სიმყარის შეგრძნებას. ამ მხრივ საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე Industrial Financial Consortium Investment Metallurgical Union v. Ukraine, რომელიც შეეხებოდა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების საკითხს. 2003 წელს უკრაინის მთავრობამ გადაწყვიტა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფოლადის მწარმოებელი ქარხნის „კრივორიჟსტალის“ პრივატიზება, სადაც 60 000 ადამიანი იყო დასაქმებული და უკრაინის ფოლადის 20%-ს აწარმოებდა³⁹⁸. საპრივატიზაციო კონკურსში სხვებთან ერთად მონაწილეობდა განმცხადებელი კომპანია, რომელიც ასოცირდებოდა უკრაინის მაშინდელ მმართველ ელიტასთან, და რომელმაც 2004 წლის 14 ივნისს საბოლოოდ გაიმარჯვა კიდევ ამ კონკურსში და 608 მილიონი ევროს სანაცვლოდ მიიღო საწარმოს აქციათა 93,02%³⁹⁹. პრივატიზაციას მოჰყვა მრავალი დავა, რის შედეგადაც სახელმწიფომ ეს თანხა განმცხადებელს დაუბრუნა, ხოლო აქციები ხელახლა გაიყიდა აუქციონზე 2005 წლის 24 ოქტომბერს, სადაც შემძენი გახდა საწარმო Mittal Steel Germany GmbH.-ი, რომელმაც 3,9 მილიარდი ევროს სანაცვლოდ შეიძინა „კრივორიჟსტალის“ აქციათა 93,02%, ხოლო მოგვიანებით შემძენის უფლებამონაცვლე გახდა ArcelorMittal Duisburg GmbH., რომელმაც ევროსასამართლოში წარდგენილი საბუთების მიხედვით შეძენილ საწარმოში მსხვილი ინვესტიცია განახორციელა⁴⁰⁰.

³⁹⁷ ოქვე, § 90, 98.

³⁹⁸ Industrial Financial Consortium Investment Metallurgical Union v. Ukraine, [2018], ECHR, HUDOC, § 6.

³⁹⁹ ოქვე, § 7-11.

⁴⁰⁰ ოქვე, § 25.

განმცხადებელმა და აქციათა თავდაპირველმა მფლობელმა Industrial Financial Consortium Investment Metallurgical Union-მა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს როგორც პირველი ოქმის პირველი პუნქტის, ისე მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის აღიარების მოთხოვნით. ევროსასამართლომ პირველი ოქმის პირველი პუნქტი დარღვეულად არ მიიჩნია, რადგან განმცხადებლის მიერ აქციების შესაძენად გაღებული თანხა მას უკან დაუბრუნდა. მაგრამ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დადგენილად ჩათვალია, სასამართლო პროცესების დროს არსებული ხარვეზების გამო. თუმცა ყველაზე მეტად აქ ისაა აღსანიშნავი, რომ ახალ შემძენს, უცხოელ ინვესტორ კომპანიას (ArcelorMittal Duisburg GmbH-ს) მიეცა საშუალება ჩაბმულიყო ევროსასამართლოში მიმდინარე საქმეში როგორც მესამე პირი, თანახმად კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, რომელსაც ევროსასამართლოს შესაბამისი პალატის პრეზიდენტის ნება დაერთო თავისი მოსაზრება წარედგინა სასამართლოსათვის⁴⁰¹. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილია მესამე პირის მიერ წარდგენილი მსჯელობის მოკლე შინაარსი რომლითაც ირკვევა, რომ ინვესტორი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ 2005 წელს „კრივორიუსტალის“ აქციების ყიდვის შემდეგ მან მსხვილი ინვესტიციები განახორციელა და განმცხადებლის საჩივრის წარმატების შემთხვევაში იგი არსებით ზარალს განიცდიდა⁴⁰². კერძოდ, ინვესტორი მიიჩნევდა, რომ ევროსასამართლოში საჩივრის წარდგენის გზით განმცხადებელი საბოლოო მიზნად ესწრაფვოდა საკუთრების უფლების აღდგენას „კრივორიუსტალზე“⁴⁰³. ინვესტორის მოსაზრებით, თუ ევროსასამართლო დაადგენდა რომ შიდა პროცედურები არ შეესაბამებოდა კონვენციის მოთხოვნებს, განმცხადებელს შეეძლო მოეთხოვა საქმის გადასინჯვა, რასაც შეეძლო გამოეწვია 2005 წლის პრივატიზაციის შედეგების გაუქმება და ინვესტორის მიერ საწარმოზე საკუთრების უფლების დაკარგვა⁴⁰⁴.

როგორც ვხედავთ, უცხოელ ინვესტორს მიეცა საშუალება თავისი მოსაზრებები წარედგინა ევროსასამართლოსთვის და ეს მოსაზრებები აისახა კიდევ გადაწყვეტილების ტექსტში, მაგრამ თავისთავად ამ გარემოებამ ვერ შეაფერხა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის დაფიქსირება შიდა სასამართლო წარმოებებში არსებული ნაკლოვანებების გამო. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება საინტერესო

⁴⁰¹ იქვე, § 5.

⁴⁰² იქვე, § 207.

⁴⁰³ იქვე, § 208.

⁴⁰⁴ იქვე.

პრეკედენტია ინვესტორის უფლებების წარმოჩენის თვალსაზრისით მისი მესამე პირად საქმეში ჩაბმის მეშვეობით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როცა მესამე პირად ჩაბმულა არა ინვესტორი, არამედ ინვესტორის სახელმწიფოც. ინვესტიციების დაცვის კუთხით ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ინვესტორმა იცის, რომ მის მხარეს სათანადო ნების შემთხვევაში შეიძლება მისი სახელმწიფოც აღმოჩნდეს, რამაც კიდევ უფრო შეიძლება ხელი შეუწყოს ინვესტორის უფლებების დაცვას. საქმეში *Zlinsat, spol. S.r.o. v. Bulgaria*, სადაც განმცხადებელი იყო ჩეხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული იურიდიული პირი, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავად შეატყობინა ჩეხეთის მთავრობას განაცხადის შეტანის შესახებ და ჩეხეთის მთავრობამ ისარგებლა კონვენციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტით და წარადგინა თავისი მოსაზრებები. რაც შეეხება უშუალოდ საქმის არსს, ის მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ განსხვავებით ზემოაღნიშნულ სხვა საინვესტიციო დავებისაგან აქ უცხოურმა ინვესტორმა ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით საბოლოოდ წარმატებით დაიცვა თავის უფლებები შიდა სასამართლოებში, თუმცა ამისდა მიუხედავად მაინც დადგინდა საკუთრების უფლებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებების ხელყოფა.

1995 წელს სოფიას მუნიციპალიტეტის საბჭომ გადაწყვიტა მისდამი კუთვნილი სასტუმროს პრივატიზება, რის გამოც 1997 წელს კონკურსის წესით გამოავლინა გამარჯვებული *Zlinsat, spol. S.r.o.* და მასთან 1997 წელს გააფორმა პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომელიც ნასყიდობის ფასთან ერთად ითვალისწინებდა მომდევნო ხუთი წლის მანძილზე ინვესტიციის ჩადებას და რიგ სხვა ვალდებულებებს⁴⁰⁵. სოფიას საქალაქო პროკურატურამ იმავე წელს საგაზეთო სტატიის საფუძველზე დაიწყო გამოძიება, შეაჩერა ხელშეკრულების მოქმედება და არ დაუშვა შემდგომი მიერ სასტუმროს ფაქტობრივი დაუფლება. პროკურატურის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სოფიის საქალაქო საბჭომ და საბოლოოდ სამივე ინსტანციის სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროკურატურის გადაწყვეტილება არ გამომდინარეობდა კანონის მოთხოვნებიდან⁴⁰⁶. მიუხედავად ამისა, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ორ წელაზე მეტი პერიოდის განმავლობაში სასტუმროთი სარგებლობის შეუძლებლობა, რაც გამოწვეული იყო პროკურატურის ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებით თავისი დისკრეციით განეხორციელებინა ნებისმიერი ქმედება კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ, გულისხმობდა რომ არ არსებობდა ის

⁴⁰⁵ *Zlinsat, spol. S.r.o. v. Bulgaria*, [2006], ECHR, (HUDOC), § 7.

⁴⁰⁶ იქვე, § 17-32.

მინიმალური სტანდარტები, რომლებიც აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთი პირების დასაცავად, რის გამოც ჩარევა კომპანიის საკუთრების უფლების განხორციელებაში უკანონო იყო⁴⁰⁷.

ყოველივე ზემოთქმულის მოკლე შეჯამების სახით შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით უცხოური ინვესტიცია ითვლება პირველი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრულ საკუთრების უფლებად და უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს შეუფერხებლად მიმართოს ევროსასამართლოს. არ შეიძლება არ იქნეს გაზიარებული დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ევროსასამართლოს უდიდეს უპირატესობას წარმოადგენს ეროვნულობის პრინციპის არარსებობა, რასაც ადგილი აქვს საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, რის გამოც ინვესტორს, რომლის სახელმწიფოს არ აქვს ორმხრივი ან მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, შეუძლია დაეყრდნოს კონვენციის მიერ შეთავაზებულ საკუთრების დაცვას⁴⁰⁸. ამასთან, განაცხადის შეტანა ევროსასამართლოში არ უკავშირდება განმცხადებლის მიერ რაიმე ბაჟის ან მოსაკრებლის გადახდას. პარალელური სამართალწარმოების დროს განაცხადის დასაშვებად მიჩნევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მხარეებსა და დავის საგანს, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულმა შეფერხებამ ინვესტიციის შედეგად დაფუძნებული საწარმოს საქმიანობაში ან მიღებული ლიცენზიით სარგებლობაში შეიძლება გამოიწვიოს პირველი ოქმის პირველი პუნქტის ან მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. ამასთან, თუ საინვესტიციო ხელშეკრულება მოქმედებს მხოლოდ ექსპროპრიაციის შემთხვევაში და რეალურად ექსპროპრიაციას ადგილი არ ჰქონია, ასეთ შემთხვევაშიც ევროსასამართლოს მიერ საკუთრების უფლების დაცვა ასევე შეიძლება იყოს ერთ-ერთი არჩევანი, განსაკუთრებით მაშინ როცა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა უკანონო იყო⁴⁰⁹. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით სარგებლობას ინვესტორთათვის გარკვეული ნაკლოვანებაც შეიძლება გააჩნდეს. ეს უპირველესად გამოიხატება ევროსასამართლოს გადატვირთულობით, რაც ხშირად იწვევს საქმეების განხილვის წლების მანძილზე გაჭიანურებას. მაგალითად, Zlinsat, spol. S.r.o.-ის საქმეზე განაცხადი წარდგენილ იქნა 1999 წლის 14 დეკემბერს, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2006 წლის 15 ივნისს, Unistar Ventures GmbH.-ის საქმეზე განაცხადი შეტანილ იქნა 2003 წლის 7 მარტს, ხოლო

⁴⁰⁷ იქვე, § 99.

⁴⁰⁸ *Kriebaum U.*, Is the European Court of Human Rights an Alternative to Investor-State Arbitration? წიგნში *Dupuy P.M., Francioni F., Peterssmann E.U.*, (eds.), *Human Rights in International Law and Arbitration*, Oxford University Press, 2009, 229.

⁴⁰⁹ იქვე.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2008 წლის 9 დეკემბერს, Le Bridge-ის საქმეზე განაცხადი შეტანილ იქნა 2009 წლის 27 ივლისს, ხოლო განჩინება დაუშვებლად ცნობის შესახებ ევროსასამართლომ მიიღო 2018 წლის 19 აპრილს.

ამდენად, საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საჭიროების შემთხვევაში წარმოადგენს მეტად ეფექტურ მექანიზმს, რომლითაც შეიძლება უცხოელი ინვესტორების უფლებების დაცვა და მიუხედავად რიგი ნაკლოვანებისა (რაც გამოწვეულია ზოგადად ევროსასამართლოს საქმიანობის შედეგად და არ უკავშირდება ამ ტიპის დავების თავისებურებებს), ინვესტორები იყენებენ ამ მექანიზმს და როგორც პრეცედენტები უჩვენებს, აღწევენ კიდევ დარღვეული უფლებების აღდგენას.

7.7. აქციონერთა (დამფუძნებელთა) მიერ საწარმოს უფლებების დაცვა (ე.წ. „კორპორატიული საფარველის გაჭოლვა“) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

საკუთრების უფლების დაცვის შესახებ ჩვენი მსჯელობა სრულყოფილი არ იქნებოდა თუ არ განვიხილავდით ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხის, როგორცაა აქციონერთა⁴¹⁰ მიერ საწარმოს უფლებების დაცვა. მართლაც, საწარმოს საქმიანობა წარმოუდგენელია აქციონერთა გარეშე, ვინაიდან თავად საწარმოს შექმნა და არსებობა სწორედ აქციონერთა ინტერესებითაა განპირობებული, რათა მათ საწარმოს მეშვეობით შეძლონ მოგების მიღება. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ აქციონერებმა ინტენსიურად დაიწყეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვა საწარმოში არსებული თავიანთი ინტერესების, პირველ რიგში კი საკუთრების უფლების დასაცავად.

აქციონერთა უფლებების საერთაშორისო ინსტიტუტებში დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან არ დაწყებულა. ზოგადად ქონების (მათ შორის აქციონერთა ქონების) მით უფრო, უცხო ქვეყნის მოქალაქე აქციონერების ქონების (და შესაბამისად უფლებების) დაცვას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია და საფუძველი ჯერ კიდევ

⁴¹⁰ მოცემული ნაშრომის მიზნებისათვის აქციონერად იქნება მოხსენიებული კომერციული იურიდიული პირის დამფუძნებელი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ პირს შესაძლოა კანონისმიერი დანაწესით სხვა სახელწოდება გააჩნდეს (მაგალითად, შპს-ს პარტნიორი და ა.შ.)

საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში ჩაეყარა⁴¹¹. ამას შემდეგ მოჰყვა, საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლო, და ბოლოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო. სწორედ ამ უწყებებში განხილული საქმეების შედეგად დამკვიდრდა ის ძირითადი პრინციპები, რაც მოგვიანებით გაზიარებულ და დანერგილ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ აქციონერთა მიერ შეტანილ განაცხადების განხილვისას.

ჯერ კიდევ 1928 წელს საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ განიხილა საქმე ხორჟუვის ქარხნის შესახებ, სადაც გერმანიის რაიხი პოლონეთის მთავრობისაგან ითხოვდა რეპარაციას იმ ორ გერმანულ საწარმოსთან მიმართებით პოლონეთის მთავრობის პოზიციის გამო, რაც ეხებოდა ნიტრატების ქარხნის პოლონეთის მიერ მისაკუთრებას, რაც ამავე სასამართლოს ადრინდელი (1926 წ.) გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა ამ სახელმწიფოებს შორის 1922 წელს დადებული ჟენევის ხელშეკრულების დარღვევად⁴¹². საბოლოოდ მართალია სასამართლოს გადაწყვეტილებით პოლონეთს უნდა დაკისრებოდა გარკვეული თანხა გერმანიის სასარგებლოდ, მაგრამ მოგვიანებით მხარეთა მიერ სასამართლოს წარედგინა მხარეთა შეთანხმება, რის გამოც საქმის წარმოება დასაკისრებელი თანხის მოცულობის განსაზღვრის ეტაპზე შეწყდა.

მიუხედავად ამგვარი დავების არსებობისა, სწორედ გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულების - მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ 1970 წელს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე *Barcelona Traction, Light and Power Company, Limited (New application: 1962) (Belgium v. Spain)*, გახდა ის საქმე, სადაც ჩამოყალიბდა აქციონერთა მიერ თავიანთი ქონებრივი უფლებების დასაცავად საერთაშორისო სასამართლო დაწესებულებებისადმი მიმართვის ძირითადი პრინციპები. ეს პრინციპები წლების შემდეგ წარმატებით გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, როდესაც დადგა აქციონერთა განაცხადების განხილვის რეალობის წინაშე.

კომპანია Barcelona Traction, Light and Power Company, Limited იყო 1911 წელს ტორონტოში (კანადა) დაარსებული ჰოლდინგური კომპანია და

⁴¹¹ *Kriebaum U., Reinisch A., Property, Right to, International Protection, Oxford Public International Law (<http://opil.outlaw.com>)*, Oxford University Press, 2015, 2. ხელმისაწვდომია https://deicl.univie.ac.at/fileadmin/user_upload/i_deicl/VR/VR_Personal/Reinisch/Publikationen/Propertyright_int_protect.pdf, 14.03.2019

⁴¹² Case concerning The Factory at Chorzow (Claim for Indemnity, Jurisdiction), Publications of the Permanent Court of International Justice, ხელმისაწვდომია https://www.icj-cij.org/files/permanent-court-of-international-justice/serie_A/A_09/28_Usine_de_Chorzow_Compentence_Arret.pdf, ნანახი იქნა 14.03.2019

სათავო ოფისი იქვე გააჩნდა⁴¹³. კატალონიის რეგიონში ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილებისათვის მან შექმნა უშუალოდ საქმიანობის მწარმოებელი, დამფინანსებელი და კონცესიის მფლობელი შვილობილი საწარმოები⁴¹⁴. ამ საწარმოებიდან სამი რომელთა აქციებსაც სრულად ან თითქმის სრულად თავად ფლობდა, კანადის კანონმდებლობით იყვნენ შექმნილნი და რეგისტრირებული ოფისი კანადაში ჰქონდათ (Ebro Irrigation and Power Company, Limited; Catalanian Land Company, Limited; და International Utilities Finance Corporation, Limited); ხოლო სხვა საწარმოები ესპანეთის კანონმდებლობით იყვნენ რეგისტრირებულნი, რეგისტრირებული ოფისი ესპანეთში ჰქონდათ და ესპანეთის სამოქალაქო ომის დაწყებამდე ეს ჯგუფი, შვილობილი საწარმოების მეშვეობით კატალონიის უმეტეს ნაწილს ელექტროენერჯით ამარაგებდა⁴¹⁵.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, კომპანია Barcelona Traction-ის საწესდებო კაპიტალი ბელგიის მოქალაქეების - ფიზიკური და იურიდიული პირების - ხელში აღმოჩნდა და მას შემდეგ დიდ ხნის მანძილზე უწყვეტად იმყოფებოდა ბელგიის მოქალაქეთა ხელში, განსაკუთრებით კომპანია Societe International d'Energie Hydro-Elecrique (Sidro), რომლის ძირითადი აქციონერი იყო კომპანია Societe Financiere de Transports et d'Enterprises Industrielles (Sofina), კომპანია, სადაც განსაკუთრებით ჭარბობდა ბელგიური ინტერესი⁴¹⁶.

დროის გარკვეულ მონაკვეთში კომპანია Barcelona Traction-მა გამოუშვა ობლიგაციები, რომელთა ნაწილი პესეტებში იყო დენომინირებული, ხოლო უფრო დიდი ნაწილი - სტერლინგებში, რომელთა მომსახურეობა შეწყდა 1936 წელს სამოქალაქო ომის დროს, მაგრამ პესეტებში დენომინირებული ობლიგაციების მომსახურეობა 1940 წლიდან განახლდა, თუმცა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ობლიგაციების მომსახურეობა ექვემდებარებოდა ესპანეთის ვალუტის გადაცვლის მარეგულირებელი უწყების კონტროლს, რომელმაც საწარმოს ამ ობლიგაციების მომსახურეობის ნებართვა არ მისცა⁴¹⁷. საწარმოს ბევრი მცდელობის მიუხედავად ობლიგაციების მომსახურეობის ნებართვა ესპანეთის მთავრობამ არ გასცა, ხოლო 1948 წლის თებერვალში ესპანეთის სამმა მოქალაქემ (რომლებიც ფლობდნენ სტერლინგში გამოხატულ ობლიგაციებს) ესპანეთის სასამართლოში განცხადება შეიტანეს და მოითხოვეს კომპანია Barcelona Traction-ის გადახდისუუნაროდ აღიარება, რაც საბოლოოდ დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ და 1948 წლის 12

⁴¹³ Barcelona Traction, Light and Power Company, Limited, Judgment, I.C.J. Reports 1970, § 8.

⁴¹⁴ იქვე.

⁴¹⁵ იქვე.

⁴¹⁶ იქვე, § 9.

⁴¹⁷ იქვე, § 10-11.

თებერვალს საწარმოს მიმართ გაიხსნა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება⁴¹⁸. ცხადია, ამ საკითხს მოჰყვა უამრავი სხვადასხვა სახის დავა, მაგრამ 1949 წელს სასამართლომ დანიშნა მეურვეები, რომლებმაც სასამართლოს ნებართვის საფუძველზე გააუქმეს კომპანიის ყველა ძველი აქცია, გამოუშვეს ახალი აქციები და გაიტანეს საჯარო აუქციონზე, სადაც აქციები შეიძინა ახლად შექმნილმა საწარმომ Fuerzas Electricas de Cataluna S.A. (Fecsa), რომელმაც ამით მოიპოვა ესპანეთში საწარმოს სრული კონტროლი⁴¹⁹. ცხადია, ეს საკითხიც გასაჩივრდა, მაგრამ უშედეგოდ⁴²⁰.

ვინაიდან ესპანეთში მიმდინარე სასამართლო წარმოება უშედეგოდ დასრულდა ბელგიის სამეფომ სარჩელით მიმართა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ესპანეთის წინააღმდეგ და სხვასთან ერთად მოითხოვა: ა) აღიარება იმისა, რომ ესპანეთის სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი ბელგიისთვის მიყენებული ზიანისთვის რაც ბელგიამ განიცადა მისი მოქალაქეების, კომპანია Barcelona Traction-ის აქციონერებისათვის მიყენებული ზიანის სახით, ესპანეთის სახელმწიფოს ორგანოების მიერ საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებით, რამაც გამოიწვია კომპანია Barcelona Traction-ის ჯგუფის მითვისება; ბ) ამ ზიანისათვის რეპარაციის დაკისრება 78 მილიონი დოლარის სახით, და საკომპენსაციო პროცენტის სახით ამ თანხის წლიური 6%-ის დარიცხვა 1948 წლის 12 თებერვლიდან გადაწყვეტილების მიღებამდე და ა.შ⁴²¹.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განიხილა რა ბელგიის სახელმწიფოს საჩივარი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მას პასუხი უნდა გაეცა ორი საკითხისათვის: ა) ლეგიტიმური იყო თუ არა საწარმოს უფლებების შელახვა (რამაც აქციონერის უფლებების დარღვევა გამოიწვია), გაიგივებული ყოფილიყო აქციონერის პირდაპირი უფლებების დარღვევასთან და ბ) გააჩნდა თუ არა ბელგიის სახელმწიფოს *ius standi* ანუ იყო თუ არა ბელგიის სახელმწიფო სათანადო მოსარჩელე⁴²². უადრესად საინტერესო მსჯელობის შემდეგ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა პრინციპი, რომელიც საფუძველად დაედო აქციონერთა უფლებების დაცვის საკითხს. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ კომპანიის იურიდიული გარდაცვალების შემთხვევაში ესპობოდათ აქციონერებს უფლება დაეცვათ თავიანთი უფლებები საწარმოს მეშვეობით; მხოლოდ მაშინ როცა მათ წაერთმეოდათ ამის შესაძლებლობა, მათთვის და მათი მთავრობებისათვის

⁴¹⁸ იქვე, § 13.
⁴¹⁹ იქვე, § 17.
⁴²⁰ იქვე, § 18.
⁴²¹ იქვე, § 25, გვ. 14.
⁴²² იქვე, § 48 და § 51.

წარმოიშვა და სარჩელის დამოუკიდებლად აღძვრის უფლება⁴²³. რაც შეეხება მეორე საკითხს, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მასზე, რომ კომპანია Barcelona Traction-ის დაარსებული იყო კანადაში, იქვე გააჩნდა რეგისტრირებული ოფისი, საბანკო ანგარიშები, აქციათა რეესტრი, კანადაში ტარდებოდა დირექტორთა საბჭოს სხდომები წლების მანძილზე, კომპანია ირიცხებოდა კანადის საგადასახადო სამსახურში, რის გამოც იკვეთებოდა კანადასთან ახლო და მუდმივი კავშირი⁴²⁴. ამ გარემოების, აგრეთვე იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ კანადის მთავრობა 1948 წლიდან ესპანეთის მთავრობასთან იმყოფებოდა წერილობით კომუნიკაციაში, რაც უნდა შეფასებულიყო როგორც დიპლომატიური დაცვა და კომპანია Barcelona Traction-ს ყოველთვის შეეძლო მის მოქალაქეობის სახელმწიფოსთვის, კანადისთვის მიმართვა დიპლომატიური დაცვის თხოვნით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბელგიის სახელმწიფოს არ გააჩნდა *ius standi* ანუ არ იყო სათანადო მოსარჩელე⁴²⁵.

როგორც აღვნიშნეთ ამ გადაწყვეტილებამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა როგორც სამეცნიერო წრეებში ასევე სხვა საერთაშორისო სასამართლო დაწესებულებებში მით უფრო, რომ ზემოხსენებული ორი საკითხის გარდა, სასამართლომ ასევე გამოხატა თავის მოსაზრება *erga omnes* ვალდებულებასთან მიმართებით - „მართალია დიპლომატიური დაცვისას დასასმელ მოთხოვნებს განაპირობებდა პირის მოქალაქეობა, მაგრამ ეს არგუმენტი განუკუთვნიელი იქნებოდა მაშინ როდესაც სახელმწიფოები ეცდებოდნენ აღესრულებინათ ის ვალდებულებები, რომლებიც „მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ“ გააჩნდათ - რომელთაც *erga omnes* ვალდებულებები ეწოდებოდათ⁴²⁶“. ასევე დადებითად შეფასდა სასამართლოს მიერ აქციონერთა უფლებების გამიჯვნა საწარმოს ქონებაზე უფლებისაგან - „სასამართლომ მართებულად დაიწყო თავისი ძირითადი დაშვება მასზე, რომ საერთაშორისო სამართლის ავტონომიური წესების არარსებობისას, გამოყენებულ უნდა ყოფილიყო შინასახელმწიფოებრივი სამართალი, და ამ უკანასკნელის მიხედვით, აქციონერებს არ გააჩნდათ რაიმე უფლება საწარმოს ქონებაზე⁴²⁷“. ფაქტიურად, 1970 წლის შემდეგ როდესაც საერთაშორისო

⁴²³ იქვე, § 66.

⁴²⁴ იქვე, § 71.

⁴²⁵ იქვე, § 100 - 102

⁴²⁶ *Tams, C. and Tzanakopoulos, A.*, Barcelona Traction at 40: the ICJ as an agent of legal development, *Leiden Journal of International Law*, 2010, 23 (4). 782, ხელმისაწვდომია <http://eprints.gla.ac.uk/41532/>

⁴²⁷ *Caflisch, L.C.*, The Protection of Corporate Investment Abroad in the Light of the Barcelona Traction Case, 1971, *Max-Planck-Institut Fur ausländisches öffentliches Recht und Volkerrecht*, 190, ხელმისაწვდომია <http://www.zaoerv.de>. ნანახი იქნა 19.04.2019.

თანამეგობრობის წინაშე დგებოდა კორპორაციების დიპლომატიური დაცვის საკითხი, იგი ყოველთვის ემყარებოდა Barcelona Traction-ის საქმეზე მიღებულ და მრავალჯერ გაკრიტიკებულ გადაწყვეტილებას⁴²⁸.

საბოლოოდ არ შეიძლება არ დაეთანხმო პროფესორ იან ბროუნლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ საქმის შედეგად დადგა ის შედეგი როდესაც 1. სასამართლოს აზრით აქციონერი დაცვა შეიძლება მხოლოდ მაშინ იყოს გამართლებული, როდესაც კორპორაციამ შეწყვიტა სამართლებრივი არსებობა და 2. დაცვა შეიძლება განხორციელდეს მაშინ, როდესაც კორპორაციას გააჩნია იმ ქვეყნის „მოქალაქეობა“, რომელიც პასუხს აგებს გასაჩივრებელი ქმედებების გამო⁴²⁹.

პირველი ოქმის პირველი მუხლის ძალაში შესვლის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ მხოლოდ დროის საკითხი იყო ის, თუ როდის დადგებოდა აქციონერთა უფლებების დაცვის საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე. ჯერ კიდევ 1988 წლის 29 ნოემბერს ევროსასამართლოს წარედგინა Agrotexom Hellas S.A.-სა და ხუთი სხვა საწარმოს საჩივარი საბერძნეთის წინააღმდეგ⁴³⁰, რომელიც გახდა პირველი საქმე, სადაც აქციონერები საწარმოს დარღვეული უფლებების აღდგენას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე ცდილობდნენ. საქმის არსი კი შემდეგში იყო - ექვსი კომერციული იურიდიული პირი (მათ შორის Agrotexim Hellas S.A.) ფლობდა აქციათა 51,35%-ს საწარმოში „Karolos Fix Brewery S.A.“, რომელიც თავის მხრივ ფლობდა ორ მიწის ნაკვეთს ქ. ათენის ორ სხვადასხვა ქუჩაზე, სადაც განთავსებული იყო მათი შენობა-ნაგებობები (ქარხნის ყოფილი შენობა), დაუგროვდა საბერძნეთის ეროვნული ბანკის დავალიანება და ამ დავალიანების დაფარვის მიზნით გადაწყვიტა ამ მიწის ნაკვეთების განვითარება (დეველოპმენტი) საოფისე და სავაჭრო ოფისებად, რისთვისაც მოიპოვა სამშენებლო ნებართვა და დადო ხელშეკრულება სამშენებლო კომპანიასთან⁴³¹. მიუხედავად ამისა, 1979 წელს ათენის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება ორივე მიწის ნაკვეთზე ახალგაზრდობის ცენტრისა და საჯარო პარკის მოწყობის შესახებ, რასაც მოჰყვა უამრავი დავა თუ მიწერ-მოწერა და საბოლოოდ 1983 წლის აგვისტოში კომპანიის აქციონერთა კრებამ მიიღო საწარმოს ლიკვიდაციის გადაწყვეტილება და დანიშნა ორი

⁴²⁸ *Tams, C. and Tzanakopoulos, A.*, Barcelona Traction at 40: the ICJ as an agent of legal development, *Leiden Journal of International Law*, 2010, 23 (4). 790, ხელმისაწვდომია <http://eprints.gla.ac.uk/41532/>

⁴²⁹ *Brownlie, I.*, *Principles of Public International Law*, Seventh Edition, Oxford University Press, 2008, 489.

⁴³⁰ *Agrotexom Hellas S.A. and others v. Greece*, Decision on Admissibility, [1992], ECHR, (HUDOC).

⁴³¹ *Agrotexom and others v. Greece*, Judgment, [1995], ECHR, (HUDOC), § 6-8.

ლიკვიდატორი, რომლებმაც სარჩელით მიმართეს სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ხოლო ეკონომიკური საქმეების სამინისტრომ 1983 წლის დეკემბერში მიმართა სასამართლოს, რომელმაც ახალი ლიკვიდატორი დანიშნა, რომელიც 1984 წელს შეიცვალა 2 ახალი ლიკვიდატორით⁴³². სარჩელები არ დაკმაყოფილდა, ამასთან მოგვიანებით ათენის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ერთ-ერთი ობიექტის ექსპროპრიაციის შესახებ, რაზეც დავა საქმის განხილვის დროისათვის დასრულებული არ იყო, და მიუხედავად ამისა, 1991 წელს საბერძნეთის ეროვნულმა ბანკის შუამდგომლობით ათენის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ადრე დანიშნული 2 ლიკვიდატორი, დანიშნა ახალი ლიკვიდატორი, რის შედეგადაც ერთ-ერთი ობიექტი ექსპროპრიაციას დაექვემდებარა ათენის მეტროს განვითარების მიზნით, ხოლო დარჩენილი ქონება საბერძნეთის ეროვნულმა ბანკმა 1993 წელს შეიძინა⁴³³. კომპანიის აქციონერებმა მიმართეს განცხადებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სხვა მუხლებთან ერთად პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევის მოთხოვნით, რადგან ათენის მუნიციპალიტეტის მიერ წლების მანძილზე მიღებული ღონისძიებები წარმოადგენდა საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში არამართლზომიერ ჩარევას⁴³⁴.

სწორედ ამ დროს მიღებულ იქნა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის⁴³⁵ მიერ, რომელმაც შეაფასა რა საქმის მასალები, აღნიშნა, რომ მართალია კომისიას განმარტებული ჰქონდა, რომ არსებითი უმრავლესობის მქონე აქციონერს შეეძლო გარკვეულ შემთხვევაში განეცხადებინა, რომ იყო საწარმოს მიმართ განხორციელებული ზომების მსხვერპლი, მაგრამ მარტოოდენ ეს გარემოება არ შეიძლება ჩათვალილიყო ერთადერთ კრიტერიუმად და სხვა ელემენტებსაც შეიძლება ჰქონოდა გარკვეული მნიშვნელობა⁴³⁶. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო 1983 წლიდან არსებითად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, ასეთ საწარმოს მიმართ არ უნდა ყოფილიყო მოლოდინი ევროსასამართლოსთვის მიემართა საბერძნეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ და სწორედ ამ საგანგებო გარემოებების გამო, კომისიამ მიიჩნია, რომ განმცხადებელი აქციონერები კორპორატიული საფარველის გაჭოლვის მეშვეობით, უფლებამოსილნი იყვნენ ემტკიცებინათ, რომ

⁴³² იქვე, § 9-16.

⁴³³ იქვე, § 17-38.

⁴³⁴ იქვე, § 54.

⁴³⁵ კონვენციის მაშინდელი დებულებების თანახმად, დავის განხილვის მომენტისთვის ანუ 90-იან წლებში, განაცხადის დასაშვებობის საკითხს წყვეტდა არა სასამართლო, არამედ კომისია.

⁴³⁶ *Agrotexom Hellas S.A. and others v. Greece, Decision on Admissibility*, [1992], ECHR, (HUDOC) გვ.8.

გახდნენ საწარმოს ქონების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების მსხვერპლნი 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე⁴³⁷.

1994 წლის 10 მარტს მიღებულ მოხსენებაში კომისიამ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას, რადგან ამ ვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ექსპროპრიაციის საფრთხე, რაც სხვადასხვა მოსამზადებელ აქტში და ქმედებაში გამოიხატა, გაჭიანურებულ იქნა 10 წლის მანძილზე და დროის ამ მონაკვეთში განმცხადებლები იმყოფებოდნენ სრულ გაურკვევლობაში რა ბედი ეწეოდა მათ ქონებას ერთის მხრივ და სავარაუდო ექსპროპრიაცია აფერხებდა პოტენციური ინვესტორების ჩართულობას, რამაც გამოიწვია კომპანიაზე ინდივიდუალური და გადაჭარბებული ტვირთის დაკისრება⁴³⁸.

კომისიის ამ დასკვნის მიუხედავად, ადამიანის უფლების ევროპულმა სასამართლომ იგი არ გაიზიარა. მან მიუთითა, რომ მიუღებელი იყო კომისიის ის აზრი, თუ საწარმოს საკუთრების უფლების დარღვევა იწვევდა აქციათა ღირებულების შემცირებას, მაშინ აქციონერის პირველი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრული უფლება ავტომატურად ირღვეოდა⁴³⁹. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კომისიის ამ მოსაზრების გაზიარება გამოიწვევდა სიძნელეებს იმის განსაზღვრისას თუ ვის უნდა მიემართა სტრასბურგის სასამართლოსათვის, აგრეთვე გართულდებოდა შიდა საშუალებების ამოწურვის საკითხის ზუსტ განსაზღვრას, რადგან ზოგადად ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში აქციონერებს არ ჰქონდათ უფლება საწარმოსთვის მიყენებული ზიანისთვის თავად მიემართათ სასამართლოსათვის და ასეთ პირობებში არალოგიკური იქნებოდა იგივეს მოთხოვნა საწარმოსათვის⁴⁴⁰.

ამ სიძნელეების დაძლევის მიზნით, ევროსასამართლომ მიმართა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ *Barcelona Traction*-ის საქმეში დამკვიდრებულ პრინციპს. კერძოდ, მან განმარტა, რომ „კორპორატიული საფარველის გაჭოლვა“ დაიშვებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, სადაც ზედმიწევნით დგინდებოდა, რომ კონვენციის დაწესებულებებისათვის მიმართვა შეუძლებელი იყო

⁴³⁷ იქვე, გვ. 9.

⁴³⁸ *Agrotexom Hellas S.A. and others v. Greece*, Report of the Commission, [1994], ECHR, (HUDOC), § 76, 78.

⁴³⁹ *Agrotexom and others v. Greece*, Judgment, [1995], ECHR, (HUDOC), § 64.

⁴⁴⁰ იქვე, § 65.

საწარმოს წესდებით განსაზღვრული ორგანოების მეშვეობით, ხოლო ლიკვიდაციის დროს კი - ლიკვიდატორის მეშვეობით⁴⁴¹.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა კომისიის ის არგუმენტი, რომ ვინაიდან საწარმო სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, იგი ვერ შეძლებდა კონვენციის დაწესებულებებისათვის მიმართვას, რის გამოც აქციონერები კომისიამ „მსხვერპლად“ მიიჩნია⁴⁴². სასამართლომ საკმაო მსჯელობა მიუძღვნა საწარმოს ლიკვიდატორთა საქმიანობას და დაასკვნა, რომ არ იყო დადასტურებული ის, რომ განცხადების შეტანის მომენტისათვის ანუ 1988 წელს, შეუძლებელი იყო თავად საწარმოს შეეტანა განაცხადი ლიკვიდატორის მეშვეობით პირველი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევაზე, რასაც აქციონერები ითხოვდნენ, რის გამოც ეს უკანასკნელი კომპანიები ვერ იქნებოდნენ განხილულნი კონვენციის დაწესებულებებისათვის მიმართვის უფლების მქონე პირებად და ამ ყველაფრის გამო განაცხადი არსებითად განსახილველად არ დაუშვა⁴⁴³.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირდაპირ მიუთითა იმ კრიტერიუმზე, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა, რათა აქციონერის განცხადება საწარმოს უფლებების დარღვევის თაობაზე დასაშვებად მიეჩნია. ეს კრიტერიუმი აღმოჩნდა საწარმოს მიერ განაცხადის დამოუკიდებელად შეტანის შეუძლებლობის ფაქტის ზედმიწევნით დასაბუთება.

მეორე ფუნდამენტური საქმე, რომლის განხილვის ეტაპზეც წარმოიშვა „კორპორატიული საფარველის გაჭოლვის“ კიდევ ერთი კრიტერიუმი, იყო საქმე Pine Valley Development Ltd. And Others v. Ireland, რომლის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ დაწვრილებით ვიმსჯელებთ პირველი ოქმის პირველი პუნქტის მიმოხილვასთან დაკავშირებით. ამჯერად მხოლოდ იმაზე შევჩერდებით, რომ განმცხადებლები იყვნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Pine Valley Development Ltd-ი, მისი 100%-იანი წილის მფლობელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Healy Holdings-ი და ამ უკანასკნელი საწარმოს ერთადერთი აქციონერი და დირექტორი ბ-ნი დანიელ ჰილი⁴⁴⁴. მთავრობის ქმედებების შედეგად გაუფასურდა პირველი საწარმოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რამაც საბოლოოდ ორივე საწარმოს ლიკვიდაცია და მათი დამფუძნებლის გადახდისუუნარობა გამოიწვია⁴⁴⁵. მსხვერპლის სტატუსზე მსჯელობისას ევროსასამართლომ

⁴⁴¹ იქვე, § 66.

⁴⁴² იქვე, § 67.

⁴⁴³ იქვე, § 68-72.

⁴⁴⁴ Pine Valley Development Ltd. and Others v. Ireland, [1991], ECHR, (HUDOC), § 8.

⁴⁴⁵ იქვე.

განმარტა, რომ კომპანიები „Pine Valley-ი და Healy Holdings-ი წარმოადგენდნენ სხვას არაფერს თუ არა მექანიზმს, რომლითაც ბ-ნი ჰილი აპირებდა იმ პროექტის განხორციელებას, რაზეც დაგეგმვის ნებართვა იქნა გაცემული. მარტოდენ ამ საფუძვლის მოშველიებით, ხელოვნური იქნებოდა სხვაობის გავლება ამ სამ განმცხადებელს შორის მათ იმ უფლებასთან მიმართებით, ემტკიცებინათ რომ იყვნენ დარღვევის „მსხვერპლი“. უფრო კონკრეტულად, რაც შეეხება Pine Valley-ის, არც მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაყიდვა და არც კომპანიის ლიკვიდაცია არ ცვლიდა იმ ფაქტს, რომ გარკვეული დროის მანძილზე იგი, როგორც ამ მექანიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენდა იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომელზედაც გაცემული იყო დაგეგმვის ნებართვა. ცხადია, რომ ეს იყო ის კომპანია, რომელმაც მიმართა 1982 წელს დაგეგმვის ნებართვაზე, და წამოიწყო სამართალწარმოება Pine Valley-ის მეორე საქმეზე (იხ. აბზაცები 18 და 20). სასამართლოს აზრით, ეს გარემოებები საკმარისია რათა დაშვებულ იქნეს მისი საჩივარი დარღვევებზე მისი სახელით⁴⁴⁶“.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აქციონერის მიერ საწარმოს უფლებებზე დავის შესაძლებლობა დაუშვა ასევე ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწარმო გამოიყენება როგორც გარკვეული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ერთგვარი „მექანიზმი“. შესაბამისად, ვიღებთ ვითარებას, როდესაც პრეცედენტული სამართალი „კორპორატიული საფარველის გაჭოლვას“ უშვებს ორ შემთხვევაში - ა) საწარმოს მიერ საჩივრის დამოუკიდებლად შეტანის შეუძლებლობა და ბ) საწარმოს გამოყენება როგორც სამეწარმეო მიზნის მიღწევის ერთგვარი მექანიზმისა იმ პირობით თუ აქციონერს გააჩნია ხმათა საკმაოდ დიდ მოცულობა.

მიუხედავად ამ პრინციპების დანერგვისა, დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებით „არ ჩანს, რომ სასამართლო შემოფარგლავს თავის თავს რომელიმე განსაკუთრებული პრინციპით (ან მისი გამონაკლისით), თუნდაც იგი მისდევდეს ასეთ მეთოდს, როგორც სამოქმედო პრინციპს⁴⁴⁷“. თუმცა მეცნიერთა სხვა ნაწილის მოსაზრებით „მართალია კორპორაციები სარგებლობენ ევროპული კონვენციის დაცვით ევროსასამართლოში, მაგრამ მათი აქციონერები სარგებლობენ ასეთივე დაცვით მხოლოდ მეტად იშვიათ შემთხვევებში, რჩებიან რა უფრო მოწყვლადნი მთავრობის ქმედებების მიმართ. ამის გამო, ნაცვლად იმისა,

⁴⁴⁶ იქვე, § 42.

⁴⁴⁷ *Emberland M.*, The Corporate Veil in the Case Law of the European Court of Human Rights, 63 ZaoRV 954, ხელმისაწვდომია http://www.zaoerv.de/63_2003/63_2003_4_a_945_970.pdf, ნანახი იქნა 01.05.2019.

რომ დააკნინოს *Agrotexim*-ში ასახული პრინციპი სხვადასხვა გამონაკლისის შექმნით, რომლებიც არათანამიმდევრულად და საკმარისი დასაბუთების გარეშე გამოიყენება, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა მიიღოს უფრო გამჭვირვალე ტესტი⁴⁴⁸.

მოგვიანებით, დასაშვებობის შესახებ მიღებულ თავის ორ განჩინებაში ევროსასამართლომ კიდევ უფრო დააკონკრეტა „კორპორატიული საფარველის გაქოლვის“ ძირითადი ელემენტები. კერძოდ, 2000 წლის 27 ივნისის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული შვედური საწარმოს ერთადერთი აქციონერის განაცხადი, რომლითაც იგი დავობდა სამხედრო დანიშნულების საქონლით ვაჭრობის ლიცენზიის გაფართოვების შესახებ საწარმოსთვის უარის თქმის გადაწყვეტილების გასაჩივრების შეუძლებლობის შესახებ, თუმცა სასამართლომ განმარტა შემდეგი „მოცემულ საქმეში, სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელი არის *Skyddsvakt Herbert Ankarcrova BV*-ის ერთადერთი აქციონერი. შესაბამისად, და განსხვავებით მაგალითად *Agrotexim*-ი და *სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ* საქმეზე 1995 წლის 24 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში არსებული ფაქტობრივი ვითარებისაგან, სადაც განმცხადებელი კომპანიები ფლობდნენ საწარმოს აქციათა მხოლოდ დაახლოებით ნახევარს, ამჟამად ადგილი არ აქვს აქციონერთა ან აქციონერთა და დირექტორთა საბჭოს შორის სხვადასხვა მოსაზრების არსებობის რისკს კონვენციის ან მისი ოქმებით დაცული უფლებების დარღვევის რეალურობის თვალსაზრისით ან ამგვარ დარღვევაზე რეაგირების ყველაზე უფრო შესაფერისი ღონისძიების განხორციელების თაობაზე. ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების არქონის მხედველობაში მიღებით, რის არსებობის დროსაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა გარკვეულ სირთულეებს მაგალითად იმის განსაზღვრისას თუ ვის ექნებოდა სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, განმცხადებელს, სასამართლოს აზრით, შეუძლია გონივრულად ამტკიცოს რომ არის მსხვერპლი კონვენციის 34-ე მუხლის შინაარსით, გატარებული ღონისძიებების მისი კომპანიასთან შემხებლობასთან დაკავშირებით⁴⁴⁹“. 2010 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია ფიზიკური პირის განაცხადი, საწარმოს მიმართ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა პროცესის ხანგრძლივობის გამო კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის შესახებ და განმარტა შემდეგი „სასამართლო შენიშნავს, რომ შიდა სამართლებრივ პროცედურების როგორც ბათილად ცნობამდე, ისე ბათილად ცნობის

⁴⁴⁸ *Tishler S.C.C.*, A New Approach to Shareholder Standing Before the European Court of Human Rights, 25 Duke Journal of Comparative & International Law, 2015, 279.

ხელმისაწვდომია <https://scholarship.law.duke.edu/djcil/vol25/iss2/3>, ნანახი იქნა 01.05.2019.

⁴⁴⁹ *Hubert Ankarcrova against Sweden*, Decision on Admissibility, [2000], ECHR, (HUDOC), გვ 4.

შემდეგ, მხარე იყო საწარმო როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, და არა განმცხადებელი, მისი აღმასრულებელი დირექტორი. ამ პროცესებში დავის საგანი იყო თავად კომპანიის საკუთარი კორპორატიული ინტერესები, მაშინ როცა განმცხადებელი იყო ერთ-ერთი მისი 55 აქციონერიდან ფლობდა რა მხოლოდ აქციათა დაახლოებით 9,878%-ს. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა განაცხადი წარადგინა საკუთარი სახელით და ასაჩივრებდა მისი პირადი უფლებების დარღვევას. სასამართლო იმეორებს, რომ მისი კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლით, იმ შემთხვევაში თუ საწარმო დამოუკიდებლად მონაწილეობდა შიდა სამართლებრივ პროცედურებში, ამ საწარმოს აღმასრულებელ დირექტორს ან მცირე (მინორიტარ) აქციონერს არ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს იმ მოთხოვნით რომ ისინი არიან კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ან პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევის მსხვერპლნი. უფრო მეტიც, არ არსებობს რაიმე თვალშისაცემი მიზეზი, რომ კომპანიას, რომელიც სათანადოდ მონაწილეობდა თავის სახელით შიდა სასამართლოებში, ამჟამად ეპატიოს საკუთარი სახელით გამოსვლა მოცემული სასამართლოს წინაშე⁴⁵⁰.

თუ დასაშვებობის ამ განჩინებებსაც მივიღებთ მხედველობაში მაშინ შეიძლება იმის დასკვნაც, რომ საწარმოს მიერ საჩივრის დამოუკიდებლად წარდგენის შეუძლებლობისა და სამეწარმეო მიზნის მიღწევის ერთგვარი მექანიზმის გამოყენება აქციონერებს შეუძლიათ მხოლოდ მაშინ თუ ისინი ფლობენ აქციების ან წილების მნიშვნელოვან მოცულობას და ადგილი არ ექნება ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს. ეს კი პირდაპირ გამორიცხავს მცირე აქციონერის მიერ საწარმოს სახელით ევროსასამართლოში მიმართვის შესაძლებლობას.

ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმო ფაქტებსა და შეფასებებს შეიცავს საქმე *Kin-Stib and Majkic v. Serbia* რომელიც შეეხება კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რეგისტრირებული საწარმოს Kin-Stib-ის მიერ 1989 წელს დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე საარაბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს, ბელგრადის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ არსებული კაზინოს ერთობლივი შექმნისა და მართვის თაობაზე⁴⁵¹. დავის მხარე საწარმო იყო, სადაც ფიზიკურ პირ აქციონერ მილორად მაიკიჩს კინშასას მაღალი სასამართლოდან წარდგენილი ამონაწერით მხოლოდ 25%-ი გააჩნდა⁴⁵². 1994 წელს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება სასტუმროს იმჟამინდელ

⁴⁵⁰ Nugzar Sultanishvili against Georgia, Decision on Admissibility, [2010], ECHR, (HUDOC), გვ. 5.

⁴⁵¹ *Kin-Stib and Majkic v. Serbia*, [2010], ECHR, (HUDOC), § 7-10.

⁴⁵² იქვე, § 74.

ერთადერთ მესაკუთრეს G.J.-სა და მ. მაიკიჩს შორის 1989 წლის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე Kin-Stib-ის ნაწილის (რომელიც შედგებოდა ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე უფლებებისა და ფულადი ინტერესებისაგან) შეძენის შესახებ⁴⁵³. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ამ კონკრეტული ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკითხებითან მიმართებით, მათ შორის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე, ორივე განმცხადებელი ისე მჭიდროდ იყო იდენტიფიცირებადი ერთმანეთთან, რომ მათ შორის განსხვავების გავლება ხელოვნური იქნებოდა, რის გამოც საქმის თავისებურებებისა და განსაკუთრებით, კორპორატიული და სახელშეკრულებო ასპექტების გათვალისწინებით, მ. მაიკიჩის განაცხადი *ratione personae* შეესაბამებოდა პირველი ოქმის დებულებებს⁴⁵⁴.

პრეცედენტულ სამართალში არსებულ სხვა კაზუსებში კორპორატიული საფარველის გაჭოლვა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაუშვა შემდეგ შემთხვევებში:

ა) კომერციულ ბანკში დროებითი ადმინისტრაციის არსებობა მიჩნეულ იქნა, ისეთ განსაკუთრებულ გარემოებად, რომელიც უფლებას აძლევდა განმცხადებელს (ხმათა უმრავლესობის მქონე აქციონერსა და ბანკის ვიცე-პრეზიდენტს) წარედგინა განაცხადი ევროსასამართლოში ბანკის სახელით⁴⁵⁵;

ბ) მშენებლობის ნებართვის გაუცემლობის, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ხანგრძლივობისა და მასთან დაკავშირებით ეფექტური საშუალების არქონისა და კომერციული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადებისა და მასთან დაკავშირებით ეფექტური საშუალების არქონის გამო 99,2698%-იანი წილის მქონე პარტნიორის განაცხადი საწარმოს სახელით მიჩნეულ იქნა დასაშვებად⁴⁵⁶.

გ) საწარმოს გადახდისუუნარობის პროცესის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით კომპანიის 90%-იანი წილის მქონე პარტნიორის განაცხადი საწარმოს სახელით მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ საწარმო გადახდისუუნარობის რეჟიმში იმყოფებოდა და ევროსასამართლოში წარდგენილი საჩივარი შეეხებოდა

⁴⁵³ იქვე, § 50-52.

⁴⁵⁴ იქვე, § 74.

⁴⁵⁵ *Feldman and Slovyansky Bank v. Ukraine*, [2017], ECHR, (HUDOC), § 25-29.

⁴⁵⁶ *Kips DOO and Drekalovic v. Montenegro*, [2018], ECHR, (HUDOC), § 85-87.

ლიკვიდატორების ანუ დროებითი ადმინისტრატორისა და კომერციული სასამართლოს საქმიანობას⁴⁵⁷.

დ) ფიზიკური პირი პარტნიორის მიერ იმ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვება, რომლის ნახევარიც ამავე პარტნიორის თითქმის 99%-იან საკუთრებაში არსებულ შპს-ს გააჩნდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ იქნა მიჩნეული იქნა ვითარებად, როდესაც ორივე განმცხადებელი ისე მჭიდროდაა იდენტიფიცირებადი ერთმანეთთან, რომ მათი მიჩნევა მხოლოდ თავიანთი უფლებების თაობაზე საჩივრის ავტორებად ხელოვნური იქნებოდა⁴⁵⁸. სინამდვილეში, პირველი განმცხადებელი იყო მეორე განმცხადებელის საწარმო და მისი ბიზნეს პროექტებს განხორციელების მექანიზმი⁴⁵⁹.

ე) განსაკუთრებულ ვითარებად შეფასდა ის გარემოება, როდესაც ბანკის ძირითადი აქციონერი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე შიდა სასამართლოებში ასაჩივრებდა ჩეხეთის ეროვნული ბანკის მიერ თვით დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, სადაც მას არ ეძლეოდა ბანკის წარმომადგენლობის უფლება⁴⁶⁰. მართალია, ლიკვიდატორს შეეძლო წარმოედგინა საწარმო, მაგრამ ისეთ ვითარებაში, როდესაც საჩივარი შეეხებოდა სასამართლოებზე ეფექტური მისაწვდომობის არქონას იძულებითი მმართველობის დანიშვნის გასაჩივრებისთვის, ასეთ დროს იმის დადგენა, რომ მხოლოდ დროებით მმართველს ჰქონდა საკონვენციო დაწესებულებებში საჩივრის წარდგენის უფლება გამოიწვევდა 34-ე მუხლით განსაზღვრული ინდივიდუალური განაცხადის უფლების თეორიულ და ილუზორულ უფლებად გადაქცევას⁴⁶¹.

7.8. კორპორატიული საფარველის გაჭოლვა საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევებში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა აქციონერთა მიერ საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე საჩივრების წარდგენას ისეთ დროსაც, როდესაც ეს საწარმო

⁴⁵⁷ G.J. v. Luxemburg, [2000], ECHR, (HUDOC), § 23-24.

⁴⁵⁸ Eugenia Michaelidou Developments Ltd. And Michael Tymvios v. Turkey, [2003], ECHR, (HUDOC), § 21.

⁴⁵⁹ იქვე.

⁴⁶⁰ Credit and Industrial Bank v. the Czech Republic, [2003], ECHR, (HUDOC), § 50-51.

⁴⁶¹ იქვე.

უკვე ლიკვიდირებული იყო. საგულისხმოა, რომ ასეთ დროს, ევროსასამართლო არსებითად შედიოდა იმ საკითხის განხილვაში თუ რამ გამოიწვია საწარმოს ლიკვიდაცია და აქედან გამომდინარე, აქციონერების მიერ საწარმოს წარმომადგენლობის უფლება თუ შეიძლება გამართლებული ყოფილიყო.

საქმეში Capital Bank v. Bulgaria საჩივარი ევროსასამართლოში წარადგინა ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, მისმა მოადგილემ, განაცხადს ხელს ასევე აწერდა ბანკის სამი აქციონერი - ბულგარეთსა და რუსეთში რეგისტრირებული საწარმოები⁴⁶². ბულგარეთის ეროვნულმა ბანკმა განმცხადებელ ბანკს 1997 წელს ჩამოართვა ლიცენზია, დაინიშნენ ლიკვიდატორები, რომლებმაც მოახდინეს ბანკის ვალდებულებების გასხვისება სხვა ბანკზე, ხოლო 2005 წელს კი მოხდა განმცხადებელი ბანკის ლიკვიდაცია და რეესტრიდან ამოშლა⁴⁶³. განაცხადის დასაშვებობაზე მსჯელობისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უმნიშვნელოვანესი განმარტება გააკეთა. მან განმარტა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ საკონვენციო სისტემის ძირითადი ამოცანა იყო განმცხადებლის ინდივიდუალური პრობლემის გადაწყვეტა, სასამართლოს მისიას ასევე შეადგენდა საჯარო პოლიტიკის საფუძველზე საზოგადო ინტერესის მექონე საკითხების განსაზღვრაც, რომლებიც წამოჭრიდნენ ადამიანის უფლებების დაცვის ზოგად სტანდარტებს და აფართოებდნენ ადამიანის უფლებების პრეცედენტულ სამართლის გამოყენებას კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში⁴⁶⁴“. აქედან გამომდინარე, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლისა და პირველი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევები მოცემულ საქმეში ეხებოდა ბანკისათვის ლიცენზიის გაუქმებისა და ლიკვიდაციის პროცედურას, რამაც საბოლოოდ მისი როგორც იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტა გამოიწვია და ამ მოტივით განაცხადის ამორიცხვა განსახილველ საქმეთა სიიდან, ძირს გამოუთხრიდა იურიდიული პირების მიერ ინდივიდუალური განაცხადის უფლებით სარგებლობის არსს, ვინაიდან წახალისებდა მთავრობებს ჩამოერთვათ ასეთი წარმონაქმნებისათვის უფლება გაეგრძელებინათ დავა მათ მიერ წარდგენილ განაცხადზე, რაც მათ წარადგინეს მაშინ როცა ჯერ კიდევ დამოუკიდებელი იურიდიული პირები იყვნენ⁴⁶⁵. ეს ასევე მნიშვნელობას დაუკარგავდა სასამართლოს მიერ დასაშვებობის განჩინებაში მოცემულ მოტივაციას, ხოლო ვინაიდან განსახილველი საკითხი აღემატებოდა

⁴⁶² Capital Bank v. Bulgaria, [2005], ECHR, (HUDOC), § 1.

⁴⁶³ იქვე, § 10, 36, 37.

⁴⁶⁴ იქვე, § 79.

⁴⁶⁵ იქვე.

მარტოდენ განმცხადებელი ბანკის ინტერესებს ამიტომ სასამართლომ უარყო მთავრობის შუამდგომლობა ამ განაცხადის ამორიცხვის შესახებ⁴⁶⁶.

მეორე, მსგავსი საქმე, სადაც ასევე განაცხადი წარდგენილ იქნა საწარმოს მიერ მაშინ, როცა მას გააჩნდა იურიდიული პირის სტატუსი, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვის დროს იგი ამოწილ იქნა რეესტრიდან, იყო საქმე OAO Neftyanaya Kompaniya Yukis v. Russia. ჯერ კიდევ დასაშვებობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას თავის განჩინებაში ევროსასამართლომ მოიხმო ზემოხსენებულ საქმეში მითითებული მსჯელობები, ხაზი გაუსვა განსახილველი საქმის მნიშვნელობას ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებისათვის, ვინაიდან საქმე აღემატებოდა მარტოდენ განმცხადებელი საწარმოს ინტერესს და 2004 წელს, ანუ იძულებითი მმართველის დანიშვნამდე საწარმოს ადვოკატის მიერ შეტანილი საჩივარი დასაშვებად მიიჩნია⁴⁶⁷. ამ ისტორიულ საქმესთან დაკავშირებით ამ ეტაპზე მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ დარღვევის საკომპენსაციოდ მოპასუხე მთავრობას დაკისრებული 1 866 104 634 (ერთი მილიარდ რუბლს სამოცდაექვსი მილიონ ასოთხი ათას ექვსას ოცდაათობმეტი) აშშ დოლარის გადახდა დაევალა კომპანიის იმ აქციონერების ან მათი უფლებამონაცვლეების სასარგებლოდ, რომლებიც კომპანიას ლიკვიდაციის მომენტში გააჩნდა⁴⁶⁸.

ამდენად, მიუხედავად გარკვეული წინაპირობების არსებობისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაამკვიდრა რიგი სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კომპანიის აქციონერებს შეუძლიათ ევროსასამართლოსათვის მიმართვა დარღვეული უფლებების აღსადგენად.

7.9. კონვენციის პირველი ოქმისა პირველი მუხლისა და მე-6 მუხლის ურთიერთმიმართება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კომერციული იურიდიული პირების მიმართ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გაცნობა კიდევ ერთ საინტერესო დასკვნის საშუალებას გვაძლევს - ა) ბევრი გადაწყვეტილებით დგინდება როგორც


⁴⁶⁶ იქვე.

⁴⁶⁷ OAO Neftyanaya Kompaniya Yukis against Russia, Decision on Admissibility, [2009], ECHR, HUDOC, § 439-444.

⁴⁶⁸ OAO Neftyanaya Kompaniya Yukis v. Russia, Just Satisfaction, [2014], ECHR, HUDOC, სარეზოლუციო ნაწილი.


საკუთრების უფლების, ისე სამართლიანი სასამართლოს უფლებების დარღვევა; და ბ) ზოგიერთი გადაწყვეტილებით პირველი ოქმის დარღვევის დადგენის შემდეგ ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ დამატებით მე-6 მუხლის საკითხის განხილვა აღარ არის ხოლმე საჭირო.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე კომერციული იურიდიული პირების მიერ პირველი ოქმის პირველი მუხლით წარდგენილი საქმეები მცირე სტატისტიკური ანალიზი გვაძლევს ზოგად სურათს. სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას ჩვენ გამოვიყენებთ ყველა ის საქმე, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილში იმსჯელა მე-6 მუხლის შესახებ (დაადგინა დარღვევა ან დაურღვევლობა ან მიიჩნია, რომ ცალკე მათი განხილვა არ იყო აუცილებელი).




ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2014 წელს კომერციული იურიდიული პირების მიერ საკუთრების უფლების თაობაზე წარდგენილი 9 განაცხადი განიხილა, საიდანაც 5 საქმეში ევროსასამართლომ ასევე იმსჯელა სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, ანუ ნახევარზე მეტი საქმეებში ასევე მოთხოვნილი და განხილული იყო ასევე მე-6 მუხლით განსაზღვრული საკითხები.

2015 წელი




ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2015 წელს კომერციული იურიდიული პირების მიერ საკუთრების უფლების თაობაზე წარდგენილი 6 განაცხადი განიხილა, საიდანაც 4 საქმეში ევროსასამართლომ ასევე იმსჯელა სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, ანუ ნახევარზე მეტი საქმეებში ასევე მოთხოვნილი და განხილული იყო ასევე მე-6 მუხლით განსაზღვრული საკითხები.


2016 წელი



ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2016 წელს კომერციული იურიდიული პირების მიერ საკუთრების უფლების თაობაზე წარდგენილი 7 განაცხადი განიხილა, საიდანაც 2 საქმეში ევროსასამართლომ ასევე იმსჯელა სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, ანუ საქმეთა დაახლოებით მესამედში ასევე მოთხოვნილი და განხილული იყო მე-6 მუხლით განსაზღვრული საკითხები.




ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2017 წელს კომერციული იურიდიული პირების მიერ საკუთრების უფლების თაობაზე წარდგენილი 6 განაცხადი განიხილა, საიდანაც 2 საქმეში ევროსასამართლომ ასევე იმსჯელა სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, ანუ საქმეთა მესამედში ასევე მოთხოვნილი და განხილული იყო მე-6 მუხლით განსაზღვრული საკითხები.



ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2018 წელს კომერციული იურიდიული პირების მიერ საკუთრების უფლების თაობაზე წარდგენილი 13 განაცხადი განიხილა, საიდანაც 7 საქმეში ევროსასამართლომ ასევე იმსჯელა სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, ანუ საქმეთა ნახევარზე მეტში ასევე მოთხოვნილი და განხილული იყო მე-6 მუხლით განსაზღვრული საკითხები.

საბოლოო ჯამში ბოლო ხუთი წლის სტატისტიკური მაჩვენებელი შემდეგია



2014 - 2018 წლების განმავლობაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კომერციული იურიდიული პირების მიერ საკუთრების უფლების თაობაზე წარდგენილი 41 განაცხადი განიხილა, საიდანაც 20 საქმეში ევროსასამართლომ ასევე იმსჯელა სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ, ანუ საქმეთა თითქმის ნახევარში ასევე მოთხოვნილი და განხილული იყო მე-6 მუხლით განსაზღვრული საკითხები.

ამ მონაცემებიდან შეიძლება რამდენიმე მეტად საინტერესო დასკვნის გამოტანა. პირველ რიგში, ნორმების ასეთ ურთიერთკავშირს იწვევს თავად ევროსასამართლოში განაცხადის წარდგენის პროცედურა. შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის აუცილებლობა განაპირობებს კომერციულ იურიდიულ პირთა მიერ შიდასახელმწიფოებრივი საშუალებებისათვის მიმართვას, ხოლო ამ პროცესში იზრდება სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ალბათობა. მაგალითად, უკუქცევითი ძალის მქონე კანონის მიღება, რომელმაც გააუარესა განმცხადებლების მდგომარეობა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში მათ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მიჩნეულ იქნა მე-6 მუხლის დარღვევად⁴⁶⁹

⁴⁶⁹ Azienda Agricola Silverfunghi S.a.s. and Others v. Italy, [2014], ECHR, (HUDOC), § 88-89.

მეორე დასკვნა განპირობებულია კონვენციის მატერიალური ნორმების შინაარსით და მათი მიმართებით პროცესუალურ ნორმებთან. ზოგიერთ შემთხვევაში მატერიალური ნორმის დარღვევის გამო ევროსასამართლო ადგენდა რომ აუცილებელი არ იყო მე-6 მუხლით განსაზღვრული საკითხის ცალკე განხილვას. მაგალითად, კომპანია East/West Alliance Ltd. ამტკიცებდა რომ იგი იყო მე-6 მუხლის დარღვევის მსხვერპლი სამოქალაქო საქმის წარმოების ვადისა და მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის თვალსაზრისით, მაგრამ ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ეს საჩივრები ისე მჭიდროდ უკავშირდებოდა პირველი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრულ საჩივრებს, რომ დასაშვებად უნდა ყოფილიყვნენ მიჩნეულნი, მაგრამ სასამართლომ განიხილა რა ის მიზეზები, რომლებითაც დადგინდა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა, მიიჩნია, რომ ისინი არ წარმოშობდნენ მე-6 მუხლით განსაზღვრული საკითხის ცალკე განხილვის აუცილებლობას⁴⁷⁰.

მესამე დასკვნა გამომდინარეობს თავად ევროსასამართლოს მსჯელობიდან, სადაც იგი დეტალურად აანალიზებს ამ ნორმების ურთიერთმიმართებას. როგორც განიმარტა, „მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირველი ოქმის პირველი მუხლის პროცედურული ვალდებულებაც. ამგვარად, სასამართლომ ბევრჯერ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირველი ოქმის პირველი ნაწილი არ მოიცავს რაიმე აშკარა პროცედურულ მოთხოვნებს, პირის საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის შესახებ მიმდინარე სასამართლო პროცესი ასევე უნდა აძლევდეს გონივრულ შესაძლებლობას ამ პირს წარუდგინოს კომპეტენტურ უწყებებს თავისი საქმე იმ მიზნით, რომ ეფექტურად გაასაჩივროს ამ დებულებით გარანტირებული მისი უფლებებში ჩარევა. ამდენად, პირველი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრული ჩარევას არ ექნება რაიმე ლეგიტიმაცია თუ ადგილი არ ექნება შეჯიბრებით პროცესს, რომლიც შეესაბამება საშუალებათა თანასწორობის პრინციპს, რომლის დროსაც უნდა მოხდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების განხილვა. იმისათვის, რომ ეს პირობა დაცული იყოს, შესაბამისი პროცედურა განხილული უნდა იქნეს ზოგადი თვალსაზრისით⁴⁷¹“.

ამდენად, მიუხედავად შინაარსობრივი განსხვავებისა, პირველი ოქმის პირველი ნაწილით წამოწყებული დავები ასევე მოიცავენ ხოლმე მე-6 მუხლით განსაზღვრულ საკითხებს, რაც ამ მუხლებს შორის არსებული მჭიდრო პროცედურული ურთიერთკავშირითა და პრეცედენტული სამართლის კარგად დამკვიდრებული პრინციპებით აიხსნება.

⁴⁷⁰ East/West Alliance Limited v. Ukraine, [2014], ECHR, GC, (HUDOC) § 219-222.

⁴⁷¹ G.I.E.M. S.R.L. and Others v. Italy, [2018], ECHR, (HUDOC), § 304.

თავი 8. კონვენციის მე-11 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები

1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.
2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა გამოყენებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათავისუფლებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწყსრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს დააწესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ.

ამ მუხლის კავშირი კომერციული იურიდიულ პირებთან ცოტა რთულად წარმოსადგენია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2016 წელს არსებითად განიხილა ერთ-ერთი საქმე, სადაც განმცხადებელი საწარმო თავის მიმართ კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევაზე მიუთითებდა. საქმეში Geotech Kancev GmbH. V. Germany, საწარმო მუშაობდა ნიადაგის ნიმუშების გეოლოგიური კვლევის ჩატარების მიმართულებით და მას სოციალური კეთილდღეობის ფონდმა მოსთხოვა მას ფონდში შენატანის შეტანა, ვინაიდან გერმანიის სამშენებლო ინდუსტრიის სფეროში მოქმედებდა კოლექტიური შეთანხმებები, რომლებიც აწესრიგებდა ამ სფეროში დასაქმებული მუშაკების სოციალური დაცვის საკითხებს და ამ ხელშეკრულების მხარეები იყვნენ სამშენებლო მრეწველობის დამსაქმებელთა ასოციაცია და პროფკავშირები და რომელიც ითვალისწინებდა სამშენებლო მრეწველობის სფეროში დამსაქმებელთა მიერ გარკვეული თანხების შეტანას⁴⁷². საწარმომ უარი განაცხადა როგორც დამსაქმებელთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე, ისე თანხის შეტანაზე, რის გამოც მას სასამართლოს მიერ 63 625 ევროს გადახდა დაეკისრა, რაც საბოლოო ჯამში უცვლელად იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს მიერ⁴⁷³. სწორედ მე-11 მუხლის საფუძველზე საწარმო

⁴⁷² Geotech Kancev GmbH. V. Germany, [2016], ECHR, (HUDOC), § 7.

⁴⁷³ იქვე, § 13-19.

ამტკიცებდა რომ მოპასუხე სახელმწიფო ერეოდა მის თავისუფლებაში გაერთიანებულიყო თუ არა სამშენებლო მრეწველობის დამსაქმებელთა ასოციაციაში, რაზეც სასამართლომ განმარტა, რომ გაერთიანების უფლება ასევე მოიცავდა ნეგატიურ უფლებას იძულებით არ გაერთიანებულიყო ასოციაციაში და ამდენად, დასადგენი იყო, წარმოადგენდა თუ არა ეს ფინანსური ვალდებულება გაერთიანების უფლების ნეგატიურ ასპექტში ჩარევას⁴⁷⁴. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მართალია სოციალურ ფონდში ფინანსური შენატანის განხორციელება წარმოშობდა განმცხადებლისათვის *de facto* სტიმულს გამხდარიყო სამშენებლო მრეწველობის დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ფონდის საქმიანობა იყო გამჭირვალე როგორც წევრებისთვის, ისე არაწევრებისათვის და რომ იგი სათანადოდ კონტროლდება საჯარო უწყებების მხრიდან, აგრეთვე შენატანების შეტანის ვალდებულება ბალანსდებოდა ამავე ფონდიდან გარკვეული თანხების მიღების უფლებით, ასეთი სტიმული იყო მეტად მცირე, რათა გავლენა მოეხდინა მე-11 მუხლით დაცული გაერთიანების თავისუფლებაზე⁴⁷⁵.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ საწარმოს წარმოეშვება გარკვეული ვალდებულება ამა თუ იმ გაერთიანებაში გაწევრიანდეს თავის სამეწარმეო ინტერესების სრულად განხორციელების მიზნით, მაგრამ მას არ სურს თავად ასეთი გაერთიანების წევრობა, მას ყოველთვის შეუძლია მოიხმოს კონვენციის მე-11 მუხლი და ამ ნორმაზე დაყრდნობით დაიცვას თავისი უფლებები.

⁴⁷⁴ იქვე, § 51-53.

⁴⁷⁵ იქვე, § 57.

თავი 9. კონვენციის მე-13 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები

ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურეობრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

კონვენციის მე-13 მუხლი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა. მისი არსი კარგადაა გამოხატული ევროსასამართლოს დიდი პალატის მიერ - „მე-13 მუხლის მიზანი როგორც ეს გამომდინარეობს *travaux preparatoires*-დან ისაა, რომ უზრუნველყოს ისეთი შესაძლებლობები, რომლითაც პირები ეროვნული დონეზე მიიღებენ პასუხს კონვენციით მათთვის მინიჭებული უფლებების დარღვევისათვის, მანამ სანამ ისინი წამოიწყებენ სასამართლოში საჩივრის წარდგენის საერთაშორისო მექანიზმს⁴⁷⁶“.

თავად ნორმის შინაარსი ცხადყოფს მისი გამოყენების თავისებურებას. ეს თავისებურება იმაშია, რომ ეფექტური დაცვის შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები უნდა არსებობდნენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის გამოსწორებისათვის. ამდენად, ნორმის გამოყენება პირდაპირ უკავშირდება მხოლოდ კონვენციით განსაზღვრული სხვა ნორმების დარღვევის შემთხვევებს. მართალია ერთ-ერთ საქმეში, *Klass and others v. Germany*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მე-13 მუხლი დამოუკიდებელ მუხლს წარმოადგენდა, რომელიც შეიძლება დარღვეულიყო მაშინაც კი, როცა კონვენციის სხვა მუხლის დარღვევას შეიძლება არ ჰქონოდა ადგილი, მაგრამ მოგვიანებით დამკვიდრებული პრაქტიკით სასამართლო სულ უფრო და უფრო იზიარებს იმ მსჯელობას, რომ მე-13 მუხლი შეიძლება დაირღვევს მხოლოდ კონვენციის სხვა მუხლთან ერთობლიობაში⁴⁷⁷.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ამ მუხლის ირგვლივ კომერციული იურიდიულ პირების უფლებებთან მიმართებით უფრო მეტად ამ ბოლო მიდგომას ემყარება. კომერციულ

⁴⁷⁶ *Kudla v. Poland*, [2000], ECHR, (HUDOC), 152. ციტ. *Ovey C. and White C.A. R. Jacobs and White The European Convention on Human Rights*, Oxford University Press, Fourth Edition, 2006, 459.

⁴⁷⁷ *Ovey C. and White C.A. R. Jacobs and White The European Convention on Human Rights*, Oxford University Press, Fourth Edition, 2006, 460.

იურიდიულ პირების შემთხვევებში მე-13 მუხლის დარღვევა ან დაურღველობა ფიქსირდება მაშინ, როცა სასამართლო ადგენს კონვენციის რომელიმე სხვა მუხლის არსებით დარღვევას. თუმცა არის ხოლმე შემთხვევებიც, როდესაც კონვენციის სხვა ნორმის დარღვევის შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება დაასკვნას, რომ მე-13 მუხლის ცალკე განხილვა აუცილებელი არაა.

საქმეში *ZIT Company v. Serbia* დავის საგანი იყო კომპანიის მიერ გაყიდულ მიწის ნაკვეთზე მყიდველის მიერ თანხის გადაუხდელობის გამო სასამართლოს მიერ აღდგენილი საკუთრების უფლების რეგისტრაციის სირთულე და მასთან დაკავშირებული სააღსრულებო პროცედურის ხანგრძლივობა⁴⁷⁸. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რა როგორც მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, ისე პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა, უარყო მთავრობის შესაგებელი მე-13 მუხლთან მიმართებით, ვინაიდან იგი იმავე არგუმენტებს ემყარებოდა, რასაც სხვა ნორმებთან მიმართებით და განმარტა, რომ ვინაიდან განმცხადებელ კომპანიას არ გააჩნდა საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ვადებთან დაკავშირებით რაიმე ეფექტური შიდა სახელმწიფოებრივი საშუალება, ამიტომ მე-13 მუხლი იქნა დარღვეული.

თუმცა საქმეში *Amat-G and Mabaghishvili v. Georgia* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-13 მუხლის დარღვევა დაადგინა რომელიმე სხვა მუხლთან კავშირის გარეშე. საქმე ეხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიწოდებული პროდუქციის აუნაზღაურებლობის გამო დაკისრებული თანხის საწარმოსთვის გადაუხდელობის შედეგად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებლობას დაახლოებით 6 წლის მანძილზე. ევროსასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და პირველი ოქმის პირველი პუნქტი დარღვეულად მიიჩნია, მაგრამ იმავდროულად განმარტა, რომ განმცხადებელ საწარმოს არ ჰქონია შიდა სახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება, კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მას მოცემული სასამართლო წარმოების შეფერხების გამო მიადგა⁴⁷⁹. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დადგინდა საწარმოს მიმართ კონვენციის ორი არსებითი ნორმის დარღვევა, ევროსასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მე-13 მუხლის დარღვევა არცერთ სხვა ნორმას არ დაუკავშირა⁴⁸⁰, რაც მეტად საგულისხმოა და პირდაპირ მიუთითებს მე-13

⁴⁷⁸ *ZIT Company v. Serbia*, [2007], ECHR, (HUDOC).

⁴⁷⁹ *Amat-G and Mabaghishvili v. Georgia*, [2005], ECHR, (HUDOC), § 53.

⁴⁸⁰ იქვე, სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი.

მუხლის დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობაზე კომერციული იურიდიული პირების მიმართაც.

ზოგჯერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის არსებითი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე მიიჩნევა, რომ ამა თუ იმ ნორმას შეუძლია მე-13 მუხლით განსაზღვრული დებულების შთანთქმა, იმ შემთხვევაში თუ სადავო საკითხი შეიძლება კონვენციის ორი ნორმის მოწესრიგების ქვეშ აღმოჩნდეს. მაგალითად, საქმეში *Matos e Silva, Lda., and Others v. Portugal*, დავის საგანი იყო განმცხადებელი საწარმოს კუთვნილი მიწის ნაკვეთის ექსპროპრიაცია და მასთან დაკავშირებული სასამართლო დავები, მათ შორის სასამართლოზე მისაწვდომობის საკითხი, რაზეც ევროსასამართლომ მიუთითა: „სასამართლოზე მისაწვდომობის უფლებაზე საუბარი არ შეიძლება იყოს იქ, სადაც ადვოკატით წარმოდგენილი მოსარჩელე თავისუფლად იწყებს საქმის წარმოებას სასამართლოში, წარადგენს შუამდგომლობებს და ასაჩივრებს გადაწყვეტილებას თავისი შეხედულებით. ის ფაქტი, რომ სამართალწარმოებამ დიდი დრო წაიღო არ შეეხება სასამართლოსათვის მისაწვდომობის საკითხს. ამასთან დაკავშირებული პრობლემები განეკუთვნება სამართალწარმოების მიმდინარეობას და არა მასზე მისაწვდომობას. მოკლედ რომ ითქვას, ადგილი არ ჰქონია მე-13 მუხლის დარღვევას ან ამ თვალსაზრისით მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, ამასთან პირველის (მე-13 მუხლის) მოთხოვნები ნაკლებ მკაცრია ვიდრე მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, რის გამოც ეს უკანასკნელი შთანთქმავს მას⁴⁸¹“. აქედან გამომდინარე, სარეზოლუციო ნაწილით ევროსასამართლომ უარი უთხრა განმცხადებელ კომპანიას სასამართლოსათვის მისაწვდომობის არქონის გამო მე-13 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევულად გამოცხადებაზე, თუმცა სამართალწარმოების ხანგრძლივობიდან გამომდინარე მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მაინც დარღვეულად მიიჩნია და ასევე დარღვეულად იქნა მიჩნეული ექსპროპრიაციის განხორციელების დროს პირველი ოქმის პირველი მუხლი.

საგულისხმოა, რომ კომერციული იურიდიული პირების უფლება დაცვის ეფექტურ საშუალებებზე შეიძლება დაირღვეს ყველა იმ არსებითი მუხლის მიმართ, რომლებიც შინაარსობრივად განკუთვნილი არიან საწარმოთა მიმართ. მაგალითად საქმე *Glass Nadezhda EOOD and Elenkov v. Bulgaria*, შეეხებოდა ქრისტიანული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად შეტანილი განაცხადზე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს (რადიო და ტელემაუწყებლობის ეროვნული კომიტეტი) მიერ სრულიად დაუსაბუთებლად და გაუმჭვირვალედ უარის თქმას, რის გამოც

⁴⁸¹ *Matos e Silva, Lda., and Others v. Portugal*, [1996], ECHR, (HUDOC), § 64.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-10 მუხლი დარღვეულად მიიჩნია⁴⁸². მოცემული საქმე შეეხებოდა უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობას მასზე, რომ მას არ ჰქონდა უფლება გადაეხედა რადიო და ტელემაუწყებლობის ეროვნული კომიტეტის მიერ განხორციელებული საწარმოს მიერ წარდგენილი საპროგრამო დოკუმენტების შეფასების სისწორისათვის რადგან ასეთი შეფასება კომიტეტის დისკრეციული უფლებამოსილება იყო⁴⁸³. ამის გამო უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ უარი განაცხადა კომიტეტის დისკრეციულ უფლებამოსილებაში ჩარევაზე და აღარ იმსჯელა იმ საკითხებზე, რაც საწარმოს მე-10 მუხლით მოცულ დარღვევებს შეეხებოდა⁴⁸⁴.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არსებითი როლი ამ საკითხის გადაწყვეტისას. ევროსასამართლომ მოიხმო მის მიერ განხილული ორი სხვა საქმე გაერთიანებული სამეფოს მიმართ, სადაც ინგლისის სასამართლოებმა ასევე არ გაითვალისწინეს მხარის კონვენციაზე დამყარებული არგუმენტები, არამედ შემოიფარგლნენ მარტოდენ იმით, ხელისუფლების ორგანოებმა საკონვენციო უფლებებში ჩარევისას ხომ არ იმოქმედეს „არარაციონალურად“ თავიანთი დისკრეციის განხორციელებისას⁴⁸⁵. ამ საქმეებში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგებოდა მე-13 მუხლის მოთხოვნებს, რადგან ამ მუხლით განსაზღვრული ეფექტური საშუალება ის იქნებოდა, რომ შიდა უწყებებს საქმის განხილვისას გაეთვალისწინებინათ კონვენციით განპირობებული საჩივარი, ხოლო უფრო შემდგომ განხილულ სხვა საქმეში იგივე სახელმწიფო წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-13 მუხლის დარღვევა დაადგინა იმიტომ, რომ შიდა სასამართლოების მიერ საქმის განხილვის ფარგლები შემოსაზღვრული იყო ისეთი ტრადიციული ინგლისური საჯარო-სამართლებრივი კონცეპციებით, როგორც იყო „არარაციონალურობა“, „უკანონობა“ და „ამკარა არაგონიერულობა“ და არ მსჯელობდა ისეთ საკითხზე, როგორც იყო განმცხადებელის საკონვენციო უფლების დარღვევა წარმოადგენდა თუ არა გასამართლებელ შეზღუდვას⁴⁸⁶. ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ განხორციელებული

⁴⁸² Glass Nadezhda EOOD and Elenkov v. Bulgaria, [2008], ECHR, (HUDOC), § 42-53.

⁴⁸³ იქვე, § 68.

⁴⁸⁴ იქვე.

⁴⁸⁵ იქვე, § 69.

⁴⁸⁶ იქვე.

მიდგომა - კომიტეტის დისკრეციაში არსებითად ჩარევაზე უარი - ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნებს⁴⁸⁷.

მე-13 მუხლთან მიმართებით განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს საქმე *Stockholms Forsakrings-Och Skadestandsjuridik v. Sweden*, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მართალია პირველი ოქმის პირველი მუხლი დარღვეულად მიიჩნია, მაგრამ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ ჩათვალა დარღვეულად, თუმცა ამასთან ერთად სხვა მუხლებისაგან დამოუკიდებლად იმსჯელა მე-13 მუხლის თაობაზე და ეს მუხლიც დარღვეულად მიიჩნია. ამ შემთხვევის განსაკუთრებულობას რამდენიმე გარემოება განაპირობებდა. პირველ რიგში ის, რომ საქმე ეხებოდა კრედიტორის განცხადების გამო საწარმოს მიმართ შიდა სასამართლოების მიერ გახსნილ გაკოტრების საქმის წარმოებას, რომელზეც მიღებული განჩინებაც საწარმოს საჩივრების მიუხედავად მხოლოდ გამო საკასაციო სასამართლოში გაუქმდა⁴⁸⁸. მიუხედავად ამისა, საწარმოს დაეკისრა გაკოტრების ხარჯის ნაწილი 1597 კრონი (172 ევრო) და თანხის ეს ოდენობა წარმოადგენს ამ საქმის გამორჩეულობის მეორე ელემენტს, ვინაიდან ადასტურებს რომ თანხის ოდენობა შეიძლება არ იყოს გადამწყვეტი მე-13 მუხლის დარღვევის დადგენის საკითხის გადაწყვეტისას. ევროსასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქვემოთსააღნიშნულ სასამართლოს მიერ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე მიღებული არასწორი გადაწყვეტილება, რამაც გადახდის უუნარობასთან დაკავშირებული ხარჯის ნაწილის გადახდის ვალდებულება წარმოუშვა საწარმოს, თანხის ოდენობის მიუხედავად წარმოადგენდა მისი აქტივების ჩამორთმევას და არ შეესაბამებოდა „საზოგადოებრივ ინტერესს“⁴⁸⁹. რაც შეეხებოდა მე-13 მუხლს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან გადახდის უუნარობის ხარჯის დაკისრების შესახებ რაიონულმა სასამართლოს განჩინების წინააღმდეგ მიმართულ საჩივარში განმცხადებელი საწარმო იმავე არგუმენტებზე მიუთითებდა, რაც მას ევროსასამართლოში მოჰყავდა და რომლებიც სააპელაციო სასამართლოს მიერ უგულვებელყოფილი იყო არსებითი განხილვის გარეშე, განმცხადებლის საკონვენციო უფლებების დარღვევის საბოლოო განხილვა არ მომხდარა, რის გამოც იდგა საკითხი გააჩნდა თუ არა განმცხადებელს დაცვის რაიმე სხვა საშუალება, რაც მე-13 მუხლის მოთხოვნების შესაბამისი იქნებოდა⁴⁹⁰. ევროსასამართლომ განმარტა, რომ მთავრობის მიერ შემოთავაზებული კანონი „ზიანის ანაზღაურების შესახებ“ არ

⁴⁸⁷ იქვე, § 70.

⁴⁸⁸ *Stockholms Forsakrings-Och Skadestandsjuridik v. Sweden*, [2003], ECHR, (HUDOC), § 12-15.

⁴⁸⁹ იქვე, § 54.

⁴⁹⁰ იქვე, § 70-71.

შეესაბამებოდა ასეთ მოთხოვნებს, ვინაიდან საქმის განხილვაში მონაწილე ადგილობრივ სასამართლოებს არ ჰქონდათ განხორციელებული რაიმე ისეთი არაამართლოზომიერ ქმედება ან გადაცდომა, რაც გამოიწვევდა სახელმწიფოს მიერ ზემოხსენებული კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას, რის გამოც ეს საშუალება ვერ დააკმაყოფილებდა პირველი ოქმის პირველი მუხლით დარღვევით განმცხადებლის მიერ განცდილ ზიანს, ხოლო რაიმე მტკიცებულება, რომ შვედეთის კანონმდებლობა სხვა საშუალებას ითვალისწინებდა არ ყოფილა წარმოდგენილი, რის გამოც მე-13 მუხლი დამოუკიდებლად იქნე მიჩნეული დარღვეულად⁴⁹¹.

კომერციული იურიდიული პირების შემთხვევაში მე-13 მუხლის დარღვევა შეიძლება დადგინდეს მაშინაც, როდესაც სადავო მუხლი არსებითად არ ყოფილა დარღვეული, მაგრამ ამ მუხლთან მიმართებით მე-13 მუხლი ევროსასამართლომ დარღვეულად მიიჩნია. უფრო კონკრეტულად, საუბარია მე-8 მუხლით განსაზღვრულ პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის შემთხვევაზე. საქმეში Lindstrand Partners Advokatbyrå AB v. Sweden საგადასახადო ორგანოების შუამდგომლობით სასამართლოს განჩინების საფუძველზე ტარდებოდა ჩხრეკა საადვოკატო ფირმის კლიენტების ოფისებში, საიდანაც წაღებულ იქნა კომპიუტერის ე.წ. მყარი დისკი და „იუ-ეს-ბი“ მეხსიერების ბარათი, რომელიც მოიცავდა ასევე ინფორმაციას საადვოკატო ფირმის სხვა კლიენტურის შესახებ, ხოლო საადვოკატო ფირმაში ჩხრეკის დროს შემოწმებულ იქნა კარადები, თაროები, კომპიუტერები, სეიფი, თუმცა რაიმე მასალა იქ ვერ იქნა აღმოჩენილი⁴⁹². ევროსასამართლომ დარღვეულად არ მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლი ჩხრეკასთან მიმართებით, განმარტა ასევე რომ არ წარმოიშვებოდა ცალკე განსახილველი საკითხი პირველი ოქმის პირველი მუხლიდან გამომდინარე, მაგრამ მე-13 მუხლი მე-8 მუხლთან მიმართებით დარღვეულად ჩათვალა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი იძულებითი ღონისძიება არ იყო მიმართული უშუალოდ განმცხადებლის წინააღმდეგ, ჩხრეკა მაინც ჩატარდა მის ოფისში, სადაც შემოწმდა მისი კარადების, თაროების, კომპიუტერისა და სეიფის შიგთავსი, რაც უცილობლად გავლენას ახდენდა განმცხადებელზე, რომელსაც ჰქონდა დასაბუთებული ინტერესი პასუხი მიეღო კითხვაზე შეესაბამებოდა თუ არა ასეთი ქმედება კონვენციით დაცულ მის უფლებებს, კერძოდ, მე-8 მუხლს⁴⁹³. ამგვარი ჩხრეკის თავისებურების გათვალისწინებით, რომ შესაბამის პირებს წინასწარ არ ეცნობებოდა ასეთი ღონისძიების შესახებ, ჩხრეკის შემდეგ მის მართლოზომიერების

⁴⁹¹ იქვე, § 71.

⁴⁹² Lindstrand Partners Advokatbyrå AB v. Sweden, [2017], ECHR, (HUDOC), § 14-15.

⁴⁹³ იქვე, § 124.

გადასინჯვა ასევე შეიძლება იყოს ეფექტური, მაგრამ ამ შემთხვევაში განმცხადებელს უარი ეთქვა სათანადო მხარედ მიჩნევაზე და ამდენად არ მიეცა მისაწვდომობა ისეთ საშუალებაზე, რაც განიხილავდა მის არგუმენტებს ჩხრეკის საწინააღმდეგოდ, რის გამოც მიიჩნეოდა, რომ განმცხადებელს „არ ჰქონდა ეფექტური საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ“ და დარღვეულ იქნა მე-13 მუხლი მე-8 მუხლთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ კომერციულ იურიდიულ პირებს მე-13 მუხლის დარღვევა შეუძლია ამტკიცონ არა მხოლოდ სასამართლოებში დაცვის ეფექტური საშუალების არქონის გამო, არამედ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში მათი უფლებების დარღვევის გამოც. მაგალითად საქმეზე VR-Bank Stuttgart eG v. Austria საკითხი ეხებოდა გარკვეული სახის უძრავი ქონების ნასყიდობის მოწმობასთან დაკავშირებით სპეციალური ადმინისტრაციული ორგანოს უარს და მისი გასაჩივრების პროცედურებს, რა დროსაც ევროსასამართლომ თავდაპირველად დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა პროცედურის ხანგრძლივობასთან (12 წელი) მიმართებით, მაგრამ გარდა ამისა, ასევე დაადგინა მე-13 მუხლის დამოუკიდებლად დარღვევა, ვინაიდან განმცხადებელ საწარმოს არ გააჩნდა რაიმე ეფექტური საშუალება, რათა დაეჩქარებინა თანხმობის გაცემის პროცედურა სპეციალური ადმინისტრაციულ ორგანოში⁴⁹⁴.

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ საჭიროების შემთხვევაში საწარმოების შესაძლებლობა თამამად მოიხმონ კონვენციის მე-13 მუხლი, როგორც დამოუკიდებლად, ისე რომელიმე სხვა, არსებით მუხლთან მიმართებით, ემსახურება კომერციული იურიდიული პირების საკონვენციო უფლებების დაცვას.

⁴⁹⁴ VR-Bank Stuttgart eG v. Austria, [2010], ECHR, (HUDOC), § 29, § 31, § 42.

თავი 10. კონვენციის მე-14 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები

ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

კონვენციის მე-14 მუხლის შინაარსი პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ დისკრიმინაციის აკრძალვა შეეხება კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს და არა ზოგადად დისკრიმინაციას. შესაბამისად, ეს არ არის დამოუკიდებელი უფლება და კონვენციის რომელიმე სხვა მატერიალურ უფლებასთან ერთად უნდა იქნეს გამოყენებული (მათ შორის, დამატებით ოქმებში მოცემულ უფლებებთან ერთად)⁴⁹⁵. თუმცა ნორმის ტექსტში მოყვანილი დაცული საფუძვლების (სქესი, რასა და ა.შ.) უმრავლესობა პირდაპირ არაა განკუთვნილი კომერციული იურიდიული პირების მიმართ, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც საწარმოთა მიერ წარდგენილი საჩივრებში კონვენციის მე-14 მუხლზე სასამართლომ მსჯელობა განავითარა. ამასთან, დღევანდელი მოცემულობით კომერციული იურიდიული პირების მიერ წარდგენილ მხოლოდ ერთ საქმეზე დადგინდა მე-14 მუხლის დარღვევა.

საქმე Pine Valley Development Ltd. and Others v. Ireland შეეხებოდა ამ საწარმოს მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთზე (რომელიც მოგვიანებით გადაეცა მის დამფუძნებელ კომერციულ იურიდიულ პირს - შპს Healy Holdings-ს) გაცემული სამშენებლო ნებართვის გაუქმების საკითხს და მოგვიანებით მიღებულ კანონს, რომელიც გარკვეულ სარგებელს ანიჭებდათ ამ კატეგორიის ნებართვის მფლობელ სხვა პირებს, მაგრამ არა განმცხადებელს, ამასთან, ირლანდიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ ამ კანონით განსაზღვრული შეღავათიდან განმცხადებელი გამორიცხულ იქნა⁴⁹⁶. ვინაიდან მთავრობამ ვერ ახსნა განსხვავებული მოპყრობის რაიმე სხვა გამართლება განმცხადებლებსა და იმავე კატეგორიის ნებართვის სხვა მფლობელებს შორის, ევროსასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დაირღვა

⁴⁹⁵ ლიჩი, ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბილისი, 2013, 480.

⁴⁹⁶ Pine Valley Development Ltd. And Others v. Ireland, [1991,]ECHR, (HUDOC), § 52, § 61-64.

კონვენციის მე-14 მუხლი პირველი ოქმის პირველი პუნქტთან მიმართებაში შპს Healy Holdings-ისა და ამ უკანასკნელის 100%-იანი დამფუძნებელ ფიზიკურ პირის, ბ-ნ ჰილის მიმართ⁴⁹⁷. მიუხედავად იმისა, რომ მე-14 მუხლის დარღვევის აღიარებაზე უარი ეთქვა უშუალოდ განმცხადებელს შპს Pine Valley Development-ს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ტოვებს უფრო მეტი დასაბუთების აუცილებლობის განცდას, განსაკუთრებით იმ ნაწილში, თუ რომელი კონკრეტული დაცული საფუძველი აღმოაჩინა დარღვეულად განმცხადებელი საწარმოს მიმართ სასამართლომ. სავარაუდოდ აქ საუბარი უნდა იყოს „ქონებრივ მდგომარეობაზე“ თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-14 მუხლის დარღვევა დაფიქსირდა სწორედ პირველი ოქმის პირველ მუხლთან მიმართებით, რომელიც საკუთრების უფლებას შეეხება.

როგორც ზევით აღინიშნა, ამ საქმის შემდეგ კომერციულ იურიდიულ პირებთან მიმართებით მე-14 მუხლის დარღვევა აღარ დადგენილა, მაგრამ სასამართლოს მოუწია მსჯელობა ასეთი დარღვევების შესახებ. მაგალითად, საქმეზე *Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy*, საკითხი შეხებოდა კომპანიისათვის მინიჭებული ტელემაუწყებლობის ლიცენზიისათვის სიხშირეების გამოყოფაზე უარს 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „საკანონმდებლო ბაზა, რომელიც გამოყენებული იქნა მომჩივანი კომპანიის მიმართ, რომელმაც ვერ შეძლო მუშაობა სატელევიზიო მაუწყებლობის სექტორში ათ წელზე მეტი დროის განმავლობაში მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ტენდერის საფუძველზე მიიღო ლიცენზია - არ აკმაყოფილებდა განჭვრეტადობის მოთხოვნას კონვენციის მიხედვით და ართმევდა კომპანიას თვითნებობის წინააღმდეგ დაცვის იმ საშუალებას, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობა ითხოვს. მოცემულმა ნაკლმა გამოიწვია, სხვა მრავალს შორის, შემცირებული კონკურენცია აუდიოვიზუალურ სექტორში. შესაბამისად, იგი უტოლდება სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობას უზრუნველყოს ეფექტიანი მედია პლურალიზმი შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული გარემოთი⁴⁹⁸“. ამის გამო კონვენციის მე-10 მუხლი დარღვეულად იქნა მიჩნეული, ხოლო რაც შეეხებოდა კონვენციის მე-14 მუხლს, განმცხადებელი საწარმო ამტკიცებდა, რომ „იტალიის სისტემა პრეფერენციულ მოპყრობას სთავაზობდა "მედიასეტ" ჯგუფს, რომელიც სარგებლობდა დისკრიმინაციული კანონმდებლობითა და ადმინისტრაციული ზომებით, რომელიც მიღებული იქნა ინტერესთა კონფლიქტის პირობებში. იგი ასევე აღნიშნავდა, რომ დაზარალდა

⁴⁹⁷ იქვე, § 64.

⁴⁹⁸ *Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy*, [2012], ECHR, (HUDOC), § 156.

დისკრიმინაციით სხვა ოპერატორებთან მიმართებაშიც და შედეგად ხელი შეეშალა ბაზარზე შესვლაში⁴⁹⁹. მიუხედავად ამისა, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მე-10 მუხლთან დაკავშირებით ზემოხსენებული დასკვნის გათვალისწინებით საჭირო არ იყო საჩივრის ცალკე განხილვა კონვენციის მე-14 მუხლით⁵⁰⁰.

ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც მე-14 მუხლის შესახებ საჩივარი სხვა ნორმასთან მიმართებით სასამართლომ მართალია არსებითად განიხილა, მაგრამ დარღვევა ვერ აღმოაჩინა. საქმეში *OAO Neftyanaya Kompaniya Yokis v. Russia*, საწარმო ამტკიცებდა, რომ სასამართლოების მიერ შესაბამისი კანონმდებლობის განმარტება იყო შერჩევითი და განსხვავებული, რადგან მრავალი რუსული საწარმო მათ შორის „სიბნეფტი“ და „ტნკ ინტერნეიშენელი“ ასევე იყენებდნენ შიდა შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრის მქონე ტერიტორიებს⁵⁰¹. მიუხედავად ამისა, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი კომპანიის 2000-2003 წლების საგადასახადო სქემები მათ ერთობლიობაში, თაღლითურად რეგისტრირებული სავაჭრო კომპანიების გამოყენების ჩათვლით, არ ადასტურებდა რომ მათ შესახებ საგადასახადო უწყებებისათვის ან შიდა სასამართლოებისათვის ცნობილი იყო და ისინი მათ კანონიერად მიიჩნევდნენ, ხოლო რაც შეეხებოდა სხვა კომპანიების მიერ იგივე სქემების გამოყენებას, ევროსასამართლომ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა, რომ სხვა კომპანიები იგივე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მით უფრო, რომ ასეთი ინფორმაცია მოცემული იყო არაოფიციალური ხასიათის კვლევებსა და მოხსენებებში⁵⁰². ამ ყველა გარემოების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლი პირველი ოქმის პირველ მუხლთან მიმართებაში დარღვეულად არ მიიჩნია.

მე-10 მუხლთან დაკავშირებით მოყვანილ საქმეში *The Sunday Times v. The United Kingdom* გაზეთი მე-14 მუხლის დარღვეულად ცნობას მე-10 მუხლთან მიმართებით ითხოვდა იმის საფუძველზე, რომ ა) იგივე სახის სხვა გამოცემები არ დაქვემდებარებიან განმცხადებელი საწარმოს მსგავს შეზღუდვებს; და ბ) ადგილი ჰქონდა განსხვავებებს პარლამენტში მოქმედ წესებთან მიმართებით მიმდინარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებზე და პრესის მიმართ მოქმედ წესებზე სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენის შესახებ⁵⁰³. ადამიანის

⁴⁹⁹ იქვე, § 160.

⁵⁰⁰ იქვე, § 162.

⁵⁰¹ *OAO Neftyanaya Kompaniya Yokis v. Russia*, [2012], ECHR, (HUDOC), § 608.

⁵⁰² იქვე, § 615.

⁵⁰³ *The Sunday Times v. The United Kingdom*, [1979], ECHR, PS, (HUDOC), § 69.

უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ის ფაქტი, რომ სხვა გაზეთების მიმართ რაიმე ზომა არ იქნა მიღებული არ წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას, რომ Times Newspapers Ltd. -ის მიმართ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მიჩნეული ყოფილიყო მე-14 მუხლის დარღვევით განხორციელებულ დისკრიმინაციად⁵⁰⁴. რაც შეეხებოდა პარლამენტში გამოყენებულ წესებს ევროსასამართლო იმ აზრს ემხრობოდა, რომ პრესა და პარლამენტარები არ შეიძლება განხილულ ყოფილიყვნენ როგორც „მსგავს სიტუაციაში მყოფებად“, ვინაიდან მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები არსებითად განსხვავებული იყო⁵⁰⁵. ამ ყველაფერმა კი განაპირობა ის, რომ სასამართლოს მოსაზრებით მე-14 მუხლი მე-10 მუხლთან კავშირში არ ყოფილა დარღვეული.

განხილული კაზუსები გვიჩვენებს, რომ მართალია საწარმოთა მიმართ მე-14 მუხლის დარღვევა იშვიათად ფიქსირდება, ამის შემთხვევები მაინც არის. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ასეთს ადგილი ექნება, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გააჩნია პრეცედენტული სამართლის მყარი ბაზა მსგავსი დარღვევების აღმოსაჩენად და სათანადო გადაცდომის დასადგენად.

⁵⁰⁴ იქვე, § 71.

⁵⁰⁵ იქვე, § 72.

თავი 11. კონვენციის მე-17 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები

ამ კონვენციის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფო ან ცალკეული პირის უფლებას, ეწეოდეს საქმიანობას ან ასრულებდეს მოქმედებას, რომელიც გამიზნულია არარად აქციოს ამ კონვენციით გაცხადებული რომელიმე უფლება ან თავისუფლება ანდა შეზღუდოს იგი იმაზე მეტად, ვიდრე ეს საკუთრივ კონვენციით არის გათვალისწინებული.

ზოგადად კონვენციის მე-17 მუხლი ერთგვარად უჩვეულოა კონვენციისათვის, ვინაიდან მისი მოხმობა შეუძლია როგორც ინდივიდუალურ განმცხადებელს სახელმწიფოს წინააღმდეგ, ისე სახელმწიფოს ინდივიდუალური განმცხადებლის უფლებებში ჩარევისათვის⁵⁰⁶. განმცხადებლის საჩივრის არსი იქნება ის, რომ სახელმწიფომ ისარგებლა რა თავისი ძალაუფლებით ჩაერია განმცხადებლის უფლებაში იმ მიზნით ან იმ საშუალებით, რაც სცილდებოდა კონვენციას⁵⁰⁷.

ერთადერთი საქმე, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა კომერციული იურიდიული პირის მიერ მე-17 მუხლის მოხმობის ირგვლივ და გამოხატა თავისი მოსაზრება, იყო 2018 წლის 17 აპრილის განჩინება დასამწებობის შესახებ საქმეზე *Roj TV A/S against Denmark*, სადაც განმცხადებელი კომპანია მიუთითებდა მე-17 მუხლის დარღვევაზე, მე-10 მუხლთან მიმართებაში⁵⁰⁸. დანიაში რეგისტრირებული საწარმო „Mesopotamia Braodcast“-ი ფლობდა რამდენიმე სატელევიზიო ლიცენზიას დანიაში და ამავე დროს, იგი მართავდა განმცხადებელ საწარმოსაც და სატელევიზიო არხსაც, რომელსაც გააჩნდა მაუწყებლობის ლიცენზია თანამგზავრით პროგრამების ტრანსლირების შესახებ და 2004 წლიდან ახდენდა მაუწყებლობას ძირითადად ქურთულ ენაზე, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში⁵⁰⁹. 2010 წელს განმცხადებელ კომპანიას და მის დამფუძნებელ კომერციულ იურიდიულ პირს წაეყენათ ბრალი დანიის სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, რომლებიც შეხებოდა ტერორიზმს, ტერორიზმისათვის ხელის შეწყობას და ა.შ. საბოლოოდ დანიის ყველა ინსტანციის სასამართლოების მიერ

⁵⁰⁶ *Harris D.J., O'Boyle D., Bates E.P. & Buckley C.M.*, Harris, O'Boyle and Warbrick Law of European Convention of Human Rights, Oxford University Press, 2014, 856.

⁵⁰⁷ იქვე.

⁵⁰⁸ *Roj TV A/S against Denmark*, [2018], ECHR, HUDOC.

⁵⁰⁹ იქვე, § 6-17.

განხილვის კომპანიას სასჯელის დაეკისრა ჯარიმა 671 141 ევროს ოდენობით, იმ მოტივით, რომ ტელევიზია ახდენდა ქურთისტანის მუშათა პარტიის საქმიანობის პროპაგანდას, ცალმხრივად აშუქებდა მოვლენებს, წარმოაჩენდა აჯანყებულ მებრძოლებს გმირებად და ა.შ.

განმცხადებელმა საწარმომ მიმართა ევროსასამართლოს და ამტკიცებდა მე-17 მუხლისა და მე-10 მუხლი დარღვევას მასზე ჯარიმის დაკისრების გამო, რაზეც სასამართლომ განმარტა, რომ გამოხატვა, რომელიც შეუსაბამო იყო კონვენციით გამოცხადებულ და გარანტირებულ ფასეულობებთან არ იყო დაცული მე-10 მუხლით მე-17 მუხლის ძალით⁵¹⁰. გადაწყვეტი გარემოება იმისა, გაირკვეს ვერბალური თუ არავერბალური გამოხატვა ექცეოდა თუ არა მე-10 მუხლის დაცვის ქვეშ მე-17 მუხლის ძალით, იყო იმის გარკვევა, განცხადებები მიმართული იყო კონვენციის ფუძემდებლური პრინციპების წინააღმდეგ, მაგალითად, აღვივებდა ზიზღს ან ძალადობას და განცხადების ავტორი ხომ არ ცდილობდა კონვენციაზე დაყრდნობით ჩაბმულიყო ისეთ საქმიანობაში ან განებორციელებინა ისეთი საქმიანობა რომლის მიზანი იქნებოდა კონვენციის მიზნების და მასში მოცემული თავისუფლებების დაბრკოლება⁵¹¹. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-17 მუხლი, როგორც ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებებით იყო განმტკიცებული, მხოლოდ გამონაკლისი საფუძვლებითა და განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენებოდა⁵¹².

მოცემულ შემთხვევაში ევროსასამართლომ არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რომ ეროვნულ სასამართლოებში გამართულ წარმოებაში საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოვლენების ცალმხრივი გაშუქება მუდმივი მოწოდებები ბრძოლასა და მოქმედებებში ჩაბმისაკენ, წაქეზებები ორგანიზაციის/პარტიზანების საქმიანობაში მონაწილეობისაკენ და პარტიზანთა გარდაცვლილი წევრების გმირებად წარმოჩენა წარმოადგენდა ქურთისტანის მუშათა პარტიის, ტერორისტული ორგანიზაციის, პროპაგანდას და ეს ვერ ჩაითვლებოდა მარტოოდენ სიმპათიის გამოხატულებად⁵¹³. გარდა ამისა, განმცხადებელი საწარმო ფინანსდებოდა ამ პარტიის მიერ 2006 და 2001 წლებში⁵¹⁴. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ევროსასამართლომ დასკვნა, რომ კონვენციის მე-17 მუხლიდან გამომდინარე, განმცხადებელი კომპანია ვერ

⁵¹⁰ იქვე, § 31.

⁵¹¹ იქვე.

⁵¹² იქვე, § 46.

⁵¹³ იქვე.

⁵¹⁴ იქვე.

ისარგებლებდა კონვენციის მე-10 მუხლით მინიჭებული დაცვით, რის გამოც მისი განაცხადი დაუშვებელი იყო *ratione materiae*.

თავი 12. კონვენციის მე-18 მუხლი და კომერციული იურიდიული პირები

დაუშვებელია ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენება არა იმ მიზნით, რისთვისაც ისინია გათვალისწინებული.

კონვენციის მე-18 მუხლი შეხება უფლებამოსილების გადამეტებას ან კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას და გამოყენებულ უნდა იქნეს კონვენციის რომელიმე სხვა მუხლთან ან მუხლებთან ერთობლიობაში⁵¹⁵. დარღვევა შეიძლება დადგინდეს მაშინაც თუ ცალკე აღებული კონვენციის მუხლი არაა დარღვეული⁵¹⁶. ამდენად, ცხადია ხდება, რომ თეორიულად ამ ნორმით სარგებლობა კომერციულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ. და ასეთ ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი საქმეში *ОАО Neftyanaya Kompaniya Yukis v. Russia*, სადაც განმცხადებელი საწარმო ამტკიცებდა, რომ მის მიმართ მიმდინარე სხვადასხვა საგადასახადო და სააღსრულებო წარმოებაში არსებული დარღვევების გარდა, ამ წარმოებების მთლიანი ეფექტი ასევე ბ-ნ მ. ხოდორკოვსკისა და სხვა მესაკუთრეებისა და კომპანიის მაღალი თანამდებობის პირების ბრალდების „პოლიტიკური“ მოტივაცია ადასტურებდა, რომ მთავრობა ამ პროცესებს აწარმოებდა იმ მიზნით, რომ გაენადგურებინა კომპანია და დაემყარებინა კონტროლი მის აქტივებზე⁵¹⁷. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მართალია მან დაადგინა მე-6 მუხლისა და პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა განმცხადებელი საწარმოს წინააღმდეგ მიმდინარე პროცესებისას განხორციელებულ მთელ რიგ გარემოებებთან მიმართებით, მაგრამ ამ დადგენილი გარემოებების გარდა ევროსასამართლომ ვერ აღმოაჩინა ისეთი სხვა გადაცდომები, რაც მას საშუალებას მისცემდა დაესკვნა, რომ ადგილი ჰქონდა მე-18 მუხლის დარღვევას სახელმწიფოს მხრიდან კომპანიის განადგურების ან მის აქტივებზე კონტროლის დამყარების მოტივით.

⁵¹⁵ *Harris D.J., O'Boyle D., Bates E.P. & Buckley C.M.*, Harris, O'Boyle and Warbrick Law of European Convention of Human Rights, Oxford University Press, 2014, 857.

⁵¹⁶ იქვე.

⁵¹⁷ *ОАО Neftyanaya Kompaniya Yukis v. Russia*, [2011], ECHR, (HUDOC), § 659, 661.

თავი 13. კონვენციის მე-7 ოქმი და კომერციული იურიდიული პირები

13.1. მე-7 ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი

ყველას ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯვინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლების განხორციელება იმ საფუძვლების ჩათვლით, რომლებზე დაყრდნობითაც ის შეიძლება განხორციელდეს, მოწესრიგებულია კანონით.

მე-7 ოქმის მე-2 მუხლი უზრუნველყოფს მსჯავრდების ან სასჯელის „გადასინჯვას“ ზემდგომის სასამართლოს მიერ⁵¹⁸. ეს მუხლი, მე-6 მუხლის მსგავსად, არ უზრუნველყოფს განაჩენის არსებითად გასაჩივრების უფლებას, თუმცა იგი განიმარტება იმდაგვარად, რომ შეეხება სისხლის სამართლის საქმეების გასაჩივრებისას არსებულ იმ უფლებებს, რომლებსაც სახელმწიფო თავისი დისკრეციის ფარგლებში განუსაზღვრავს პირებს კანონის თანახმად⁵¹⁹.

ამ უფლებით კომერციულ იურიდიულ პირთა სარგებლობის შესახებ მხოლოდ ერთი საქმე იქნა ნაწარმოები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, Siglfirdingur EHF v. Iceland, და ამ საქმეზეც მხარეები მორიგდნენ, რაც დიდწილად ალბათ განაპირობა იმ გარემოებამ რომ მე-7 ოქმის მე-2 მუხლის პირველ პუნქტის ნაწილში საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. საქმის გარემოებები კი შემდეგი იყო - განმცხადებელი კომპანია მართავდა ისლანდიურ თევზმჭერ გემებს, რომლებიც ქალაქ სიგლუფიოდურში იყვნენ რეგისტრირებულნი, მაგრამ მათ შორის იყო ერთი ტრაულერი Siglir SI-250, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ ისლანდიის ტერიტორიული წყლების გარეთ თევზჭერისათვის⁵²⁰. ამ გემის ეკიპაჟის შრომის ხელშეკრულება მოწესრიგებული იყო საგანგებო ხელშეკრულებით მათსა და განმცხადებელ საწარმოს შორის⁵²¹. ზოგადად, კომპანია ხელფასებს გასცემდა ისლანდიური თევზმჭერი გემების მესაკუთრეთა ფედერაციასა

⁵¹⁸ Harris D.J., O'Boyle D., Bates E.P. & Buckley C.M., Harris, O'Boyle and Warbrick Law of European Convention of Human Rights, Oxford University Press, 2014, 967.

⁵¹⁹ იქვე.

⁵²⁰ Siglfirdingur EHF v. Iceland, [2000], ECHR, (HUDOC), § 6.

⁵²¹ იქვე.

(FIFVO) და ისლანდიის მეზღვაურთა ფედერაციას (ISF) შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით, მაგრამ ტრაულერ Siglir-ის საქმიანობა სცდებოდა კომპანიის წევრობას გემების მესაკუთრეთა ფედერაციაში, რის გამოც ზემოხსენებულ ორგანიზაციებს შორის არსებული კოლექტიური შრომის ხელშეკრულება მოცემული შემთხვევისთვის არ იყო განკუთვნილი⁵²².

1995 წლის 3 მაისს ISF-მა აცნობა FIFVO-ს გაფიცვის დაწყების შესახებ ახალი კოლექტიური შრომის ხელშეკრულების დადების მიზნით და გაფიცვამ გასტანა დაახლოებით სამი კვირა⁵²³. გაფიცვის განმაღობაში განმცხადებელმა საწარმომ ზემოხსენებული გემი გაუშვა რეისში, მაგრამ ეკიპაჟის 4-მა წევრმა უარი განაცხადა გემთან ერთად გასვლაზე, რადგან გაფიცულები იყვნენ და ამის გამო მათთან შრომის ხელშეკრულება შეწყდა, მათ ნაცვლად კი სხვა პირები დაიქირავეს⁵²⁴. ამის გამო ისლანდიის შრომის ფედერაციამ წამოიწყო სამართლებრივი დავა განმცხადებელი საწარმოს წინააღმდეგ შრომის სასამართლოში და კომპანიას დაეკისრა შრომის კოდექსის დარღვევისთვის ბიუჯეტის სასარგებლოდ 500 000 კრონის გადახდა, ასევე ხარჯების ანაზღაურება ფედერაციისათვის 100 000 კრონის ოდენობით⁵²⁵. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ როგორც საქმის მასალებიდან ირკვეოდა არ არსებობდა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა ისლანდიის უზენაეს სასამართლოში⁵²⁶.

მართალია, მორიგების გამო ევროსასამართლომ ვერ იმსჯელა დეტალურად მე-7 ოქმის მე-2 მუხლის გამოყენების დეტალებზე ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ ამისდა მიუხედავად უკვე დადგენილი გარემოებები მეტნაკლებად ცხად სურათს გვამლევს ნორმის გამოყენების ირგვლივ საწარმოთა მიმართ - ფაქტია რომ საწარმოს დაეკისრა საჯარო სამართლებრივი სანქცია (მას თანხა დაეკისრა არა მეზღვაურების, არამედ ბიუჯეტის სასარგებლოდ), ეს სანქცია მას დაეკისრა არა რაიმე საჯარო სამართლებრივი აქტის, არამედ შრომის კოდექსის (ანუ კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი კანონის) დარღვევისათვის. ამასთან, ის გარემოება რომ საჯარო სამართლებრივი ურთიერთობებში გასაჩივრების პროცედურა არ არსებობდა, ევროსასამართლომ საკმარისად მიიჩნია მე-7 ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევის დადგენის საკითხის განხილვის მიზნით განაცხადის წარმოებაში მისაღებად, რაც უდავოდ მიუთითებს კომერციულ

⁵²² იქვე.

⁵²³ იქვე, § 7.

⁵²⁴ იქვე, § 8-9.

⁵²⁵ იქვე, § 10.

⁵²⁶ იქვე, § 11.

იურიდიულ პირთა შესაძლებლობაზე სრულად ისარგებლონ ამ მუხლით დაცული უფლებით.

13.2. მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი

დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმოწერად გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომელისთვისაც ის ერთხელ უკვე იქნა საბოლოოდ გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად.

წინა პუნქტის დებულებები ვერ დააბრკოლებს საქმის წარმოების განახლებას მოცემული სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად, თუკი არსებობს ახალი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების მტკიცებულება, ან თუ საქმის წინარე განხილვა მოხდა არსებითი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.

მოცემული მუხლის კომერციული იურიდიული პირის მიერ გამოყენებასთან დაკავშირებით პრეცედენტულ სამართალში არსებობს მხოლოდ ერთი პრეცედენტი. საქმეზე *Johannesson and others v. Iceland*, საჩივარი წარდგენილ იქნა სამი პირის ორი ფიზიკური პირის და ერთი იურიდიული პირის *Fjarfestingafelagio Gaumur*-ის მიერ⁵²⁷. მართალია ამ პირის განაცხადი ამოღებულ იქნა განსახილველ საქმეთა სიიდან, მაგრამ ეს მოხდა არა იმის გამო, რომ მისი განაცხადი დაუშვებელი იყო რომელიმე მატერიალური საფუძვლით, არამედ კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან საწარმომ პასუხი არ გასცა ევროსასამართლოს მიერ მისთვის გაგზავნილ კორესპონდენციას, მათ შორის წერილს იმის შესახებ, სურდა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი განაცხადის განხილვა⁵²⁸. რაც შეეხება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საწარმო საგადასახადო ორგანოების მიერ 2004 წელს იქნა შემოწმებული და გარკვეული დარღვევებისათვის დაეკისრა არასწორად გაანგარიშებული თანხები და მასზე დარიცხული საჯარიმო სანქციები, რაც ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების შემდეგ უცვლელად დარჩა⁵²⁹. ამის შემდეგ

⁵²⁷ *Johannesson and others v. Iceland*, [2017], ECHR, (HUDOC).

⁵²⁸ იქვე, § 4, 6.

⁵²⁹ იქვე, § 12.

დაწყებულ იქნა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე და საბოლოოდ საწარმოს გარკვეული სანქციები დაეკისრა, რომელიც მას არ გაუსაჩივრებია⁵³⁰. ორმა ფიზიკურმა პირმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება, მაგრამ ისლანდიის უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით მათ მიმართ არსებული სანქციების ნაწილი უცვლელად დარჩა⁵³¹. სწორედ ამ ფაქტობრივ მოცემულობის არსებობის პირობებში იქნა წარდგენილი განმცხადებელი საწარმოს საჩივარი, რომელიც არ იქნა დაუშვებლად მიჩნეული რაიმე არსებითი საფუძვლით, არამედ, როგორც აღინიშნა, მხოლოდ იმის გამო, რომ ვერ დადასტურდა საწარმოს სურვილი გაეგრძელებინა განაცხადის განხილვა⁵³².

ეს რასაკვირველია მიუთითებს იმაზე, რომ საქმის წარმოების გაგრძელების შემთხვევაში ევროსასამართლო შეძლებდა არსებითად განეხილა მისი საჩივარი და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი განმარტება გახდებოდა კომპანიების მიერ ამ მუხლით დაცული სიკეთეებით სარგებლობის თვალსაზრისით. თუმცა გარკვეული დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლება, კერძოდ, ცხადია ხდება ის, რომ კომერციულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ევროსასამართლოს მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და ის გარემოება, რომ ისინი იურიდიული პირები არიან თავისთავად არ წარმოადგენს განაცხადის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს.

⁵³⁰ იქვე, § 18, 19.

⁵³¹ იქვე, § 20.

⁵³² იქვე, § 29.

თავი 14. კონვენციის 41-ე მუხლი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენცია ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელისშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.

როგორც ზემოხსენებული ნორმა ადგენს, სათანადო შემთხვევაში განმცხადებლებს, მათ შორის ცხადია კომერციულ იურიდიულ პირებსაც აქვთ უფლება მოთხოვონ და მიიღონ ზიანის ანაზღაურება კონვენციის დარღვევის გამო. მაგრამ თუ მეტ ნაკლებად ცხადია ვითარება ფულადი ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით (განსახვავებული მდგომარეობაა მისი გაანგარიშებისა და მოცულობის მხრივ, მაგრამ არა არსებითად იმის შესახებ ეკუთვნით თუ არა საწარმოებს ასეთი ანაზღაურება), შედარებით რთულადაა საქმე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კუთხით. თეორიაში გამოთქმული მოსაზრებით, ხუთ პალატისა და დიდი პალატის არსებობა, რომლებიც იღებენ ხოლმე სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებებს განაპირობებდა იმას, რომ მიკუთვნებული ანაზღაურების თანამიმდევრობის საკითხი მუდმივად არსებობდა, განსაკუთრებით არა-ქონებრივი ზიანის სფეროში⁵³³. კომერციული იურიდიული პირებისთვის ქონებრივი ზიანის მიკუთვნების მხრივ ევროსასამართლოს ყოველთვის მყარი პრაქტიკა გააჩნდა, რასაც ადასტურებს მის მიერ სხვადასხვა საქმეში მიღებული გადაწყვეტილებებით მოპასუხე სახელმწიფოზე დაკისრებული თანხები და მათი მოცულობა⁵³⁴. ზოგიერთ მცირერიცხოვან შემთხვევაში და სასამართლოს წესების 75-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხი არაა მზად გადაწყვეტისათვის და სრულად ან ნაწილობრივ გადადოს ამ საკითხის განხილვა სხვა დროისათვის⁵³⁵. გადადების ასეთ ფაქტებს ადგილი

⁵³³ *Harris D.J., O'Boyle D., Bates E.P. & Buckley C.M.*, Harris, O'Boyle and Warbrick Law of European Convention of Human Rights, Oxford University Press, 2014, 155.

⁵³⁴ მაგალითად, 520 000 ევრო, საქმეზე *Bimmer S.A. v. Moldova*, [2007], ECHR, (HUDOC); 16,054,165 აშშ დოლარი, 116,273,442 დრაქმა და 614,627 ფრანკი საქმეზე *Stran Greek Refineries and Mr Stratis Andreadis v. Greece* [1994], ECHR, (HUDOC); 6,700,000 ევრო საქმეზე *Unistar Ventures GmbH. V. Moldova*, [2008], ECHR, (HUDOC).

⁵³⁵ *Harris D.J., O'Boyle D., Bates E.P. & Buckley C.M.*, Harris, O'Boyle and Warbrick Law of European Convention of Human Rights, Oxford University Press, 2014, 157.

ჰქონდათ კომერციული იურიდიული პირების შემთხვევაშიც⁵³⁶. თუმცა ფიზიკური პირების საქმეთა გადაწყვეტის დროს წამოჭრილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხის დაკმაყოფილების კვალობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარმოიშვა საწარმოთა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხიც. სწორედ ეს პრობლემატიკა დადგა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის წინაშე, როდესაც იგი იხილავდა საქმეს *Comingersoll S.A. v. Portugal*, სადაც განმცხადებელი საწარმოს მიმართ დადგინდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის იმ ნაწილის დარღვევა, რომელიც გონივრულ ვადაში საქმის განხილვას უკავშირდებოდა. უფრო კონკრეტულად კი, *Comingersoll S.A.* სარჩელით დავობდა სხვა იურიდიული პირის მიმართ, რომელმაც მას არ გადაუხადა თამასუქით მოსარჩელისათვის კუთვნილი თანხა და ამ პროცესს ჯამში 17 წელი და 5 თვე დასჭირდა, ხოლო ევროსასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის ჯერ კიდევ პორტუგალიის უზენაეს სასამართლოში იხილებოდა⁵³⁷.

განიხილა რა განმცხადებელი საწარმოს მოთხოვნა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ, დიდმა პალატამ დაასკვნა შემდეგი: „იმ სხვა გარემოებებთან ერთად, რომლებსაც სასამართლო მხედველობაში იღებს კომპენსაციის მიკუთვნებისას არის ქონებრივი ზიანი ანუ რეალურად განცდილი ზარალი როგორც სავარაუდო დარღვევის პირდაპირი შედეგი და არაქონებრივი ზიანი ანუ ანაზღაურება შფოთვისთვის, დისკომფორტისთვის და გაურკვევლობისთვის, რაც დარღვევამ გამოიწვია, ასევე სხვა არაქონებრივი დანაკლისი. გარდა ამისა, თუ ზიანის ამ თუ იმ სახეობის ზუსტად გამოანგარიშება რთულია, სასამართლომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება გლობალური შეფასების შესახებ.

30. ამ შემთხვევაში სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელ საწარმოს არ შეუძლია თავისი მოთხოვნის მოცულობა მიუთითოს ქონებრივი ზიანის სახით, იმის გათვალისწინებით, რომ სამართალწარმოება კვლავ მიმდინარეობს და მისი შედეგის შესახებ ამჟამად რაიმე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

31. ამდენად, უნდა განისაზღვროს შეუძლია თუ არა განმცხადებელ კომპანიას არაქონებრივი ზიანის მოთხოვნა.

⁵³⁶ მაგალითად, *Dacia S.R.L. v. Moldova* [2008], ECHR, (HUDOC); *Ipteh SA and Others v. Moldova* [2009], ECHR, (HUDOC); *Rosenzweig and Bonded Warehouses Ltd. v. Poland*, [2005], ECHR, (HUDOC).

⁵³⁷ *Comingersoll S.A. v. Portugal*, [2000], GC, ECHR, (HUDOC).

32. სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ *Immobiliare Saffi*-ის საქმეში სასამართლომ საქმის გარემოებათა გათვალისწინებით არ მიიჩნია აუცილებლად შეემოწმებინა კომერციულ საწარმოს შექმნა თუ არა განცხადებინა, რომ მან განიცადა არაქონებრივი ზიანი მლელვარების განცდის შედეგად.

თუმცა, სასამართლო შენიშნავს, რომ ეს განცხადება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ იურიდიული პირების განცხადება მიეკუთვნოთ კომპენსაცია არაქონებრივი ზიანისთვის ექვემდებარება საყოველთაო აკრძალვას. უნდა მიეკუთვნოს თუ არა ანაზღაურება დამოკიდებულია თითოეული საქმის გარემოებებზე. ასე მაგალითად, *Vereinigung Demokratischer Soldaten Osterreichs and Gubi v. Austria*-ს საქმეზე სასამართლომ შესაძლებლად მიიჩნია, რომ პირველ განმცხადებელს, ასოციაციას შესაძლოა განეცადა არაქონებრივი ზიანი კონვენციის მე-10 და მე-13 მუხლების დარღვევის შედეგად.

უფრო მეტიც, *Freedom and Democracy Party (OZDEP)*-ის საქმეში სასამართლომ განმცხადებელ პოლიტიკურ პარტიას არაქონებრივი ზიანისათვის კომპენსაცია მიაკუთვნა მისი წევრებისა და დამფუძნებლების იმ იმედგაცრუების გამო, რაც მათ განიცადეს კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევის შედეგად.

33. ადრე მოქმედი საკონვენციო სისტემის მიხედვით, მინისტრთა კომიტეტი მოქმედებდა რა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ წარდგენილ წინადადებებზე, ზოგიერთ შემთხვევაში კომერციულ საწარმოებს მიაკუთვნებდა კომპენსაციას არაქონებრივი ზიანისათვის იმ ზარალისთვის, რაც მათ განიცადეს სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის გამო. აღსანიშნავია, რომ თავად მთავრობასაც არასდროს გაუხდია სადავო მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება დაეკისრებინა ასეთი თანხები პორტუგალიის წინააღმდეგ მიმართულ სხვა საქმეებშიც, სადაც ასეთი გადაწყვეტილებები იყო მიღებული.

34. სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების პრაქტიკა ასეთ საქმეებზე. მიუხედავად იმისა, რომ რთულია ყველა წევრის სახელმწიფოს მიერ პრაქტიკაში ადაპტირებული ერთი რომელიმე კონკრეტული წესის იდენტიფიცირება, ზოგიერთი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იურიდიულ პირის მიერ არაქონებრივი ზიანისათვის კომპენსაციის მიკუთვნების შესაძლებლობა არაა გამორიცხული.

35. თავისი პრეცედენტული სამართლისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლო არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას,

რომ კომერციულ საწარმოს მიეკუთვნოს ფულადი კომპენსაცია არაქონებრივი ზიანისთვის.

სასამართლო იმეორებს, რომ კონვენცია ისე უნდა განიმარტოს და გამოყენებული იქნეს, რომ დაიცვას პრაქტიკული და ეფექტური უფლებები. შესაბამისად, ვინაიდან ანაზღაურების ძირითადი ფორმა, რისი მიკუთვნებაც სასამართლოს შეუძლია, არის ფულადი კომპენსაცია, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლების ეფექტურობისათვის, მიაკუთვნოს ფულადი კომპენსაცია კომერციულ საწარმოებსაც არაქონებრივი ზიანისთვის. ასეთი საწარმოების მიერ განცდილი არაქონებრივი ზიანი შეიძლება მოიცავდეს ისეთი სახის ზიანს, რომელიც ამა თუ იმ მოცულობით „ობიექტურია“ ან „სუბიექტური“. მათ შორის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომპანიის რეპუტაცია, გაურკვეველობა გადაწყვეტილებების დაგეგმვისას, საწარმოს მართვაში ხელის შეშლა (რომელის შედეგების გაანგარიშების რაიმე ზუსტი მეთოდიკა არ არსებობს) ან ბოლოს, თუმცა უფრო ნაკლები მოცულობით, ის შფოთვა და დისკომფორტი რომელიც ადგება მის მმართველ გუნდს.

36. მოცემულ საქმეში, იმ ფაქტს, რომ სამართალწარმოება გასცდა გონივრულ ვადებს უნდა გამოეწვია თავად *Comingersoll S.A.*-ისათვის, მისი დირექტორებისა და აქციონერებისათვის, სულ მცირე, მნიშვნელოვანი დისკომფორტი და ხანგრძლივი ბუნდოვანება საწარმოს ყოველდღიური საქმიანობის წარმართვისას. კერძოდ, განმცხადებელი კომპანიას წართმეული ჰქონდა შესაძლებლობა ადრეულ ეტაპზევე მოეხდინა თავისი მოთხოვნის რეალიზება - მოთხოვნისა, რომელიც ზუსტად განსაზღვრულ თანხას შეადგენდა, ვინაიდან გამომდინარეობდა თამასუქიდან - და ეს მოთხოვნა დღესაც აუნაზღაურებელია. ამასთან დაკავშირებით, ლეგიტიმური იქნება მივიჩნიოთ, რომ საწარმო იმყოფებოდა სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში, რაც ამართლებს კომპენსაციის შესახებ თანხის მიკუთვნებას“.

დოქტრინაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ასეთი მიდგომა აიხსნება მის მიერ ორი ძირითადი არგუმენტის გამოყენებით: ა) ევროპული ქვეყნების პრაქტიკის მოშველიებითა და ბ) სასამართლოს პრაგმატიზმით⁵³⁸. მაგრამ პირველი მათგანი გაკრიტიკებულია იმის გამო, რომ წევრი სახელმწიფოების კონსენსუსის

⁵³⁸ *Emberland M. Compensating Companies for Non-Pecuniary Damage: Comingersoll S.A. v. Portugal and the Ambivalent Expansion of the ECHR Scope*, 421. ხელმისაწვდომია https://www.researchgate.net/publication/274557564_Compensating_Companies_for_Non-Pecuniary_Damage_Comingersoll_sa_v_Portugal_and_the_Ambivalent_Expansion_of_the_Echr_Scope, ნანახია 02.08.2017.

არარსებობა იმის მაჩვენებელია, რომ სასამართლოს მიერ საერთო ევროპულ სტანდარტზე იურიდიული პირებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ, არ წარმოადგენდა გადამწყვეტ არგუმენტს⁵³⁹. რაც შეეხება პრაგმატიზმს, სასამართლოს გადაწყვეტილება, მიეკუთვნებინა კომპენსაცია არაქონებრივი ზიანისათვის მოტივირებული იყო სასამართლოს სურვილით შეეესო სიცარიელე, რაც გამოწვეული იყო საკმარისი ქონებრივი ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის შეუძლებლობით იმ საქმეებში, სადაც დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი⁵⁴⁰. ორ დამატებით არგუმენტებს წარმოადგენდნენ ასევე ა) პრეცედენტული სამართლის დინამიური ხასიათი, რაც გაკრიტიკებული იქნა იმის გამო, რომ სასამართლოს დაყრდნობა თავისივე პრეცედენტულ სამართალზე, როგორც კონვენციის ფარგლების გაფართოვების დასაბუთებაზე წარმოადგენდა დინამიზმის ისეთ ფორმას, რომელიც განსხვავდებოდა პრეცედენტულ სამართალში ჩვეულებრივ ასახულ დინამიზმისაგან⁵⁴¹ და ბ) ადამიანური შემადგენლის მნიშვნელობა, ვინაიდან სასამართლომ არსებითად მიიჩნია, რომ 41-ე მუხლის მისეულმა გაფართოებულმა წაკითხვამ მოიცვა, თუმცა მცირედ, მაგრამ მაინც, საწარმოს შემადგენელი ადამიანური ელემენტი⁵⁴².

ნებისმიერ შემთხვევაში, ფაქტი ერთია - ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ეს უმნიშვნელოვანესი სტანდარტი და წარმატებით გამოიყენა კიდევ სხვა, მომდევნო საქმეებში, სადაც მიიჩნია, რომ კომერციულ იურიდიულ პირების მიმართ კონვენციის დარღვევის შედეგად მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ გამოიწვევდა სამართლიან დაკმაყოფილებას. მაგალითად, საქმეზე Unistar Ventures GmbH. v. Moldova ევროსასამართლომ არაქონებრივი ზიანის სახით მოპასუხე სახელმწიფოს 3000 ევრო დააკისრა იმ საფუძვლით, რომ განმცხადებელ საწარმოს სულ მცირე უნდა განეცადა არსებითი დისკომფორტი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას⁵⁴³, ხოლო საქმეში Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy, ყველა სახის ზიანისათვის (მათ შორის არაქონებრივი ზიანისთვისაც) მოპასუხე სახელმწიფოს 10 მილიონი ევრო დაეკისრა⁵⁴⁴. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საინტერესოა, რომ საკითხი ეხებოდა მე-10 მუხლისა და პირველი ოქმის პირველი პუნქტის დარღვევის საკითხებს და არა მე-6 მუხლი პირველ პუნქტს, როგორც ამას ჰქონდა ადგილი

⁵³⁹ იქვე, 422.

⁵⁴⁰ იქვე, 424.

⁵⁴¹ იქვე 427.

⁵⁴² იქვე 429.

⁵⁴³ Unistar Ventures GmbH. V. Moldova, [2008], ECHR, (HUDOC), § 106.

⁵⁴⁴ Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy, [2012], ECHR, (HUDOC), § 220-222.

Comingersoll S.A.-ის შემთხვევაში, ხოლო *Unistar Ventures GmbH.*-ის შემთხვევაში კი დადგენილ იქნა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა, რის გამოც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით საკითხის ცალკე განხილვა მიზანშეწონილად აღარ მიიჩნია.

თავი 15. კომერციული იურიდიული პირების დაბეგვრა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

მართალია თავად კონვენციის არცერთი მუხლი არ ითვალისწინებს მის გავრცელებას საგადასახადო ურთიერთობებიდან გამომდინარე საკითხებზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დანერგილ კონვენციის განმარტების პრინციპებს ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან ეს საკითხი სასამართლოს წინაშე დადგებოდა. პირველი საქმე, სადაც ევროსასამართლომ იმსჯელა კონვენციის მიმართებაზე საგადასახადო დავებთან, იყო ფიზიკური პირის განაცხადი, რომელიც საგულისხმოა, რომ შეეხებოდა მის მიერ დაფუძნებული და წარმოდგენილი კომერციული იურიდიული პირისათვის აგროტურიზმის განსავითარებლად გადაცემული უძრავი ქონების დაბეგვრის საკითხებს, კერძოდ, საქმე Ferrazzini v. Italy, მოიცავდა სახელმწიფო მოსაკრებლის ოდენობას, იპოთეკის რეგისტრაციის მოსაკრებელსა და ქონების გადაცემის გადასახადს⁵⁴⁵. ვინაიდან სამართალწარმოება ამ საკითხებზე გაგრძელდა 12 წელზე მეტ ხანს, განმცხადებელმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „გონივრული ვადის“ დარღვევის გამო⁵⁴⁶. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ საკითხი განსახილველად გადაეცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდ პალატას, რის გამოც პრეცედენტულ სამართალში და იურიდიულ ლიტერატურაში ამ საქმეს განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. დიდი პალატის წინაშე გამოიკვეთა ერთი სრულიად კონკრეტული საკითხი, რომელზეც მას პასუხი უნდა გაეცა, კერძოდ, იყო თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი განკუთვნილი მოცემულ სახის დავის გადაწყვეტისთვის ანუ ექცეოდა თუ არა საკითხი ამ მუხლით განსაზღვრული მოწესრიგების ქვეშ. საბოლოოდ ხმათა უმრავლესობით, დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ საგადასახადო საკითხები კვლავ შეადგენდა საჯარო-სამართლებრივი პრეროგატივის არსს, სადაც დომინანტურ როლს კვლავ თამაშობდა გადასახდელის გადამხდელსა და საზოგადოებას შორის წარმომოხილი ურთიერთობის საჯარო-სამართლებრივი ხასიათი⁵⁴⁷. იმის გათვალისწინებით, რომ კონვენცია და მისი ოქმები უნდა განმარტებულიყო მათ ერთობლიობაში, სასამართლომ ასევე შენიშნა, რომ პირველი ოქმის პირველი პუნქტი, რომელის საკუთრების უფლების დაცვას შეეხებოდა, უშვებდა სახელმწიფოს მიერ ისეთი კანონების მიღებას, რომლებსაც ის საჭიროდ

⁵⁴⁵ Ferrazzini v. Itali, [2001], GC, ECHR, HUDOC, § 10-11.

⁵⁴⁶ იქვე, § 14.

⁵⁴⁷ იქვე, § 29.

თვლიდა გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად⁵⁴⁸. მართალია, სასამართლო არ ანიჭებდა ამ ფაქტორს გადაწყვეტ მნიშვნელობას, მაგრამ მხედველობაში იღებდა მას, რის გამოც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საგადასახადო დავები არ შედიოდა სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ იგი გადასახადების გადამხდელს წარმოუშობდა ფულად ვალდებულებას⁵⁴⁹. დიდი პალატის ექვსი მოსამართლის მიერ გამოხატულ განსხვავებულ აზრში ეს მსჯელობა გაკრიტიკებულია იმ მოსაზრებით, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი წარმოადგენდა პროცედურულ გარანტიას, რომელიც უზრუნველყოფდა სასამართლოსათვის მიმართვისა და დავის სამართლიანად გადაწყვეტის უფლებას გონივრულ ვადაში⁵⁵⁰. მაგრამ თუ კონვენციის მიღების დროისათვის ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში არ იყო დადგენილი თუ რა მოცულობით შეეძლო სასამართლოს გადაესინჯა საგადასახადო სფეროში მიღებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, ამჟამად ამ საკითხზე სახელმწიფოთა უმრავლესობა თანხმდებოდა, რომ სასამართლოს ჩვეულებრივი სამართალწარმოების გზით უნდა გადაეწყვიტა ეს საკითხი, რის გამოც ბუნდოვანი იყო, თუ რატომ უნდა მინიჭებოდა სახელმწიფოს საგანგებო უფლება და გადაეხვია საგადასახადო დავებისას მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ელემენტარული პროცედურული გარანტიებიდან⁵⁵¹.

დიდი პალატის ასეთ მკაფიო განმარტების მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მრავალად ჰქონდა ადგილი შემთხვევებს, როდესაც კომერციული იურიდიული პირების მიერ საგადასახადო სამართალ-ურთიერთობებიდან წარმოშობილ სხვადასხვა საკითხს, ევროსასამართლო დასაშვებად მიიჩნევდა როგორც მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, ისე სხვა მუხლებიდან გამომდინარე. ამდენად, ქვემოთ ჩვენს განვიხილავთ, თუ რომელი მუხლებით არის დასაშვები საგადასახადო სამართალ-ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები საწარმოთა მონაწილეობით პრეცედენტულ სამართალში.

15.1 პირველი ოქმის პირველი მუხლი

დაბეგვრასთან დაკავშირებით წარმოშობილ საკითხებზე, რაზეც ევროსასამართლოს ყველაზე მეტი პრეცედენტი გააჩნია ჭარბობს

⁵⁴⁸ იქვე.

⁵⁴⁹ იქვე.

⁵⁵⁰ იქვე, იხ. მოსამართლეების ლორენცენის, როზაკისის, ბონელოს, სტრაჟნიკას, ბირსანისა და ფიშბახის განსახვავებული აზრი, § 8.

⁵⁵¹ იქვე.

საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე დავები. ეს გარემოება შეიძლება ახსნას პრეცედენტულ სამართალში ფართოდ გავრცელებული მიდგომით მოთხოვნის საკუთრებად მიჩნევის შესახებ, რაც რიგ შემთხვევებში, საგადასახადო ურთიერთობებიდან საწარმოსთვის წარმოშობილ მოთხოვნებზეც ვრცელდება. მაგალითად, საქმეში *S.A. Dangeville v. France* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებელ კომპანიას ჰქონდა ნამდვილი მოთხოვნა სახელმწიფოს წინააღმდეგ როდესაც მან ორი სარჩელი წარადგინა სასამართლოში შეცდომით გადახდილი დღგ-ს თაობაზე⁵⁵². საქმეში *OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v. Russia* განმცხადებელი საწარმო ამტკიცებდა, რომ 2000-2003 წლებში ჩატარებული საგადასახადო შემოწმების შედეგად განხორციელებული ზომები და აღსრულება, ისევე როგორც *OAO Yuganskneftegaz*-ის აუქციონზე გაყიდვა იყო უკანონო, თვითნებური და არაპროპორციული, ხოლო ევროსასამართლომ ეს ბრალდებები და მიღებული ზომები პირველი ოქმის პირველი მუხლის მესამე წესით გათვალისწინებულ კონტროლის ღონისძიებების ფარგლებში განსახილველ საკითხად მიიჩნია⁵⁵³.

რაც შეეხება უშუალოდ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა გამოც განმცხადებელი საწარმო იძულებული იყო მიემართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის, ისინი გამოირჩევა ერთმანეთისაგან განსხვავებულობით და მრავალფეროვნებით.

საქმეში *S.A. Dangeville v. France* განმცხადებელ კომპანიას 1978 წელს დღგ-ს სახით დაერიცხა 291 816 ფრანკი, მაშინ როცა ევროპის თანამეგობრობის მე-6 დირექტივით ის საქმიანობა, რის გამოც დღგ-ს დაერიცხვა მოხდა უნდა გათავისუფლებულიყო დღგ-საგან, რაც საფრანგეთის მთავრობამ არ გაიზიარა და მისი ორივე სარჩელი არ დაკმაყოფილდა⁵⁵⁴. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა საფრანგეთის მთავრობის ეს ქმედება და მიუთითა, რომ როგორც ჩანდა შიდა უწყებებს ჰქონდათ ევროპის თანამეგობრობის კანონმდებლობის აღქმის სირთულე და განმცხადებელი საწარმო არ უნდა დაზარალებულიყო იმ სირთულეებით, რომლებიც უკავშირდებოდა თანამეგობრობის კანონმდებლობის იმპლემენტაციის ან სხვადასხვა ეროვნული უწყებებს შორის არსებული განსხვავებულ ხედვებს⁵⁵⁵. სახელმწიფოს მიმართ კომპანიის მოთხოვნის უარყოფამ და კომპანიის უფლების დასაცავად შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების არქონამ,

⁵⁵² *S.A. Dangeville v. France*, [2002], ECHR, (HUDOC), § 48.

⁵⁵³ *OAO Neftyanaya Kompaniya Yukis v. Russia*, [2011], ECHR, (HUDOC), § 557.

⁵⁵⁴ *S.A. Dangeville v. France*, [2002], ECHR, (HUDOC).

⁵⁵⁵ იქვე, § 57.

რათა მას ესარგებლა საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებით, დაარღვია სამართლიანი ბალანსი საზოგადოების საერთო ინტერესსა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლების დაცვის მოთხოვნას შორის, რის გამო ჩარევა არაპროპორციულად შეფასდა ხოლო პირველი ოქმის პირველი მუხლი დარღვეულად იქნა მიჩნეული⁵⁵⁶.

საქმე *Eko-Alda AVEE v. Greece*, შეეხებოდა წინსწრებით გადახდილი მოგების გადასახადის დაბრუნების საკითხს, იმის გამო, რომ ის წელი (1987 წ.) რომელზედაც წინსწრებით იქნა თანხა გადახდილი საწარმომ ზარალით დაასრულა, ხოლო სახელმწიფოს მხრიდან მოგების გადასახადის დროულად დაუბრუნებლობამ საწარმოს წარმოუშვა კიდევ ერთი მოთხოვნა - დაყოვნებულ თანხაზე პროცენტის მოთხოვნა, რაც ადგილობრივმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს⁵⁵⁷. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ გადასახადების ან შენატანების ამოღებასთან დაკავშირებით წარმოშობილმა ფინანსური ვალდებულებამ შეიძლება დაარღვიოს პირველი ოქმის პირველი მუხლი, თუ თანხის უკან დაბრუნების პირობები აკისრებს პირს გადაჭარბებულ ტვირთს ან არსებითად ერევა მის ფინანსურ უსაფრთხოებაში⁵⁵⁸. მოცემულ შემთხვევაში კი შეცდომით გადახდილი გადასახადი დაბრუნებულ იქნა 5 წლისა და 5 თვის შემდეგ, რის გამოც ადგილობრივი უწყებების უარი დაყოვნების გამო პროცენტის გადახდაზე ასეთი ხანგრძლივი პერიოდისათვის არ შეესაბამებოდა სამართლიან ბალანსს, რაც უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის⁵⁵⁹.

ასევე საინტერესო ფაქტობრივ გარემოებების მომცველია საქმე *Bulves A.D. v. Bulgaria*, რომელიც შეეხებოდა დღგ-ს გადამხდელი ორი კომპანიას შორის საქონლის მიწოდების გარიგებაზე ანგარიშსწორებისას გამყიდველის მიერ ამ გარიგების დღგ-ს მიუთითებლობას საგადასახადო დეკლარაციაში (განსხვავებით მყიდველისაგან), რის გამოც მყიდველს უარი ეთქვა დღგ-ს ჩათვლაზე, რაც უცვლელად იქნა დატოვებული ყველა ინსტანციის სასამართლოს მიერ⁵⁶⁰. ევროსასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ იმდენად რამდენადაც განმცხადებელმა საწარმომ სრულად და დროულად შეასრულა დღგ-სთან დაკავშირებული ყველა წესი, რომელიც სახელმწიფომ დაადგინა და მას არ გააჩნდა რაიმე შესაძლებლობა ეიძულებინა მომწოდებელი მასაც შეესრულებინა ეს პირობები და ამასთან, არც იყო საქმის კურსში ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, განმცხადებელ საწარმოს

⁵⁵⁶ იქვე, § 61.
⁵⁵⁷ *Eko-Alda AVEE v. Greece*, [2006], ECHR, (HUDOC), § 8-18.
⁵⁵⁸ იქვე, § 30.
⁵⁵⁹ იქვე, § 31.
⁵⁶⁰ *Bulves A.D. v. Bulgaria*, [2009], ECHR, (HUDOC), § 6-18.

გააჩნდა სამართლიანი მოლოდინი, რომ ისარგებლებდა დღგ-ს სისტემის ერთ-ერთი სარგებელით და ჩაითვლიდა გადახდილ დღგ-ს, რაც მომწოდებელს გადაუხადა⁵⁶¹. უფრო მეტიც, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩათვლის მოთხოვნა იქნა გაკეთებული და საგადასახადო უწყებებმა შეამოწმეს მომწოდებელი, ცხადი იყო იმაში დარწმუნება, რომ განმცხადებელ კომპანიას სრულად ჰქონდა შესრულებული დღგ-სთან დაკავშირებული თავისი ვალდებულებები⁵⁶². ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი კომპანიის უფლება მოეთხოვა დღგ-ს ჩათვლა, უთანაბრდებოდა სულ მცირე „ლეგიტიმურ მოლოდინს“ მიეღო საკუთრების უფლებით ეფექტური სარგებლობა, რაც წარმოადგენდა „საკუთრებას“ პირველი ოქმის პირველი მუხლის მიხედვით⁵⁶³. საბოლოოდ ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ჩარევა წარმოადგენდა განმცხადებლისათვის გადაჭარბებულ ტვირთს, რაც ზემოხსენებული საქმის მსგავსად, არ შეესაბამებოდა სამართლიან ბალანსს, რაც უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის⁵⁶⁴.

15.2. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი

მთელ რიგ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის განკუთვნილობას საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე. საქმეში *Segame S.A. v. France* განმცხადებელმა საწარმომ სადავო გახადა მასზე საგადასახადო შემოწმებით დარიცხული თანხა და ამ თანხაზე დარიცხული ჯარიმა (გადასახდელი გადასახადის 100%-ი, რომელიც მოგვიანებით 25%-მდე შემცირდა) და პროცენტი, რაც შიდა სამართლებრივი პროცედურების შედეგად არ შეცვლილა⁵⁶⁵. ამ საკითხის დასაშვებობის შემოწმებისას ევროსასამართლო დაეთანხმა მოპასუხე მთავრობის პოზიციას, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენებოდა სისხლისსამართლებრივი კუთხით, რის გამოც განაცხადი დასაშვებად იქნა მიჩნეული⁵⁶⁶. რაც შეეხება არსებით საკითხებს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „კონვენციის 6.1 მუხლის პატივისცემა გულისხმობდა შემდეგს - ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, რომლებიც თავისთავად

⁵⁶¹ იქვე, § 57.

⁵⁶² იქვე.

⁵⁶³ იქვე.

⁵⁶⁴ იქვე, § 71.

⁵⁶⁵ *Segame S.A. v. France*, [2012], ECHR, (HUDOC), § 7-25.

⁵⁶⁶ იქვე, § 42.

არ აკმაყოფილებს კონვენციის 6.1 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს უნდა დაქვემდებარებოდა სრული იურისდიქციის მქონე მართლმსაჯულების ორგანოს კონტროლს. სრული იურისდიქციის მქონე მართლმსაჯულების ორგანო ხასიათდებოდა უფლებამოსილებით გაეუქმებინა ყველა ასპექტით, როგორც ფაქტობრივი ისე სამართლებრივი კუთხით, მის ქვემოთ მდგომი ორგანოს გადაწყვეტილება. მას უნდა ჰქონოდა იურისდიქცია განიხილოს მის წინაშე წარმოდგენილი დავის ფარგლებში ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხი⁵⁶⁷. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან განმცხადებელ კომპანიას გააჩნდა ყველა საშუალება გაესაჩივრებინა სადავო საკითხები სასამართლოში, რომელსაც გააჩნდა სრული იურისდიქცია, თვითნებობის არარსებობის პირობებში ევროსასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას ადგილი არ ჰქონია⁵⁶⁸.

რამ გამოიწვია ევროსასამართლოს მხრიდან ამ საქმეზე მიღებული ასეთი შეფასება დიდი პალატის მეორე განხილული *Ferrazzini*-ის საქმეში არსებული შეფასებისაგან? ამ საკითხზე პასუხის მოიპოვება ე.წ. *Engel*-ის კრიტერიუმებში, რომლებიც მე-6 მუხლში აღნიშნული ტერმინის - „სისხლისსამართლებრივი“-ს ავტონომიურობის გათვალისწინებით ადგენენ იმ ელემენტების, რომელთა გამოც ესა თუ ის დავა შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სისხლისსამართლებრივ დავად მიიჩნიოს. დოქტრინაში ეს გარემოება კარგადაა ასახული - ფაქტია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართალით ადმინისტრაციული სანქცია შეიძლება „სისხლისსამართლებრივად“ იქნეს მიჩნეული, თუ ადგილი ექნება გარკვეული წინაპირობებს⁵⁶⁹. კერძოდ, ევროსასამართლო ეყრდნობა ე.წ. *Engel*-ის კრიტერიუმებს ანუ სასამართლოს მიერ 1976 წელს განხილულ საქმეზე *Engel v. The Netherlands* დადგენილ ალტერნატიული კრიტერიუმებს, სადაც შემდეგი სამი ასპექტი იქნა განხილული სასამართლოს მიერ რათა განესაზღვრათ შეიძლება თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევიდან გამომდინარე სანქცია მიჩნეული ყოფილიყო „სისხლისსამართლებრივად“ - 1. მოპასუხე სახელმწიფოში სამართალდარღვევის კლასიფიკაცია; 2. სამართალდარღვევის ხასიათი; 3. სახდელის სიმკაცრე⁵⁷⁰. აქედან გამომდინარე შეიძლება აიხსნას *Segame S.A.*-ის საქმეში არსებული

⁵⁶⁷ იქვე, § 55.

⁵⁶⁸ იქვე, § 56 – 60.

⁵⁶⁹ Marino, G., Limitation of Administrative Penalties by the European Convention of Human Rights and the EU Charter of Fundamental Rights, Thematic Report, EATLT 2015 Milan Congress on Surcharges and Penalties in Tax Law, 10.

⁵⁷⁰ იქვე.

მსჯელობის განსხვავებულობა *Ferrazzini*-ის საქმეში მოცემული მსჯელობისაგან.

მოგვიანებით, კომერციული იურიდიული პირების მიერ შეტანილ განაცხადების განხილვასთან დაკავშირებით ევროსასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევებიც დააფიქსირა. საქმეზე *Paykar Yev Haghtanak Ltd. v. Armenia*-ში კომპანია ასაჩივრებდა საგადასახადო შემოწმებისას დარიცხული ძირითადი თანხისა და ჯარიმის კანონიერებას და ეროვნულ სასამართლოებში განხილვისას უარი ეთქვა სახელმწიფო ბაჟის გადავადებაზე, რის გამოც მისი საკასაციო საჩივარი არ იქნა განხილული უზენაესი სასამართლოს მიერ⁵⁷¹. კანონის ის დებულება, რომელიც ეროვნულ უწყებებს უფლებას აძლევდა უარი ეთქვა სახელმწიფო ბაჟის გადავადებაზე, ევროსასამართლოს აზრით წამოჭრიდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე საკითხს და მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბაჟის მოთხოვნა არ წარმოადგენდა ამ ნორმასთან შეუსაბამობას, გასათვალისწინებელი იყო განმცხადებლის შესაძლებლობა გადაეხადა ბაჟი და საქმის წარმოების ის ეტაპი, რომელზედაც მისი გადახდა იქნა მოთხოვნილი⁵⁷², რის გამოც მე-6 მუხლის პირველი პუნქტი დარღვეულად იქნა მიჩნეული.

მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „სისხლისსამართლებრივი“ ელემენტი გადამწყვეტი აღმოჩნდა სომხეთის წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთ საქმეში დარღვევის დასაფიქსირებლად. საქმეში *Chap Ltd. v. Armenia*, განმცხადებელი საწარმო იყო სატელევიზიო კომპანია, რომელიც მაუწყებლობას ახორციელებდა ქ. გიუმრის ტერიტორიაზე, რომელსაც საგადასახადო უწყებები ედავებოდნენ საგადასახადო დარღვევებს, გადასახადებისაგან თავის არიდებას, კერძოდ, სარეკლამო დროის გაყიდვის არასწორ აღრიცხვას, რასაც ადასტურებდნენ სხვადასხვა პირის, მათ შორის კომპანიების ხელმძღვანელებისა და ბიზნესმენების წერილობით განცხადებებით, რომ მათ განათავსეს რეკლამა ტელევიზიაში და ვერ მიიღეს ასეთი მომსახურების გადახდის დამდასტურებელი დოკუმენტი⁵⁷³. ადგილობრივ ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმის განხილვისას საწარმოს წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა ზემოხსენებულ პირთა მოწმედ დაკითხვის შესახებ, რაზეც უარი ეთქვა, ხოლო თავად საწარმოს დაეკისრა როგორც გადასახადების თანხები, ისე დარიცხული ჯარიმები და საურავები⁵⁷⁴. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მსჯელობის

⁵⁷¹ *Paykar Yev Haghtanak Ltd. v. Armenia*, [2007], ECHR, (HUDOC).

⁵⁷² იქვე, § 48-49.

⁵⁷³ *Chap Ltd. v. Armenia*, [2017], ECHR, (HUDOC), § 5-11.

⁵⁷⁴ იქვე, § 20-23.

საგანი სწორედ მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის საკითხი გახდა, ვინაიდან დასაშვებობის შესახებ მსჯელობისას ევროსასამართლომ სრულად გაიზიარა მისი ადრინდელი მსჯელობა *Paykar Yev Haghtanak Ltd.*-ის საქმეზე, ხოლო არსებითად კი შენიშნა, რომ მართალია მოწმეთა ჩვენება არ წარმოადგენდა საქმეზე არსებულ ერთადერთ მტკიცებულებას, მაგრამ ადმინისტრაციულმა სასამართლომ იგი გაიზიარა და საფუძვლად დაუდო საგადასახადო ჯარიმების დარიცხვას და ამავე დროს, არ გამოიკვლია ამ კომპანიებისა და ბიზნესმენების საგადასახადო დეკლარაციები⁵⁷⁵, რის გამოც ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში.

15.3 კონვენციის მე-8 მუხლი

საგადასახადო სამართალდარღვევაზე მიმდინარე საქმის განხილვამ შეიძლება ასევე წარმოშოს კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული საკითხებიც მართალია ასეთი პრეცედენტი ბევრი არაა, მაგრამ ასეთებს მაინც ჰქონდა ადგილი.

საგადასახადო სამართალ-ურთიერთობებში მე-8 მუხლის გამოყენების საკითხს ეხება საქმე *Bernh Larsen Holding AS and others v. Norway*, სადაც სამმა კომერციულმა იურიდიულმა პირმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პირადი ცხოვრების დაცვის უფლების დარღვევის მოტივით. საქმის გარემოებები კი შემდეგში იყო - *Bernt Larsen Holding AS*-ი, რომელმაც მიიღო შეტყობინება საგადასახადო უწყებებისაგან შემოწმების ჩატარების შესახებ, იურიდიულ მისამართს ქ. ბერგენში, ასევე ელექტრონული ფოსტისა და სხვა სერვერებს, იყოფდა ორი სხვა კომპანიასთან *Kver*-თან და *Increased Oil Recovery AS*-სთან, ამასთან სერვერის მესაკუთრე იყო *Kver*-ი, და რაც ასევე საგულისხმოა, სამივე კომპანია ადმინისტრაციულ დახმარებას იღებდა სხვა საწარმოსაგან *Bergen Underwater Services AS*-სგან⁵⁷⁶. საგადასახადო უწყებებმა შემოწმების ჩასატარებლად *Bernh Larsen Holding AS*-ს მოსთხოვეს სერვერის ასლის დამზადება, რაზეც საწარმომ მათ მიაწოდა მხოლოდ თავიანთი კომპანიის პაროლი, მაგრამ უარი უთხრეს მთლიანი სერვერის ასლის გადაცემაზე, ვინაიდან შესამოწმებელი საწარმო ფლობდა მხოლოდ სერვერის გარკვეულ მოცულობას⁵⁷⁷. საბოლოოდ ხანგრძლივი

⁵⁷⁵ იქვე, § 50.

⁵⁷⁶ *Bernh Larsen Holding AS and others v. Norway*, [2013], ECHR, (HUDOC), § 5-6.

⁵⁷⁷ იქვე, § 7-8.

მოლაპარაკებისა და მუქარის შემდეგ, საგადასახადო უწყებებმა წაიღეს დაახლოებით 41 გიგაბაიტი ინფორმაცია, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი შეეხებოდა შესამოწმებელ საწარმოს და მის გარდა კიდევ სამი სხვა კომპანიის მონაცემებს მოიცავდა, მათ შორის ინფორმაციას ამ საწარმოთა მუშაკების ვინაობისა და მათი ელექტრონული ფოსტის შესახებ⁵⁷⁸. საგადასახადო უწყებებში ამასთან დაკავშირებით Kver-ისა და Increased Oil Recovery AS-ის მიერ წარმოებულმა დავამ შედეგი ვერ მოიტანა, ისევე როგორც სამივე ინსტანციის სასამართლოში დავამ, რომლებმაც არ მიიჩნიეს დარღვევად სხვა საწარმოს მონაცემების დამუშავება, რადგან ეს უტოლდებოდა სხვადასხვა წერილობითი დოკუმენტის შემცველი ე.წ. შერეული არქივის დამუშავებას⁵⁷⁹.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა რა სადავო საკითხი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებელ საწარმოებს ჰქონდათ ლეგიტიმური ინტერესი დაეცვათ მათთან მომუშავე პირების პირადი ცხოვრება და ეს ინტერესი ევროსასამართლოს მიერ მხედველობაში იქნებოდა მიღებული იმის შეფასებისას დაცული იყო თუ არა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის პირობების მოცემულ შემთხვევაში⁵⁸⁰. იმ დროს როცა რამდენიმე ბიზნეს სუბიექტი იყოფდა არქივს და მისი შესაბამისი ნაწილები ცხადად იყო გამიჯნული, მისაწვდომობა უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ საგადასახადო შემოწმების სუბიექტის არეალით, და აქ ევროსასამართლომ გაიზიარა ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს მოსაზრება მასზედ, რომ ვინაიდან არქივი არ იყო ცხადად გამიჯნული, იგი წარმოადგენდა ე.წ. შერეულ არქივს⁵⁸¹. ამდენად, გონივრულად განჭვრეტადი იყო, რომ საგადასახადო უწყებები არ დაეყრნობოდნენ მარტოდენ საგადასახადო შემოწმების სუბიექტის მითითებას, რომ მისი მასალები ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილზე მდებარეობდა, არამედ მათ უნდა ჰქონოდათ მისაწვდომობა სერვერის ყველა მონაცემზე, რათა შეეფასებინათ განსახილველი საკითხი⁵⁸². ამასთან, საგადასახადო უწყებამ საკითხი განიხილა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ 2008 წელს და ამ დროს გახსნა დალუქული სერვერი, ხოლო მისი შესწავლის შემდეგ საგადასახადო ორგანოს უნდა გაენადგურებინა მონაცემები და მათი კვალი თავიანთი კომპიუტერებიდან და არ იყო რაიმე მიზეზი, რის გამოც ამ მოქმედების განხორციელებაში ექვის შეტანის საფუძველი გაჩნდებოდა, ამდენად მთლიანი სერვერის ასლის გაკეთება, მიუხედავად ამ ღონისძიებისთვის

⁵⁷⁸ იქვე, § 14, 16.

⁵⁷⁹ იქვე, § 18-60.

⁵⁸⁰ იქვე, § 107.

⁵⁸¹ იქვე, § 132.

⁵⁸² იქვე.

წინასწარი სასამართლო თანხმობის არქონისა, მიჩნეულ იქნა „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში, ვინაიდან საგადასახადო უწყებებმა დაიცვეს სამართლიანი ბალანსი პირადი ცხოვრებისა ინტერესსა და საზოგადოებრივ ინტერესს შორის“⁵⁸³.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად საგადასახადო სამართალ-ურთიერთობებიდან გამომდინარე პრობლემატიკა არ ხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იურისდიქციაში, ზოგიერთ შემთხვევაში დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე კომერციული იურიდიული პირების მიმართ შეიძლება წამოიჭრას მე-6 მუხლის, მე-8 მუხლისა პირველი ოქმის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკითხები.

თავი 16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი (დროებითი ღონისძიებები) და კომერციული იურიდიული პირები

ევროსასამართლოს პალატას ან პალატის თავმჯდომარეს ან მორიგე მოსამართლეს მხარის ან ნებისმიერ სხვა სათანადო პირის მოთხოვნით ან თავის ინიციატივით შეუძლია დააწესოს ისეთი დროებითი ღონისძიება, რაც მას საჭიროდ მიაჩნია მხარეთა ინტერესებისათვის ან საქმის ჯეროვანი წარმოების ინტერესებისათვის.

ზოგადად დროებითი ღონისძიებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება და ძირითადად მისი სუბიექტები ფიზიკური პირები არიან. ამ ნორმის გამოყენების უმთავრესი შემთხვევებია ექსტრადიცია ან სხვა ისეთი გარემოება, რაც პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არსებით საფრთხეს უქმნის. ასეთი პრაქტიკა თითქოს გამორიცხავს ამ წესის გამოყენებას საწარმოთა მიმართ, მაგრამ 2017 წელს ადგილი ჰქონდა ისეთ ვითარებას, როდესაც ევროსასამართლომ აუცილებლად ჩათვალა რეგლამენტის 39-ე მუხლის გამოყენება კომერციული იურიდიული პირის მიმართ.

საქმე ეხებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებას, რომლითაც შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის წილების მესაკუთრედ ნაცვლად რამდენიმე ფიზიკური და

⁵⁸³ იქვე, § 169, 171, 172, 174.

ერთი კომერციული იურიდიული პირისა, ცნობილ იქნა ერთი ფიზიკური და ერთი კომერციული იურიდიული პირი⁵⁸⁴.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს მორიგე მოსამართლემ მეორე დღესვე, 2019 წლის 3 მარტს განიხილა როგორც თავად შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის, ისე მისი დამფუძნებლების განაცხადი დროებითი ღონისძიებების მიღებაზე და მოპასუხე სახელმწიფოს მოუწოდა „მხარეთა და პროცესის სათანადოდ წარმართვის ინტერესებიდან გამომდინარე, შეჩერდეს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების აღსრულება და ხელისუფლების უწყებებმა თავი შეიკავონ განმცხადებელი კომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში რაიმე ფორმით ჩარევისაგან⁵⁸⁵“. ეს დროებითი ღონისძიება გაგრძელდა 8 მარტამდე, ხოლო 7 მარტს ევროსასამართლომ უკვე პალატის სახით ერთხმად დაუჭირა მხარი ამ დროებითი ღონისძიების გაგრძელებას ამავე სასამართლოს მხრიდან მხარეებისათვის დამატებითი შეტყობინების მიწოდებამდე⁵⁸⁶.

მიუხედავად იმისა, რომ განაცხადის ეს ნაწილი ევროსასამართლომ დაუმჯობესებლად მიიჩნია და საბოლოო დროებითი ღონისძიებაც გააუქმა⁵⁸⁷, უკვე ცხადია რომ შეიქმნა პრეცედენტი სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის კომერციული იურიდიული პირების მიმართ გამოყენების შესახებ. ბუნებრივია, ამ ნორმის გამოყენება გამოწვეული უნდა იყოს ევროსასამართლოს განსაკუთრებული დამოკიდებულებით ტელევიზიისა და ზოგადად გამოხატვის თავისუფლების მიმართ, მაგრამ ფაქტია, რომ სათანადო ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას საწარმოთა უფლებები კიდევ უფრო მეტად იქნება გარანტირებული ამ ნორმის გამოყენების საფუძვლების ჩაყრით.

⁵⁸⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-664-635-2016, მისამართზე <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>, ნანახია 26.05.2019.

⁵⁸⁵ Rustavi 2 Broadcasting Company Ltd. and others against Georgia, Statement of Facts, [lodged on 3 March 2017], ECHR, (HUDOC), § 124.

⁵⁸⁶ იქვე, § 125.

⁵⁸⁷ Rustavi 2 Broadcasting Company Ltd. and others v. Georgia, ECHR, (HUDOC), § 2, Operative Part of the Judgment.

თავი 17. ქართული კომერციული იურიდიული პირები და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

კვლევის სრულყოფილებისათვის აუცილებელია ასევე შესწავლილი იქნეს საკითხი ქართული კომერციული იურიდიული პირების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართვის შესახებ - კონვენციის რომელ ძირითად მუხლებზე ახდენენ აპელირებას ქართული საწარმოების ევროსასამართლოში და როგორია ევროსასამართლოს დამოკიდებულება მათი განაცხადების მიმართ.

2019 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მიმართ არსებითად განხილული იყო სულ 81 საქმე, საიდანაც კომერციული იურიდიული პირების მიერ წარდგენილი იყო მხოლოდ 3 განაცხადი, რაც შეადგენს საქმეთა 3,7%-ს. საქმეთა ასეთი სიმწირის გამო, ჩვენ ასევე შევეხებით საქართველოში რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირების იმ განცხადებსაც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო დაუშვებლად იქნა ცნობილი, რათა დავინახოთ ქართული საწარმოების წინაშე მდგარი პრობლემატიკის ტენდენციები.

საქართველოში რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირების პირველი საჩივრები, რომლებიც არსებითად განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იყო ერთსა და იმავე დღეს განხილული ორი განაცხადი “Amat G” Ltd. and Mebaghishvili v. Georgia და Iza Ltd. and Makhrakhidze v. Georgia და ორივე მათგანში დადგინდა როგორც კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევა. შპს „ამატ ჯი“-იმ ხელშეკრულება გააფორმა თავდაცვის სამინისტროსთან თევზის პროდუქტით მომარაგების შესახებ, რომლის საფასურის ნაწილიც თავდაცვის სამინისტროს მისთვის არ გადაუხდია და მიუხედავად სასამართლოს მიერ თავდაცვის სამინისტროსთვის 2 541,88 ლარის დაკისრებისა და სააღსრულებო სამსახურის მცდელობისა, თანხა ვერ იქნა ამოღებული. შპს „იზამ“ კი ხელშეკრულება გააფორმა განათლების სამინისტროსთან საჯარო სკოლის რემონტის შესახებ, საიდანაც საბოლოოდ მისაღები თანხა იყო 11 628 ლარი, რომელიც მრავალი მცდელობის მიუხედავად ვერ იქნა მიღებული.

ორივე საქმესთან დაკავშირებით ევროსასამართლომ დაადგინა როგორც მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, ისე მე-13 მუხლისა და პირველი ოქმის პირველი პუნქტის დარღვევა, იმ მოტივით, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება შესაძლებელი იყო განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგრამ მთავრობის განკარგულება, რომლითაც სახელმწიფო სტრუქტურების დავალიანებების

გადახდა გადაიდო ასეთ განსაკუთრებულ გარემოებას არ წარმოადგენდა და განმცხადებელი საწარმოს ხელი არ უნდა შეშლოდა ესარგებლა მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით მიუხედავად სახელმწიფოს ფინანსური სიძნელეებისა⁵⁸⁸. რაც შეეხება მე-13 მუხლს, ვინაიდან არ არსებობდა ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი საშუალება იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რაც განმცხადებლებს მიადგათ სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო, ევროსასამართლომ მიიჩნია დარღვეულად მე-13 მუხლი. მაგრამ მხოლოდ ამით ამ შემოფარგლულა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. მან ასევე განმარტა, რომ მთავრობის განკარგულება სახელმწიფო სტრუქტურებისათვის გადაედო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება წარმოადგენდა ჩარევას კომპანიის უფლებაში მშვიდობიანად ესარგებლა საკუთრების უფლებით, ხოლო ეს განკარგულება კი არ აკმაყოფილებდა სიზუსტისა და წანასწარგანჭვრეტილობის მოთხოვნებს, რომლებსაც კონვენციის თანახმად კანონის ცნება მოიცავდა⁵⁸⁹.

ამ საქმეებთან დაკავშირებით ასევე საგულისხმოა ის, რომ ორივე შემთხვევაში საწარმოებთან ერთად თანაგანმცხადებლები იყვნენ ასევე ამავე კომპანიის დირექტორები, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მათი საჩივრები დაუშვებლად მიიჩნია, იმ მოტივით, რომ განაცხადში არ იყო აღნიშნული მათი როგორც კომპანიების დირექტორების უფლებების დარღვევის შესახებ, არამედ მოიცავდა საწარმოს მიმართ გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, რაც მათ კონვენციის დარღვევის მსხვერპლად ვერ აქცევდა⁵⁹⁰.

შემდეგი საქმე, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირის განაცხადის შედეგად იქნა განხილული იყო *FC Mretebi v. Georgia*. ამ კაზუსს საინტერესოდ ხდის ის გარემოება, რომ განაცხადის შეტანის დროისათვის საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ წარმოადგენდა გერმანიაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „BAUML GmbH“-ის ფილიალს⁵⁹¹ და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მისი საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფილიალს უფლება აქვს თავისი სახელით, ძირითადი საწარმოს გარეშე წარადგინოს საჩივარი ევროსასამართლოში, რაც მაგალითად, საქართველოს დღევანდელი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, შეუძლებელია.

⁵⁸⁸ „Amat G” Ltd. and Mebaghishvili v. Georgia, [27.09.2005], ECHR,HUDOC, § 48.

„Iza Ltd“. and Makrakhidze v. Georgia, [27.09.2005], ECHR,HUDOC, § 43.

⁵⁸⁹ Amat G” Ltd. and Mebaghishvili v. Georgia, [27.09.2005], ECHR,HUDOC, § 61-62.

⁵⁹⁰ იქვე, § 33.

⁵⁹¹ FC Mretebi v. Georgia, [31.07.2007], ECHR,HUDOC, § 5.

რაც შეეხება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, განმცხადებელი სადავოდ ხდიდა იმ ფაქტს, რომ მის სამოქალაქო დავაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ზიანის ანაზღაურების შესახებ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარზე ხარვეზის სახით დაუდგინა სახელმწიფო ბაჟის ქვითრის (5000 ლარი) წარმოდგენა, რაც განმცხადებელმა მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ შეძლო, რის გამოც საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. ევროსასამართლომ განიხილა რა მოცემული საკითხი, მიიჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი ეთქვა განმცხადებლის შუამდგომლობაზე გადაედო ან გაენაწილვადებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, შეადგენდა სასამართლოს მისაწვდომობაზე განმცხადებლის უფლების უსაფუძვლო შეზღუდვას⁵⁹². საინტერესოა, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 4 ხმით 3 ხმის წინააღმდეგ და განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა განმცხადებელი კომპანიის გადახდისუუნარობას, შედგენილი იყო მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა⁵⁹³. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს კაზუსი უაღრესად საინტერესო პრეცედენტს ქმნის კომერციული იურიდიული პირების მიმართ სახელმწიფო ბაჟის გადახდის წინაპირობის განმარტებისა და ფილიალების განაცხადის დასაშვებობის კუთხით.

საქართველოში რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირების სხვა საჩივრები 2019 წლის 1 იანვრამდე არსებითად არ ყოფილა განხილული, მაგრამ ევროსასამართლოს საძიებო სისტემაში გვხვდება განჩინებები მათი განაცხადების დასაშვებობის ან მათი განაცხადების მთავრობასთან კომუნიკაციის შესახებ, რაც ხელს უწყობს საწარმოთა მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვიანობის ამაღლებას. მაგალითად, 2017 წლის 7 ნოემბერს დაუშვებლად იქნა მიჩნეული შპს „კავკასიონის“ საჩივარი, რომელიც ამტკიცებდა მის მიმართ პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას იმ მოტივით, რომ თბილისის თვითმმართველობის ორგანოების მიერ მას ჩამოერთვა მიწის ნაკვეთი, თუმცა თავის შესაგებელში სახელწმიფომ მიუთითა, რომ კომპენსაციის სახით სასამართლომ სახელმწიფოს 14 820 ლარი დააკისრა, რის შესახებაც განმცხადებელ საწარმოს ევროსასამართლოსთვის არ უცნობებია, რაც საწარმოს მხრიდან ინდივიდუალური განაცხადის უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვა⁵⁹⁴.

⁵⁹² იქვე, § 46.

⁵⁹³ იქვე, მოსამართლეების ტურმენის, მულარონისა და პოპოვიჩის განსახვავებული აზრი.

⁵⁹⁴ Kavkasioni LTD. Against Georgia, [2017], ECHR, (HUDOC).

შპს „კერამოსი“ ევროსასამართლოში ამტკიცებდა, რომ გადახდის ბრძანებაზე უარი მხოლოდ იმის გამო, რომ მოპასუხემ შესაგებელში განმარტა, რომ საბუთი ყალბი იყო, არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მის უფლებებს⁵⁹⁵. იმის გამო, რომ მთავრობის შესაგებელზე განმცხადებლის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ვადაში პასუხის გაცემა, მიუხედავად იმისა, რომ ევროსასამართლომ მათ ორჯერ გაუგზავნა წერილი, განაცხადი ამორიცხული იქნა განსახილველ საქმეთა სიიდან⁵⁹⁶.

შპს „ვაზიანი“ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ამტკიცებდა მე-6 და მე-13 მუხლების დარღვევას კანონიერ ძალაში შესული და სახელმწიფო უწყების წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო, რაც მთავრობამ დასაბუთებულად მიიჩნია და იკისრა ვალდებულება დავალიანების თანხები ნებაყოფილობით აღესრულებინა, რის გამოც განაცხადი ამორიცხულ იქნა განსახილველ საქმეთა რიცხვიდან მხარეთა მორიგების გამო⁵⁹⁷.

⁵⁹⁵ Keramos LLC against Georgia, Statement of Facts, [lodged on 22 August 2006], ECHR, (HUDOC).

⁵⁹⁶ Keramos LLC against Georgia, [2015], ECHR, (HUDOC).

⁵⁹⁷ JSC Vaziani against Georgia, [2016], ECHR, (HUDOC).

დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულ მრავალმხრივ რეგიონალურ საერთაშორისო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. ამასთან, იგი ერთადერთი ასეთი დოკუმენტია, რომლის გამოყენებაც კომერციულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ. ეს განპირობებულია როგორც თავად კონვენციის ტექსტით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მრავალი გადაწყვეტილებით და თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროსასამართლოს მიერ კონვენციის ნორმის განმარტება ყველაზე უფრო ავტორიტეტულ განმარტებას წარმოადგენს⁵⁹⁸, ცხადი გახდება, რომ პრეცედენტული სამართლის შესწავლა წარმოადგენს კომერციული იურიდიული პირების უფლებების დაცვის კვლევის ძირითად ელემენტს.

სწორედ ამ კუთხით, მოცემულ ნაშრომში განვიხილეთ რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კომერციული იურიდიული პირების განაცხადების საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლის ძირითადი ასპექტები, შევაფასეთ მათი მნიშვნელობა და თავისებურებები როგორც დასაშვებობის, ისე არსებითი განხილვის ეტაპებისათვის. დისერტაციის ერთ-ერთი ძირითად მიზანს წარმოადგენდა ჩვენება იმისა, თუ როგორ მუშაობს პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია კომერციული იურიდიული პირების მიმართ, რის გამოც მიმოვიხილეთ ყველა იმ მუხლთან დაკავშირებული ძირითადი პრეცედენტი ან პრეცედენტები, რომელიც ზოგადად, თავისი არსით განკუთვნილია საწარმოთა მიმართ ან პრეცედენტული სამართლით დამკვიდრდა მათი გამოყენების შესაძლებლობა კომპანიების საჩივრებზე.

ასეთ მიმოხილვაში ძალზედ დაგვეხმარა სოციალური მეცნიერებების კვლევის ისეთი მეთოდი, როგორცაა კონტენტ-ანალიზი. სწორედ ამ მეთოდის მეშვეობით მოხდა კომერციულ იურიდიულ პირთა მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების შერჩევა და მათი დამუშავება ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით, აგრეთვე მათი თავისებურებებისა და მსგავსებების წარმოჩენა. ამასთან, შევეცადეთ ეს განგვეხორციელებინა იმ პრეცედენტების მეშვეობით, რომლებიც ბოლო წლებშია მიღებული და არაა ფართოდ გავრცელებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელოებსა თუ მიმოხილვებში. თუმცა ცხადია, რომ სათანადო შემთხვევებში ჩვენ ვერ ავცდებოდით ევროსასამართლოს ადრინდელ, კლასიკურ პრეცედენტებს.

⁵⁹⁸ *Drzemczewski, A.Z.* European Human Rights Convention in Domestic Law. A Comparative Study, Claredon Press, Oxford 1983, 268.

ასეთმა დაბალანსებულმა მიდგომამ საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა ევროსასამართლოს დამოკიდებულება ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიცაა განაცხადის დასაშვებობა საწარმოთა შერწყმისას, სამართლიანი დაკმაყოფილების სუბიექტები საწარმოს ლიკვიდაციის (რეესტრიდან ამოშლის) შემთხვევაში, კომერციული იურიდიული პირის დისკრიმინაცია და ა.შ.

კომერციული იურიდიული პირების უფლებების დაცვის შესწავლა ასევე დიდ დახმარებას გაგვიწევს პრეცედენტული სამართლის ზოგადი თავისებურებების გამოყოფაში. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს საწარმოთა უფლებების მკვლევარის მარიუს ემბრელანდის მოსაზრება მასზედ, რომ ევროსასამართლოს პრინციპების, მექანიზმებისა და ფასეულობების სტრუქტურული განხილვა, რომელიც განსაზღვრავს ევროსასამართლოს სამართალსა და დავების გადაწყვეტას, იძლევა ამ სახის საჩივრების მიმართ სასამართლოს მიდგომის უფრო ფართო და დოქტრინულად უფრო თანამიმდევრული აღქმის საშუალებას, მიდგომისა, რომელიც ხშირად არაბუნდოვანი სახით მხოლოდ თავად გადაწყვეტილებებიდან ირკვევა⁵⁹⁹. ამ ფაქტორების წარმოჩენა სცდება კორპორატიულ კონტექსტს, თუმცა ასეთი სიტუაციები მათ წინა პლანზე აყენებს⁶⁰⁰. მათი შესწავლა სასამართლოს მიერ კომპანიათა განაცხადებზე პასუხის გაცემის თვალსაზრისით, რაც პოტენციურად ევროსასამართლოს სამართალწარმოების მარგინალურ ფორმას წარმოადგენს, შესაძლებლობას მოგვცემს მეტი სიცხადე შევითანოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის იმ თავისებურებებში, რომელიც ზოგჯერ გამორჩენილია ხოლმე ევროსასამართლოს ანალიზიდან⁶⁰¹.

ამასთან, როგორც ნაშრომიდან გამომდინარეობს, კომერციული იურიდიული პირები თითქმის ყველა იმ უფლებით სარგებლობენ, რაც მათთვის შესაძლოა ლოგიკურად თუ შინაარსობივად იყოს განკუთვნილი და რაც მათი სამეწარმეო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას უწყობს ხელს. ასეთი სარგებლობის ძირითად საფუძველს ცხადია კონვენციის პირველი და 34-ე მუხლები წარმოადგენენ, თუმცა ამ პროცედურულ ნორმებთან ერთად კონვენციის სხვა არსებითი მუხლებიც აქტიურად გამოიყენებიან კომერციული იურიდიული პირების მიერ.

კერძოდ, მე-6 მუხლით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან კომერციული იურიდიული პირები

⁵⁹⁹ *Emberland, M.*, *The Human Rights of Companies; Exploring the Structure of ECHR Protection*, Oxford University Press, 2006, 5.

⁶⁰⁰ იქვე.

⁶⁰¹ იქვე.

სარგებლობენ შეჯიბრებითობის, დამოუკიდებელი და მიუკერძოვებელი სასამართლოს უფლებით, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც დაშვებულია იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, ასევე იურიდიული პირს უდანაშაულობის პრეზუმპციის უფლებით. კონვენციის მე-7 მუხლი აქტიურად გამოიყენება მაშინ, როდესაც კანონი არის ბუნდოვანი და არ იძლევა ქმედების განჭვრეტის შესაძლებლობას. კონვენციის მე-8 მუხლის გამოყენება კომერციული იურიდიული პირების მიმართ განპირობებულია საწარმოთა ოფისის მიჩნევით კონვენციით განსაზღვრული „საცხოვრებლად“. კონვენციის მე-10 მუხლი პირდაპირ მიუთითებს მის გამოყენებაზე კომერციული იურიდიული პირების მიმართ, ხოლო განხილული პრეცედენტები მეტყველებენ ისეთი ურთიერთობების მიმართ ნორმის გამოყენებაზე, როგორცაა კომერციული გამოხატვა, ჟურნალისტური წყაროების დაცვა, გამოხატვის თავისუფლება (მათ შორის ინტერნეტით) და ცილისწამება. კომერციული იურიდიული პირების მიმართ მე-13 მუხლი შეიძლება დაირღვეს როგორც დამოუკიდებელად, ისე კონვენციის სხვა რომელიმე ნორმასთან მიმართებით, ხოლო მე-14 მუხლის დარღვევის ერთადერთი შემთხვევა უკავშირდებოდა საკუთრების უფლების დარღვევას. საკუთრების უფლების დარღვევად, თავის მხრივ მიიჩნევა, არაპროპორციული ჩარევა საკუთრებით (რომელიც სხვებთან ერთად ასევე მოიცავს ლეგიტიმური მოლოდინს) სარგებლობაში, ასევე ინვესტიციების დაუცველობა, ხოლო ასეთი დარღვევები საწარმოს ხელმძღვანელობასთან ერთად აქციონერებსაც აძლევთ უფლებას განსაზღვრულ შემთხვევებში საწარმოს სახელით თავად მიმართონ ევროსასამართლოს. კონვენციის მე-17 მუხლის საკითხი შეიძლება დაისვას, თუ საწარმო კონვენციით მინიჭებული უფლებით სარგებლობს ამავე ან სხვა უფლების მიზნების საწინააღმდეგოდ, ხოლო მე-18 მუხლის საკითხი პრაქტიკაში დადგა სახელმწიფოს მხრიდან საწარმოს ლიკვიდაციის დროს, რა დროსაც საწარმო უთითებდა, რომ სახელმწიფო საგადასახადო შემოწმებას იყენებდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ საწარმოს ლიკვიდაცია განეხორციელებინა.

მართალია დაბეგვრის საკითხები პირდაპირ არ შედის კონვენციის იურისდიქციაში, მაგრამ საწარმოთა დაბეგვრამ შეიძლება წარმოშვას საკუთრების უფლების, სამართლიანი სასამართლოს ან საწარმოს ოფისის ხელშეუხებლობის საკითხები. პრეცედენტულ სამართალში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც დაფიქსირდა მე-7 ოქმის მე-2 და მე-4 მუხლები გამოყენების შესაძლებლობა კომპანიების მიმართ, მათ შორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და ერთი და იგივე ქმედებაზე ხელმეორედ დასჯის დაუშვებლობა. საგულისხმოა ისიც, რომ პრეცედენტულმა სამართალმა განსაზღვრა საწარმოთა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა და პირობები. სულ რაღაც ორიოდ

წლის წინ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კომერციული იურიდიული პირის მიმართ (მისი და მისი დამფუძნებლების განცხადების გამო) დროებითი ღონისძიება გამოიყენა და სახელმწიფოს აუკრძალა განმცხადებელი კომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში რაიმე ფორმით ჩარევა.

ვინაიდან კონვენცია ცოცხალი ორგანიზმია, ხოლო მისი ნორმები კი დინამიურად უნდა განიმარტოს, მოსალოდნელია, რომ ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი კიდევ უფრო გამდიდრდება ახალი, საწარმოთა უფლებების დაცვისადმი მიძღვნილი კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი კაზუსებით. მკვლევართა მოვალეობა კი ისაა, რომ მუდმივად თვალი მიადევნონ მზარდ კაზუსებს და სათანადო ანალიზის მეშვეობით მიიტანონ ისინი მკითხველამდე.

მიუხედავად იმისა, რომ კომერციული იურიდიული პირების მიერ კონვენციის ზოგიერთი ნორმის გამოყენების თაობაზე არსებული პრეცედენტული სამართალი მეტად მწირია (მაგალითად, მე-7 ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით მხოლოდ ერთ კაზუსით შემოიფარგლება), კონვენცია მაინც რჩება იმ ყველაზე ეფექტურ საერთაშორისო-სამართლებრივ მექანიზმად, რომელიც გამოყენებაც საწარმოებს შეუძლიათ თუკი ისინი შიდა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში სამართალს ვერ მიაღწევენ. აქედან გამომდინარე, პრაქტიკოსი იურისტისათვის, მით უფრო კორპორატიული იურისტისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია კონვენციის გამოყენების პრინციპებისა და ძირითადი პრეცედენტების ცოდნა საწარმოთა, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკის ძლიერების ფუნდამენტთა, უფლებების დასაცავად.

ბიბლიოგრაფია

მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950 წ.
- ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 1969 წ.
- საერთაშორისო პაქტი პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა შესახებ, 1966 წ.
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 1966;
- ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 1969;
- ადამიანის უფლებათა და ხალხთა უფლებების აფრიკული წესდება, 1981;
- ნიუ იორკის კონვენცია საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ, 1956.
- ენერგეტიკული ქარტია, 1994.
- ჩრდილო ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, 1994.

სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა

- აშშ-ს კონსტიტუციის შესწორება - უფლებათა ბილი, 1791.
- საქართველოსა და შვედეთის სამეფოს შორის დადებული ხელშეკრულება ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ.
- საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“

საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცემები

- „პრაქტიკული სახელმძღვანელო დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ“, ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა სასამართლო, 2011 წ.; http://echr.coe.int/Documents/Admissibility_guide_KAT.pdf, ნანახი იქნა 20.01.2018;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

ა) განჩინებები დასაშვებობის შესახებ

- Agrotexom Hellas S.A. and others v. Greece, Decision on Admissibility, [1992].

- Ankarcona against Sweden, Decision on Admissibility, [2000].
- Bertalan Zoltan Mezogazdesagi KFT and others against Hungary and Szabolcs Mezogazdasagi KFT against Hungary, [2014].
- Denimark Ltd. and 11 Others against the UK, [2000].
- Firma EDV Fur Sie, EFS Elektronische Datenverarbeitung Dienstleistungs Gmbh against Germany, [2014].
- Fin.Co.Ge. Ro SpA against Romania, [2016].
- GH Immobilienmakler Gmbh against Austria, [2017].
- Global Car Trade GMBH against Croatia, [2017].
- Ilverton Investments B.V. and others against Latvia. [2014].
- Intertrans, ZAT against Ukraine, [2014].
- Jakob's Center D.O.O. against Slovenia, [2014].
- Kameks Trans LTD against the former Yugoslav Republic of Macedonia, [2014].
- Kavkasioni LTD. Against Georgia, [2017].
- Klaas-2006 OOD against Bulgaria, No. 50583/13, [2017].
- Klimat Inkom v & Co ODD against Bulgaria, [2017], ECHR, (HUDOC).
- Lenz Vermogensver Waltungsgesellschaft GBR against Germany, [2014].
- Le Bridge Corporation Ltd. S.R.L. against the Republic of Moldova, [2018].
- OAO Neftyanaya Kompaniya Yukis against Russia, Decision on Admissibility, [2009].
- Otto Wolff Handelsgesellschaft MBH against Romania, [2017].
- Pivdenbudtrans, Pat against Ukraine, [2014].
- Roj TV A/S against Denmark, [2018].
- Ronly Holdings LTD against Georgia, [2017].
- Sultanishvili against Georgia, Decision on Admissibility, [2010].
- S.C. Black Sea Caviar S.R.L. against Romania, No. [2016].
- Spalldi d.o.o. against Croatia, [2017].
- S.C. Plantorama S.R.L. against Romania, [2014].
- VEB NCNB and others against the Netherlands, [2014].
- Verlagsgruppe Handelsblatt Gmbh & Co, KG against Germany, [2016].
- Willem Zegwaard and Zegwaard B.V. against the Netherlands, [1997].
- Zakarpatturyst, PAT against Ukraine (and 4 other applications), [2017].
- Zahe-Consult KFT against Hungary, [2018].
- Zamet-Budowa Maszyn Spolka Acyjna against Poland, [2015].

ბ) განხილვები საქმისა და მასალების მთავრობასთან კომუნიკაციის შესახებ

- Rustavi 2 Broadcasting Company Ltd. and others against Georgia, Statement of Facts, [lodged on 3 March 2017].

ბ) გადაწყვეტილებები არსებითად განხილულ საქმეებზე

- AB Kart Leetterman v. Sweden, [2005].
- AGOSI v. UK, [1986].
- Agrotexom and others v. Greece, Judgment, [1995].
- Air Canada v. the United Kingdom, [1995].
- Al-Dulimi and Montana Management Inc. V. Switzerland, [1993].
- Amat-G and Mabaghishvili v. Georgia, [2005].
- Anheuser-Busch Inc. v. Portugal [2007].
- Autronic AG v. Switzerland, [1990].
- Axel Springer SE and RTL Television GmbH v. Germany, [2017].
- Azienda Agricola Silverfunghi S.a.s. and Others v. Italy, [2014].
- Belany Nagy v. Hungary, GC, [2016].
- Berth Larsen Holding AS and Others v. Norway [2013].
- Bimmer S.A. v. Moldova, [2007].
- Boyadzhieva and Gloria International Limited Food v. Bulgaria, [2018].
- British-American Tobacco Company, [1995], ECHR, (HUDOC), § 86
- Bulves AD v. Bulgaria, [2009], ECHR, (HUDOC).
- Capital Bank v. Bulgaria, [2005].
- Centro Europa 7 S.R.L. and Di Stefano v. Italy, [2012].
- Chap Ltd. v Armenia, [2017].
- Credit and Industrial Bank v. the Czech Republic, [2003].
- Comingersoll S.A. v. Portugal, [2000].
- Dacia S.R.L. v. Moldova [2008].
- Delfi AS v. Estonia, [2015].
- Dombó Beheer B.V. v. the Netherlands, [1993].
- Edition Periscope v. France, [1992].
- East/West Alliance Limited v. Ukraine, [2014].
- Eko-Alda AVEE v. Greece, [2006].
- Elia S.r.l. v. Italy, [2001].
- Eugenia Michaelidou Developments Ltd. And Michael Tymvios v. Turkey, [2003], ECHR, (HUDOC), § 21.
- Euromak Metal DOO v. the former Yugoslav Republic of Macedonia, [2018].
- Feldman and Slovyanskyy Bank v. Ukraine, [2017].
- Ferrazzini v. Itali, [2001].
- Financial Times Ltd. and others v. The UK, [2009].
- Gasus Dosier- und Fördertechnik GmbH v. the Netherlands, [1995].
- Geotech Kancev GmbH v. Germany, [2016].
- G.I.E.M. S.R.L. and Others v. Italy, [2018].

- Glass Nadezhda EOOD and Elenkov v. Bulgaria.
- Groppera Radio AG and others v. Switzerland.
- G.J. v. Luxemburg, [2000].
- Hunguest Zrt. V. Hungary, [2016].
- Industrial Financial Consortium Investment Metallurgical Union v. Ukraine, [2018].
- Informationsverein Lentia and others v. Austria [1993].
- Immobiliare Saffi v. Italy, [1999].
- Ipteh SA and Others v. Moldova [2009].
- JA Pye (Oxford) Ltd. and JA Pya (Oxford) Land Ltd. v. UK, [2007].
- Johannesson and others v. Iceland, [2017].
- Julius Kloiber Schlachthof GmbH and Others v Austria, [2013].
- Kin-Stib and Majkic v. Serbia, [2010].
- Kips DOO and Drekalovic v. Montenegro, [2018].
- Könyv-Tár Kft and other v. Hungary, [2018].
- Kristiana Ltd. v. Lithuania, [2018].
- Krone Verlag GmbH & Co. KG v Austria (No 3), [2003].
- Kudla v. Poland, [2000].
- Lindstrand Partners Advokatbyrå AB v. Sweden, [2017].
- Lay Lay Company Limited v. Malta, [2013].
- Magadat.com SRL. V. Moldova, [2008].
- Magyar Tartalomszolgáltatók Egyesülete and Index.hu Zrt. V. Hungary, [2016].
- Magyar Jeti Zrt v. Hungary, [2018], ECHR, (HUDOC), § 6.
- Markt Intern Verlag GmbH and Klaus Beerman v. Germany, [1989].
- Matos e Silva, Lda., and Others v. Portugal, [1996].
- Niemietz v. Germany, [1992].
- O’Sullivan McCarthy Mussel Development Ltd v. Ireland, [2018].
- OAO Netyanaya Kompaniya Yukos v. Russia, [2011].
- OAO Neftyanaya Kompaniya Yukis v. Russia, Just Satisfaction, [2014].
- Paeffgen GmbH v. Germany, [2007].
- Paykar Yev Haghtanak Ltd. v. Armenia, [2007].
- Perihan and Mezopotamya Basın Yayın A.Ş. v. Turkey, [2014].
- Pine Vealey Development Ltd. v. Ireland, [1992].
- Pinnacle Meat Processors Company and Others v. UK, [1998].
- Polimerkonteyner Ltd. V. Ukraine [2016].
- Pressos Compania Naviera S.A. and others v. Belgium, [1995].
- Radio France and Others v. France, [2004].
- Ringelsen v. Austria, [1972].
- Rosenzweig and Bonded Warehouses Ltd. v. Poland, [2005].
- San Leonard Band Club v. Malta, [2004].
- Sasilor Lormines v. France, [2006].

- S.A. Dangeville v. France, [2002].
- S.C. Antares Transport S.A. and S.C. Transroby S.R.L. v. Romani, [2016]
- S.C. Fiercolect Impex S.R.L. v. Romania, [2017].
- Sanoma Uitgevers B.V. v the Netherlands, [2010].
- Segame S.A. v. France, [2012].
- Siglfirdingur EHF v. Iceland, [2000].
- Societe Colas Est and Others v. France, [2002].
- Sovtransavto Holding v. Ukraine [2002].
- Sporrang and Lonroth v. Sweden, [1982].
- Stockholms Forsakrings-Och Skadestandsjuridik v. Sweden, [2003].
- Stran Greek Refineries and Mr Stratis Andreadis v. Greece [1994].
- Sud Fondi srl et Autres c. Italie, [2009].
- Sunday Times v. The United Kingdom, [1979].
- Sunday Times v. The United Kingdom (No 2), [1991].
- Tele 1 Privatfernsehgesellschaft MBH v. Austria, [2000].
- The Fortum Corporation v. Finland, [2003].
- Tre Traktorer Aktienbolag v. Sweden, [1989].
- Unifaun Theatre Production Limited and others v. Malta, [2018].
- Unistar Ventures GmbH. V. Moldova, [2008].
- VR-Bank Stuttgart eG v. Austria, [2010].
- Zlinsat, spol. S.r.o. v. Bulgaria, [2006].
- ZIT Company v. Serbia, [2007].

დ) ადამიანის უფლებათა კომისიის განჩინებები დასაშვებობის შესახებ

- Agrotexom Hellas S.A. and others v. Greece, Report of the Commission, [1994].

სხვა საერთაშორისო სასამართლოს ან/და არბიტრაჟის გადაწყვეტილებები

- A Newspaper Publishing Company v. Trinidad and Tobago, კომუნიკაცია #360.1989, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილება, CCPR/C/36/D/360/1989;
- Autopista v. Venezuela, Decision on Jurisdiction, [2001], (ICSID Reports 419, para. 107).
- Case concerning The Factory at Chorzow (Claim for Indemnity, Jurisdiction), Publications of the Permanent Court of International Justice, ხელმისაწვდომია https://www.icj-cij.org/files/permanent-court-of-international-justice/serie_A/A_09/28_Usine_de_Chorzow_Competence_Arret.pdf, ნანახი ოქნა 14.03.2019

- Barcelona Traction, Light and Power Company, Limited, Judgment, I.C.J. Reports 1970.

სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებები

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე #ას-664-635-2016, მისამართზე <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>, ნანახია 26.05.2019.

ბ) აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები

- Trustees of Dartmouth College v. Woodward, 17 U.S. (4 Wheat.) 518, 636 *1819); აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. ციტ. *Blumberg, Ph.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review (1990), Faculty Articles and Papers. 197, 49. ხელმისაწვდომია http://digitalcommons.uconn.edu/law_papers/197.
- The Railroad Tax Cases, 13 F. 744 (C.C.D. Cal. 1882), appeal Dismissed as moot sub nom. San Mateo County v. Sothern Pac. R.R., 116 U.S. 138 (1885) აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, The Railroad Tax Cases, 13 F. 744 (C.C.D. Cal. 1882), appeal Dismissed as moot sub nom. San Mateo County v. Sothern Pac. R.R., 116 U.S. 138 (1885) ციტ. *Blumberg Ph.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review (1990), Faculty Articles and Papers, 197, 50. ხელმისაწვდომია http://digitalcommons.uconn.edu/law_papers/197.

გ) დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ლორდთა პალატის გადაწყვეტილება

- Council of Civil Service Unions v. Minister for Civil Service [1985], AC 374, 401B.

სტატიები

- *Addo, M.K.*, The Corporation as a Victim of Human Rights Violations, წიგნში: *Addo M.K. (ed.)*, Human Rights Standards and The Responsibility of Transnational Corporations, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 1999, 187.
- *Addo M.K.*, Applicability Human Rights Act to Private Corporations, წიგნში: *Betten L., (ed)*, The Human Rights Act 1998, What It Means. The Incorporation of the

European Convention on Human Rights into the Legal Order of the United Kingdom, Martinus Nijhoff Publishers, The Hague, London, Boston, 1999, 197.

- *Addo, M.K.*, The Corporation as a Victim of Human Rights Violations, წიგნძი: *Addo M.K. (ed.)*, Human Rights Standards and The Responsibility of Transnational Corporations, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 1999, 187, იბ. ციტირება: *Clapham A.*, Human Rights in the Private Sphere (OUP 1993) 91.
- *Addo, M.K.*, The Corporation as a Victim of Human Rights Violations, წიგნძი: *Addo M.K. (ed.)*, Human Rights Standards and The Responsibility of Transnational Corporations, Kluwer Law International, The Hague, London, Boston, 1999, 187, იბ. ციტირება: *Teubner G.*, Enterprise Corporatism: New Industrial Policy and the Essence of the Legal Person, *Am. J. of Comp. Law*, 1988, Vol. 36, 130.
- *Blumberg, Ph.*, The Corporate Personality in American Law: A Summary Review, Faculty Articles and Papers, 197, 1996, 49, 50, 60, http://digitalcommons.uconn.edu/law_papers/197, [27.07.2017].
- *Caflich, L.C.*, The Protection of Corporate Investment Abroad in the Light of the Barcelona Traction Case, 1971, Max-Plank-Institut Fur auslandisches offentliches Recht und Volkerrecht, 190, [http:// www.zaoerv.de](http://www.zaoerv.de), [19.04.2019].
- *Cassimatis, E.A.*, Human Rights Related Trade Measures under International Law: The Legality of Trade Measures Imposed in Response to Violations Human Rights Obligations under General International Law, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2007, 45.
- *Dine J.*, Companies, International Trade and Human Rights, Cambridge University Press, 2005, 205-206; ციტირება: *Feldman D.*, Corporate Rights and the Privilege Against Self-incrimination, წიგნძი: *Feldman D., and Meisel F.*, (eds.), Corporate and Commercial Law: Modern Developments, Lloyds of London, 1996, 365; *Novak M.*, UN Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary, Engel, Kehl, 1993.
- *Emberland, M.*, Protection Against Unwarranted Searches and Seizures of Corporate Premises Under Article 8 of the European Convention on Human Rights: *The Colas Est SA v. France* Approach, 25 Mich. J. Int'l L. 77 (2003), 93. <http://repository.law.umich.edu/mjil/vol25/iss1/2>, [04.02.2019].
- *Emberland M.*, The Corporate Veil in the Case Law of the European Court of Human Rights, 63 ZaoRV 954, ხელმისაწვდომია http://www.zaoerv.de/63_2003/63_2003_4_a_945_970.pdf, ნანახი იქნა 01.05.2019.
- *Emberland M.* Compensating Companies for Non-Pecuniary Damage: *Comingersoll S.A. v. Portugal* and the Ambivalent Expansion of the ECHR Scope, 421, https://www.researchgate.net/publication/274557564_Compensating_Companies

for Non-Pecuniary Damage Comingersoll sa v Portugal and the Ambivalent Expansion of the ECHR Scope, [02.08.2017].

- *Grear A.*, Corporations, Human Rights and the Age of Globalization: Another look at the “Dark Side” the Twenty-First Century, წიგნში: *Wilson, H. B., Grear, A., (eds.)*, Human Rights in the World Community, Issues and Action, Fourth Edition, University of Pennsylvania Press, Philadelphia, 2016, 420, ობ. ციტირება: *Baxi U.*, The Future of Human Rights, Oxford University Press, Oxford, 237.
- *Grear A.*, Challenging Corporate “Humanity”: Legal Disembodiment, Embodiment and Human Rights, *Human Rights Law Review* (2007), Oxford University Press, 7.
- *Grear A.*, Redirecting Human Rights. Facing the Challenge of Corporate Legal Humanity, Palgrave Macmillan, 2010, 32, 33.
- *Grear A.*, Redirecting Human Rights. Facing the Challenge of Corporate Legal Humanity, Palgrave Macmillan, 2010, 33, ციტი. *Hohfeld W.N.*, Nature of Stockholders Individual Liability for Corporate Debts” (1909) 9 *Columbia Law Review* 288, შემდგომი მითითებით: *Finnis*, The Priority of Persons, წიგნში *Horder J., (ed)*, Oxford Essays in Jurisprudence, Volume IV (Oxford: Oxford University Press, 2000).
- *Graver D.*, Personal Bodies: A Corporeal Theory of Corporate Personhood, The University of Chicago Law School Roundtable, 1999, Vol. 6, Iss. 1, Art. 11, 240., <http://chicagounbound.unchicago.edu/roundtable/vol6/iss1/11>.
- *Kempen van P.H.P.H.M.C.*, Human Rights and Criminal Justice Applied to legal persons, Protection and Liability of Private and Public Juristic Entities under the ICCPR, ECHR, ACHR and AfChHRP, *Electronic Journal of Comparative Law*, Vol. 14.3 (December, 2010), Netherlands Comparative Law association, <https://www.ejcl.org/143/art143-20.pdf> [02.08.2017].
- *Kolh U.*, *The Sun*, Liverpooldians and “The Truth”: A Corporate Right to Human Right?, წიგნში *Harding C., Kohl U., Salmon N.*, Human Rights in the Market Place. The exploration of Rights’ Protection by Economic Actors”, Routledge, London and New York, 2016, 23, 24, 27, 29.
- *Kolh U.*, *The Sun*, Liverpooldians and “The Truth”: A Corporate Right to Human Right?, ციტი. *Dignam A.J., and Allen D.*, Company Law and the Human Rights Act 1998, Butterworths, London 2000, 173, წიგნში: *Harding C., Kohl U., Salmon N.*, Human Rights in the market Place, The Exploration of the Rights Protection by Economic Actors, Routledge, London and New Your, 2016, 27.
- *Kolh U.*, *The Sun*, Liverpooldians and “The Truth”: A Corporate Right to Human Right? შემდგომი მითითებებით, *Ohlin J. D.*, Is the Concept of the Person Necessary for Human Rights? *Colum. L. Rev.* 105:209, 2005, 226ff., წიგნში *Harding C., Kohl U., and Salmon N.*, Human Rights in the Market Place. The

exploration of Rights' Protection by Economic Actors, Routledge, London and New York, 2016, 29.

- *Kriebaum U.*, Is the European Court of Human Rights an Alternative to Investor-State Arbitration? *የዕንግሎት Dupuy P.M., Francioni F., Peterssmann E.U.*, (eds.), Human Rights in International Law and Arbitration, Oxford University Press, 2009, 219.
- *Kriebaum U., Reinisch A.*, Property, Right to, International Protection, Oxford Public International Law (<http://opil.outlaw.com>), Oxford University Press, 2015, 2.
https://deicl.univie.ac.at/fileadmin/user_upload/i_deicl/VR/VR_Personal/Reinisch/Publikationen/Propertyright_int_protect.pdf, [14.03.2019].
- *Ovey C. & White R.* Jacobs and White the European Convention on Human Rights, Oxford, 2006, 241, *የዕንግሎት Feldman, D.* The developing scope of Article 8 of the European Convention on Human Rights, [1997] EHRLR, 265
- *Ovey C., White R.* Jacobs and White the European Convention of Human Rights, Fourth edition, Oxford, 2006, 345. *የዕንግሎት Frowein, J.* The Protection of Property, in *Macdonald R., Matscher, F., Petzold F. (eds)* The European System for the Protection of Human Rights (Dordrecht, 1993) at 515;
- *Ovey C., White R.* Jacobs and White the European Convention of Human Rights, Fourth edition, Oxford, 2006, 345, *የዕንግሎት McBride J.* The Right to Property (1996) 21 EL Rev HRC/40, *የዕንግሎት Marino, G.*, Limitation of Administrative Penalties by the European Convention of Human Rights and the EU Charter of Fundamental Rights, Thematic Report, EATLT 2015 Milan Congress on Surcharges and Penalties in Tax Law, 10.
- *Ovey C., White R.* Jacobs and White the European Convention of Human Rights, Fourth edition, Oxford, 2006, 345, *የዕንግሎት Riza Coban A.* Protection of Property Rights within the European Convention on Human Rights (Aldershot, 2004) *የዕንግሎት Schermers, H.G.* The International Protection of the Right of Property, in *Matscher, F., Petzold F. (eds)* Protecting Human Rights: The European Dimension. Essays in Honour of Gerard J. Wiarda (Koln, 1998), at 565l.
- *Ovey C. & White R.* Jacobs and White the European Convention on Human Rights, Oxford, 2006, 241., *የዕንግሎት Warbrick C.* The Structure of Article 8, [1998] EHRLR 32,
- *Perry, A. and Ahmed, F.* The Coherence of the Doctrine of Legitimate Expectations (October 1, 2013). Cambridge Law Journal, 2014, vol. 73, 1, SSRN: <https://poseidon01.ssrn.com/delivery.php?ID=604064031098125101065121069066076103018051001046052028106016011094006111078113024069062043121044102001042025089003116102084109024070038021022090065097031000077104037021071009124084015097015068099064078024091107125104096111099094087026075024015090022&EXT=pdf>, [29.01.2019]

- *Tams, C. and Tzanakopoulos, A.*, Barcelona Traction at 40: the ICJ as an agent of legal development, *Leiden Journal of International Law*, 2010, 23 (4). 782, <http://eprints.gla.ac.uk/41532/>, [01.05.2019].
- *Tishler S.C.C.*, A New Approach to Shareholder Standing Before the European Court of Human Rights, 25 *Duke Journal of Comparative & International Law*, 2015, 279, <https://scholarship.law.duke.edu/djcil/vol25/iss2/3>, [01.05.2019].
- *Wood S. G. and Scharff B.G.*, Applicability of Human Rights Standards to Private Corporations: An American Perspective, *Am. J. Comp. L.*, Vol 50, Oxford University Press, 538, 541, 542, 543, 544.
- *Wood S.G., Scharff B.G.*, Applicability of Human Rights Standards to Private Corporations: An American Perspective, *The American Journal of Comparative Law*, Vol 50, Oxford University Press, 538, 541, 543, <http://www.jstor.org/stable/840888>, [02.08.2017].
- *Wright, D.* Rethinking the Doctrine of Legitimate Expectations in Canadian Administrative Law, *Osgoode Hall Law Journal* 35.1, 1997, 141, <http://digitalcommons.osgoode.yorku.ohlj/vol35/iss1/4>, [29.01.2019].

წიგნები

- *ლობი, გ.*, როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, თბილისი, 2013, 317.
- *Addo M.K. (ed.)*, Human Rights Standards and The Responsibility of Transnational Corporations, Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 1999, 187, 188, 189.
- *Alexidze, L.*, Legal Nature of *Jus Cogens* in Contemporary International Law, (Extract from the *Recueil des cours*, Volume 172), Martinus Nijhoff Publishers, The Hague/ Boston/ London, 1981
- *Brownlie, I.*, Principles of Public International Law, Seventh Edition, Oxford University Press, 2008, 489.
- *Dine J.*, Companies, International Trade and Human Rights, Cambridge University Press, 2005, 205-206;
- *Dolzer R., Schreuer C.*, Principles of International Investment Law, Oxford University Press, 2006, 46.
- *Drzemczewski, A.Z.* European Human Rights Convention in Domestic Law. A Comparative Study, Clarendon Press, Oxford 1983, 268.
- *Emberland, M.*, The Human Rights of Companies; Exploring the Structure of ECHR Protection, Oxford University Press, 2006, 5.

- *Grear A.*, Redirecting Human Rights. Facing the Challenge of Corporate Legal Humanity, Palgrave Macmillan, 2010, 32.
- *Harris D.J., O'Boyle D., Bates E.P. & Buckley C.M.*, Harris, O'Boyle and Warbrick Law of European Convention of Human Rights, Oxford University Press, 2014, 81, 155, 157, 380, 863, 856, 857, 967.
- *Overy C., White R.* Jacobs and White the European Convention of Human Rights, Fourth edition, Oxford, 2006, 241, 345.
- *Алексидзе Л.А.*, Некоторые Вопросы Теории Международного Права, Императивные Нормы Jus Cogens, Издательство Тбилисского университета, 1982.